

ლუარა სორდია

**საღვთო სიბრძნისა და საღვთო
სიყვარულის აღეპტები ქართულ
პოეზიაში**

**თბილისი
2009**

ნაშრომში გზამკვლევად ქცეულია ბიბლიური ოფიციალური და საზოგადო მიწიური და ზეციური სიბრძნის, სულიერი და ინტელექტუალური გონიერის შესახებ.

საღვთო სიბრძნის მაგალითები დაძებნილია გალაკტიონ ტაბიძის, ანა კალანდაძის, ვაჟა ეგრისელის შემოქმედებიდან.

საღვთო სიყვარულის გამომხატველ ნიმუშად მიჩნეულია აკაკი წერეთლის „სულიკო“, ვაჟა-ფშაველას „სამეფო სიყვარულისა“, გალაკტიონ ტაბიძის, ანა კალანდაძის, ვაჟა ეგრისელის შედევრები.

საღვთო, ზეციური მუსიკის ასპექტით შესწავლილია გალაკტიონ ტაბიძის, ანა კალანდაძის, ვაჟა ეგრისელის შემოქმედება.

წიგნში გათვალისწინებულია სათანადო პარალელური, წყაროები ბიბლიის, ღვთისმეტყველურის, სასულიერო ლირიკის, ქართული და უცხოური კლასიკური პოეზიის წიაღიძან.

გამოკვლევა განკუთვნილია დამხმარე სახელმძღვანელოდ ფილოლოგის ფაკულტეტების მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის, საერთოდ, ჩვენს მიერ შესწავლილი პრობლემებით დაინტერესებული მკითხველ-სპეციალისტებისათვის.

რედაქტორი: პროფესორი ციალა მესხია

რეცენზენტები: პროფესორი ეთერ ქაჯაია
პროფესორი ნაზი ხელაია

შინაარსი

| | |
|---|-----|
| თავი I. | |
| ბიბლია ორგვარი სიბრძნის შესახებ | 4 |
| თავი II. | |
| საღვთო სიბრძნის ადეპტები თანამედროვე ქართულ პოეზიაში | 33 |
| „მომავლის ღრმა სიბრძნით თვალანახელი“ გალაკ- ტიონ ტაბიძე | 33 |
| „მაღალი სიბრძნის სინათლე“ ანა კალანდაძის პოეზიაში | 43 |
| სულის მკურნავი „სიბრძნის ღვინო“ ვაჟა ეგრისელის ლირიკაში | 47 |
| თავი III. | |
| საღვთო სიყვარულის იდეა ქართულ პოეზიაში | 89 |
| აკაკი წერეთლის „სულიკო“ | 89 |
| ვაჟა ფშაველას „სამეფო სიყვარულისა“ | 98 |
| გალაკტიონ ტაბიძის „ზექვეყნიური სიყვარული“ | 106 |
| ანა კალანდაძის „ყოველთა დიდი ... სიყვარული“ | 116 |
| ვაჟა ეგრისელის „სიყვარულის იმპერია“ | 122 |
| თავი IV. | |
| „ზექვეყნიური, უკვდავი ხმები“ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში | 149 |
| ანა კალანდაძის „ზენაარსის მაცნე“ | 161 |
| ვაჟა ეგრისელის „ხმის ძლევამოსილი იმპერია“ | 170 |

თავი I

ბიბლია ორგვარი სიბრძნის შესახებ

ბიბლიაში უპირატესია სიბრძნის, ცოდნის ძიება, რწმენის პრიმატი, ჭეშმარიტების მიგნება.

სიბრძნის მომნიჭებლად კი მიჩნეულია ღმერთი: „ყოველი სიბრძნე უფლისაგან არის და მასთანაა საუკუნოდ (სიბრძნე ზირაქისა, თ. 1, 30).

ყოველთა უწინარეს წარმოიშვა სიბრძნე და გონების გამჭრიახობა“ (ისო ზირაქი, თ. I, 4), (1, 35).

უფალმა თავად შექმნა სიბრძნე, იხილა და აღრიცხა იგი, მოასხურა იგი თავის ყველა საქმეს“ (1, 9), (1, 35).

მხოლოდ დვთისმოსავებს მიემადლებათ იგი: „მყოფობს ყველა ხორციელში მისი ნიჭის მიხედვით, მიმადლის იგი მის მოყვარებს“ (1, 35).

უპირატესად, უფლის შიში მიიჩნევა სიბრძნის სათავედ: „სიბრძნის სათავე უფლის შიშია და მორწმუნებს საშოდანვე დაჰყვება თან“ (თ. I, 14), (1, 35).

„რადგან უფლის შიშია სიბრძნე და განსწავლულობა, მისდამი სასოება – რწმენა და სიმშვიდე“ (თ. I, 27) (1, 35).

ასევე გარჩეულია ბოროტის ცოდნა და სიკეთება, ჭეშმარიტი გონება: „ბოროტის ცოდნა არ არის სიბრძნე და არც გონიერებაა იქ, სადაც ცოდვილნი ბჭობენ“ (თ. 9, 22) (1, 47).

ისო ზირაქი ჭეშმარიტ სიბრძნეს პოულობს დვთის აღთქმის წიგნში, რომელიც მოსემ მემკვიდრეებს უანდერძა: „ის ავსებს გონებით, როგორც უვფრატი და როგორც იორდანე, მკის დღეებში“ (ისო ზირაქი, 24, 25) (1, 51).

„ის ასხივებს მოძღვრებას, როგორც ნათელი“ (24, 27) (1, 51).

„პვლავ გამოვანათებ სწავლებას, როგორც განთიადს და გავაბრწყინებ მას“ (24, 32) (1, 51).

ისო ზირაქი მოგვიწოდებს: „მოამზადე სიტყვა და მაშინ მოგისმენენ, შეაუდლე ცოდნასთან და გაეცი პასუხი“ (33, 4) (1, 51).

„ნუ წარდგები უფლის წინაშე ხელცარიელი, რადგან ყოველივე ამას მცნება მოითხოვს“ (35, 4) (1, 59).

ბრძენი კაცი თავის ხალხს აღზრდის და მისი ცოდნის ნაყოფი სარწმუნოა (37, 23) (1, 60).

სიბრძნე, წინასმეტყველების ნიჭი უზენაესის რჯულის შესწავლის გარეშე არ არსებობს: „მხოლოდ ის, ვინც თავს შესწირავს უზენაეს რჯულის შესწავლას, გამოიძიებს წინაპართა სიბრძნეს და წინასწარმეტყველებაში გაიწაფება“ (39, 1) (1, 62).

გამოიკვლევს ანდაზების დაფარულ აზრს და იგავთა გამოცანებს გამოიცნობს (39, 3) (1, 62).

სიბრძნე უპირატესია დვინოზე, მუსიკაზე: „დვინო და მუსიკა ახარებს კაცის გულს, მაგრამ სიბრძნის სიყვარული ორივეს სჯობია“ (40, 20) (1, 63).

მან გამოიკვლია უფსკრულები და პაცოა გულები... საუკუნის ნიშანი (თ. 44, 20) (1, 63).

ის გარდასულისა და მომავლის მაუწყებელია და დაფარულთა კვალის გამომაცხადებელი (42, 19) (1, 65).

... ყოველივე უფალმა შექმნა და სიბრძნე დვთისმოსავებს მისცა (44, 33) (1, 66).

...ჩემი სული შეეჭიდა სიბრძნეს და რჯულის საქმეშიც გავიწაფე“ (სიბრძნე ზირაქისა, 51, 19) (I, 72).

ბარუქ წინასწარმეტყველის მიხედვით, წყარო სიბრძნისა ღმერთია და მისგან განდგომილნი ჰეშმარიტი ცოდნის გზას ვერ გაიგნებენ, რადგან ურწმუნოთათვის მხოლოდ მიწიერი ცოდნაა მისაწვდომი: „შენ დატოვე წყარო სიბრძნისა“ (ბარუქი, 3, 12) (I, 190).

ახალგაზრდებმა იხილეს ნათელი, მაგრამ ცოდნის გზა ვერ ისწავლეს (3, 20) (I, 190).

ვერც აგარის შვილები, მიწიერი ცოდნის მაძიებლები, ვერც ვაჭრები, ვერ იგნებდნენ სიბრძნის გზას და ბილიკებს: „ვერც აგარის შვილებმა, რომელნიც მიწიერ ცოდნას ეძებდნენ, ვერც მერონისა და თემანის ვაჭრებმა, ვერც მთხოვნებმა და ვერც ცოდნის მძებნელებმა ვერ გაიგეს სიბრძნის გზა და ვერ გაიხსენეს მისი ბილიკები (3, 23) (1, 190).

...არავინაა შემმეცნებელი მისი გზისა და არც გულის-ხმისმყოფელი მისი ბილიკისა (3, 31) (1, 190).

მხოლოდ ღმერთი ...მან იპოვა ყველა გზა ცოდნისა და მისცა იგი იაკობს, თავის მორჩილს და ისრაელს, ომელიც შეიყვარა (3, 37) (1, 190).

შემდგომ ამისა, გამოჩნდა იგი დედამიწაზე და მიმოიქცეოდა ადამიანთა შორის (ბარუქი, 3, 38) (1, 190).

აკლესიასტე გვმოძღვრავს: „ბრძენი კაცი გონებითა ჭვრებს, უგუნური კი ბნელში დავალს“ (თ. 2,14) (2,8).

„ბრძენთა სიტყვები წვერწამახული სოლებია, ჩაჭედილი ლურსმნებია, იგავთა კრგული ერთი მწყემსისგან ჩაგონებული“ (კლესიასტე, 12, 11) (2,14).

სოლომონის იგავების მიხედვით, „უფლის შიში ცოდნის სათავეა“ (იგავნი სოლომონისა, I, 7) (1,617).

სიბრძნე ღვთის საბოძვარია: „...უფალი იძლევა სიბრძნეს და მის ბაგეთაგან არის ცოდნა და შეგნება“ (იგავნი სოლომონისა, თ. II, 13).

ბენიერია ის კაცი, ვინც პპოვა სიბრძნე და ვინც გონიერება შეიძინა! რადგან მისი შეძენა სჯობს ვერცხლის შეძენას და მისი მოსავალი ხალას ოქროს.

იგი უკვდავების ხეა მისთვის, ვინც მას მოეკიდება, ნეტარი არიან მისი მფლობელები (იგავნი სოლომონისა, თ. 2, 13,14) (1, 619).

სიბრძნე უკეთესია ძვირფას თვლებზე და ვერცერთი სანატრელი საგანი ვერ შეედრება მას.

მე, სიბრძნე, დავახებული ვარ შეგნებაში და ფიქრების ცოდნა მოვაძოვე (იგავნი სოლომონისა, თ. 8, 11,12) (1, 622).

მთავარი სიბრძნე სიბრძნის მოხვეჭაა, ყოველ მოსახვეჭლთაგან ცოდნა მოიხვეჭო (იგავნი თ. 4, 7) (1,619).

სიბრძნის შეძენის სტიმული უფლის შიში და სიწმინდეა: „უფლის შიში სიბრძნის სათავეა, სიწმინდეთა ცოდნა კი გონიერება“ (იგავნი, 9,10) (1,623).

ურწმუნონი ვერ ეზიარებიან სიბრძნეს: „ღვთისმგმობელი სიბრძნეს ეძებს, მაგრამ ამაოდ; გონიერს კი ცოდნა ეადვილება“ (იგავნი, 14,6)

გონიერება, უპირველესად, საკუთარი გზის შეცნობას ნიშნავს: „გონიერი კაცის სიბრძნე საკუთარი გზის შეცნობაშია, უმეცართა სიბრიყვე კი ცრუობაშია“ (იგავნი, 14,86) (1, 626).

მაგრამ კაცის ცოდნა, სიბრძნე ვერ შეეღრება უფლისას: „არ არსებობს სიბრძნე, არ არსებობს ცოდნა, არ არსებობს რჩევა უფლის პირისპირ“ (იგავნი, თ. 21, 30) (1, 631).

„პაცოაგან რომელი შეიცნობს დვთის განზრახვას? ან უფლის ნებას ვინ მისწვდება?“

რადგან უსუსურია მოკვდავთა ფიქრები და ჩვენი ზრახვები მერყევია.

რადგან განხერწნადი ხორცი ამბიმებს სულს და ეს მიწიერი კარავი ტვირთად აწვეს ფიქრით სავსე გონებას“ (სიბრძნე სოლომონისა, 9, 13,14,15) (I, 25)

მზაკვარ, ცოდვილ სულში ვერ დაივანებს სიბრძნე (სიბრძნე სოლომონისა, თ. I, 4) (I, 19), ვერც შურიანი ეზიარება სიბრძნეს (სიბრძნე სოლომონისა, 6, 23) (2,23).

სიბრძნის შეცნობის სიხარულით სავსეა სოლომონ ბრძენის სტრიქონები:

„ყოველივე შევიცანი, დაფარულიც და განცხადებულიც, რადგან სიბრნემ განმასწავლა, ყოველთა შემოქმედმა“ (იქვე, თ. 7,21) (2,24).

დვთის ძალის სუნთქვაა იგი და – ყოვლისმაყრობელის დიდების შეუბდალავი გადმოდვრა, ამიტომ წაბილწულთაგან ვერავინ მიეკარება მას (იქვე, თ. 7,25) (2,24).

იგია საუბუნო ნათლის ანარეკლი, უხინჯო სარკე დვთის ქმედების და ხატი მისი სიკეთისა. (იქვე, თ. 7,26) (2, 24).

„ეწვევა უბიწო სულებს თაობიდან თაობაში და დვთის მოყვარეებად და წინასწარმეტყველებად განამზადებს მათ.“

რადგან ღმერთს არავინ უყვარს, გარდა იმისა, ვინც სიბრძნით ცხოვრობს (იქვე, თ. 7,28) (2, 24).

„უკვდავებაა სიბრძნესთან წილნაყარობა“ (სიბრძნე სოლომონისა, თ. 8,18) (2,24).

სოლომონი ევედრებოდა ღმერთს: „მომმადლე სიბრძნე, შენს ტახტზე დაბრძანებული და თუ გამომრიცხავ შენს მსახურთაგან

რადგან ადამის ძეთა შორის თვით სრულქმნილიც კი არარად ითვლება, თუ შორსაა შენი სიბრძნისგან“ (სიბრძნე სოლომონისა, თ. 9, 4,6) (2, 25).

იაკობ მოციქული კითხულობდა: „ვინაა ოქვენს შორის ბრძენი და გონიერი? კარგი საქციელით აჩვენოს თავისი საქმენი ბრძნულ მოთმინებაში“ (იაკობი 4, 13) (3, 298).

„მაგრამ თუ გულში მწარე შური და შუდლი გაქვთ, ნუ ტრაპახობთ და ნუ ცრუობთ ჭეშმარიტების წინააღმდეგ“.

ეს არაა მადლით გარდოვლენილი სიბრძნე, არამედ მიწიერი, მშვინვიერი, ეშმაკეული.

რადგან სადაც შური და შუდლია, იქ შფოთი და ყოველგვარი ბოროტმოქმედებაა.

ხოლო მადლიდან გარდოვლენილი სიბრძნე პირველქმნილია, წმიდაა, მერე მშვიდობიანი, ლმობიერი, წესიერი, წყალობითა და კეთილი ნაყოფით სავსე, მიუკერძოებელი და უთვალოთმაქცო“ (იაკობ მოციქულის წერილი, 4,13,14,15,16,17) (3,298).

დვთის სიბრძნითა და შემეცნებით გაოცებული პავლე მოციქული აცხადებდა: „ო, დვთის სიმდიდრეთა და სიბრძნის და შემეცნების სიდრმე! როგორი ჩაუწვდენელნი არიან მისი სამართალნი და მიუკვლეველნი მისი გზები“ (პავლე მოციქული, რომაელთა, 12,33) (3,347).

პავლე მოციქული განარჩევდა წუთისოფლის სიბრძნეს და დვთის სიბრძნეს: „სად არის ბრძენი? სად არის მწიგნობარი? სად არის ამ წუთისოფლის მოკამათე? განა სისულელედ არ აქცია დმერთმა ქვეყნიერების სიბრძნე?“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 20) (3, 357).

„ვქადაგებოთ ქრისტეს – დვთის ძალას და დვთის სიბრძნეს“ (პავლე მოციქული, II კორინთელთა, 24) (3, 357).

პავლე მოციქულის წერილებში დაპირისპირებულია წუთისოფლის მთავართა წარმაგალი სიბრძნე და დვთის სიბრძნე, საიდუმლოებაში დაფარული: „...სიბრძნეს ვლაპარაკობთ სულიერად მოწიფულთა შორის, არა წუთისოფლის სიბრძნეს, არც წუთისოფლის მთავართა, რომელნიც წარმავალი არიან, არამედ ვლაპარაკობთ დვთის სიბრძნეს, საიდუმლოებაში დაფარულს, რომელიც წინასწარ განსაზღვრა ღმერთმა საუკუნის უწინარეს ჩვენი დიდებისათვის“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 2, 6,7) (3, 358).

მაგრამ სულიწმინდისგან შთაგონებულ სულს შეუძლია განჭვრიტოს ღვთის სიღრმეები (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 16) (3, 359).

ხოლო წუთისოფლის სიბრძნე უგუნურებაა ღვთის წინაშე: „ოუ კინძეს ამ წუთისოფელში თავისი თავი ბრძნად წარმოუდგენია, გაუგუნურდეს, რათა ბრძენი გახდეს“.

კინაიდან ამ წუთისოფლის სიბრძნე უგუნურებაა ღვთის წინაშე, როგორც წერია: „მათ ციიერებაში შეიპყრობს ბრძენებს“ (I კორინთელთა, 3, 18,19) (3, 360).

პავლე მოციქული ბრძანებს „სულიერ ნიჭზე“: „სხვადასხვაგვარია ნიჭი, მაგრამ სული ერთია“ (I კორინთელთა, 12, 4).

...თითოეულს ეძლევა სულის გამოვლინება სასიკეთოდ.

კინაიდან ერთს სულის მიერ ეძლევა სიბრძნის სიტყვა, მეორეს – ცოდნის სიტყვა იმავე სულით (იქვე, 12, 7, 8).

„ზოგს რწმენა – იმავე სულით და ზოგს – განკურნებათა ნიჭი იმავე სულით.

ზოგს – სასწაულმოქმედება, ზოგს – წინასწარმეტყველება, ზოგს – სულების გარჩევა, ზოგს – სხვადასხვა ენები, ზოგს – ენების განმარტება.

ხოლო ყოველივე ამას აკეთებს ერთი და იგივე სული, რომელიც თითოეულს საკუთრივ უნაწილებს, როგორც ნებავს“ (I კორინთელთა, 12, 9, 10, 11) (3, 374).

პავლე მოციქული მოგვიწოდებს: „ეშურეთ დიდ ნიჭებს და გაწვენებთ უფრო აღმატებულ გზას“ (I კორინთელთა, 13,31) (3, 375).

„ესწრავეთ სიყვარულს და ეშურეთ სულიერ ნიჭებს, უფრო კი, რომ იწინასწარმეტყველოთ“ (I კორინთელთა, 14, 1) (3, 376).

„მმანო! ნუ იქნებით ბავშვები გონებით. მხოლოდ ბოროტისათვის იყავით ბალდები, გონებისათვის კი სრულწლოვანი“ (I კორინთელთა, 14, 20) (3, 344).

გონებრივი სრულყოფილება კი მიიღწევა „არა ხორციელი სიბრძნით, არამედ ღვთის მადლით“ (II კორინთელთა, 1, 12) (3, 389).

ღვთის შესაცნობად საჭიროა „სიბრძნისა და გამოცხადების სული“ (ეფესელთა, 2, 17) (3, 414).

დვთის მორწმუნებს ლოცვით მიემადლება „ყოველნაირი სიბრძნე და სულიერი გონება“ (პავლე მოციქული, კოლასელთა, 1, 9) (3, 431).

ხოლო მიუღებელია „ფუჭი ამპარტავნობა... ხორციელი გონებით“ (კოლასელთა 2, 18) (3, 433).

პავლე მოციქულის მიხედვით, „ქრისტეს სიყვარული... ცოდნას აღემატება და ავხებს „სრული დვთიური სისავსით“ (ეფესელთა 4, 19) (3, 417).

წმინდა მამა უსურვებს მოციქულებს: „უფლის სიტყვა უხვად დამკვიდრდეს თქვენში სრული სიბრძნით, ასწავლეთ და შთააგონეთ ერთმანეთი ფსალმუნით, საღიდებლით და სასულიერო საგალობლებით და უგალობეთ დმერთს თქვენს გულებში მაღლიერებით“ (პავლე მოციქული, კოლასელთა, 4, 16) (3, 435).

პავლე მოციქულის მიხედვით, „სული ჰერეტის ყოველივეს, დვთის სიღრმეებსაც“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 2, 10).

ამისთვის კი საჭიროა „არა წუთისოფლის სული, არამედ სული დვთისგან“ (I კორინთელთა, 2, 12).

„და ამას ვლაპარაკობთ არა ადამიანთა სიბრძნით შესწავლილი სიტყვით, არამედ სულიწმიდისგან შესწავლილით. სულიერს სულიერით განვმარტავთ.“

აი, მშვინვიერი ადამიანი არ დებულობს იმას, რაც დვთის სულისგან არის, ვინაიდან უგუნურებად მიიჩნევს და არც ძალუმს შეცნობა, რადგან სულიერად არის განსასჯელი.

ნუთუ არ იცით, რომ დვთის ტაბარი ხართ და დვთის სული ცოცხლობს თქვენში“ (I კორინთელთა, ო. 2, 13, 14, ო. 3, 16) (3, 359).

წმინდა მამის იდეალია „სიწმინდისა და ჰეშმარიტების ხმიადი“ (I კორინთელთა, ო. 5, 8) (3, 363).

„საღვთო წერილებს... ძალუმთ შენი დაბრძანება“ (პავლე მოციქული, II წერილი ტიმოთეს მიმართ, ო. 3, 15) (3, 460).

„ხორციელი ფიქრები სიკვდილია, ხოლო სულიერი ფიქრები – სიცოცხლე და მშვიდობა.“

ხორციელი ფიქრები დვთის მტრობაა, ვინაიდან არ ემორჩილება დვთის რჯულს და არც შეუძლია.

ამიტომ, მათ, რომელნიც ხორციელად ცხოვრობენ, არ ძალუმთ აამონ ღმერთს“ (პავლე მოციქულის წერილი რომაელთა მიმართ, თ. 8, 6,7,8) (3, 339).

„...თქვენი რწმენა იყოს არა კაცთა სიბრძნით, არამედ დვთის ძალით“ (პავლე მოციქულის პირველი წერილი კორინთელთა მიმართ, თ. 2, 5) (3, 358).

იოანე მოციქული განარჩევს წუთისოფლის მიეთ-მოეთს დვთის სიბრძნისგან: „ისინი წუთისოფლისანი არიან, ამიტომაც წუთისოფლისას ლაპარაკობენ და წუთისოფელი ყურს უგდებს მათ“.

ჩვენ დვთისგან ვართ; ვინც იცნობს ღმერთს, ის გვისმენს ჩვენ, ხოლო ვინც დვთისგან არ არის, არ გვისმენს ჩვენ. ამით შევიცნობთ ჰემარიტების სულს და ცდომილების სულს.

„ვისაც არ უყვარს, მას არ შეუცენია ღმერთი, ვინაიდან ღმერთი სიყვარულია“ (იოანე მოციქულის I წერილი თ. 4, 5,6,8) (3, 320).

პავლე მოციქული მიგანიშნებს: „...ჩვენი მამები ყველანი ღრუბელქვეშ იყვნენ და ყველამ გაიარა ზღვაში“.

„და ყველანი ჭამდნენ ერთსა და იმავე სულიერ სასმელს, ვინაიდან სვამდნენ სულიერი კლიდან, რომელიც თან დაჟვებოდა მათ, ხოლო ის კლდე იყო ქრისტე“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, თ. 10, 23).

არა ხორციელი სიბრძნით, არამედ დვთის მადლით (II კორინთელთა, თ. 1, 12).

ერთმანეთს უპირისპირდება ცოდნა და სიყვარული და უპირატესობა სიყვარულს ენიჭება, რადგან „ცოდნა აამპარტავნებს, სიყვარული კი აშენებს“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, თ. 8, 1) (3, 367).

ხორციელი და სულიერი ცხოვრება, ცოდვა თუ უცოდველობა, დვთის შვილობა თუ ცოდვის მონობა?

პავლე მოციქული წერს რომაელებს: „თქვენ კი ცხოვრობთ არა ხორციელად, არამედ სულიერად, თუკი დვთის სული ცხოვრობს თქვენში, ხოლო ვისაც ქრისტეს სული არ აქვს, ის მისი არ არის და თუ ქრისტე თქვენშია, სხეული მკვდარია ცოდვისთვის, ხოლო სული ცოცხალია სიმართლისთვის“.

თუ ხორციელად ცხოვრობთ, სიკვდილი არ აგცდებათ, ხოლო თუ სულით აკვდინებთ ხორციელ საქმეებს, იცოც-ხლებთ.

რადგან ისინი, ვინც დვთის სულით წარიმართებიან, დვთის შვილები არიან (რომაელთა, 8, 9, 10, 13, 14) (3, 340)

პავლე მოციქულის I წერილი (თ. 2, 2, 5) ინატრეთ სულიერი სუფთა რძე.

თქვენც აშენდით ცოცხალი ქვებივით სულიერ სახლად.

თქვენ ყველანი ნათლის შვილები ხართ და დღის შვილები. არც დამისანი ვართ და არც ბნელისანი.

...რაკი დღის შვილები ვართ, ვიფხიზლოთ და შევიმოსოთ რწმენისა და სიყვარულის აბჯრით და სსნის იმედის მუზარადით“ (პავლე მოციქულის I წერილი თესალონიკელთა მიმართ, თ. 2, 5, 6) (3, 340).

„...აზრთა სხვაობაც უნდა იყოს თქვენში, რათა გამოჩნდნენ მოსაწონი თქვენს შორის“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 10, 19).

„ყველა კეთილი საბოძვარი და ყველა სრულყოფილი ნიჭი მაღლიდან მოდის, ნათელთა მამისგან, რომელთანაც არ არის ცვლილება და არც ჩრდილი ცვალებადობისა (იაკობ მოციქულის წერილი, I, 17).

როგორც სხეულია მკვდარი სულის გარეშე, ასევე რწმენაც მკვდარია საქმეთა გარეშე“ (იაკობ მოციქულის წერილი, 3, 26).

ხორცს სულის საწინააღმდეგო სურს, სულს კი ხორცის საწინააღმდეგო.

ხორცის საქმეები აშკარაა. ეს არის სიძვა, უწმინდურება და თავაშვებულობა, შური, რისხება.

კერპომსახურება, მისნობა, მტრობა, ჩხუბი, შური, რისხევა, შუღლი, უთანხმოებანი, მწვალებლობა.

სიძულვილი, მკვლელობა, ლოთობა, გაუმაძღვრობა ...ამის ჩამდენი დვთის სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებენ.

ხოლო სულის ნაყოფია: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სახიერება, სიკეთე, ერთგულება.

სიმშვიდე, თაგშეგავება“ (პავლე მოციქული, გალატელთა, 6, 17, 18, 23) (3, 411).

„ხორციელი ფიქრები სიკვდილია, სულიერი – სიცოცხლე.

თუ ქრისტე თქვენშია, სხეული მკვდარია ცოდვისთვის, ხოლო სული ცოცხალია სიმართლისთვის“ (პავლე მოციქულის წერილი რომაელთა მიმართ, 2, 17, 18).

თქვენი სხეულები ტაძარია თქვენში სულიწმინდისა“ (I კორინთელთა მიმართ).

დვითისმეტყველნი უკედრებიან ღმერთს, რათა მაჲმადლოს სიბრძე.

წმინდა ეფრემ ასური წერს: „...მადლითა და კეთილშობითა თვისითა მაცხოვარმა უწიგნურნიცა განაბრძნო, ხოლო მეოხებითა მათითა ყოველნი მართალნი განანათლა. და აწ იგივე განაბრძნობს პირსა ჩემსა და ნათელპყოფს სიტყვასა ჩემსა სამოძღვროდა...“ (სიტყვა უფლის მოსვლისთვის, ხოფლის აღსასრულისა და ანტიტრისტეს გამოჩინებისათვის) (4, 76).

წმინდა მამების იდეალია მხოლოდ სიბრძნე და სულის სიწმინდე.

ორანე ოქროპირი: „სიბრძნის მოყვარეს მთელი თავისი მოდგაწეობა სულში აქვს გადატანილი და გარებნული არაფერი სჭირდება“ (5, 213).

წმინდა ისაკ ასური ქადაგებს ამსოფლიურ ვნებათა უარყოფას ზეციური ნათლის სახელით: „ვინც არარად შერაცხავს თავის თავს, იმას განაბრძნობს უფალი, ხოლო ვისაც თავი ბრძნად უჩანს, იგი დვთაებრივი სიბრძნისგან განდგომილია“ (5, 232).

„ბნელში მსხდომნო, აღემართენით, დაე, ნათელი მოეფინოს თქვენს სახეებს. გადაიგდეთ ამსოფლიურ ვნებათა ულელი, რათა მიირქვათ ნათელი, მამისგან გამომავალი“.

წმინდა მამა გვირჩევს: „ზეციური პურის“, „ცხოვრების წყაროს“ (ღმერთის) ძიებას.

...ნეტარ არს კაცი, ვისი საზრდოც არის პური, ზეცით გარდამოსული, ადამიანისთვის ცხოვრების მომნიჭებელი. ნეტარ არს, ვინც იხილა წყარო ცხოვრებისა, მამისგან გამოსავალი და მოსწყურდა იგი“ (5, 236).

ქრისტეს მარადიული ნათელი მხოლოდ მორწმუნე, წმინდა სულებში ივანებს:

„ოუკი ყოველთვის საღმრთო აზრებით იქნები დაკავებული, მაშინ ჭეშმარიტად იხილავ შენს სულში ქრისტეს ნათელს, დაუღამებელს“ (5, 240).

ღმერთს ესათნოება არა ამპარტავანი, არამედ თავმდაბალი ადამიანი:

„ხიმდაბლის გარეშე კაცი სრულყოფას ვერ მიაღწევს და მისი თავისუფლების სიგელი სული წმინდის ბეჭდით არ იქნება დაბეჭდილი“ (5, 243).

შრომა, ლოცვა, საღვთო სიბრძნესთან ზიარება განწმენდს გულ-გონებას: „იკითხე ტროპარები და მათი კეთილხმოვნებით ნუ ტქბები, ეცადე კარგად ჩასწვდე აზრს.“

იშრომე, ილოცვე, რათა მოიპოვო თვალი, კეთილად მხედველი“ (5, 246).

წმინდა იოანე ოქროპირი სინანულით წერს: „ცოდვაა, რომ ამოსმეტყველებას აყოლილებმა დავკარგეთ ნიჭი მდგინარებისა. (როგორ გავზარდოთ შვილები უფლის სწავლითა და მოძღვრებით“) (5, 114).

წმიდა ისაკ ასური გვირჩევს: „ევალრე ღმერთს, რათა მოგანიჭოს მხერვალება და სურვილი სულისა წმინდისა... ამას დაყუდების, მოღვაწეობის, წმინდა წიგნების კითხვის გარეშე ვერ მიიღებ და ნურც ეძიებ, რამეთუ, თუ არასწორად ეძიე, სულიერი საქმენი მალე ხორციელად გექცევა“ (წმ. ისაკ ასური, გონების დაცვისა და ჭეშმარიტი შინაგანი ხედვისათვის) (5, 246-247).

წმ. ეპისკოპოსი ეგნატე (ბრიანჩანოვი) განარჩევს ხორციელი თვალით ხილვას და სულიერი თვალით შეცნობას: ცხოველთა მსგავსად „ხორციელი თვალით ყურება“ კი არა, არამედ „სულიერი თვალით – გონებითა და გულით“ (ლოცვისა და ფსალმუნების შესახებ) (5, 392).

სახარება წმინდა გონებით იკითხება.

„დერთი მადლით განაღმრთობს ადამიანთა იმ წმინდა მოდგმას, რომელთაც მისი სწამო და რომელთაც მისებრიცვალეს ფერი“ (5, 393).

„უფლის სასწაულები... დვთაებრივი სიბრძნით სავსენი ჩანან“ (5, 412).

სასწაულები გულსა და გონებაზე ხორციელი გრძნობების გზით მოქმედია“ (5, 414).

წმ. ისაკ ასურის მიხედვით, სულიერი ხედვა მხოლოდ მორწმუნეთა, თავმდაბალთა ნიჭია: „გისაც სიმდაბლე არ გააჩნია, ვერასოდეს მოიპოვებს სულიერ ხედვას“ (5, 89).

„ცხოველი სარწმუნოების მეშვეობით სულიერი თვალი ღმერთს ხედავს“ (5, 435).

„ჯვარი ქრისტეს ჯვარცმულ ქრისტეს მოწაფეს დედამიწას წარტაცებს, საქუთარ ჯვარზე გაკრული, შემძეცნებელი ამაღლებული სიბრძნისა, გონებითა და გულით ზეცად აღიტყორცნება და ჭვრებს სულის საიდუმლოებებს უფლისა ჩვენისა იქსო ქრისტესა“ (5, 441).

„ცრუ და ჭეშმარიტი წინასწარმეტყველები მათიგე საქმეების მიხედვით უნდა გამოიცნოთ. მართალი სული ეპლესიაში სული წმიდით იქსება და ქადაგება“.

ცრუწინასწარმეტყველნი, ანგარებიანნი, ...ფარულ ადგილებს ირჩევენ, ორგულს ეტმასნებიან“ (6, 442).

მინიციუს ფელიქსი (III ს.) წერს: „ვისაც არ ძალუძს შეიცნოს კაცობრივი, მითუმეტეს არ ხელეწიფება განსაჯოს ღვთაებრივი“ („ოქტავიუსი“) (6, 44).

წმ. ეფრემ ასურის მიხედვით, „ღვთაებრივი სიყვარული არის თავი ყოველთა სათნოებათა და სიყვარულია მიზეზი ყოველთა კეთილთა, მარილია სათნოებათა და სასრული სჯულისა“ (6, 137).

„სიყვარული მკვიდრობდა წინასწარმეტყველებაში, მან ჰყო დავით სადგურად სული წმიდისა, მანვე განამტკიცა იობი... სიყვარულმა გარდამოხადა ზეცითგან ჩვენოვის ძე ღმრთისა და ყოველი სიკეთეც სიყვარულით გაგვიცხადა. სიყვარულმა ...განაბრძნო მეთეჯურნი, განამტკიცა მოწამენი, განაცხოველა უდაბნონი, ავაზათ სადგომნი საგალოობლებით აღავსო...“ (6, 137)

...წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი საუბრობს საღვთო ტრფობის სასწაულებზე: კაცი... „საღვთო ტრფობით... კეთილ-ცვალებით შეიცვლება... სულიერად... ნეტარია, ვინც შენ განსწავლე, ...ვინც შენ მიერ მიიღო საზრდო, – ქრისტე უკვდავი, ქრისტე ღმერთი ჩვენი“ (სიყვარულის შესახებ) (6, 266).

...ჰოი, საღვთო სიყვარულო,... შენ ხარ მოძღვარი წინასწარმეტყველთა, თანამსრბოლი მოციქულთა, ძალი მოწამეთა, შთაბერვა მამათა და მოძღვართა, სრულქმნილება ყველა წმინდანისა“ (6, 268).

მამადმერთის სულის, სიბრძნისა და სიტყვის სრულყოფილი ხატი იყო იესო ქრისტე: „უფალი ჩვენი იესო ქრისტე გამოგვეცხადა სულად დმრთისა და სიბრძნედ ღმრთისა: სულად, რომლითაც ეგზომ ძალუმად მოქმედებდა; სიტყვად, რომლითაც ასწავებდა, სიბრძნედ, რომელიც ცხადჰყო თვისი მოსვლით“ (ტერტულიანე) (6, 385).

წმ. კასიანე საუბრობს „სიწმინდეს მიღწეული გონების“ შესახებ (6, 243).

სვიმონ თესალონიკელი უპირატესობას ანიჭებს სულის საზრდოს – ღმერთის სიტყვას: „...ჩვენს სასრულ ბუნებას ესაჭიროება საკვები არა მარტო ხორცის, არამედ სულისთვის... ეს საზრდო ღმრთის სიტყვაა, სულს რომ ღვთაებრივ საიდუმლოთა შეცნობით კვებავს“ (6, 437-438).

წმ. კიპრიანე განმარტავს: „პური ცხოვრებისა ქრისტეა“ (6, 439).

„მე ვარ პური ცხოველი, რომელიც ზეცით გარდამოვიდა“ (იოანე 6, 51).

ნეტარი ავგუსტინე აზუსტებს: „სულიერი პური ღმერთის მცნებებია“ (6, 444).

წმ. მაქსიმე აღმსარებელი „სიკვდილის მძლეველ ძალად“ სახავს საღვთო სიბრძნის პურს: მთავარია, „ცხოვრებისა და სიბრძნის პური, რომელმაც უნდა დაამარცხოს სიკვდილი“ (6, 448).

„ღვთისმიერად მცხოვრები და ღმრთით, როგორც არსობის პურით გამოზრდილი, საღმრთო მოთმინებით აღიგვება“ (6, 473).

„პური არსობისა“ აღნიშნავს მომავლის ანუ საუგუნო ცხოვრების პურს, ანუ იმ პურს, რომელსაც ჩვენი არსების შესანარჩუნებლად მივიღებთ“ (იოანე დამასკელი) (4, 310).

წმინდა გრიგოლ ნოსელი „მოსეს ცხოვრებაში“ საუბრობს „სათნოების სარბიელზე საღვთო სრბოლის შესახებ“ (7, 98, I), ასევე მათ შესახებ, ვინც „უწინამძღვრო გონების გამო ცხოვრების ზღვაში დაიკარგა და სარწმუნოების ძალით კვლავ შეძლებს „საღვთო ნების ნავსაღბურისკენ“ გზის გაკვლევას“ (7, 99).

წმ. მამა გვმოძღვრავს: „ღმრთევება სწორედ იქ იმყოფება, სადაც ვერ წვდება შემეცნება... ღმერთი აღემატება ყოველგვარ

შემმეცნებელ აზროვნებასა და სახეს; ცნობადთაგან არაფერი ემსგავსება მას. ღმრთების განჭვრეტის ჟამს უნდა უარვყოთ ყველაფერი, რაც საწვდომია გონების მიერ, რადგან შეცნობადი აზრისმიერი ყოვლად ზეაღმატებულ ბუნებას ვერ ემსგავსება“ (ცხოვრება მოსესი, ანუ სათხოებისეული სრულქმნილების შესახებ) (7, 110-111).

ღვთისაგან განდობილის მაგალითია ებრაელი ხალხის წინამდოლი მოსე: „საღვთო იღუმალგანდობამ განაბრძნო წყვდიადით გარემოცული მოსე. საიდუმლო სწავლათა შეძენით საკუთარ თავს წარემატა იგი“ (7, 113).

40 ღღე-ღამე, როცა ღმერთს ემეტყველებოდა, მისი სხეული აღარ ითხოვდა საზრდოს“ (7, 114).

საგულისხმოა ბალამის მაგალითი: „მაგიაში გაწაფული ბალამი... საღვთო მობერვამ განადგოო, ამიტომაც მისმა ბაგეზ ჭეშმარიტად იწინასწარმეტყველა სამომავლოდ აღსრულებადი, ...შეიგრძნო საღვთო ძალა... და საღვთო განზრახვის ქადაგად იქცა“ (7, 118).

მხოლოდ ეკლესიაა ადამიანის ჭეშმარიტი წინამდვარი სულის განწმენდის გზაზე:

„ეკლესია – მასში შემსვლელთ აღმოიყვანებს ამქვეყნიურ საქმეთა მორევიდან, სიმშვიდითა და ღვთის სიტყვით დააპურებს მათ და დაიცავს ყოველგვარი განსაცდელისგან“ (წმ. იოანე ოქროპირი, ქადაგება ეკლესიაში სიარულის შესახებ) (7, 124).

„როგორც დაუმუშავებელი მიწა უხევდება და ბუქნარით იფარება, ასევე საღმრთო სწავლებას მოკლებულ სულშიც აღმოცენდება ეკლები და მანკიერი სურვილები“ (7, 125).

„ოუკი ჩვენ, ვინც ყოველდღიურად ვუსმეგნო წინასწარმეტყველებს და მოციქულებს, ძლივს ვახერხებთ შურის, გესლის ამოგლეჯას გულიდან და საღმრთო წერილიდან განუწყვებლივ ვუგადობთ ჩვენს ვნებებს, მძვინვარე მხეცებს, რათა როგორმე დავაცხროთ ისინი, მაშინ განა შესაძლებელია ხსნის რაიმე იმედი ჰქონდეთ მათ, ვინც არასოდეს უსმენს ღვთაებრივ სიბრძნეს და ამგვარი მკურნალობით არ სარგებლობს? ...როგორც მტვერითა და ჭუჭყით იფარება კაცის სხეული, თუ იგი აბანოთი არ სარგებლობს, ასევე საშინევლი

ცოდვის სიბინძურებში ეხვევა სულიც, თუკი უგულებელყოფს სულიერ სწავლებას.

სულიერი განბანა ხდება ეპლესიაში, სადაც სულიწმიდის სითბოთი არა მარტო განიწმინდება, არამედ ფერსაც იცვლის იგი“ (წმ. იოანე ოქროპირი) (7, 126).

წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი გვაწავლის: „...სულიერი ღვინო, ზეციური ღვინით საზრდოობა განწმენდს მისი სულიერი წყლულების სიბილწეს და მას სრულ სიჯანსაღეს მიანიჭებს“ („სინაზულისა და ლოცვის შესახებ“).

წმინდა ეპისკოპოსი ეგნატე განმარტავს: „მართლ-მადიდებლობა სულიწმიდის სწავლებაა, ღვთითმონიჭებული ადამიანთა საცხოვნებლად“ (წმ. ეპისკოპოსი ეგნატე) (7, 252).

ღვთისმეტყველი გვირჩევს: „შენი უძლურების გამო ნუ დაიწყებ დოგმატების განსჯას: ეს ღრმა უფსერულია, სახიფათო ზღვაა. მასში მრავალი გამოუცდელი და თვითდაჯერებული მოცურავე დაიღუა. ღვთისმეტყველების ამ საოცარ ტალღებზე უშიშრად და უხვი სულიერი სარგებლის მოპოვების იმედით შეუძლიათ იცურაონ მხოლოდ მათ, ვისი მასაზრდოებელი გონებაც სულიწმიდის მფარველობაშია. ნუ შეეკამათები ცრუ გონებიდან დაბადებულ ეჭვებსა და წინააღმდეგ აზრებს, ნურც მის განსჯას შეუდგები. რწმენის მახვილით მოკეთე თავი ამ გველებს, როგორც კი თავისი ხვრელიდან გამოსრიალდებიან! ეს იქნება სწორი და ჭეშმარიტი ქმედება. ასეთი ქმედება შეჰვერის მას, ვინც ერთხელ და სამუდამოდ შეუდგა ქრისტეს“ (წმინდა ეპისკოპოსი ეგნატე, წერილები ერის კაცთა მიმართ) (7, 263).

...ქრისტეს სწავლება ზებუნებრივია, რადგან ღვთაებრივია. ის ადამიანის გონებისთვის მხოლოდ და მხოლოდ რწმენის საშუალებითაა მისაწვდომი. უგუნური წამოწყებაა ზებუნებრივის ახსნა ადამიანური აზროვნებით (7, 263).

„ადამიანები თვალს სიბინძურისგან იცავენ, სულის თვალს – გონებას კი სულ არ უფრთხილდებიან და ყოველგვარი ნაგავით ავსებენ.“

„უფალმა უპირველესად გონების დაცვა გვიბრძანა, რადგან იგია კაცის წინამდოლი, თუკი გონება ჭეშმარიტი გზიდან გადაუხვევს, ადამიანის მოელი ცხოვრება შეცდომად გადაიქცევა.“

„ოდეს თუალი შენი გასამარტებულ იყოს, – ბრძანებს მაცხოვარი, – ყოველი გუამი შენი ნათელ იყოს: და უპუთუ თუალი შენი ბოროტ იყოს, ყოველი გუამი შენი ბნელ იყოს. იხილე ნუ უკუკ ნათელი იგი შენ შორის ბნელ იყოს“ (ლუკა 11, 34) (იქვე).

„მადალი დგაწლია – მეხსიერებით მუდმივად დმერთოან დადგრომა! მაგრამ ეს სიმაღლე ძალზე სახიფათოა, რადგან მისკენ მიმავალი კიბე სიმდაბლის მტკიცე ქვაზე არაა დაფუძნებული“ (წმიდა ეპისკოპოსი ეგნატე, წერილები ერის კაცოა მიმართ) (7, 268).

წმინდა მამები გვასწავლიან „გულის და გონების გამართვას და შემდეგ „გულის გამოსწორებას“, რაც გაცილებით ძნელია, ვიდრე გონებისა. ამ ბრძოლის სიმაფრეს მამები ასეთი სიტყვებით გამოხატავენ: „მიეცი სისხლი და მიიღე სული“. ეს ნიშნავს სისხლისა და ხორცის კველა ცოდვისმიერი სურვილი უნდა ჩაგდლათ, უნდა მოვაკვდინოთ ყოველი მათმიერი მოძრაობა გულისა და გონებისა, ხორციც, გონებაც და გულიც სულის გამგებლობაში შევიყვანოთ“ (7, 269-270).

„...წმიდა მამები სულიწმიდის ჩაგონებით წერდნენ, მათ ამსოფლიური სიბრძნე უარყვეს სულიწმიდის სიბრძნის მოსაპოვებლად. ამაოდ მათი მცდელობა, ვინც მოციქულის სწავლების, ეკლესიის სწავლების საწინააღმდეგოდ ამქვეყნიური სიბრძნით ცდილობს სულიწმიდის სიბრძნის მოპოვებას და „შეიძყრნის ბრძენნი სივერაგითა მათითა“ (I კორ., 3, 19).

„სულიერთა სულიერად შევატყუებთ“, ამბობს წმიდა პავლე მოციქული, „ხოლო მშენებიერი კაცი არა შეიწყნარებს სულსა დმრთისასა, რამეთუ სიცოფე უჩნნ მას და ვერ შემძლებელ არნ ცნობად, რამეთუ სულიერად განიკითხვინ“ (I კორ., 2, 13, 14).

ეს სიტყვები ახალ თარგმანში ასე იკითხება: „რადგან სულიერზე სულიერად უნდა ვიმსჯელოთ“ (7, 271).

ჰეშმარიტი მოძღვარი, სიბრძნის მომნიჭებელი მხოლოდ ღმერთია გულისხმიერთათვის: „გონიერ ქმნილებებს ღმერთი მოძღვრავს, ხოლო ამ ქმნილებათა ვალია ამ მოძღვრების ყურადღება. და ყოველი ყურადღებელი უმჭველად შეიტყობს

ჰეშმარიტებას, რადგან თავად ღმერთია ჰეშმარიტება“ (წმ. თეოფანე დაყუდებული) (7, 280).

მდგდელ-მონაზონი სერაფიმ როუზი წერს: „მართლმადიდებლობა მცირე კუნძულადღა შემორჩა სრულიად განსხვავებული პრინციპებით მცხოვრებ მსოფლიოში“ (სამეუჯო გზა) (7, 333).

„მსოფლიოში მრავლის უმრავლესი ადამიანი ცხოვრობს სინამდვილის პირისპირ ჭვრეტისა და მასთან შეგუების, ან საკუთარ შინაგან პრობლემებში ჩადრმავების უნარდაკარგული“ (7, 335).

არსებობს „ორი მცდარი დამოკიდებულება სულიერი ცხოვრებისადმი

I. ეამისამებრ სვლა, შეგუება ყველაფერ თანადროულთან. ეს სულის სიკვდილია“ (7, 338).

II. უკიდურესობა, ცრუ სულიერება.

ორივე უკიდურესობას უნდა ვერიდოთ: გამიწიერებასაც და გადაჭარბებულ სულიერებასაც (7, 340).

გამოსავალი იმაშია, რომ „საწუთოოს ზემოქმედებას ქრისტიანული აღზრდის კეთილგონიერი პრინციპები დაგუაშინისპიროთ“ (7, 341).

საუკეთესო საერო კულტურა, მართებულად შეთვისებული, განწმენდს და აღაშენებს სულს, ხოლო აწინდევლი პოპულარული კულტურა სწყლავს, ამასინჯებს და მართლმადიდებელ მოწოდებაზე ჯეროვან პასუხს უშლის სულებს.

„ქეყენად უოგელივე უმჯობესი ღმერთსა და მართლმადიდებლობაზე მიანიშნებს და ჩვენ კი ამით სარგებლობა გვმართებს (7, 345).

ნებარი ავგუსტინე ბრძანებს: „ვისაც თავისი უგნურება შეცყვარებია, ის ვერ ამაღლდება ჰეშმარიტ სიბრძნემდე“ (ჰეშმარიტი სარწმუნების შესახებ) (4, 39).

წმიდა მამა მოგვიწოდებს: „მოვიძიოთ საღმრთო წერილი – აი, ჰეშმარიტად თავისუფალი და კეთილშობილი სკოლა, რომელშიც ჩვენ ჯანსად და ჯეროვად აღზრდა-განათლებას მივიღებთ“ (მასზედ, რომ საღვთო წერილის კვლევა-ძიება ცნობისწადილის განკურნვას ემსახურება) (4, 446).

ნეტარი ავგუსტინე სიახლის მაძიებელთა სწავლას განასხვავებს შემეცნებისაგან და ამბობს, რომ „ყოველგვარი სწავლის საბოლოო მიზანი ...შემეცნებაა“ (4, 47-48).

„ყველა იმ ადამიანის ხვედრი, ვინც ცუდად მოიხმარს გონების ძალას, ამ დიდ სიკეთეს, რაკი ჰეშმარიტების სანაცვლოდ ხილულს ეძიებს... ასეთი ადამიანის ხვედრი უკუნი წყვდიადი იქნება, საუკუნოდ რომ მოიცავს მათ, რამეთუ დასაბამი ამ წყვიადისა არის ხორციელი სიბრძნისმეტყველება და უძლურება სხეულებრივი გრძნობებისა“ (4, 49-50).

„...ვინც ჯეროვნად მოიხმარს ხუთ გრძნობას სხეულისა, რათა საღმრთო საქმენი თვითონაც სწამდეს და სხვათაც აუწყოს მათ შესახებ და ასე საზრდოობს ლმერთის სახიერებით, ანდა ვინც ჯეროვნად იყენებს თავისი ქმედების უნარს და ცოდნას, რათა მშვიდობა შესძინოს თავის ბუნებას და ამგვარად შეიმეცნოს ლმერთი, – ასეთი ადამიანი შევალს სიხარულად უფლისა თვისისა“ (4, 51).

არა ხილულის, წარმაგალის, არამედ ლვთის მიება განაბრძნობს ადამიანს:

„...საუკუნოის შემეცნებისათვის საქმარისი სიმახვილე გონებისა ჯერ არ შეუძენია იმ ადამიანს, ვისაც მხოლოდ ხილულისა სწამს, ანუ წარმავალი საგნებისა. მაგრამ ასეთი სიმახვილე გონებისა იმას აქვს მომადლებული, ვინც ერთ ლმერთს განადიდებს – დამბადებელს და მომწესრიგებელს ყოველივე გრძნობებისა – ანუ იმ ადამიანს, ვინც რწმენით ერთგულია ლმერთისა და სიყვარულით ეძიებს მას“ (4, 52).

„...მთელის ძალისხმევით, როგორც კი შეგვიძლია იმას ვესწრაფვოთ, რასაც ლმერთი შეგვაგონებს თავისი სიბრძნის მიერ“ (4, 52).

“აი, სწორედ ამ ერთ ლმერთს, ამ ერთიან დასაბამს ყოველივე არსებულისა, სიბრძნეს, რომლის მიერაც სიბრძნით არის აღავსილი ყოველი გონიერი სულიც, როგორი ბრძენიც არ უნდა იყოს იგი, ამ ნიჭს, რომლითაც ნეტარია ყოველივე, რაც კი არის ნეტარი, აი, სწორედ ამ ერთ ჰეშმარიტ ლმერთს ვცემ მე თაყვანს“, გვიზიარებს თავის გამოცდილებას ნეტარი ავგუსტინე (7, 57).

ნეტარი მამა მოგვიწოდებს: „თაყვანს ვცემდეთ ერთიან ლმერთს, რომლის მიერაც შექმნილი – ჩვენ ვცხოვრობთ,

ხოლო რომლის მიერაც განათლებულნი – ჩვენ სიბრძნით გვეციებთ და რომლის სიყარულითა და ტპბობითაც – ჩვენ ნეტარნი ვართ“ (4, 36).

წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველის „ამაღლებულ სიბრძნისმეტყველბაში“ ყურადღებას იქცევს საუბარი ზეციურ სამშობლოზე, ზეციურ იერუსალიმზე, რომლის თანაზიარი მაშინ ხდება ადამიანი, როცა იგი ინარჩუნებს ღმრთის ხატს, ღვთის სულს... (4, 75).

დიდი ღვთისმეტყველი ურწმუნოთა სრა-სასახლეს, ოქრო-ვერცხლს უპირისპირებს „განწმენდილ მოძღვრებას“, „საღვთო სიტყვას“ და „უმართლოთა სწავლებას“, „სიცრუეს“ არ ეთანხმება, რადგან შეიმეცნა „სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა“ (4, 78-80).

წმ. ნილოს სინელი გვთავაზობს ეშმაკთან ბრძოლის იარაღს:

„ფსალმუნთგალობას ნუ დაცხერებიან ბაგენი შენნი: რამეთუ ღვთის სახელის ხმობა განასხავს დემონთ“ (...1064).

„გამუდმებით გახსოვდეს ღმერთი და გონება ზეცად შეგექმნება“ (4, 106).

„...ღვთის სახლი გიყვარდეს, ხოლო თავი შენიც ჰქმენ სახლად ღმრთისად“ (4, 107). „...ყოველდღე ეზიარე საიდუმლო სერობას“ (4, 111).

„...ვერგინ შეიქნება ღირს ზეციურ და ჰეშმარიტ მეუფისგან სული წმიდის ზეციურ მაღლის მიღებისა, თუ უწინაოეს არ გაიწვრონა წმიდა მცნებათა სწავლებით. და ამდენად ვერც თვით მაღლის ზეციურ საჭურველს მიიღებს და ვერც გავა ბოროტ სულებთან ბრძოლაში“ (4, 112).

„რამდენადაც წარმატება კაცი სულიერ დგაწლში, იმდენად აღვა სულის საიდუმლოთა სიმაღლეზე და სიბრძნის საიდუმლოებათა საგანძურში.

რაოდენ კაცი აღივსება მაღლით, იმოდენაც წარემატება იგი ბოროტის ზრახვათა შეცნობაში უფლის შემწეობით“ (4, 112).

იესო ქრისტესთვის წმიდა წერილში ნათქვამია, რომ იგი „წარემატებოდა სიბრძნითა და პასაკითა და მაღლითა წინაშე ღმრთისა და კაცთა“ (ლუკა, II, 52) (წმ. იოანე დამასკელი) (4, 243).

საღვთო სიყვარულის პიმნების შექმნა, სიბრძნის მწვერვალების დალაშქრა მხოლოდ წმინდათა, სულიწმიდის მაღლით ცხებულთა ხვედრია:

„საღმრთო სიყვარულის პიმნებს ჩასწვდებიან ნათელი გონებისა და დრმა სულიერების მქონე პიროვნებები, სულიწმიდის მოძერვით ამ მწვერვალების გონებით დამლაშქრელნი, რომლებიც საოცრად სადად აზროვნებენ და ზეცად ატყორცნილნი დვთაებრივის წიაღში განიშვებენ“

„სულიწმიდის სიღრმებში წვდომის უნარი მხოლოდ მათ ხელეწიფებათ, რომლებიც გაცისკროგნდებიან უმწვერვალესი განუხერწნელი დვთაებრივი ნათელის შუქით და სულის მიერ მოუხვეჭავთ სრულიად აღურევნელი გონება.

...წმიდა სვიმეონმა... მოციქულებრივი მაღლი მიიღო, სულიწმიდის დვთაებრივი ცეცხლით აღინთო (... 460): სიბრძნის მწვერვალებს შესწვდა, ვითარცა ჭეშმარიტად ბრძენი, საღმრთო კანონებისა და დოგმატების ზედმიწევნით მცოდნე დვთისმეტყველი. დრმა რწმენით გადმოვიდა კიდეც მასზედ სული სიბრძნისა.

...მას ჭეშმარიტად ასულდგმულებდა საღმრთო ნათელი, ლამპარივით უნათებდა გონებას და სავსებით ნათლად გამოოქვამდა და წერდა იმას, რასაც ნათელმხილველის მზერა ხედავდა, იგი უგალობდა დვთაებრივს, ბუნებას ზეშთაბუნებრივს“ (წმ. ნიკიტა სტიფატე, წმ. სვიმეონ დვთისმეტყველის საღმრთო სიყვარულის პიმნებისათვის) (4, 406-413).

„ადამიანის უკვდავი და მოაზროვნე სული ანგელოზურ ცხოვრებას ვერ შეძლებს, თუ დვთაებრივი ძალის შეწვნით არ განიწმინდა საბოლოოდ“ (4, 413).

წმ. ეპისკოპოსი ეგნატე აღიარებს: „ჩვენ... ყველანი ცდუნებულნი ვართ და ჭეშმარიტებამ უნდა გაგვანათლოს, ხოლო ჭეშმარიტება არის უფალი ჩვენი იესო ქრისტე“ (იოანე, 8, 32) (4, 501).

„...ვიღვაწოთ სჯულიერად, როგორც გვასწავლის დვთის სიტყვა, ყოველივე ვიტვირთოთ ჭეშმარიტებისათვის, განუშორებლად მისგან“ (მთავარეპისკოპოსი ამბერკი, რა არის მართლმადიდებლობა) (4, 452).

წმიდა ბასილ დიდი წერს: „უკეთუ ხედავ ზეცას და წესრიგს მისას, ეს უნდა იყოს შენვის მეგზური რწმენისა, რადგანაც თვის შემოქმდზე მიუთითებს. უკეთუ წესრიგს დედამიწაზეც დაინახავ, მისი წყალობითაც გაგეზრდება რწმენა ღმერთისა, რადგანაც ჩვენ არა ხორციელი თვალით, შემუცნების შედეგად ვირწმუნეთ ღმერთი, არამედ ძალით გონებისა – ხილულის მეშვეობით განჭრიტეთ უხილავი... ხშირად უმცირეს საგნებშიც კი ჩანს სიბრძნე დამბადებლისა... იმაში, რაც არსებობს, არაფერია ქაოსური, განურჩეველი, ამაო და შემთხვევითი“ (8, 107).

წმინდა სულის, ჰეშმარიტების მაძიებელი გონების მქონეთ ღმერთი იცავს თავისი ანგელოზების მეშვეობით. „ოუკი ხელთა გაქვს საქმენი, ღირსი იმისა, რომ ანგელოზმა დაგიცვას და შენში ჰეშმარიტების ჰკრებათა შედეგად გამდიდრებული გონება მკვიდრობს, მაშინ საონების საქმეთა სიმდიდრის შესაბამისად უფალი აუცილებლად მოგიჩენს მცელებსა და დარაჯებს და ანგელოზთა დაცვით ზღუდეს შემოგავლებს“ (8, 127).

„ბრძნისა თვალი თავსა მისსა“ (ეკლესიასტე, 2, 14) ანუ შინაგანი კაცი ბრძენისა შორსმჭვრეტელია და წინდახედული.

„მცნებაი უფლისაი ბრწყინვალე არს, განმანათლებელი თუალთა“ (ფს. 18,8).

მორწმუნენი „ფალავანი მწიგნობრის“ – სულიწმიდის მადლით აღწევენ გაბრძნობას:

„ენაი ჩემი საწერელ მწიგნობრისა ფალავანისა. როგორც ლერწამია იარაღი, როცა მას გამოცდილი ხელი დასაწერის მოსახაზად ამოძრავებს, ასევე ენა მართლისა, ამოწებილი არა მელანში, არამედ სულში ცხოველი ღმერთისა, რაჟამს მას სულიწმინდა ამოძრავებს, მორწმუნეთა გულებზე საუკუნო სიცოცხლის სიტყვებს გამოსახავს. ამრიგად, მწიგნობარია სულიწმინდა, რადგანაც ბრძენია და ყველას განმსწავლელი და სწრაფი მწიგნობარი.სული აზრებს ხომ ჩვენში არა ფიცართა შინა ქვისათა, არამედ ფიცართა შინა გულისათა ხორციელებისასა წერს (II კარ., 3,3). სული გულებში ხან ბევრსა წერს და ხან კიდევ ცოტას, შესაბამისად გულის სივრცესა და ხან მკაფიოდ და ხან გაურკვევლად, იმისდა მიხედვით, როგორ განვწმინდეთ იგი წინასწარ“ (8, 140).

„ბრძენთა სიტყვები წვერწამახული სოლებია“ (ეკლესიასტე, 12,11).

დვთაებრივ საიდუმლოებათა ჭვრეტაში შემწე სულიწმინდა:

„ყველას როდი აქვს განჭვრეტის დვთაებრივი საიდუმლონი, არამედ მხოლოდ მას, ვისაც შეუძლია ისეთ მწყობრორგანოდ იქცეს, რომ სულიწმინდის ზემოქმედებით ნაცვლად ფსალტირისა სული მისი ამოძრავდეს“ (8, 158).

„წარვწყმიდო სიბრძნე ბრძენთა და გულისხმების – ყოფა გულისმიერთა დავფარო“ (ესაია, 29, 14), ბრძანებს წინასწარმეტყველი.

ჭეშმარიტი შეცნობა მამა ღმერთის, მე ღმერთის და სულიწმინდის აღიარებით იწყება:

„უმეცარი ეწოდება იმას, ვისაც არა აქვს შეცნობა... მამა ღმერთისა, აღიარება სიტყვისა, რომელიც დასაბამიდან ღმერთთან იყო და განათლება, რომელსაც სულიწმინდა იძლევა. ასეთი გონება კი მხოლოდ იმათ აქვთ, რომელთაც შეუძლიათ პავლესთან ერთად თქვან: „ხოლო ჩვენ გონებაი ქრისტესი გვაქუს“ (1 კარ. 2,16) (...176).

„წმიდა წერილში უგუნური უღმერთოს ეწოდება: თქვა უგუნურმან გულსა შინა თვესა: არა არს ღმერთი“ (ფს. 113, 1).

ცოდვილი სული მკვდარია.

ადამიანის ცხოვრება მრავალი სიკვდილითაა აღსავსე... სულით, ცოდვებით, დაცემის გამო. ხოლო იქ, სადაც არც სხეულებრივი ცოდვაა და არც სულიერი (რადგან არც გონება ცდება და არც განწყობილება იცვლება და უშფოთველობას აზრების ვერავითარი მდგომარეობა ვერ არღვევს) იქად ქვეყანა ჭეშმარიტად ცოცხალთა.

მოვისმინოთ ჭეშმარიტების სიტყვანი, რომელიც არა რწმუნებითა კაცობრივისა სიბრძნისა სიტყუათაითა, არამედ სწავლითა სულისაითა არიან თქმულნი (I კარი, 2, 4-13) და მიზნად არა მსმენელთაგან შექება, არამედ იმათი გადარჩენა აქვთ, ვინც მათ შეისწავლის“ (206).

როცა იქმნება ამსოფლიური სიბრძნის გარდამეტება, უეჭველია, მათ მძიმე სასჯელს მოუტანს, რადგან ამაოებათა ასე მახვილად მჭვრეტელნი ჭეშმარიტის გულისხმისყოფისთვის ნებით დაბრმავდნენ (8, 208).

ჩვენი სულების მომავალი არსებობაც მათი მდგომარეობის შესაფერისი უნდა იყოს“ (8, 209).

დასაბამი სიბრძნისა – შიში უფლისა (იგავ. 1,7), რადგანაც ღმრთისმოშიშება სრულყოფილების საყრდენი და საფუძველია“ (8, 210).

გონებას შენსას საზღვარი დაუდევი... (8, 214), მოგვიწოდებს წმ. მამა.

მამამ ჭეშმარიტი ნათლისა, დაე, გულები თქვენი ჭეშმარიტი შეცნობით გაანათოს“ (8, 229).

ღმერთმა... თითქოს სანგარით შემოგვზღუდა, როცა ეკლესიაში პირველად მოციქული, მეორედ წინასწარმეტყველი და მესამედ მოძღვარი (I კარ, 12, 28) დაადგინა.

„სანგარი ამსოფლიურ საზრუხავთა განდევნით გვევლება, რომელიც ჩვენს გულს ამხობება... ვინც ხორციელ სიყვარულს განაგდებს, სიმდიდრის წადილს... სასაცილოდ მიიჩნევს, ვითარცა სანგარშემოვლებული, შვებით ამოისუნთქავს, მოიხსნის რა ფუჭ ტვირთს მიწიერი სიბრძნისა“ (8, 261).

თუკი დდის მანძილზე მდგიძარე გონებით საკვირვებანი დღისა შეგისწავლია და ხილულთა მეშვეობით უხილავი განგიჭვრებია, მოსულხარ განმზადებული მსმენელი და დირსი იმისა, რომ ეს პატიოსანი და ნეტარი სანახაობა შენითაც შეავსო (266)... აქ შეიცნობ შენს თავს, ვითარცა მიწიერი ბუნების მქონეს, მაგრამ ქმნილებას ღმრთებრივი ხელის, რომელსაც გონების აღმატებულობით თვით ზეცამდე ამაღლება შეუძლია. თუ ამას შევიცნობთ, საკუთარ თავსაც შევიცნობთ და ღმერთსაც თავანს ვცემთ დამბადებელს, დავემონებით უფალს, განვადიდებთ მამას, არ დავცხრებით თაყვანისცემად ჩვენი აქაური და მომავალი ცხოვრების წინამძღვრლისა (8, 267).

„თავი შენი ზეცისკენ არის აღმართული და შენი თვალებიც ზევით იყურებიან... გმართებს ზრუნვა, რათა ზეცისასა ეძიებდე, სადაცა იგი ქრისტე არს (კოლას. 3,1) და მიწისგან შობილზე გონებით ამაღლება მოგეთხოვება. როგორი ხატიც მოგენიჭება, ცხოვრებაც იმგვარად წარმართე. იყავნ მოქალაქობაი შენი ცათა შინა“ (ფილ, 3,20), რადგან ჭეშმარიტი მამული შენი იერუსალიმია, ხოლო მოქალაქენი და თანამემამულენი – პირმშონი იგი, აღწერილნი ცათა შინა“ (ებრ., 12, 22-23).

თუკი მომავლის გრძნობა რამდენადმე პირუტყვებსაც აქვთ, ჩვენც არა მხოლოდ ამ ცხოვრებას უნდა მივეჯაჭვოთ, არამედ მომავალი საუკუნო ცხოვრებითვისაც ყოველმხრივ უნდა ვიღწვოთ (8, 311).

„ყოველგვარი ბოროტება უძლურებად სულისა, ხოლო სათხოება – სიჯანსადე (8, 311).

ყოველი შემოქმედის სიბრძნის კვალს ატარებს (8, 313).

წინასწარმეტყველი ამბობს: საკვირველ იქმნა ცნობაი შენი ჩემგან (ფს. 138,6), ე.ი. თავი ჩემი შევისწავლე და ამ გზით შევიცანი გარდამეტებულობა შენი, სიბრძნისაო (8,316).

წმ. ოთანე დამასკელის მიხედვით: ღმერთს „როგორც ყოველი აზრისა და სიბრძნის, აგრეთვე მოაზროვნისა და ბრძნის მიზეზს, ეწოდება აზრი და მოაზროვნე, სიბრძნე და ბრძნენი; მხგავსადვე ითქმის მასზე გონება და გონისმიერი“ (9, 338).

„ღმერთი ითქმის გონებად, აზრად, სულად, ძალად... არის მამა... უფსერული არსებისა, აზრისა, სიბრძნისა, ძალისა, ის არის გონება, აზრის უფსერული, სიტყვის მშობელი და სიტყვის მიერ გამომგლინებელი გამოცხადებითი სულისა (9, 338).

სულიწმინდა... მამის ძალაა, მამისგან ძის მიერ გამომავალი, თუმცა არა შობითად. სულიწმინდაც ყოველთა შესაქმის სრულმოქმედია.

მამა არის ძისა და წმიდა სულის წყარო და მიზეზი (9, 338).

„ღვთაებამ „წინასწარცოდნით წინაგანსაზღვრა ყოველივე ის, რაც ჩვენზე არ არის დამოკიდებული – თითოეული თავისი შესაფერი უამისა და ადგილის მიხედვით“ (9, 340).

ყოველივე შექმნილია ღვთისაგან, მაგრამ არა ადგილით, არამედ ბუნებით. ჩვენთან დაკავშირებით გონიერება, სიბრძნე და განზრახვა, როგორც ნათვისობა, მომსვლელია და წამსვლელი, მაგრამ ღმერთი არის გარდუქმნელი და უცვლელი (9, 340).

ქ არის მამის განზრახვა, სიბრძნე და ძალა (9, 340).

ხატი მამისა არის ქ და ძისა – სული, რომლის მიერ ადამიანში მკვიდრდება ქრისტე და აძლევს მას (ადამიანს) ხატისებრობას.

სულიწმინდა – ითქმის დვოის სულად, ქრისტეს სულად, ქრისტეს გონებად, უფლის სულად, თვით უფლად, სულად ჭეშმარიტებისა და სიბრძნისა, რადგან ისიც ყოველივე ამის შემოქმედია“ (9, 341).

სული მოიაზრება მრავალგვარად: სულიწმინდა, სულებად ითქმის აგრეთვე სულიწმინდის ძალები, სული არის კეთილი ანგელოზიც. სულია ეშმაკიც. სულია სამშვინგელიც. ზოგჯერ სულად ითქმის გონებაც. სულია ქარიც, სულია ჰაერიც (9, 341).

„თვით არის ყოველივეს კეთილის წილმბოძებელი საკუთარი ქმნილებებისადმი (9, 342).

ჰვერტს ყოველივეს თავისი საღვთო ყოვლის ზედამხედველი და უხილო მზერით – აწყოსაც, წარსულსაც და მომავალსაც – მათ დადგომადე; ყოველივე, რაც ნებავს, ძალუმს, ძალუმს არათუ ყოველივე, რაც ძალუმს, ნებავს, რადგან ძალუმს ქვეყნიერების მოსპობა, მაგრამ არ ნებავს (9, 342).

ანგელოზები არიან მეორადი გონისმიერი სინათლეები, რომლებსაც პირველადი და დაუსაბამო სინათლისაგან აქვთ განმანათლებლობა. არ საჭიროებენ ისინი ენას და ყურს, არამედ წარმოთქმითი სიტყვის გარეშე უნაწილებენ ურთიერთ საკუთარ აზრებს და განზრახვას (9, 344).

ანგელოზები, როგორც გონებანი, სადაც ებრძანებით, იქ მოქმედებენ გონივრულად (9, 344).

ზეაღმატებულები ქვემდგომთათვის განმანათლებლობისა და ცოდნის წილ-მბოძებლები არიან (9, 345).

„ემსახურებიან საღვთო ნებას და საღვთო საიდუმლოებებს უცხადებენ ადამიანებს (9, 345).

„სიქეო გონისეული სინათლეა. ბოროტება გონისეული სიბნელეა (9, 346).

სამოთხის ცოდნის ხე იყო ადამიანის მორჩილებისა და ურჩობის გამოსაცდელი, შესამოწმებელი და საწვრთნელი რამ. კეთილისა და ბოროტის ცოდნის ხე – ესაა მრავალსახოვანი მჟღვეტელობითი შემმეცნებლობა (9, 359).

ბუნებაც ამგვარია: საღვთო და ადამიანური (9, 387).

ცნობილია ქრისტეს ორბუნებოვნება....

ღმერთშია „სიბრძნისა და ცოდნის ყველა დაფარული საუნჯე“ (პავლე მოციქული, კოლასელთა 2,3).

ქრისტე „წარემატებოდა სიბრძნით, ასაკითა და მადლით“ (ლუკა 2,52).

„ვინც ამაღლებული აზრით იკვლევს ქმნილებათა კანონებს, ვისაც შეუძლია... რამდენადმე ჩასწვდეს დმერთის განგების (გონებითს) სიკეთეს, სწორედ მასში მკვიდრდება ხმაი უფლისა, ვინც ...არად აგდებს ყოველივეს, რაც ხორციელია და აღიარებს, რომ მათ არავითარი დირებულება არა აქვთ უხილავთან შედარებით“ (9, 85).

„წმიდა მამა მოგვიწოდებს:

„დე, ჩვენ სიკეთით ვიღვაწიოთ და ხორციელი სიბრძნე, რომელიც მტერია დმრთისა, დავამხოთ, რათა სულის მშვიდი და უშვიოთველი მდგომარეობის გამო მშვიდობის ძენი გვეწოდოს“ (9, 92).

მიზანი უნდა იყოს: „გონების ჭვრეტამდე ამაღლება“...

იოანე დამასკელი ასკვნის: „ვინც სჯულს ხორციელად კი არ აღიქვამს, არამედ მის სულიერ შინაარსს შეიმუცნებს, ის ახალ გალობას იგალობებს“ (9, 106).

გზა სამეუფო – ეს გამოთქმა უძველესი დროიდანვე დამკიდრდა ჭეშმარიტი ეპლესიური სწავლების აღმნიშვნელად.

სამეუფო გზაზე სვლა, ეპლესიური სწავლება უარყოფს ...დაპირისპირებას ცოდნასა და რწმენას შორის. მარტოდენ ცოდნა, რწმენის გარეშე, ამპარტავნულია და უნაყოფო მაშინ, როცა, მეორე მხრივ, ცოდნისაგან დაცლილი რწმენით ოვით-მიზნური თავმოწონება ხშირად ქცეულა ფანატიკური სიბრმავის სათავედ, ხოლო „ფანატიზმი“ (ლათინური სიტყვა) ბერძენ მამათა მიერ ავადმყოფურ სიგიჟედ ანუ „ეპილეფსიად“ იწოდება (საპირისპიროდ „საღი გონებისა“ და „მრთელი ცნობიერებისა“).

თვით საღვთო წერილიც კი, თუკი მას ცოდნისმიერად, „მეცნიერებით“ არ ვჭვრეტ და მარტოდენ მატერიალურ ნაწერს, სიტყვათა ნივთიერ მნიშვნელობას ანუ მხოლოდ მის ტექსტობრივ ბუკვალობას ვაქცევთ რწმენის საგნად, ფანატიზმის, სიშლეგის წყაროდ იქცევა.

წმ. მაქსიმე აღმსარებელი გვასწავლის: „ფანატიკურია რჯული, მიწიერად გაგებული... და კიდევ საღი გონებისაა (ბერძნ. „სოფრონ“) რჯული სულიერად გაგებული“ (10,3).

წმ. მამა განმარტავს: „მიწიერია რჯული – მარტოოდენ ნაწერის მიხედვით გაგებული. სულიერი წვდომა კი, ეპლესიური სწავლებით, არის გონების მცოდნეობითად (ბერძნ. გნოსტიკოს) ამაღლება“ (წმ. მაქსიმე: „მეცნიერებით აღმყვანებელი გონებისა“, გელ. 14,7).

რწმენითად ნასაზრდოები ცოდნა „მრთელცნობიერების“ ანუ საღი გონების, საღი მჭვრეტელობის საფუძველია, განმაშორებელია ცოდნისმიერი ამპარტავნებისა და უმეცრებითი ფანატიზმისა.

ამიტომ მოგვიწოდებს წმ. მამა: „ევედრენით უკუ ჩუენცა გონიერსა დავითს („გონიერი დავითი“ სიმბოლურად არის მაცხოვარი იქსო ქრისტე), რაითა დასცეს ქნარსა სულიერისა ხედვისა და მეცნიერებისასა ნივთიერთა მიერ სულელქმნილსა ზედა გონებასა ჩუენსა და განხადოს ბოროტი სული“ (10,4).

ცოდნისა და რწმენის უკიდურესი გამიჯვნა, ერთი მხრივ, სრულიად უნაყოფო ამპარტავნობას იწვევს, მეორე მხრივ კი – თავდაჯერებულ, გაკერპებულ, ლიტონ რწმენას. პირველი უკიდურესობის სახე იყვნენ გნოსტიკოსები, რომლებიც თანდაქოლილ მცოდნეობას იჩემებდნენ და არაფრად რაცხდნენ ეპლესიურ მორწმუნებას, ხოლო მეორე უკიდურესობის შემზარავი გამოვლინება იყო ის, როცა ალექსანდრიის მორწმუნეთა ერთმა ჯგუფმა 415 წელს ასო-ასო დაგლიჯა ფილოსოფოსი ქალი ჰიპათია (იხ. სოკრატე სქოლასტიკოსი, საეპლესიო ისტორია, წიგნი VII, პგ. 67, 768-769).

ეპლესიური სწავლებით, ჰეშმარიტია რწმენა, რომელსაც ახასიათებს ზრდა და რომელიც ესწრაფვის ცოდნად ქცევას, ხოლო ჰეშმარიტია ცოდნა, რომელიც დაშენებულია ამგვარ რწმენაზე და სრულყოფს მას... ჰეშმარიტი ცოდნა არის არა რწმენისგან განსხავებული რამ, არამედ იმავე რწმენის მცოდნეობითი სახე, მისი ზრდის მწვერვალი, ანუ იგივე რწმენა, ოღონდ სრულყოფილი (10, 4-5).

„საუკეთესოა ის ძიება, რასაც თან ახლავს რწმენა და რაც რწმენის საძირკველზე აშენებს ჰეშმარიტების დიდმშვენიერ ცოდნას“ (კლიმენტი ალექსანდრიელი, სტრამატა, აგ, IX, 12).

ამგვარად, რწმენითია ცოდნა და მცოდნეობითია რწმენა“ (სტრამატა, II, 2).

ესაა ცოდნა, რომელზედაც წმ. გრიგოლ ნოსელი ამბობს: „ცოდნა სიყვარულია“ (10,15).

გზა სამეუფო უარყოფს შეუგალ დაპირისპირებას ფილოსოფიასა და თეოლოგიას შორის: ეკლესია არასოდეს უარყოფდა ანტიკურ ფილოსოფიურ სწავლებაში, ანტიკურ კულტურაში, გარეშე სწავლებაში ჰეშმარიტების მარცვალთა არსებობას. პირიქით, სპეციალურად ეძღვდნენ „არაქრისტიანთა წიაღიძან ყოველ სასიკეთო მარცვალს და მას უწოდებენ „რჩეულ ფილოსოფიას“ და „ელინთათვის ბოძებულ საღვთო ძღვენად“ რაცხდნენ მას (სტრამატა, 1, 20,1) (10,5).

გელათის აკადემია იყო სულიერი იერუსალიმი, მეორე იერუსალიმი, სულიერი ათენი, სულიერი რომი, ახალი რომი...

გზა სამეუფო გულისხმობს... სულისა და ხორცის ჰარმონიულ თანამყოფობას.

წმ. ბასილი დიდის, წმ. გრიგოლ ნოსელის მიხედვით, სათხოებანი იპოვება შეა მდგომარეობაში (მოსეს ცხოვრება, 417-420).

ნებარი კლიმენტი ალექსანდრიელი წერდა: „კარგია შეა მდგომარეობა ყველაფერში, რადგან უკიდურესობანი შემაცდენელია“ (კლიმენტი ალექსანდრიელი, პედაგოგი, II, 16,4).

უარსაყოფია როგორც ცოდნისმიერი ამპარტავნება, აგრეთვე რწმენისმიერი ფანატიზმი.

უცდომელ მოძღვრებას მართლმადიდებლობა ანუ ორთოდოქსია ეწოდა, ცდომილ სწავლებას „ერესი“ (ქართული თარგმანი „მწვალებლობა“) (10,7).

ეკლესიას არასოდეს უარყვფია მოცემულ სწავლებაში არსებული რაიმე კეთილი თესლი, ჰეშმარიტების გამონაშუქი. მართალია, არაეკლესიურ სწავლებებს ეკლესია კაცობრივი გონების ნაყოფად მიიჩნევს, მაგრამ თავად კაცობრივი გონება, დვთის სიტყვის, ძე ღმერთის ხატია“ (10,11).

ნებარი კლიმენტი ალექსანდრიელი წერდა: „ხატი დვთისა (იგულისხმება „მამა ღმერთისა“, ეჭ) არის საღვთო და სამეუფო სიტყვა... ხოლო ხატი ხატისა – კაცობრივი გონება“ (სტრ. 5, 94, 4-5).

„კაცობრივ გონებას ძალუქს ადმოაჩინოს, მოიპოვოს ჰეშმარიტების მარცვლები, რომლებიც არსობრივად ქრისტიანულია, მაგრამ გაბნეულია უკეთურებისა და ერესის

დვარძლში და ჭეშმარიტ ქრისტიანთა ვალდებულებაა მათი უდანაკარგოდ მოძიება.

ამით აიხსნება, რომ წმ. ოოანე დამასკელმა თავის სახელგანთქმულ შრომას სათაურით „მართლმადიდებლური სარწმუნოების უზუსტესი გამოცემა“ წინ წაუმდვარა. წარმართ ფილოსოფოსთა ურჩეულები განმარტებები და ანტიკურობაში არსებული ეს სიკეთე „დვოისგან მონიჭებულად“ წარმოაჩინა (10,11).

ეპლესის მოძღვარნი ხშირად მოუხმობდნენ და იმოწმებდნენ უმკაცრესად მხილებული ერებიკოსების შრომებიდან ამა თუ იმ კეთილ სწავლებას (თუნდაც, მაგალითად, ტერტულიანებან, ორიგენებან, დიდიმე ალექსანდრიელისაგან, ევაგრე პრინტელისგან. ამგვარი კეთილი სწავლებანი ერებიკოსთა შრომებში იმავე სულიწმინდისგან მომდინარედ შეიძლება) (10,12).

ეფრემ მცირე (XI ს-ის II ნახევარი) აცხადებს, რომ მწვალებელიც „მისვე და ერთისა სულისაგან მეტყუელებდეს, რადგან სულიწმიდა არათუ ქრისტიან მწვალებლებს, არამედ თვით „წარმართთა მეკარპეთაც კი გაუმჯდავნებს ზოგჯერ ჭეშმარიტებას“ (იხ. „ძველი საქართველო“, ტ. III, გვ. 81) (10,12).

XII ს. გელათის აკადემიაში თარგმნილი „კომენტირებული ბიბლია“ კომეტატორებში ერებიკოსებსაც წარმოგვიდგენს (10,12).

ლიტერატურა:

1. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I, თბ., 1990.
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II.
3. ახალი ადთქმა და ფსალმუნები, სტოკოლმი, 1992.
4. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი IV, თბ., 1992.
5. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი III, თბ., 1991.
6. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი II, თბ., 1991.
7. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი I, თბ., 1991.
8. წმიდა ბასილი დიდი, თხზულებანი, ფსალმუნთა განმარტებანი, პომილიები ექვსი დღისათვის, თბ., 2002.
9. წმიდა ოოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბ., 2000.
10. გზა სამეუფო, 1994, №1.

თავი II

საღვთო სიბრძნის ადეპტები თანამედროვე ქართულ პოეზიაში

„მომავლის ღრმა სიბრძნით თვალანახელი“ გალაკტიონი

გალაკტიონ ტაბიძის პოეზია ხელდასხმულია საღვთო მადლით. მას გამოარჩევს „სხვა ცრემლი“, „ალიონის სიხარული“, „ღრმა სიბრძნით თვალანახელი“ პოეტი ეძებს „უხილავ-ფარულს“, „რაღაც არაქურს“, „შორ ქვეყანას“. მის ლექსებს მსჯვალავს განუმეორებელი, ზეაღმტაცი მუსიკალობა.

პოეტების მეფის ენიგმური ლირიკის საიდუმლოებათა გახსნის პრეტენზია ჯერჯერობით მკრეხელობაა, მაგრამ მისი ზოგი თავისებურება განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას.

ასეთად გვესახება ამ მხატვრული სამყაროს სიმბოლური, იგავური ხასიათი, რაც მხოლოდ დიდი ხელოვნებისათვის არის დამახასიათებელი.

გალაკტიონის შემოქმედების უპირველესი ემბლემა, უმთავრესი შესასვლელი კარი არის მეტაფორული აზროვნება.

სიმბოლური აზროვნების ისტორია უშორესი წარსულიდან იწყება. პოეტს წინ უსწრებდა უმდიდრესი ტრადიცია: ბიბლია, ანტიკური და ადრეკრისტიანული ეპოქის მოაზროვნები, აპოლოგებების სიმბოლიზმი, ალეგორიზმის (ფილონ ალექსანდრიელი) და ქრისტიანული სიმბოლიზმის წარმომადგენლები (კლიმენტი ალექსანდრიელი, ნეტარი ავგუსტინე, გრიგოლ ნოსელი), ეგვიპტური, ებრაული (წინასწარმეტჭველთა) და პითაგორეული სიმბოლიზმი. მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში – ევროპული და რუსული სიმბოლიზმი. კველა ამათვის საერთო ის იყო, რომ იზიდავდათ „ფარდის მიღმა განჯვრებილი ჭეშმარიტება“, „შეფარვით“ ნათქვამი სიტყვა.

კლიმენტი ალექსანდრიელი, დიონისე არეოპაგელი სიმბოლიზმს მიიჩნევდნენ ზოგადფილოსოფიურ, რელიგიურ-გნოსეოლოგიურ კატეგორიად.

გალაკტიონის სიმბოლოების უმეტესობა დაკავშირებულია მსოფლმცედველობასთან. პოეტის უმთავრესი სათქმელი სახე- სიმბოლოთა საგანგებო გაშიფრვა-გაცნობიერების გარეშე ვერ მიიწვდომება.

ბიბლიის კომენტატორები მასში სხვადასხვა მნიშვნელო- ბებს ქმედდნენ: ორიგენი – ორს, ნეტარი ავგუსტინე – ოთხს, ტერტულიანე – მეტს.

გალაკტიონისათვის უმთავრესია სახე-სიტყვათა მრავალ- მნიშვნელობის პრინციპი, იგავური, სიმბოლური მეტყველება.

უშორესი და უღრმესი ფესვები ასაზრდოებს ამ პოეტის შემოქმედებას. მათგან ერთ-ერთი უმთავრესი ფენომენია ბიბლია, რომელთანაც ანათესავებს იგავებისადმი ინტერესი, არა მხოლოდ მიწიური, არამედ ზეციური სიბრძნის ძიება.

მოელი ძველი და ახალი აღთქმა სავსეა იგავებით, რომ- ლებიც გადატანით, დაფარულ აზრს, ანდაზას, ზნეობრივ- დამრიგებლურ დასკვნას შეიცავს.

„ქართულ სასულიერო მწერლობაში ალეგორიის სინონიმად შემუშავდა „იგავი“. სიტყვა „იგავი“ ბიბლიის ლექსიკური მარაგიდან მოყოლებული, საერთოდ, ქართული სასულიერო მწერლობის წინ წიაღში სათანადო გამოვლინებას პოულობს“ (ტ. მოსია, „დავითიანის“ ლიტერატურული წეაროების და პოეტიკის საკითხები“, თბ., 1989წ., გვ. 148).

დავით წინასწარმეტყველი აცხადებდა: „ყურს მიგუგდებ იგავს, ქნარზე ამოქსნი ჩემს ამოცანას“ (ფს. 48/49,5).

„იგავებით გავხსნი პირს, ავამეტყველებ გამოცანებს დასა- ბამისა“ (ფს. 77/78,2).

ეზეკიელ წინასწარმეტყველი ასე იწყებს თავის ხილვათა განცხადებას: „იყო უფლის სიტყვა ჩემს მიმართ ნათქმდ: 1. ადამის ძევ: მიეცი გამოცანა და შეუთხზე იგავი ისრაელის ხალხს“ (ეზეკიელი, თ. 17, 1,2).

ოსიას წინასწარმეტყველებაში გამხედილია: „მე ველაპა- რაპებოდი წინასწარმეტყველო და მე გავამრავლე ხილვები, წინასწარმეტყველთა პირით იგავურად ვლაპარაკობდი“ (ოსია, თ. 12,11).

გალაკტიონის პოეზიაში მრავალგზის გახვდება ძველი და ახალი აღთქმის სიმბოლოები, ალეგორიები, იგავები.

ბიბლიური წინასწარმეტყველები ეძებდნენ დაფარულ სიბრძნეს: „გამაგებინე სიბრძნე ფარული, უჩინონი და დაფარული სიბრძნის შენისანი გამიცხადენ მე, მასხურო მე უსუპითა და განვწმინდნე მე, განმბანო მე და უფროის თოვლისა განვსპეტაპნე“ (ფს. 50/51,8), ეველრებოდა უზენაესს დავით წინასწარმეტყველი.

ბიბლიაში სიბრძნის მომნიჭებლად უფალი ეგულებოდათ: „უფალი იძლევა სიბრძნეს და მის ბაგეთაგან არის ცოდნა და შეგნება“ (იგავნი სოლომონისა, თ. 2,6).

„ბედნიერია ის კაცი, ვინც პპოვა სიბრძნე და ვინც გონიერება შეიძინა“ (იქვე, თ, 2,13).

სიბრძნის უპირატესობის აღიარებაა სოლომონ ბრძენის მთელი ნააზრევი: „სიბრძნის შეძენა ოქროზე უკეთესია, ჰყუის მოხვეჭა ვერცხლზე უმჯობესი“ (იგავნი სოლომონისა, თ. 16,16).

სამყაროს საიდუმლოებათა შეცნობის სიხარულით არის სავსე სოლომონის სტრიქონები: „ყოველივე შევიცანი, დაფარულიც და განცხადებულიც, რადგან სიბრძნემ განმასწავლა, ყოველთა შემოქმედმა“ (სიბრძნე სოლომონისა, თ. 5, 2,1).

„ღვთის ძალის სუნთქვაა იგი“ (იქვე, თ. 5, 25).

„იგია საუკუნო ნათლის ანარეკლი, უხინჯო სახე ღვთაებისა და ხატი მისი სიკეთისა“ (იქვე, თ., 5, 26).

„ეწვევა უბიწო სულებს თაობიდან თაობაში და ღვთის მოყვარებად და წინასწარმეტყველებად განამზადებს მათ“ (იქვე, 5,27).

„რადგან ღმერთს არავინ უყვარს, გარდა იმისა, ვინც სიბრძნით ცხოვრობს“ (იქვე, თ. 5,28).

ხაზასმულია, რომ მხოლოდ ღვთიურს, წმინდანს ხელეწიფება სიბრძნის მიღება: „ღვთისმგმობელ სიბრძნეს ეძებს, მაგრამ ამაღლ“ (იგავნი სოლომონისა, 14,6).

ბიბლიაში განარჩევენ ორგვარ სიბრძნეს: მიწიურს და ზეციურს.

შეზღუდულად მიიჩნევა ყოველგვარი ადამიანური ცოდნა: „ბრიყვია ყოველი კაცი თავისი ცოდნით“ (იერემია 51, 17).

„ახალგაზრდებმა იხილეს ნათელი, მაგრამ ცოდნის გზა ვერ ისწავლეს“ (ბარუქი, თ. 3,20), რადგან „დატოვეს წყარო სიბრძნისა უფალი“ (იქვე, 3, 12).

„ვერც აგარის შვილებმა, რომლებიც მიწიერ ცოდნას ეძებდნენ, ვერც მერონისა და თემანის ვაჭრებმა, ვერც მთხოვობელებმა და ვერც ცოდნის მძებნებლებმა ვერ გაიგნეს სიბრძნის გზა და ვერ გაიხსენეს მისი ბილიკები“ (ბარუქი, 3, 12).

„არავინაა შემმეცნებელი მისი გზისა და არც გულისხმის-მყოფელი მისი ხილვისა“ (იქვე 3,31).

„მხოლოდ ღმერთი... მან იპოვა ყველა გზა ცოდნისა და მისცა იგი იაკობს და თავის მორჩილთა და ისრაელს, რომელიც შეიყვარა“ (იქვე, თ. 3,37).

ჭეშმარიტებასთან საერთო არაფერი აქვს მიწიერ ცოდნას, კერპის თაყვანს: „ცოდნისაგან გაბრუვდა ადამიანი, თავს ირცხვენს მდნობელი თავისი კერპით, რადგან სიცრუეა კერპი, სული არ უდგას“ (იერემია, 4,14).

პავლე მოციქული ეძებდა არა „ხორციელ სიბრძნეს“, არამედ „დვოის მადლს“ (II წერილი კორინთელთა მიმართ, თ. 1,12).

ერთმანეთისაგან ასხვავებენ „მიწიერ, მშვენიერ, ეშმაკეულ სიბრძნეს“ და „მადლიდან გარდმოვლენილ სიბრძნეს“, რომელიც „წმინდაა, მშვიდობიანი, ლმობიერი, წესიერი, წყალობითა და კეთილი ნაყოფით სავსე, მიუკერძოებელი და უთვალთვალო“ (მოციქულთა საქმეები, თ. 4,17).

არსებობს „ჭეშმარიტების სული“ და „ცდომილების სული“ (იოანე მოციქულის I წერილი, თ. 3,6).

„არა წუთისოფლის სიბრძნე, არამედ დვოის სიბრძნე, საიდუმლოებებში დაფარული“, აცხადებდა პავლე მოციქული (I კორინთელთა, თ. 2,6).

„სიბრძნის სიტყვა სულის მადლია“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, თ. 2,6).

პავლე მოციქული შეგვაგონებს: „თუ ვინმეს ამ წუთისოფლში თავისი თავი ბრძნად წარმოუდგენია, გაუგუნურდეს, რათა ბრძენი გახდეს“.

„ვინაიდან ამ წუთისოფლის სიბრძნე უგუნურებაა დვთის წინაშე“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, თ. 3, 18,19).

„სად არის ბრძენი? სად არის მწიგნობარი? სად არის ამ წუთისოფლის მოკამათე? განა სისულელედ არ აქცია დმერთმა ქვეყნიერების სიბრძნე?“ (I წერილი კორინთელთა მიმართ, თ, 1,20).

გალაკტიონის პოეზია გამორჩეულია სულიწმიდის მადლით, სიბრძნის სიტყვით, სიბრძნეს სწორედ ღმერთთან კავშირში ეძებს პოეტი: „რა სილადეა თავისუფალი, სიბრძნის სახეა შრომის უფალი, ყოფნა მწყურია, მშობლიურია და მზიურია, ო, ეს უბანი“ („მშვიდობის წიგნი“).

ახალ სიმაღლეთა მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ღმერთის წყალობით: „ნუ მოაშორებ სიცოცხლეს თვალებს, რომ დაეუფლო ახალ მწვერვალებს“.

სიცოცხლე, ცხოვრება, ყოფნა ღმერთია: „მე ვარ გზა, ჰეშმარიტება და სიცოცხლე“ (იოანე, 14, 6).

პოეტი უპირისპირებდა რა ცრუ სიბრძნესა და უკვდავ აზრს, უმწეო სინათლისა და მარადიული მზის ასოციაცია უჩნდებოდა: „იბრწყინე მარად, დიადო მზეო, იბრწყინე მარად, ვით ეს სანთელი ქრება უმწეო მზის შუქის კარად, ისე ცრუ სიბრძნე უკვდავ აზრის ბჭეს ვით ნისლი რამე იხსნება, პქრება, გაუმარჯოს მზეს, ძირს ბნელი დამე“.

„ახალი სხივის“, „ახალი ღმერთის“ სიყვარული მომავლის ღრმა სიბრძნით უხელდა თვალს პოეტს: „...იქ, იმ კიბეზე მომავლის ღრმა სიბრძნით თვალანახელი, საიდანაც სჩქეფს სიმართლე და წინხვლისათვის ძახილი“ (უმშვენიერეს კიბეზე“).

„პირველი ოცნების“, მშვენიერებისა და სისკეტაის სიყვარული ღრმა სიბრძნით ავსებდა გალაკტიონის ზეშთაგონებას: „ოდეს ვიგონებ იმ პირველი ოცნების სახელს და მოლოდინთა მშვენიერთა სკეტაკ სიახლეს, რაც მგზნებარებდა და მმატებდა სიბრძნეს სიბრძნეზე – აი მიზეზი გამარჯვების, აი, მიზეზი“ („1950“).

პოეტს არ სჩვერდა „ამაოდ შექმნილ ციურ სულთან მხეურვალე ლოცვა და ქვეყნიურად შექმნილ კერპთან – მწარე შეცდომა“ („სანამ შორს იყავ“).

გალაკტიონის შემოქმედება უარყოფაა უსულგულო პოეზიის, დემონური ბეჭდით დადღასმული ქვეყნიური ყალბი ენამჭევრობის, სატანური შეთქმულების წევრობის: „მუდამ გავემიჯნები, ლექსს რომ აშალაშინებს უსულგულო ნიშნები. თითქოს ხმისთვის მზიური გზა არაა შეჭიდვის, გარდა დემონური საშინელი ბეჭდის, ნიშანი ქვეყნიური ყალბი ენამჭევრობის, დადი სატანიური შეთქმულების წევრობის“ („ენა მშობლიური მიწის“).

გალაკტიონმა დაამკვიდრა არა მუხამბაზები, აღმოსავლური ბაიათები ან რომანსერიები, არამედ დარდის, სიკვდილის დამმარცხებელი საღვთო ჰანგები, სამოთხის ხმები, ცხოვრების ზღვაზე გადამყვანი ფრთებიანი სიძღვები: „გევედრები, გამაგონე ის სიძღვერა, მე რომ მიყვარს, ლაქვარდოვან ფრთების მქონე, შეა ზღვად რომ გადამიყვანს“ („ოდეს მძიმე რამე დარდი“).

ზეციურ სიბრძნესთან წილნაყარს, საღვთო ჰანგები ესმოდა, ცის კარი და მიწის გული, ქვეყნის კარი და სიბრძნის კარი ეხსნებოდა: „გაოცებით მწევემსი წყნარი ისმენს ციურ დაირასა, ვინა სოქვა, რომ ზეცის კარი სამუდამოდ დაირაზა? ...ვინა სოქვა, რომ ქვეყნის კარი სამუდამოდ დაირაზა? ვინა სოქვა, რომ სიბრძნის კარი სამუდამოდ დაირაზა?“

„ბედს იქით“, „სხვა ედემისკენ“, მწვერვალისკენ სვლის საწინდარი იყო გული და სინდისი, სიმართლის კანდელი – ღმერთი: „იმ მწვერვალისკენ მივყავარ... მხოლოდ სიმართლის კანდელს“ („ფიჭვი ბიჭვინთის“).

გალაკტიონის შემოქმედების ორიენტირები გარკვეულია მისსავე „სერენდიპიაში“: „რად მინდა იგი, ჩემო პირიმზე, ჩემის ჩანგით თუ ვერ დაგაღონებ? რად მინდა ქნარი, თუ იმის ხმაში სამოთხის ჰანგებს ვერ გაგაგონებ? გული სავსეა წყნარი სიძღვერით, სულში ვარსკვლავი ბედის გაბრწყინდა. ვძღერი, ვით არვის არ უმდერია, წყურვილსაც მოვკლავ, მაგრამ რად მინდა?“.

ლექსის სამოთხე მარიამია, ბედის ვარსკვლავი – ქრისტე. ლექსში სევდაა იმის გამო, რომ ათეიისტურ ეპოქას არ სჭირდება ეს სახეები.

„უზნაგირო, უუზანგო მერანზე“ ამხედრებული პოეტი მხოლოდ საკუთარი „რწმენის მონა“ იყო („იდეა“), „რწმენის ტახტი“ ედგა, „საკუთარი შტამპით მოჭრილ ოქროს“ გვთავაზობდა.

„ძნელი და მღვრიე საგნის“ უარმყოფელი, „ცის და მიწის შეზავების“ საიდუმლოებებს ეზიარებოდა, „ყოფნისა და არყოფნის წიგნებს“ უთვალოვალებდა, „ციური რიდით“ მოსავდა თავის განუმეორებელ ხილვებს.

მედროვეებზე, ბოროტთა ძალმომრეობაზე წერდა ესაია: „ასპიტის კვერცხებს ჩეკავენ და ობობას აბლაბუდას ქსოვენ. მშვიდობის გზები მათ არ უწყიათ“ (ესაია, 59,5).

წარმავალ იდეებს ასე ამათრახებდა გალაკტიონი: „შენს იდეებში ობობა ხლართავს ქსელს და მიკიოტს ჩაუბამს ბუდე“. ესაია წინასწარმეტყველებდა მაცხოვრის მოვლინებას და „შორეული ქვეყნის“ მოახლოებას: „შენი თვალები იხილავენ მეფეს თავის მშვენიერებაში და დაინახავენ შორეულ ქვეყანას“ (ესაია წინასწარმეტყველი, 33,17).

გალაკტიონი იწვოდა „ხილვის ტაროსით“ და გვიმჩელდა: „მე მესიზმრება რაღაც უცხო, შორი ქვეყანა“ ...მე მესიზმრება ანგელოზთა ციური ნანა“...

ბიბლიაში გვხვდება „სალაფობო სიმღერა“ და „სიყვარულის სიმღერა“.

„აპა, სალაფობო სიმღერა ხარ მათოვის, ლამაზხმიანი და ტკბილად ნამღერი, ისმენენ შენს სიტყვებს, მაგრამ არავინაა მათი შემსრულებელი“ (ეზეკიელი, 33,32).

უფლის სიმღერა იქცევს ყურადღებას დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნში: „ჩემი ძალა და სიმღერაა უფალი და ის იქნება ჩემი მშველელი“ (ფს. 117-118,14).

უფალს მიემართებოდა ესაია წინასწარმეტყველის სულის მოელი ძალისხმევა: „უფალია ჩემი სიმღერა“ (ესაია, 12,2).

„ვუმღერებ ჩემს შეევარებულს სიყვარულის სიმღერას მის ვენახზე“ (ესაია 5,7).

„აპა, დმეტია ჩემი ხსნა, ჩემი ძალა და სიმღერა“ (ესაია, 12,2).

სიყვარული დმეტია: „ვისაც არ უყვარს, მას არ შეუცვნია დღერთი, გინაიდან დმეტი სიყვარულია“ (იოანე მოციქულის I წერილი 4,8).

სიყვარულის სიმღერა ისმის გალაკტიონის პოეზიიდან, როგორც ერთადერთი ხსნა და იმედი: „გულში უდერს რა ხანია სიყვარულის სიმღერა, როგორც ერთადერთი ხსნა, ერთადერთი იმედი“ („ილიას მოტივი“).

გალაკტიონის ლექსებში საღმრთო სიყვარულის გამომხატველი ცნებებია: „სხვა სიყვარული, ზექვეყნიური სიყვარული, ტრფობა სრული, პირველი სიყვარული“. „მე სიყვარული მესიზმრებოდა“, გვიმხელს სიყვარულის თანამგზავრი პოტი.

იოანე დვოისმეტყველის გამოცხადებაში ქრისტემ ეფესელთა ეკლესიას მიმართა: „შენს საწინააღმდეგოდ ისა მაქვს, რომ მიატოვე შენი პირველი სიყვარული“ (იოანეს გამოცხადება, თ. 2,4).

„ძველი სიყვარულის“, უზენაესი გრძნობის დავიწყების ფაქტი დაფიქსირებულია გალაპტიონის ლექსში: „აქ ოდესმე მხიარული გზით უყვარდათ სიარული, აწ გზა მიტოვებულია, როგორც ძველი სიყვარული“.

პოეტის წუხილი უკავშირდება ტკბილი, შუქიანი ნათელის გაუზინარებას, ანუ საღვთო სიყვარულის იგნორირებას: „არსად ჩანს ტკბილი ნათელი შუქმფრქვეველ სიყვარულისა“ („დამე“), „სიყვარულის გამქრალა სხივი“ („ალვის ხები მშვილდისარს ხრიან“).

გალაპტიონს აინტერესებდა „სამოთხის ჰანგები“, „გრძნობა, რომელიც დაკარგულია“, „გრძნობა... სიყვარულთა“, „გადაქცეული სხვისთვის ჭაობად“ („კოსმიური ორკესტრი“).

პოეტების მეფის შემოქმედებაში ისმის „გალალება გრძნობათ დამხობის“ („ის“), ტრაგიზმის წყაროა მზის გარდაცვალება (მზე ღმერთის სიმბოლო). მის ლექსებს განსაკუთრებული ტკივილით ავსებდა ის, რომ „სიყვარულის ხმა არსით ისმოდა“, რომ კომუნისტურ საზოგადოებას დაავიწყდა „სიყვარულის ნანა“, რაც სასოწარკვეთილ შეკითხვას იწვევს: „რად ჩაქრა სიმღერათ სიმღერა მჩქეფარე?“ („ტრიოლეტები“).

მაგრამ გ. ტაბიძის სულში გამუდმებით ჟღერდა ციური სიმფონია, „სიხარულის უვერტიურა“, რაც ლოცვასავით ამაღლებული და დიადია.

მაშინ, როცა სახელმწიფო დონეზე ამოიძირკვა რწმენა, გალაპტიონი „სიმართლის ხეს“ რგავდა „მკვიდრ-ნათელი ფეხვით“ („ო, ხეო სიმართლისაო“), „ზენიტის პალმებს“, „არსებობის ხეს“ გასცემროდა, „მშვიდობის წიგნს“, „მშვიდობის გზას“ სახავდა ხსნის საშუალებად, თავის უვრცეს პოემას „ალვას და სუროს“ არქმევდა, „შორეულ მხარეებს“ ეთაყვანებოდა. „სიახლოების სიშორის“ და „სიშორის სიახლოების“ პარადოქსებით გვაოცებდა, გვიმტკიცებდა, რომ „ის ახლობელი იყო სულ შორი“ („ის დირიჟორი“).

გალაკტიონი თავისი ჩანგით იცავდა მზეს (რწმენას, ღმერთს), დილას, ალიონს (მარიამს): „რა მშვენიერი ალიონია, მას ჩემი ჩანგი იცავს აფთარებრ“ („გახსოვდეს მარად“).

„ალიონთა სიხარული“ (ალიონი მარიამი, სიხარული ქრისტე) უნერგავდა გამარჯვების უქველობის რწმენას („ო, ჩემო ჩანგო“).

„რატომ არავინ იყო, როცა მოვედი, როცა ვიძახდი და არვინ იყო პასუხის გამცემი“, კითხულობდა ესაია (ესაია, 50,2).

წინასწარმეტყველთა დარად, გალაკტიონიც აცხადვებდა: „როდესაც მე მოველ, არავინ არ ჩანდა“ („მე მოვალ“).

დავიწყების ბურუსმა შთანთქა პოეტის თანამედროვეთა უმეტესობა, ხოლო გალაკტიონის სულიწმიდასთან წილნაყარი შემოქმედების სიდიადე უფრო გამოაბრწყინა დრომ, ვინაიდან ქართველ გენიოსს არასოდეს არევია „წუთისოფლის დიდება“ და „დიდება მარადისი“.

წმინდა სულის ადამიანებს ნათლის სამოსი ასხივოსნებთ: „რადგან რამდენად სული ჩემი უზადო ქმნილა, იმდენად უფრო მაცისკროვნებს ნათლის სამოსი“ – ნათქვამია „დვთაებრივ ქოდედიაში“ („დვთაებრივი ქოდედია“, თბ., 1941წ., გვ. 362).

გალაკტიონი არის „ზეგარდმონათლით მოსილი“, შექმნებოსილი, ელვით შემოსილი, როგორც წმინდანები.

იგი არის „მცოდნე გაზელის“ (გაზელა საღვთო სიბრძნის გამომხატველი ლექსებია), მგოსანი სასახლის (სასახლე საღმრთო სახელია).

„მეტი სინათლე“ – აღმოხდა გოეთეს.

„მეტი მზის სხივი, მეტი ნათელი“ ენატრებოდა გალაკტიონს: „უსრულო საზღვარს გადააცილე, შენი ამაყი სულისკვეთება, მეტი მზის სხივი შემოგახვევა, მეტი ნათელი შემოგედება“, („ჩემო სიმდერავ, მაღლა, სულ მაღლა“).

თითქოს გალაკტიონზე გაცხადდა ბიბლიური ჭეშმარიტება: „...წყვდიადი დაფარავს ქვეყანას და ბნელი – ხალხებს, შენზე კი უფალი ინათებს და მისი დიდება გამოგეცხადება“ (ესაია, 60,2).

ეზეპიელ წინასწარმეტყველივით, გალაკტიონსაც „ბროლის ცა“ (ღმერთის ცა) ეხსნებოდა, ეგლინებოდა „ბროლის ზმანება“, ეხმოდა „ბროლის რიტმი, მუსიკა“.

პოეტმა ზურგი აქცია ფუჭ მჭერმეტყველებას, მიხვდა, რომ ნაღმებზე აფეთქდებოდა ენამჭევრობა და ახალი სიტყვა ეძია ახალი სათქმელის გამოსახატავად და ეს მაშინ, როცა „ჯამბაზთა, ...გაერთა – ყალბი შუშები მინანქრად“ საფდებოდა. პოეტი დმერთოან ხიდის გადებას ცდილობდა და ათეისტური ეპოქის ქარს უპირისპირდებოდა („ქარის პირის პირ“).

უკვე „ჩამქრალი ალის ანთება“, „დაკარგული გრძნობის“ ძიება, „დამარხული იმედის“ გაცოცხლება გახდა მისი მიზანი.

ქრისტიანული ღმერთის მეგზური იყო მთელი ცხოვრება, მაგრამ ათეისტურ ეპოქაში დაუსჯელად არც ღმერთის სიყვარული შეიძლებოდა: „არ გაპატივა, შენს გულში ერთი გახმაურდება ზეცა და ღმერთი. როს დაგშორდები – ვარ მე ზედმეტი, საშინელება და ჯოჯოხეთი“ („არ გაპატივა“).

მოდიოდა „ახალი ერესი“, ქარი, „შემოდამების ცელი“ ისადგურებდა ირგვლივ, მაგრამ პოეტის ლოცვის ხმები ახშობდა სატანურს, უზენაესის „ლოდინის სიმღერას“ აღავლენდა და ისევ ვარდებით ივხებოდა აუზი („ლოცვისათვის“).

პოეტის მწუხარე, „სპეტაკი წიგნით“ ცოცხლდებოდა „იმედთა მდელო“, ისმოდა არა „დაცინვა, წყრობა და ირონია“, როგორც პრიმიტიული პროლეტარული პოეზიის წარმომადგენლებისგან, არამედ ლოცვა-ვედრება, „გალობა ახალი“.

გამოცხადების მიხედვით, მექნარეთა ხმის, ახალი საგალობლის შესწავლა მხოლოდ წაუბილწავთ, ღმერთისგან გამოსყიდულთ ხელეწიფებათ. გალაკტიონი იყო კრავის გამოსყიდული.

მაღალი სიბრძნის სინათლე ანა კალანდაძის პოეზიაში

ანა კალანდაძის დიდება დაფუძნებულია არა მხოლოდ სადღეისო, მიწის აქტუალური პრობლემებისადმი ინტერესზე, ხალხურობაზე, მუსიკალურობასა თუ ქართული ენისადმი შემოქმედებით მიღომაზე, არამედ, უპირველესად, სიბრძნის ერთგულებაზე.

ბიბლიური წინასწარმეტყველები ეძებდნენ დაფარულ სიბრძნეს: „გამაგებინე სიბრძნე ფარული, უჩინონი და დაფარული სიბრძნის შენისანი გამიცხადენ მე, მასხურო მე უსუპითა და განვწინდნე მე, განმბანო მე და უფროის თოვლისა განვსპეტაქნე“, (ეველრებოდა უფალს დავით წინასწარმეტყველი) ფს. 5, 51, 8,9) (1, 575).

ბიბლიაში სიბრძნის მომნიჭებლად უფალი ეგულებოდათ: „ღმერთია წინამძღვარი სიბრძნისა და ბრძენთა წამმართველი“ (სიბრძნე სოლომონისა 7,15) (2,23).

სამყაროს საიდუმლოებათა შეცნობის სიხარულით სავსეა სოლომონის სტრიქონები: „ყოველივე შევიცანი, დაფარულიც და განცხადებულიც, რადგან სიბრძნემ განმასწავლა, ყოველთა შემოქმედმა“ (სიბრძნე სოლომონისა, 7,21).

„დვთის ძალის სუნთქვაა იგი“ (7,25).

„იგია საუგუნო ნათლის ანარეკლი, უხინჯო სახე დვთაებისა და ხატი მისი სიკეთისა“ (7,26).

„ეწვევა უბიწო სულებს თაობიდან თაობაში და დვთის მოყვარეებად და წინასწარმეტყველებად განამზადებს მათ“ (სიბრძნე სოლომონისა, 5,27).

„რადგან ღმერთს არავინ უყვარს, გარდა იმისა, ვინც სიბრძნით ცხოვრობს“ (5,28) (2,24).

სოლომონი ხაზს უსვამს, რომ მხოლოდ დვთიურს, წმინდანს ხელეწიფება სიბრძნის მიღება: „დვთისმგმობელი სიბრძნეს ეძებს, მაგრამ ამაოდ“ (იგავნი სოლომონისა, 14,6).

ბიბლიაში განარჩევენ ორგვარ სიბრძნეს: „მიწიერს“ და „ზეციურს“.

შეზღუდულად მიიჩნევა ყოველგვარი ადამიანური ცოდნა: „ბრიყვია ყოველი კაცი თავისი ცოდნით“ (I, იერემია, 51, 17) (2,177).

„ახალგაზრდებმა იხილეს ნათელი... მაგრამ ცოდნის გზა ვერ ისწავლეს, რადგან დატოვეს წყარო სიბრძნისა უფალი“ (ბარუქ წინასწარმეტყველი 3,20).

„ვერც აგარის შვილებმა, რომლებიც მიწიერ ცოდნას ეძებდნენ, ვერც მერონის და თემანის ვაჭრებმა, ვერც მთხოვობელებმა და ვერც ცოდნის მძებნებლებმა ვერ გაიგეს სიბრძნის გზა და ვერ გაისხენეს მისი ბილიკები“ (ბარუქი, 3, 23).

„არვინაა შემმეცნებელი მისი გზისა და არც გულისხმის-მყოფელი მისი ხილვისა“ (ბარუქი, 3,31).

„მხოლოდ ღმერთი... მან იპოვა ყველა გზა ცოდნისა და მისცა იგი იაკობს და თავის მორჩილთა და ისრაელს, რომელიც შეიყვარა“ (ბარუქი, 3,37) (2, 190).

ჰეშმარიტებასთან საერთო არაფერი აქვს მიწიერ ცოდნას, კერპის თაყვანს: „ცოდნისგან გაბრუვდა ადამიანი, თავს ირცხვენს მდნობელი თავისი კერპით, რადგან სიცრუეა კერპი, სული არ უდგას“ (I, იერემია, 10,14) (2,135).

პავლე მოციქული ექებდა არა ხორციელ სიბრძნეს, არამედ „ღვთის მადლს“ (II წერილი კორინთელთა მიმართ, თ. 1,12) (1,385).

„არა წუთისოფლის სიბრძნე“,... არამედ „ღვთის სიბრძნე, საიდუმლოებაში დაფარული“, აცხადებდა პავლე მოციქული (1, კორინთელთა, 2,6,7) (1,358).

„სიბრძნის სიტყვა სულის მადლია“ (პავლე მოციქული, 1 კორინთელთა, თ. 2,6).

პავლე მოციქული შეგავაგონებს: „თუ ვინმეს ამ წუთისოფლში თავისი თავი ბრძნად წარმოუდგენია, გაუგუნურდეს, რათა ბრძენი გახდეს“ (I, კორინთელთა, თ. 3,18).

„ვინაიდან ამ წუთისოფლის სიბრძნე უგუნურებაა დვთის წინაშე“ (პავლე მოციქული, 1 კორინთელთა, თ. 3,19) (1,360).

„სად არის ბრძენი? სარ არის მწიგნობარი? სარ არის ამ წუთისოფლის მოპამათე? განა სისულელედ არ აქცია დმერთმა

ამ ქვეყნიერების სიბრძნე?“ (პავლე მოციქული, I წერილი კორინთელთა მიმართ, ო. 1,20) (1,357).

მხოლოდ საღვთო სიბრძნეზე ორიენტირებულთა ნააზრევი გადაურჩა დავიწყების უფსერულში ჩაძირვას.

ათეისტურ მეოცე საუკუნეშიც იყვნენ საღვთო სიბრძნის მაძიებელნი, რომელთაგან უპირველესია გალაბტიონ ტაბიძე (მის შემოქმედებაში უპირველესი ადგილი უკავია საღვთო სიყვარულის იდეას) (3, 100-109).

გადაკტიონი არის „მომავლის ღრმა სიბრძნით ოვალ-ანახელი“ („უმშვენიერეს კიბეზე“) (4,471).

ზეციდან მოვლენილი სიბრძნით, სიწმინდით, სიმართლის მსახურებით ამაღლებული ანა კალანდაძე მხოლოდ უზენაესის საკადრისი პანგებით იყო გამორჩეული: „ზეცისთვის მაღალ-საშვენი მხოლოდ ფიქრები საზეო“.

„წარუვალი და მარად ქარულის“ მსახურ პოეტს „სიხარულის პალატა“ მაღალ-მაღალი ბჭენი ეხსნება („მომიცავს იგი“).

ანა კალანდაძის პოეზიაში მიგნებულია „მაღალი სიბრძნის სინათლე“. პოეტი გიორგის, ექვთიმეს, ლაზარეს, ზოსიმეს სავანეში ექებს სულიერების ბურჯებს, „მაღალი სიბრძნის“ საწყაოს: „ოშკის მძლე ტაძარო, ათასი წელია, ღგაბარ და ღაღადებ... კვლავ ანთებ ჩირადანს, კვლავ მზემდე მაღლდები, მრავალჭირნახულო! კვლავ შენი სარკმლებით მაღალი სიბრძნისა ინთება სინათლე“ („ოშკის მძლე ტაძარო“).

პოეტი მოგვიწოდებს, რათა სასულიერო ლიტერატურის წიაღში ვიპოვოთ მშვიდობის მარადიული ნათელი, უჭვის დათრგუნვის ძალა: „მიხედეთ მათ მაღალ შარავანდს – მთაწმინდელთ, მოდრეკილთ, მერჩულთა“ („ესმოდათ აღსავლის კართან“).

„ღვთაებრივ კომედიაში“ ნეტარი სული ეკითხება დანტეს: „წადილი შენი?“ – „სიყვარული და სიბრძნის ნიჭი“ – ასეთია იტალიელი გენიოსის თხოვნა (5, 584).

სიყვარული და სიბრძნე განუშორებელია ანა კალანდაძის პოეზიაში: „იალადებით მობერილ ვარ სიყვარულისად“, ამბობს პოეტი, სიყვარული კი ღმერთია.

მხოლოდ მარადიულს, უხრწნელს, წარუვალს ადგას „მარადი სხივის“ (დმერთის) ათინათი და არა მიწიერ პორფირ-

გვირგვინ-კვერთხებს: „შენს საკურთხეველს კდემით ემთხია, გარდამოვიდა სხივი მარადი, დააგდო პორფირ-გვირგვინ-კვერთხები და მას, წარუვალს თავზე დაადგა“ („შენს საკურთხეველს“).

უზენაესის წმინდა, „უსპეტაკეს სახლში“, „ნათლის სახლში“ მკიდრდება ანა კალანდაძე, ზეციური „სასანთლე“ უპყრია და უფლის სიტყვის მაცნეს მოელის: „მე უდიდესი სიხარულისთვის შენი სიტყვისას მოგელი მაცნეს“ („მოგეახლები კვლავ სახლსა წმინდას“).

ღირებულებათა გადაფასების, სიყალბის ჭეშმარიტებად გასაღების მცდელობა ყოველთვის იყო.

მაშინ, როცა „ჯამბაზთა,... გაერთა ყალბი შუბები“ „მინანქრად საღდებოდა“, გალაკტიონი ღმერთთან ხიდის გადებას ცდილობდა და ათეისტური ეპოქის ქარს, „ახალ ერესებს“ უპირისპირდებოდა („ქარის პირისპირ“) (4, 462).

ანა კალანდაძე მრავალგზის ყოფილა უღმერთო ეპოქის კატაკლიზმების, ჭეშმარიტების დაკინებისა და სიცრუის მოწმე, რაც უზენაესის მცნებების დავიწყების შედეგი იყო: „როცა მებაღეს არვინ კითხულობს და გადიცელება ოქრო მინაში, სხვისი სისხლით და სხვისი ცრემლებით, ჰა, ქორვა-ჭარი დგას შენს წინაშე“ („როცა მებაღეს არვინ კითხულობს“).

უფლის ხელდასხმული პოეტი უცემურებას ამარცხებს, მისი მადლიანი სიტყვა ზეციურ სინათლეს ასხივებს: „გულს დამფენია მზე ცხოველი, უკუთურებით კვალად სსნისათვის, სინათლის ჩემის გაძლიერებად, მიწყივ, უკუნით უკუნისამდე“ („გულს დამფენია მზე ცხოველი“).

ანა კალანდაძე აპოკალიფსის თეორად შემოსილ წმინდანთა დარად გალობს ისეთი ამაღლებული, მომნუსხველი ჰანგებით, რომლის გათავისება მხოლოდ ღმერთის ერთგულთ, რწმენისთვის მსხვერპლის გამდებო მიმდადლებიათ.

ლიტერატურა

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992.
2. ბიბლია თრ წიგნად, წიგნი II.
3. ლუარა სორდია, „გალაკტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკის საკითხები“, თბ., 1996.

4. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977.
5. დანტე, „ლთაებრივი კომედია“, თბ., 1941.

სულის მკურნავი „სიბრძნის ლვინო“ გაუ ეგრისელის პოეზიაში

ქართულ სალიტერატურო კრიტიკასა და მეცნიერებაში სამართლიანად არის მითითებული, რომ ვაჟა ეგრისელი არის „პოეტი ნოვატორი, პოეტი გამოცანა“ (აკაკი თოფურია, ნოვატორული ძიების გზით) (1, 7), მეტაფორული ხელოვნების დიდოსტატი (ტიტე მოსია, „იქმენ ნათელი“ ანუ პოეტური წარმოსახვის ფურორი) (2, 7).

წვეულებრივ, ნოვატორობას ყოველთვის იზმებს უკავშირებდნენ ხოლმე. თავის დროზე ასეთად მიიჩნეოდა რომანტიზმი, მოდერნიზმი (სიმბოლიზმი, იმპრესიონიზმი), ავანგარდიზმი, სოციალისტური რეალიზმი, დდეს კი – პოსტმოდერნიზმი. მაგრამ დიდი შემოქმედება ყოველთვის ამა თუ იმ მიმდინარეობის დოგმებიდან თავის დაღწევის შემდეგ იწყება ხოლმე.

მეოცე საუგუნეში, სოციალისტური რეალიზმის ბატონობისას ყოველთვის იგნორირებული იყო სული, სულიერება, მაღალი ზნეობა, ეროვნულობა, ცხოვრების ფილოსოფიური საზრისი და ჭეშმარიტი სიბრძნის ფუძეთა-ფუძე – ბიბლია, რელიგია, ღვთისმეტყველება.

ვფიქრობთ, საბჭოთა ხომალდის საპირისპიროდ სკლის ნიმუშია ვაჟა ეგრისელის პოეტური სამყარო, რომელიც გამორჩეულია სულიერი ინდივიდუალობით, „მზის ბეჭდით“ (პოეტის ტერმინია!). ამ ახლებური სიტყვის პლანეტაში უზენაესის აჩრდილია დავანებული და ღმერთისაგან ბომებული „სჯულის ფიცარი“ ბრწყინავს.

„კოლხური ფსალმუნების“ ფენომენის შესწავლა შეუძლებელია ძველი მეთოდებით, ამასთან დაკავშირებით უკმარია ყველა ის კრიტერიუმი, რაც დღემდე ნიჭიერების

საზომად მიიჩნეოდა და, რისი რეციდივებიც, დღემდე შემორჩენილი, დოგმატური პარტიულობის პრინციპის გაფართოებიდან, ავადსახსენებელი სოციალისტური რეალიზმის არსენალიდან მომდინარეობს.

ვაჟა ეგრისელის მოდვაწეობის დიდი პერიოდი ათენისტური იდეოლოგიის ბატონობის ემთხვევა, როცა არათუ აკრძალული იყო ღმერთის ხსენება, რელიგიურობა პოლიტიკური დანაშაულის, დალატის ჭრილში განიხილებოდა, ქრისტიანობის ადგილი დაკავებული პქნონდა მარქსიზმ-ლენინიზმს, გაფეტიშებული იყო ცალთვალა მატერიალიზმი, ნიკო, ამქვეყნიური მიწიერი კეთილდღეობა, ღმერთის თაყვანისცემა შეცვლილი იყო კერპთაყვანისმცემლობით, კომუნისტურ ხელისუფალთა კულტით, გონებადაბინდული ვაიპოეტები ხოტბას ასხამდნენ მოჩვენებით წარმატებებს, სამართლიანობის სახელით მოვლენილ ტირანებს, შემოქმედთა უპირატესობა მოკალათებული იყო გეზსამცდარ მარქსიზმ-ლენინიზმის სომალდში.

ვაჟა ეგრისელს არასოდეს უკმევია გუნდრუკი მედროვე ხელისუფალთათვის, მისთვის ბოლომდე უცხო იყო სატაცური ათენიზმი. უპირველესად, პოეტი დაუპირისპირდა სწორედ სულის, ზნეობის დამაკნინებელ მოძღვრებას და ეს „ამბოხება“ მოთვინიერებულთა, ლაგამამოდებულთა ფონზე (ხშირად თავის გადასარჩენად მოთვინიერებულის ნიდაბი სჭირდებოდათ ჩვენს კლასიკოსებს) იმდენად შესამჩნევი იყო, რომ პოეტი ათენი წლების მანძილზე ამა ქვეყნის მიწიერ თავადთა და დაქირავებულ-მოსყიდული კრიტიკის გულგრილობის, უგულუბელყოფის ჯვარს ეცვა.

კოლხეთიდან მოსული ქრისტეს მხედრის ნოვატორობა, უპირველესად, იმაში გამოიხატა, რომ მან ბიბლიურ მოსესავით დაამსხვრია გაბატონებული კერპები, ბომონები, უარყო ეშმაკულთა თაყვანისცემა და სულ სხვა სადინარი მისცა ქართულ სიტყვას: „სასრულს მეორე ათასწლეულის, მგოსნებს ეჭვები რომ გაუჩინოს, პარნასის მაღალ მთაზე შეკრებილთ, მოვიდა ერთი, ვიდაც უჩინო და დაამსხვრია ბომონი და მისი კერპები (3, 383).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორი მოგვევლინა, როგორც „ქართული სიტყვის რჯულმდებელი და სტრიქონებში მზის მთესავი“ (3, 620).

მისი ლექსებიდან გაისმა ახალი, ჯერ მოუსმენელი ჰანგები, გავრცელდა ათეიზმით დაწყლულებული სულის მკურნავი სიკეთის, რწმენის ფლუიდები. ამ აიაზმის შემცველი სიტყვის ძალით გაოგნებული მკითხველი კარგა ხანს დუმდა.

ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაში მკვიდრდებოდა, ფრთებს ისხამდა ის თვემები, ინტონაციები, სახეები, რასაც კრძალავდა სატანასთან წილნაყარი ხელისუფლება და განაქიქებდა დაქირავებული, სულდაბნელებული პროლეტარული კრიტიკა.

პოეტი ჯიშტად ერთგულებდა არა მოარულ, ზედაირულ თემებს, მიწიერ მიეთ-მოეთს, არამედ ქრისტიანულ ღმერთს, ანგელოზებს, ეროვნულ სატკიფრებს, მარადიული ჭეშმარიტებების მხატვრულად ხორცშესხმაში, ხალხისთვის ტაძრისკენ სავალი გზის გაკვლევაში ხარჯავდა სულის მთელ ძალისხმევას.

მას თითქოს ეპატარავებოდა დედამიწა, ვერ იგუებდა ეპოქის ქამანდებს და ხელმწიფის კვერთეს, მიწიერი დიდების არადჩამგდები, კოსმიურში იჭრებოდა, მხოლოდ უზენაესის შთაგონებით გაცხადებული სათქმელი გადაპქონდა ქაღალდზე.

ბიბლიურ მოხესავით რიდე-მანდილით შებურვილს, ურწმუნოების უდაბნოდან მშობელი ხალხის გაყანა და უწმინდესი წყაროთი დარწყულება დაესახა მიზნად; წიგნთა წიგნის სიბრძეეთან ნაზიარებს, სიტყვის ხნულში ახალი თესლის ჩაგდება სურდა და მთავარი საძირკველი ჭეშმარიტებისა სწორედ წინასწარმეტყველთა ნააზრევში ეგულებოდა.

ისო ზირაქი გასწავლის: „ყოველი სიბრძე უფლისგან არის და მასთანაა საუკუნოდ (სიბრძნე ზირაქისა, თ. 1, 9) (4, 35).

მყოფობს ყველა ხორციელში მისი ნიჭის მიხედვით, მიმაღლის იგი მის მოყვარეებს (იქვე, 1, 19) (4, 35).

სიბრძნის სათავე უფლის შიშია და მორწმუნეებს საშოდანვე დაპყვება თან (იქვე, თ. 1, 14).

რადგან უფლის შიშია სიბრძნე და განსწავლულობა, მისდამი სასოება-რწმენა და სიმშვიდე (იქვე, 1, 27) (4, 35).

ისო ზირაქი გვირჩევს: „ყველა საღმრთო ამბის მოსმენა ისურვე და ბრძნული იგავები არ გამოგეპაროს (იქვე, ო. 6, 35) (4, 38).

ბოროტის ცოდნა არ არის სიბრძნე და არც გონიერებაა იქ, სადაც ცოდვილნი ბჭობენ (იქვე, ო. 9, 22) (4, 44).

სიბრძნის შეძნაში წინამდგვარია დვთის სიყვარული, რჯულის ცოდნა: „მხოლოდ ის, ვინც თავს შესწირავს უზენაესის რჯულის შესწავლას, გამოიძიებს წინაპართა სიბრძნეს და წინასწარმეტყველებაში გაიწაფება (სიბრძნე ზირაქისა, 39, 1) (4, 62).

გამოიკვლევს ანდაზების დაფარულ აზრსა და იგავთა გამოცანებს გამოიცნობს“ (იქვე, 39, 3) (4, 62).

ისო ზირაქი მოუწოდებს სულით რჩეულებს: „გამოეცით კეთილსურნელება საკმევლის ხესავით, აყვავდით, როგორც შროშანი, მოაფინეთ სურნელება და იგალობეთ საგალობელი, ყოველი საქმით უფალი აკურთხეთ“ (ისო ზირაქი, 39, 14) (4, 62).

„უფალმა სიბრძნე დვთისმოსავებს მისცა“ (ისო ზირაქი, 44, 33) (4, 66).

რჯულის განმტკიცებისათვის ზრუნვა, დვთისმოსაობა, იგავებით გადმოცემული სიბრძნე, საღვთო საგალობლები, აი ის, რითაც გამორჩეულია ვაჟა ეგრისელის პოეზია.

მის შემოქმედებაზე ფიქრისას ისევ ბიბლიური სიბრძნე გვახსენდება: „ჩემი სული შეეჭიდა სიბრძნეს და რჯულის საქმეშიც გავიწავე. უფალმა მომცა ჯილდოდ ენა და მით შევაქებ მას“ (ისო ზირაქი 51, 19, 22) (4, 72).

თითქოს ბიბლიური ბრძნის შეპასუხებად ისმის ვაჟა ეგრისელის სტრიქონები: „ქართული სიტყვის რჯულმდებელი და სტრიქონებში მზის მთესავი“ (ქართული სიტყვის რჯულმდებელი) (1, 620).

„პოლხური ფსალმუნების“ ავტორი ასეთი მაღალი გადასახედიდან განჭვრებს ჭეშმარიტი პოეტის მისიას: „შენი აზრი ელვაა და მნათთა ოკეანეს ერთვის და ქარიშხლის სუნთქვაც ელის. შენი სიტყვა არის ღმერთი, გალობაა სულის მზრდელი“ (შენი აზრი ელვაა და) (5, 829).

ჭეშმარიტი პოეზია დვთის სულის გაცხადებაა მხატვრულ სიტყვაში ჯვარცმის ფასად და მისი მისია რელიგიის

ტოლფარდია: „ათასეული წლის იქთ, გოლგოთის გზებით უვლია – უკვდავებას რომ ერთვის და... პოეზია სულია უფალი ქრისტე ღმერთის“ (ათასეული წლის იქთ) (3, 845).

ვაჟა ეგრისელის „ციური არია, მარადისობის არია, ციური სიმდერები, ციურ აზრთა ნადავლი“ სწორედ ბიბლიურ წინა-სწარმეტყველთა და ახალი აღთქმის მოციქულთა სიბრძნეს ეხმაურება.

საბჭოთა პერიოდში გარიყელნი, შერისხულნი და გაუცხოებულნი სწორედ დვთისმოსავი პოეტები იყვნენ.

ტერენტი გრანელმა ასე უპასუხა ვლადიმერ მაიაკოვსკის, რომელსაც სურდა მისი ლექსების თარგმნა რუსულად: „ჩემს ლექსებში არ ჩანს წითელი აგიტაცია-პროპაგანდა,... ცხოველური აღტენება, ბიოლოგიური პათოსი; არც და ვერც იქნება... გამორიცხულია. ჩემს ლექსებში სულიწმინდის მადლია განვენილი. სტრიქონებში დვთისმშობლისა და მაცხოვრის ხატებია ჩაწული, მისტიური ხედვითაა გაცნობიერებული დვთისმშობლის წილხვედრი, ქვეყნის წარსული და მომავალი, დვთიური სულის განკაცებისა და ადამიანის უკვდავი სულის განდმრთობის საფეხურები... არამცუუ მთარგმნელი, არამედ წამკითხველიც (შემგრძნობი, გამგები) მისტი უნდა იყოს, უფრო მეტიც, განდობილი... ასე რომ... მარადისობას-პოეზიას არ ეჩქარება. პოეტებიც ნუ ავჩარდებით. ოდესაც, როცა ჩემს საფლავს დაადგება მზე შორეული რიცხვის და სულიერება აღორძინდება, „ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების“ (ალექსანდრე სიგუა, მოგონება ტერენტი გრანელზე) (6, 412).

ვაჟა ეგრისელი იმთავითვე საუკუნის ჩრდილში დაკარგული ანუ პრიმიტიულ თანამედროვეთათვის შეუცნობელი და გაუგებარი პოეტი იყო და მას ტერენტი გრანელივით სჯეროდა დიდი ნათლის მოვანების, რაც დამსახურებულ ადგილს დაუმკვიდრებდა ქართულ პოეზიაში: „...და ჩემი სული, მზით შემოსილი, დედამიწაზე ვერ დაეტია. გაივლის უამი... დიდი ხნის მერქ, ნათელი მოვა დღის ნაბოძები... და საუკუნის ჩრდილში დაკარგულს – ჩუმად მომძებნის“ (იმედი) (2, 891).

პოეტი ჯიუტად მიიწევდა პარნასისაკენ, თუმცა ათეისტური ეპოქა მხოლოდ გულისტკივილს განაცდევინებდა: „ურწმუნო ცის ქვეშ ბევრი ვეცადე, დარდის თოკებზე ვფენდი აზრის

დიბებს და ფარჩებს. მე შენს მიუვალ ციხე-ციტადელს მაინც მივადგი სიყვარულის მაღალი კიბე“ (2, 754).

სოციალურის ზეობის ქამს ლიტერატურას სულიერების, რწმენის სამსახური როდი ეკისრებოდა, ის ქვეყნის არყოფილი წარმატებების, ხუთწლედების მეხოტბე და ხელისუფლების პოლიტიკის პროპაგანდისტი იყო.

ვაჟა ეგრისელის ლექსებიდან კი ანათებდა აზრი, სული, სიბრძნე, დვოისნიერება, რაც ცალთვალა გნომებს არ გაეგმოდათ.

მისი წიგნების სათაურები: „ამაღლება“; „ნათელხედვა“; „იქმენ ნათელი“; „პოლხური ფსალმუნები“ აფრთხობდა ორიენტირებდაკარტულ მკითხველს“.

ვინ იყენებ პოეტის წინაპრები, რა წყაროებით საზრდოობდა მისი „სულის მზრდელი“ გალობა, რატომ გაურბოდა ეპოქის მავნე იდეოლოგიას, ძნელი გასაგები იყო პრიმიტივთათვის.

„პოლხური ფსალმუნები“ ავტორის იგავები, საგალობლები, ტროპარი და კონდაკი და არა მოდური სონეტ-ტერცინა-ტრიოლეტები დვოისაგან გაბრძნობილი პოეტის ერთადერთობას, შეუცნობლობას უსვამდა ხაზს.

სიბრძნე, დვოიური ნიჭი მზესავით ბრწყინვას ვაჟა ეგრისელის ლექსებში.

ბიბლიამ საუკუნეებს იმიტომ გაუძლო, რომ იგი უცვალუბელი სიბრძნის, მარადიული ჭეშმარიტებების საგანძურია, ღმერთის, სულიწმინდის შთაგონებით შექმნილი.

წმინდა წერილში სიბრძნეა წინა პლანზე და იგი ღმერთის მაღლად არის აღიარებული (იგავნი სოლომონისა, 2, 617, 618), იგავნი 2, 18 (7, 619), იგავნი, 8, 11 (7, 622), იგავნი, 9, 10 (7, 623. ეპლენიასტე, 8, 3) (4, 12).

სიბრძნე სოლომონისა, 7, 21, 25, 26, 27, 28 (7, 24-25).

სიბრძნე სოლომონისა 8, 17 (4, 24).

ღმერთის ძიებამ, უზენაესის გამოცხადებამ მიიყვანა ვაჟა ეგრისელი უმაღლეს სიბრძნემდე – ღმერთამდე: „სულ რომ თოვდა, სულ რომ წვიმდა, დღეს სამივე ჩემთან არის – მამა, ძე და სულიწმინდა (მამა, ძე და სულიწმინდა) (2, 499).

ბიბლიური ბრძენის მოთხოვნას სიწმინდის შესახებ პოეტი თავისი ცხოვრების წესით აკმაყოფილებს: „შენ ხარ ხელმწიფე და წყვდიადში ნათელს ამეფებ, მიყყები დღეებს მზის

კარებიანს, ოუმც ზოგ-ზოგები სიძულვილის დაფში ჩაეფლნენ, შენ საუკუნის ჭუჭყი აღარ მიგარებია“ (შენ ხარ ხელმწიფე) (2, 839).

ეს სიწმინდეა წარმატების უპირველესი გარანტია: „შენი სიცოცხლის სანაპიროზე არდაბერების ჰყვავის სოსნები, ზღვა და დელვა მარადისი შენი მხლებელი. ოუმც წახდა უამი... მაგრამ მაინც პატიოსნება შენს სულში კვლავ დევს ხელუხლებელი“ (შენი სიცოცხლის სანაპიროზე).

ბარუქ წინასწარმეტყველი მტრისგან დამონებული ისრაელის უბედურების მიზეზს სიბრძნის წყაროს – დმერთის დაგიწყებაში ხედავდა: „შენ დასტოვე წყარო სიბრძნისა“ (3, 12) (4, 190).

ლმერთისაგან გაუცხოებულნი, ვერც ჭეშმარიტი ცოდნის გზას იგნებდნენ, რადგან ისინი მიწიერ ცოდნას ემებდნენ: „ახალგაზრდებმა იხილეს ნათელი,... მაგრამ ცოდნის გზა ვერ ისწავლეს“ (3, 20) (4, 190).

იაკობ მოციქული განარჩევს „მიწიერ, მშვინვიერ, ეშმაკეულ სიბრძნეს და მაღლით გარდმოვლენილ, წმინდა, მშვიდობიან, ლმობიერ, წესიერ წყალობათა და კეთილი ნაყოფით სავსე, მიუკერძოებელ და უთვალოთმაქცო“ სიბრძნეს (იაკობ მოციქული, 4, 13, 14, 15, 16, 17) (7, 298).

პავლე მოციქული „ქვეყნიერების, წუთისოფლის სიბრძნეს“ წარმავალს, სისულელეს, უგუნურობას უწოდებს (კორინთელთა, 20) (7, 357) და მას უპირისპირებს „ღვთის სიბრძნეს, საიდუმლოებაში დაფარულს, რომელიც წინასწარ განსაზღვრა ლმერთმა საუკუნეთა უწინარეს ჩვენი დიდებისათვის“ (I, კორინთელთა, 2, 6, 7) (7, 358).

სულიერმინდის ქნარად წოდებული მოციქული ასევე განასხვავებს „ხორციელ გონებას“ (კოლასელთა, 1, 9) (7, 431), „ხორციელ სიბრძნეს“ და „ღვლის მადლს“ (II, კორინთელთა, 12) (7, 385).

სულიერი მამისთვის მიუღებელია „ფუჭი ამპარტავნობა ხორციელი გონებით“ (კოლასელთა, 2, 18) (7, 433).

მისი იდეალია სულიერი გონება, ზეციური სიბრძნე: „ვლოცულობთ ოქეგნთვის, რათა აღიგსოთ მისი ნების შეცნობით, ყოველნაირი სიბრძნითა და სულიერი გონებით“ (კოლასელთა, 1, 9) (7, 431).

პავლე მოციქული ინტელექტუალურ გონიერასთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს „სულიერ გონიერას“.

უზენაესის შესაცნობად საჭიროა „სიბრძნისა და გამოცხადების სული“: „ვლოცულობ,... რათა მოგცემ ჩვენი უფლის იქნო ქრისტეს ღმერთმა, დიდების მამამ, სიბრძნისა და გამოცხადების სული მის შესაცნობად“ (პავლე მოციქული, ეფესელთა, 2, 17) (7, 414).

ნეტარ ავგუსტინე განასხვავებდა ზერელე „სწავლას“ და „შემეცნებას“ (8, 47-48), კიცხავდა ხორციელ სიბრძნისმეტყველებას“ და მას უწოდებდა „სხეულებრივი გრძნობების უძლურებას“ (8, 4-50).

„საუკუნოს შემეცნებისათვის საქმარისი სიმახვილე გონებისა ჯერ არ შეუძენია იმ ადამიანს, ვისაც მხოლოდ ხილულისა სწამს, ანუ წარმავალი საგნებისა. მაგრამ ასეთი სიმახვილე გონებისა იმას აქვს მომადლებული, ვინც ერთ ღმერთს განადიდებს – დამბადვებელს და მომწერიგებელს“ (8, 52).

წმიდა ნილოს სინელი წერს: „დიდი ძალისხმევით მოსწყვიტე თვალი ამქვეყნიურს, რამეთუ მისგან ამომავალი მავნე გვამლი აღამდვრევს სულს.

ყოველდღე ეზიარე საიდუმლო სერობას.

...გერვინ შეიქნება ღირს ზეციურ და ჰეშმარიტ მეუფისაგან სულიწმინდის ზეციური მადლის მიღებისა, თუ უწინარეს არ გაიწვრონა წმიდა მცნებათა სწავლებით. და ამდენად ვერც თვით მადლის ზეციურ საჭურველს მიიღებს და ვერც გავაბოროტ სულებთან ბრძოლაში“ (8, 110-112).

ვაჟა ეგრისელის „შუბია“ მარადისობა (ღმერთი): მარადისობა ხელო ავიღო, ვითარცა შუბია...“

მისი იარაღია „მზე“ და „სიხარული“ – ღმერთი: „და დარჩენილი ჩემი დღვეები მზეს და სიხარულს, ვით იარაღს კვლავ აისხამენ, როგორც მცხეთა და როგორც სარკინე, რადგანაც ვიცი, ბედი მრისხანე, ვით იაკობს, თვით უფალთან რომ შემარკინებს“.

პავლე მოციქული ამხელდა იმათ სერობებს, რომლებიც ერთად იკრიბებოდნენ, მაგრამ „უფლის სერს“ არ ჰამდნენ (I კორინთელთა, 11, 20) (7, 373).

„ვაჟა ეგრისელი მიჰყვება „გზას ხილულს და გზას უხილავს“.

საიდუმლო სერობის მოტივი უმთავრესია მის შემოქმედებაში:

„შენი ლექსი, ციცქა ლექსი, დიდ ტილოებს მიტომ მეტობს, საიდუმლო სერობია მასში მეტი, ვითარც ფუნჯში ტინტორეტოს“ (შენი ლექსი).

წმ. ნიკიტა სტიფატე წერს წმ. სვიმონ ლვოთისმეტყველზე: „სიბრძნის მწვერვალებს შესწოდა, ღრმა რწმენით გარდამოვიდა კიდევ მასზე სული სიბრძნისა“.

...მას საღმრთო ნათელი ლაპარაკივით უნათებდა გონებას და საგვებით ნათლად გამოთქვამდა და წერდა იმასაც, რასაც ნათელმხილველის მზერა ხედავდა“ (9, 441).

ნათელმსმენი და ნათელმხილველია ვაჟა ეგრისელი: – „ნათელმსმენს და ნათელმხილველს ნატვრა როგორ აუსრულდა. ციდაც ვიდაც უხმობს: მალე! მიწაზე მზე გადასულთა – გულის ყურს და სულის ოვალებს“ (ნათელმსმენს და ნათელმხილველს) (5, 49).

წმინდათ, ლვითისმოყვარეთ „განაბრძნობს უფალი, ხოლო ვისაც თავი ბრძნად უჩანს, იგი ლვთაებრივი სიბრძნისაგან განდგომილია (წმ. ისაკა ასური) (10, 232).

....თუკი კოველთვის საღმრთო აზრებით იქნები დაკავებული, მაშინ ჭეშმარიტად იხილავ შენს სულში ქრისტეს ნათელს, დაუდამებელს“ (10, 240).

წმინდა მამა გვმოძღვრავს: „სიმდაბლის გარეშე კაცი სრულყოფას ვერ მიაღწევს და მისი თავისუფლების სიგელი სულიწმინდის ბეჭდით არ იქნება დაბეჭდილი“ (10, 243).

ვაჟა ეგრისელის სიტყვას „ბეჭდი აზის მზის“.

მზე – საღმრთო სახელია.

სიმდაბლე და მორწმუნოება მიიჩნევა სულიერი ხედვის გადვიძების პირობად:

„ვისაც სიმდაბლე არ გააჩნია, ვერასოდეს მოიპოვებს სულიერ ხედვას, ხოლო სარწმუნოების მეშვეობით სულიერი თვალი ღმერთს ხედავს“ (10, 435).

თავმდაბლობით, მორწმუნეობით სულიერი ხედვა აქვს გახსნილი ვაჟა ეგრისელის პოეზიის ლირიკულ გმირს, ის არის „უფლის მონა და მიამიტი“ და ისო ზირაქივით ხედავს მზისთვალება უფალს: „...და ვითარცა ისუ ზირაქს, შენც გიხილავს მზისთვალება უფლის მზერა“ (11, 37).

„ღვთისმეტყველნი გვიცნობიერებენ, რომ არსებობს „ჯვარი თვისი და ჯვარი ქრისტესი“.როგორი მძიმე ჯვარიც არ უნდა იტვირთოთ, იგი ფუჭია, ამათ, თუ მაცხოვენის შედგომის შემდეგ ქრისტეს ჯვრად არ გარდაისახა“ (10, 438).

„ჯვარი თვისი“ ქრისტეს ჯვრად გარდაისახება მათთვის, ვინც ქრისტეს გზას შეუდგა, რამეთუ ცხოვრების მიზნად ქრისტეს მცნებების აღსრულება დაუსახავს. ყოვლადწმინდა მცნებების აღსრულება არის ჯვარი იმ ადამიანისა, რომელ-ზედაც თავად უნდა გავიდეს, ჯვარს აცვას გადაღრუებული და ხრწნადი ადამიანური ბუნება, ვნებებით და გულისთქმით“ (გალატელთა, 5, 24).

„ჯვარი მძიმეა, ვიდრე იგი არის „თვისი“, ქრისტეს ჯვრად გარდასახული კი უჩვეულოდ აღმსუბუქდება. თვით უფალიც ხომ ამბობს: „უდელი ჩემი ტარებულ არს და ტვირთი ჩემი სუბუქ არს (მათე, 11, 30) (8, 439).

„ჯვარი ქრისტესი ჯვარცმულ ქრისტეს მოწაფეს დედამიწას წარტაცებს, საკუთარ ჯვარზე გაკრული, შემმეცნებელი ამაღლებული სიბრძნისა, გონებითა და გულით ზეცად აღიტყორცნება და ჭრების სულის საიდუმლოს უფლისა ჩვენსა ქრისტესსა“ (10, 441).

ჯვარცმის და ამაღლების მოტივი მრავალგზის გაიქცერებს ვაჟა ეგრისელის პოეზიაში: „ლაზთა წინაპარ ორფეოსივით – ხელთა გაქვს მზის და მთვარის საკრავი, რომელთა პანგებს მარად უსმენდი. დღეები ჯვარზე მაინც გაკრავენ, მწამს – ქრისტესავით დაილურსმები“ (ლაზთა წინაპარ ორფეოსივით) (5, 654, 2).

სხივშემოსილი (სხივი, შუქი, ძე ღმერთის სახელია) პოეტი თავისუფალია ჯვარცმის შიშისან, რადგან იცის, რომ ამაღლება, უფლის სავანეში ყოფნა მხოლოდ რწმენისთვის სისხლის გამღებთა ხვედრია: „ალბათ ჯვარზე გაგაკრავენ და მით უფრო გალადდები... შემოსილი სხივთა მარჯნით – ქრისტესავით ამაღლდები და დაჯდები უფლის მარჯვინგ“ (შემოსილი სხივთა მარჯნით) (11, 532).

ღვთისთვის იობის ტანჯვის გადასატანადაც მზად არის მისი პოეზიის ლირიკული გმირი: „ღვთისთვის, ვითა იობმა, უნდა მეტი ითმინო, უნდა მეტი იელვო, რომ იხილო წყვდი-

ადში მზე ვით მითინათინობს, მოვარე ვით მიტარიელობს“ (11, 364).

გზე ღმერთის, მოვარე კი მარიამ დვოისმშობლის სიმბოლური სახელია (12, 124).

წმიდა გრიგოლ ნოსელი წერს მოსეს შესახებ: „საღვთო იღუმალგანდობამ განაბრძნო წყვდიადით გარემოცული მოსე. საიდუმლო სწავლის შეძენით საკუთარ თავს წარემატა იგი“ (13, 113).

მაგიაში გაწაფული ბალაამი სულიწმიდის მობერვით „საღვთო განზრახვის ქადაგად იქცა“ (13, 118).

ღმერთს ეწოდება აზრი და მოაზროვნე, სიბრძნე და ბრძენი, გონება და გონისეული, სიცოცხლე და ცეცხლი, ძალა და შემძლება“ (იოანე დამასკელი) (4, 337).

„სულიწმიდა... ითქმის სულად ჭეშმარიტებისა და სიბრძნისა“ (14, 341).

„ღმერთშია „სიბრძნის და ცოდნის ყველა დაფარული საუნჯე“ (პავლე მოციქული, კოლასელთა, 2, 3).

„პეთილი ისაა, რაც ღმერთს ნებავს, რჯული კი არის ამის მსწავლელი მეცნიერება, რათა მასში მყოფნი სინათლეში ვიყოთ“ (იოანე დამასკელი) (14, 454).

წმიდა ბასილი დიდი მოგვიწოდებს „დავამხოთ დვოის მტერი ხორციელი სიბრძნე“ (15, 92), რადგან იგი „ფუჭი ტვირთია“ (15, 26).

ქართველი პიმნოგრაფი იოანე მტბევარი ევედრება ღმერთს: „აღმავსე საღმრთოთა მეცნიერებითა“ (16, 190). ხოლო ბასილი არის, საღმრთოისა სოფლითა სიბრძნითა აღსავსე“ (16, 117), „სიბრძნის უფსკრულთა“ მავალი (16, 117, 70-75).

ვაჟა ეგრისელის პოეზიის ცენტრალური თემა არის ღმერთი, რწმენა, ღმერთისუარმყოფელი ეპოქის ტრაგედიების მხილება. პოეტი ღმერთის თანამგრძნობია, „უფლის მონა და მიამიტი“ და ამიტომ დგას მის შემოგარენში სულის საკვირველი გაზაფხული: „უფალი ჩემში განვასხეულე, ჩემი სიცოცხლის გაზაფხული დღეებს უკვირდა“ (უფალი ჩემში განვასხეულე) (1, 63).

სიწმინდით, ლოცვებით ეხსნება ცათა კარები, რათა იხილოს უხილავი, ჩაწვდეს ზეარსებულის არსეს: „მწუხარში ზრიალით განიხვნება ცათა კარები, ლოცვების ბურუსს

მიმოფანტავს ზესთა კრებული. დარეკავს წამი – „უხილავის მოსახილველი, განმიცხადება მგრსანს არსი ზეარსებულის და ფრთე ნათლისა გადამიცლის სახით ფრინველის“ (ილორი).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორისთვის „უპირველესი სიბრძნე არის ღმერთი. პოეტის ფიქრი „ციურ ქვაზე“ იღესება, ანუ მორწმუნე პოეტი საღვთო სიბრძნეს უყრდნობა: „...და დგება ჟამი ციურ ქვაზე აზრების ლესვის... ფიქრების რძიდან მთვარესავით ამომყავს ლექსი“ (როს სოფლის თავზე) (5, 748).

უფლის შემწეობით „სიბრძნის ქვაზე“ იღესება და რწმენის ხნულში ითესება უზენაესთან წილნაყარი სიტყვა: „უფლის ნებით შემწევს ძალა სიბრძნის ქვაზე აზრის ლესვის... და თუნდ იყოს კლდე პიტალო, რწმენის ხნულში სიტყვის თესვის, მიტომ უნდა აიგანოთ ქედმაღლობა ჩემი ლექსის“ (მიტომ უნდა აიგანოთ) (1, 695).

„ციური ქვა“, „სიბრძნის ქვა“ არის ქრისტეს მეტაფორა.

ახალ აღთქმაში ქრისტე არის „ცოცხალი ქვა, ადამიანებმა რომ დაიწუნეს, დვთისგან კი რჩეული და ძვირფასია“ (I პეტრე, 2, 3) (8, 304).

ქრისტე არის ლოდი, რომელმაც კერპი შემუსრა, ვეებერ-თელა მთად აქცია და მთელი დედამიწა დაფარა (დანიელ წინასწარმეტყველი, 2, 34) (4, 297).

ესაიას წინასწარმეტყველებაში ქრისტეს სიმბოლოდ ფიგურიორებს ქვა, ქვა გამონაცადი, ძვირფასი ქვაკუთხედი, მყარი საძირკველი: „...ასე ამბობს უფალი ღმერთი: „აჲა, ქვა დავდევი სიონზე საძირკვლად, ქვა გამონაცადი, ძვირფასი ქვაკუთხედი, მყარი საძირკველი, მასზე დანდობილი არ აჩქარდება“ (ესაია, 28, 16) (4, 93).

საუკუნებრივი დირქებულება მხოლოდ დვთიური ცეცხლით მოსულ სტრიქონებს შეიძლება ჰქონდეთ: „მარადეამს დვთიურ ცეცხლით მოსილი მბრწყინავი თვლებად და მინანქრებად, საუკუნეთა ნადავლს რომ წონის, აზრის გოდოლზე დანთვ-ბული სიტყვის კოცონი, შენი – სამშობლოს ფიქრთა მთაზე აღარ ჩაქრება“ (მარადეამს დვთიურ ცეცხლით მოსილი) (2, 830).

პოეზიის გზაზე ვაჟა ეგრისელი არის თანამგზავრი მზის, სიცოცხლის, სიყვარულის (საღვთო სახელებია), რათა უზენაესის თანხლებით გაიაროს სამყაროს ყველა კიდე: „მზით

და სიცოცხლით და სიყვარულით და თოხისტარზე გამოკრული მცირე სამხარიო, გზას მიუყვება ერთი პოეტი, ნახა მაღრიბი... მიდის სამხრეთით... ელის მაშრიყი და ჩრდილოეთი“ (ერთი პოეტი) (2, 363).

სიტყვის უსასტიკეს ომში მისი უმთავრესი იარაღია მზე, სიხარული (საღვთო სახელებია) და როგორც ყველა ჭეშმარიტ შემოქმედს, ღმერთან მებრძოლი ბიბლიური იაკობივით, უფალთან შერკინება უწერია: „ბრძოლა მომელის უსასტიკესი და დარჩენილი ჩემი დღეები მზეს და სიხარულს, ვით იარაღს, კვლავ აისხამენ, – როგორც მცხეთა და როგორც სარკინე, რადგანაც ვიცი, ბედი მრისხანე, ვითარც იაკობს, თვით უფალთან რომ შემარკინებს“ (ბრძოლა მომელის უსასტიკესი) (1, 293).

მართლაც, მისი საჯილდაო ქვა უფლისმიერი სიბრძნეა და ამ გაგებით პოეტის ხვედრი უფალთან მორკინე იაკობისას ჰგავს.

ვაჟა ეგრისელი არის მარადის ცისქენ მზირალი, ღვთისმოსავი, მისი სიტყვა სჯულის კანონივით, საღვთო წერილივით დიდი აზრის შემცველია, ყოველგვარ მრავალსიტყვაობას, ფუჭსიტყვაობას განრიდებული: „მარადეამს ცისქნ ჩანგ შემართული, მეხთამტყორცნელი და ღვთისმოსავი, დამურვებელი ზღვის და მზის პანგის, სწორედ ისეთი შენ ხარ მგოსანი, აზრის მფლანგველი, სიტყვის კრიუანგი“ (მარადეამს ცისქნ ჩანგ შემართული) (2, 563).

პოეტს ეძახის მზე, სინათლე, სიშორე, სადაც „ცის ყვავილები“ ეგულება: „...მთვლემარე დამეებიდან მესმის ძახილი მზის და სინათლის, რადგან სიშორის კენწეროებზე მარად ყვავიან ცის ყვავილები“ (ცის ყვავილები) (1, 543).

მზე, სინათლე, ყვავილი საღმრთო სახელებია.

მარადისობას – ღმერთს, მარადიულ სიბრძნეს ეძებს ზეციური ცეცხლით მოსილი: „...და მამაღმერთი ტოვებს ბაბილონს, ირგვლივ დამეა. განა მზე არი. მარადისობა სადღაც ყვავილობს, მეც იქ ამოვალ ცეცხლით-ზენარით (ცაზე ეცემა ჩრდილი გოდოლის) (5, 242).

შორეული სივრცისა და დროისათვის არის გამიზნული პოეტის მიერ შეკრებილი და გათავისებული მარადიული სიბრძნე – „ციურ აზრთა ნადავლი“: „...სადღაც შორეთს

მიპქრიან შენი ლექსის რაშები და თან მიაქვთ მსოფლიოს ციურ აზრთა ნადავლი“ (ზღვა ბობოქრობს მგოსანთა) (5, 948).

სიბრძნეს, სიტყვას, ღმერთს ეძებს ვაჟა ეგრისელი ბიბლიური წინასწარმეტყველებივით: „ეძებს და ...მუდამ პპოვებს... მარადისობის შერთვის, ფიქრი - აწუხებს პოეტს. პოეზია, ვით ღმერთი, არის ანი და პოე“ (ეძებს და მუდამ პპოვებს) (2, 187).

მშობლიურ საქართველოში, მცხეთაში, სადაც ქრისტეს კვართია დამარხული, სადაც ბიბლიური ქალდეველების, დავით წინასწარმეტყველის შტამომავლები - ქართველები ცხოვრობენ, ბუნებრივია იქსოს კვართის, დავით წინასწარმეტყველის შურდულისა და ქნარის მოლანდება: „...და ქართვლის ცაზე კვლავ მელანდება: „იქსოს კვართი, შურდული და ქნარი დავითის“ (ქნარი დავითის) (1, 485).

ასევე, ბიბლიურ სიბრძნესთან წილნაყარს, უფლება აქვს განაცხადოს: „ხმას ვცნობ მათეს სახარების და დავითის საგალობლის“ (ხმას ვცნობ მათეს სახარების) (5, 818).

ვაჟა ეგრისელი მხოლოდ ფსალმუნების ავტორს ეჯიბრება ქართული სულის ბადის, „გალობათა ციხე-კოშეის აშენებაში: „ვითარცა დარეჯანის ძე, მეცა ვარ ქრისტეს ნათლული და, ღმერთო, ისიც მაღირსე, რომ ავაშენო ქართული ბადი დავითის ბადისებრ“ (ვითარცა დარეჯანის ძე).

ვაჟა ეგრისელი გვეცხადება, როგორც „პოლხეთიდან მოსული... ქრისტეს მხედარი“ (5, 861), რომელიც ახლებურ, კოლხურ ფსალმუნებს ქმნის: სხვაა კოლხური „ფსალმუნი“, სულ სხვა ჰანგი აქვს იადონს. მნელ გზას ვერ გავიორდებ და სათქმელს ვედარ მივანდობ: სონეტს, ტერცინას, ტრიოლეტს“ (სხვაა კოლხური ფსალმუნი) (5, 857).

არა სონეტები, ტერცინები და აღმოსავლური ტრიოლეტები, არამედ პოეტის იდეალია სასულიერო უანრები - „მთიებივით ტროპარი, ლოცვისფერი კონდაკი“: „ვითა ცეცხლი პრომეთემ, ღმერთს რომ ჩუმად მოპარე (შენ უფლება გქონდა კი?!!) მთიებივით ტროპარი, ლოცვისფერი კონდაკი“ (ტროპარი და კონდაკი) (5, 812).

„სიბრძნის ქვევრში დაწმენდილი სიტყვა და აზრი უზენაეს სიბრძნესთან წილნაყარი ზედაშეა, რაც პოეტური თავისუფლების საწინდარია: სიბრძნის ლაგგანში დადუდდა სიტყვა და

აზრმა იმაჭრა, მით არ გიმტყუნა კალამმა, ცა – ქუდად აღარ მიგაწნდა და დედამიწა – ქალამნად“ (სიბრძნის ლაგვანში დადუღდა) (5, 752).

ვაჟა ეგრისევლს სწამს და ეიმედება მხატვრულ-რელიგიური სიტყვის მკურნავი ძალის: „და შენ სიტყვით კურნავ სნებას, როგორც გალილეველი...“

პოეტი გამუდმებით დაეძებს „სიბრძნის ღვინოს“, მაგრამ არა მიწაზე, არამედ უზენაესის სავანეში: „მსურს, რომ სული განვიკურნო მთვარის ჩანგით, სიბრძნის ღვინით, როცა უფლის ცას შევუვლი, დამის დარდში გახვეული მნათთა შორის ცოდნა ღვივის“ (დამის დარდში გახვეული) (5, 100).

მთვარე მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლური სახელია (12, 124).

ღვინოს ქრისტეს სიმბოლოდ გააზრების მაგალითს ესაიას წინასწარმეტყველებაში ვპოულობთ: „გაუმართავს ცაბაოთ უფალი ყველა ხალხს ამ მთაზე ნადიმს მსუსე კერძებით, ნადიმს ძველი ღვინით, ძველი, დაწმენდილი ღვინით“ (ესაია, ო. 25, 6) (7, 91).

პოეტის ცოდნის წყარო ისევ და ისევ უზენაესია, როგორც ვხედავთ. რაც შეეხება სულის განკურნებას, ისიც უზენაესის მადლია: „მკურნალობა უზენაესისაგან არის და ნიჭიც მეუფისგან ეძლევა მას“ (სიბრძნე ზირაქისა, 38, 2) (4, 61).

ბრძენთა გონის ძიებას პოეტი მიჰყავს ჰერაკლესა და აქილესის აღმზრდელ ექტავრ ქირონთან, რომელიც იყო თესალიის მთებში მობინადრე ბრძენი, „ღვთიური მსეცი“, ტყის დემონი, ორმაგი ბუნების. უკრავდა ოქროს ქნარზე, იყო მკურნალი. ორფეოსს ასწავლიდა ქნარზე დაკვრას, იბრძოდა სიმართლისთვის. ეს სიკეთე ჩაუნერგა ათენამ“ (აკაკი გელოვანი) (17, 518).

ყველგან ფიქრებს, უსაზღრო და უნაპირო აზრს, ბრძენთა გონს ეძებს ვაჟა ეგრისევლი და ამიტომ აინტერესებს კენტავრი ქირონი: „ღრუბლები კი ფიქრებია, მთვარე – დამის აზრი არის, უსაზღვრო და უნაპირო. ვით ჰერაკლე, ბრძენთა გონს რომ მაზიაროს, კვლავ დავეძებ კენტავრ ქირონს“ (ქირონი) (5, 36).

სიბილას წიგნებსაც შემთხვევით არ ახსენებს „კოლხური ფსალმუნების“ აგზორი: „ვითარც სიბილას წიგნები, ჩემიც

ნაწერია მზის მელნით და მთვარის კალმით, ფოთლებზე პალმის“.

სიბილა იყო ზემთაგონებული წინასწარმეტყველი ქალი. სიბილების წიგნები – 14 წინასწარმეტყველის წიგნებია, ქრისტიანული და წარმართული ეპოქის, სხვადასხვა დროს შედგენილი. ესაა ქალაქთა და სახელმწიფოთა ბელის მაუწყებელი წიგნები. ქრისტიანობამ მიიღო ისინი, რადგან სიბილები ქრისტეს გამოცხადებასაც ქადაგებდნენ (17, 447-448). პოეტი მზის და სიბრძნის სავანით, სიბრძნის ზღვის ამოთავთავებით ხარობს: „ორი ათასი წლის მერე, ამოდი, ამოთავთავდი – სილურჯედ იასამანის. მზისა და მთვარის სავანებ, ზღვაო, გულწრფელო ცათამდე“ (ორი ათასი წლის მერე).

ზღვა პოეტის ბრძენი სულია, რომელშიც მზე (ლმერთი) და მთვარეა (ლვთისმშობელი) დამკიდრებული. ეს სიბრძნე გამორჩეულია გულწრფელობით, სიწმინდით.

ლმერთის მადალ გზაზე სიარული ერთეულთა ნიჭია: „გზას ხილულს და გზას უხილავს, მაღლა, მაღლა მიხდევ უხმო მეხთა – ტეხად და ქუხილად“ (ისევ ამაღლება) (5, 909).

პოეტის სული „უხილავით“ (ლმერთით) გატაცებული სიმაღლის მოყვარული სულია: „ისევ ველტვი უხილავს, არად მგდები ხილულის, რადგან ამას მავალებს სული, აღმა მავალი“ (ეკლესიის ზარები) (1, 645).

„უხილავის“ მოსახილეველად, უსმენელის მოსახმენად ეპატიუება მკითხველს „კოლხური ფსალმუნების“ ავტორი (2, 920).

„უპვდავ სხივთა ნათელი“ ესხურება ზეციდან (ქრიან საუკუნები) (5, 452), ლვთისგან ხელდასხმული, რწმენით მაღლდება: „ამაღლდები! აღწევს ელვად მამა-უფლის ხმა, ძახილი. რწმენის მირონს ცა აპკურებს“ (5, 715).

„ბელტა ყაყანში“ ეძებენ სხვა ავტორები მოგების გზას, კოლხური ფსალმუნები კი მეცხრე ცაში, სილაუვარდეში დანავარდობენ: „ათასწლეულთა ზარაფხანებში მგოსნის ფიქრი რომ დააგირაონ, ბელტა ყაყანში შარას იგნებენ... და ფრთებაშლილი შენი წიგნები მეცხრე ცის იქით, სილაუვარდეში, უცხო ყივილით პკრავენ ირაოს“ (შენი წიგნები) (5, 696).

რწმენით ხდება „განთიადის“, „წმინდა ნათელის“ მიგნება: „აპა, ამაღლდნენ ჩემი ფიქრები განთიადამდე, სადაც რწმენა მარად ციმციმებს და თავს ევლება წმინდა ნათელს ფარვანასავით“ (ამაღლება) (5, 127).

სულის სხეულზე ამაღლებით არის შესაძლებელი დგომის საუფლოში შეღწევა: „ამაღლდი სულო! სხეულიდან ამოიწიე! (გებდაუჭება მიწიერი არამიწიერს) და დგომის საუფლო, უსამანო ლაჟვარდს გახედე! ეს სულ ერთია სივრცეები გერთვის თუ ერთვი და ამით უფალს თუ შესცოდე, ამ „სითავხედეს“, მაღალია და... შეგინდობს ღმერთი“ (ამაღლება) (5, 29).

არა ცოდვილთა ეკლიან გზაზე, მარადისობის წმინდა სავანეში მოგზაურობს წმინდა სული: „შენმა სიცოცხლემ აფრა აუშვა მარადისობის მგრგვინავ გზაზე სახეტიალოდ“ (2, 147).

„უფალი ჩემში განვასხეულე“ – ასეა გამოხატული უფლის ხატად და სახედ შექმნილი ადამიანის მხგავსება სამყაროს უფალთან.

დგომით და ლოცვებით გატაცებული სული წმინდა, მაღალი სულია: „ცათამდე ამაღლებული კაცი ფიქრით და ოცნებით, დაბლა მიწაზე ვერ ივლის. მე ვცხოვრობ დგომით და ლოცვებით, მეუდაბნოე ბერივით“ (ცათამდე ამაღლებული) (2, 681).

ვაჟა ეგრისელის პოეზიის ლირიკული გმირი არის „მეუდაბნოე, დვთის მოშიშ ბერივით მწირი და მარტვილი და კვირის ლოცვებით მონუსხეული“ (მეუდაბნოე, დვთისმოშიშ ბერივით) (5, 294).

მხოლოდ დმერთშემოსილთა ხვედრია ცათა უფსკრულებში ჭვრეტა, კაცობრიობისთვის ახალი, მარადიული სათქმელის მიწოდება, ახალი ესთეტიკური სამყაროს შექმნა, ხოლო აქტუალური სიტყვის მიგნებას მოელი სიცოცხლე სტირდება თავდაუზოგავი ძალისმევა: „სამოსელი უფლის გმოსაგს, დამის უფსკრულებში ჭვრეტელს, უკვდავების მირონს აკმევ ფანტომებს, ახალ სივრცეს უჭრი სარკმელს, სიცოცხლე რომ მოანდომე“ (სამოსელი უფლის გმოსაგს) (2, 67).

ზესთასოფლის მკიდრია ნათლითშემოსილი პოეტი, მიწიერი, მაგრამ მზესთან, მთვარესთან წილნაყარი, ცისქნ

მზირალი და საბოლოოდ სიმაღლეში, მნათობებთან დავანებული: „ნათლითშემოსილს, ვითარცა ქრისტეს, ეძახდა სულ სხვა სოფელი, რადგან მიწიერს მზის და მთვარის სისხლი ერია და... მიმწუხრისას ამაღლდა ცისკენ – მნათობთა მტვერში გაერია“ (ნათლითშემოსილს, ვითარცა ქრისტეს) (2, 686).

იგი, როგორც საღვთო სიბრძნის გამთავისებელი, ღმერთებთან მოპაექრეა: „მოწყაღლებით გინათებს იქიდან – წინაპრის სული თუ დამე! გიხდება ღმერთებთან დავა, ამ ბობოქარი ჟამის – აღმადინებით მავალს“ (5, 654).

„რაღაც მდგრიე, რაღაც არაქაური“ აფორიაქებდა გალაკტიონს.

„არაქაური უბერავს ქარი“ (5, 414), ამბობს ვაჟა ეგრისელი და შთაგონების იდუმალ ქარებს უსმენს.

„გონიერი კაცის სიბრძნე საკუთარი გზის შეცნობაშია, უმეცართა სიბრძნე კი ცრუობაშია“, გვასწავლის ბრძენი (იგავნი სოლომონისა) (14, 6) (4, 626).

უფლის მაღლით მოსილს, მზის გვირგვინოსანს, საქართველოს ცის მკვიდრს საკუთარი თავის შეცნობისაკენ მოუწოდებს იდუმალი ხმა: „უფლის მაღლით მოსილი და მზის გვირგვინოსანი საქართველოს გშვენის ცა. ვიღაც კივის, მგოსანო! „თავი შენი შეიცან!“ (თავი შენი შეიცან) (5, 495).

„იმ ერთმა გამოიარა ბნელი მზიანი დამისა“ – ასე ორიგინალურად გამოხატა პოეტმა საქუთარი ღვთისნიერობა, რადგან მის მიერ განცდილი „მზიანი დამე“ ოვალშეუდგამი ნათელია, ანუ ღმერთი.

საგნებისა და ასტრალების სამყაროს, ხილულისა და უხილავის, შორეულის და ახლობელის სულით განჭვრეტას აგალებს ხვედრი: „იდუმალ მხმობს სამყარო მდგრიე და ასტრალური და ერთად ვჭვრეტ შორეულ ხილულსა და უხილავს“ (მღვრიე და ასტრალური) (5, 522).

ღვთიური იდუმალება, მოკვდავთათვის შეუცნობელი, ქრისტიანული სამებაა თაყვანისცემის საგანი: „ღვთიურ იდუმალებით – შენი – მგოსნის სამიზნე პვლავაც არის მოცული. შენში სუფევს სამი მზე, სამივეზე ლოცულობ“ (სამი მზე) (5, 231).

წარმოუდგენელია ამაზე ახლოს მისვლა უზენაეს იდეალთან.

უფლისგან ხელდასხმული, სამებისაგან განუყრელი, მიზნად ისახავს ადამიანის მეს, სიკვდილ-სიცოცხლის, ზესკნელ-შუასკნელ-ქვესკნელის საიდუმლოებათა წვდომას და ტკბილი წამებაა ეს მარადიული ძიება: „ცხოვრებაა – წამება, რადგან როგორც სამება, ერთურთს გადავეფსკვენით: მე, სიცოცხლე, სიკვდილი, ზესკნელ-შუასკნელ-ქვესკნელი“ (სამება) (5, 552).

ათასწლეულებისთვის არის გამიზნული მზესთან და მთვარესთან წილნაყარი, და ვარსკვლავებიანი ცისგან შთაგონებული სიტყვა: „მზისა და მთვარის როდინით ათასწლეულებს დანაყავს სიტყვა და... მუდამ ვშეფობდი: მთას – მუდამ მზირალს ამაყალ, ცას – ვარსკვლავებით შეფორთლილს“ (მზისა და მთვარის როდინით) (5, 101).

საუკუნეების, წუთისოფლის საიდუმლოებების შეცნობა, უზენაესის კარიბჭემდე მისაღწევი სიტყვის მიგნებაა პოეტის უზენაესი მიზანი: „მას ძალა შესწევს ქადილის და ფიანდაზებად საუკუნეებს ფეხქვეშ დაიგებს. სიტყვის ქამანდით წუთისოფლის ქროლვას დაიჭერს, კიდევ ცოტა ხანს თუ დააცდის არსთა განმრიგე, ო, უხილავო, მოაღგება ის შენ კარიბჭეს“ (ო, უხილავო) (1, 661).

დანტე ბრძანებდა: „ნააზრევმან ფილოსოფოსთა და ხმამან, ციდან ჩვენს მიწაზე ჩამოღწეულმან, მათ ამოტვიფრეს სიყვარული იგი ჩემს გულში“ (18, 183).

ვაჟა ეგრისელი გაბრძნობილია წმინდა წერილის მარადიული აზრებით, მსოფლიოს რჩეულ ღვთისმეტყველოთა, ფილოსოფოსთა, სასულიერო პოეზიის ნათელმოსილ სახეთა, უცხოური და ქართული კლასიკური ლიტერატურის კორიფეების, ხალხური შემოქმედების მოგთა სულიერი ნათელით.

მისი შემოქმედების უპირველესი წყარო არის ბიბლია: „და მოვუხმე ორ დიდ დავითს: ერთს, ვით მეფეს და მესიას და მეორეს მეფსალმუნებს“ (ორ დიდ დავითს) (...270გ).

სწორედ „ფსალმუნების“ ავტორს ეჯიბრება ქართველი პოეტი, რომ ააშენოს ქართული სიბრძნის ბაზი – დავით წინასწარმეტყველის „ფსალმუნების“ ტოლფარდად მოაზრებული „კოლხური ფსალმუნები“.

ბიბლიური, მარადიული სახეებია დავანებული ვაჟა ეგრისელის პოეზიაში: „...ოქროში მცურავ შენს ყვავილნართან,

თითქოს უდაბნოს სუნთქვა ვიგრძენი და... მოყვავილე ჩემი სტრიქონი წარსულს მოვწყვიტე და მოგიძლვენი, ვითარცა ვარდი იერიქონის“ (ვითარცა ვარდი იერიქონის) (1, 459).

სხვაგან პოეტის ლექსები მოიაზრება, როგორც მამულის „იერიქონის საყვირი“: „...და ჩემი ლექსის ყველა სტრიქონი, მოშურნეთათვის ჩემი მამულის არის საყვირი იერიქონის“...

დავით წინასწარმეტყველთან ერთად, ვაჟა ეგრისელის იდეალია ბიბლიური სოლომონის ნააზრევი და შემოქმედებითად ითავისებს კალესიასტეს სიბრძნეს: „ამქვეყნიურ წყვდიადში რაღგან ელვად გამოჩნდი, ყოფნის უამი იტირე, არყოფნის კი იმდერე, სიცოცხლეც და სიკვდილიც ორივე შეიფერე“ (ამქვეყნიურ წყვდიადში) (5, 568).

ვაჟა ეგრისელის „ციური არის“ მასაზრდოებელია „კლდე“ (ქრისტე) და დვთის „კიბე“ მარიამი: „მთიები სიშორეს გალობენ და ისმის ციური არია – როს უმზერ კლდესა და დვთის კიბეს – ბარძიმობაზე შუქმფინარ მარიამს“ (მთიები სიშორეს გალობენ) (5, 274).

იმედის წყაროა მთა ქორიბის (მოსესთვის ღმერთის გამოცხადების ადგილი) მოსეს კვერთხი (მარიამის სიმბოლო), კლდე (მარიამი), წყალი (ქრისტე): „...იმედად ჩანს მთა ქორიბის, მოსეს კვერთხი, კლდე და წყალი“ (კლდე და წყალი) (2, 270).

პოეტის იდეალია ჯადოსნური მუსიკოსი ორფეოსი, დვთისმეტყველები – დიონისე არეოპაგელი, წმინდა გრიგოლ ნოსელი, რომლებიც სულთა მარადისობაში არწმუნებენ: „სულთა მარადისობას დრტვინავს ზესთა სამყარო და ცისფერი ქარები პგვანან მახვილს ალესილს – მთვარის შესამოსელით. ორფეოსის ხმა მესმის, ზარი არეოპაგელის და „პასუხი ექსუთა... წმინდა გრიგოლ ნოსელის“ (სულთა მარადისობას) (3, 894).

საგულისხმოდ ესახება ქრისტეშემოსილი გრიგოლ ნოსელის მოწოდება – ახალი კაცის – ქრისტეს მოძღვრების გათავისებაზე: „მსგავსად წმინდა გიორგის, ბევრი ათასწლეული ვაებას გაუძელიოთ, ხმაც გვესმოდა ნოსელის: „განიძარცვეთ მუნ ძველი, ახლით შეიმოსენით“...

წმინდა მამის დვთიური ხმა მრავალგზის ჩაესმის: „ეს წუთებია დვთიური: ხმა მესმა გრიგოლ ნოსელის“ (11, 329).

მრავალგზის გასათვალისწინებელია პეტრე იბერის (ფსევდო დო დიონისე არეოპაგელის) და ორანჟის მოძღვრება: „დოქტორი იერარქის, რომელმაც მზე ქართული, უფრო მაღლა აზიდა, თავის მოძღვართან ებრძვის სიკვდილსა და სიბერეს (იოანე ლაზი და...) დიდი პეტრე იბერი“ (დოქტორი იერარქის) (11, 352).

„უფლის წყარო“ მოედინება ვაჟა ეგრისელის შემოქმედებიდან, როგორც ბრძენი დიონისე არეოპაგელის სადღოსმეტყველო ნააზრევიდან, მოსესავით სასწაულმოქმედი კვერთხის მფლობელია: „მეცხრე ციდან ჩამოსული – სინათლის და მზის მთესავი, ვით ბრძანებდა ბრძენი დივნოს; კვერთხს დაჯრავ და კლდეს გააპობ მოსესავით, უფლის წყარომ რომ იდინოს“ (მეცხრე ციდან ჩამოსული) (11, 494).

პოეტს არ ავიწყდება პატივის მიგება დიდი დვოთსმეტყველის – გრიგოლ ნაზიანზელისთვის: „შენც მზეში ჭვრებ სამებას, როგორც ნაზიანზელი“ (11, 14).

დიონისე არეოპაგელს სადღოო ეპითეტით – „საცნაური მზე“ (ქრისტეს სახელია) მოიხსენებს პოეტი: „ფერმერთალ ნისლად, ცისქვეშეთში რაც რომ ვაგე, ვუხმობ – „საცნაურად მზისა“ დიონისე არეოპაგელს“...

ამ ბრძენებთან მოიაზრებიან ლეგენდარული კოლხები აიეტი და ფარტაზი: „...ათასწლეულების მერეც – ვარსკვლავივით ბრწყინავს აზრი: ბრძენი იოანე ლაზის, დიდი პეტრე იბერის და აიეტის და ფარტაზის“ (11, 789).

საწუთოს რაობის უცდომელი დახასიათების მაგალითებია იოანე დამასკელის და ორანჟის ოქროპირის ნააზრევი: „ვითარცა თქმულა, ეს საწუთო ცბიერია და ორპირი. ეს ჩვენ ბევრჯერ დავასკვნით, გამოვცადეთ და მოგპირეთ, მოთქამს ორი იოანე: დამასკელი... ოქროპირი“ (ორი იოანე) (11, 348).

სიბრძნით დახუნძლული და სიყვარულით მოსილი „ყოფნის ხე“ (სიცოცხლის ხე) ქრისტეა, „ათორმეტი ნაყოფით“ ანუ 12 თანამეინახე მოციქულით: „მარადიულ შიშით და სიყვარულით მოსილი შრიალებს ხე – აქ ყოფნის, დახუნძლული სიბრძნით და ათორმეტთა ნაყოფით“ (მარადიულ შიშით და) (11, 340).

ვაჟა ეგრისელს სულიერი ერთობა აქვს ქართული სასულიერო პოეზიის რჩეულებთან – იოანე მინჩხთან და იოანე მტბევართან: „სული ედგათ ციური და უღმერთოდ ვერ

ძლებდნენ, დაბლა, დედამიწაზე მარად დაუტევარნი. ცაში „ყვავილს ეძებდნენ – იოანე მინჩხი და იოანე მტბევარი“ (ხული ედგათ ციური) (3, 848).

ცის ყვავილი ქრისტეა.

პოეტი ამბობს: „და მე სიბრძნეს ვეხესხები ჰიმნოგრაფებს, ჰაგიოგრაფებს (ხანძთაში) (11, 325).

ასევე გაუხუნარია ათი საუკუნის წინანდელი ნააზრევი ხუთი ქართველი ჰიმნოგრაფის: იოანე შავთელის, იოანე მინჩხის, იოანე მტბევარის, იოანე ზოსიმეს და იოანე ბოლნელის: „ათი საუკუნეა გალობა რომ მოისმის უფლისაგან მოვლენილ ხუთი იოანესი: შავთელ-მინჩხის-მტბევარის, ზოსიმეს და ბოლნელის“ (ხუთი იოანე) (11, 351).

პოეტს საყურადღებოდ ესახება ის, რაც „უთქვამს ეფრემ მაწყვერელს, ქრისტეფორე კვირიკელს“ (IX საუკუნე) (5, 273).

ღვთისკენ სწრაფვით იზიდავს „ჭილ-ეტრატის იადგარის“ სტრიქონები: „ციურ სიმყუდროვეში, როცა ის კითხულობდა – ჭილ-ეტრატის იადგარს – უცაბედად მაცხოვრის მაღალ ჭიშკარს მიადგა“ (ჭილ-ეტრატის იადგარი) (5, 531).

„ოქროვან ხანად“ წარმოიდგინება დავით აღმაშენებლისა და მისი ბრძენი მოძღვრის – გიორგი ჭყონდიდელის ეპოქა, გრაალის მფლობელი დიდი მეფის „გალობანი სინაცულისანი“ და იმ გარემოში დავანებული დიდი პოეტურ-ფილოსოფიური აზროვნება სახელდებულია, როგორც „სიბრძნის ჩხანა“ (ჩხანა – მზიანი დღე – მეგრ.): „ამ მეოცე საუკუნეს... დიდი მეთერთმეტის – ოქროვანი ახსოვს ხანა, როცა ქართველთ გულს უთბობდა ჭყონდიდის და დავით მეფის სიბრძნის ჩხანა“ (ამ მეოცე საუკუნეს) (11, 654).

ქრისტიან ასპეტებთან პოეტს ის ამსგავსებს, რომ ისიც ლოცვით დაღლილი მეუდაბნოე ბერივით მზად არის სულის-თვის ხორცი გაწიროს: „ლოცვით დაღლილი, ვითარც მეუდაბნოე ბერი, დამეს წყვდიადში ათევ. ხორცი სულისთვის მიეც. ბნელი შეცვალე ნათლით, ყოფნით, არყოფნა ძლიერ (ლოცვით დაღლილი ვითარც) (5, 975).

პოეტი პოეზიის უდაბნოში ადგვეცილი ანაფორიანი მგალობელი ბერია უფლის ნებით და რწმენის მირნის მაღლით მარადიულობაში მკვიდრდება: „ჩამაცვა გალობის ანაფორა და პოეზიის უდაბნოში უფალმა აღმპვეცა ბერად.

მირონით სავსე მაქვს მზის ამფორა, მას უამი ვერ დაამსხვრევს, ვერა!“ (ჩამაცვა გალობის ანაფორა).

მთავარი ძალა და შემოქმედების იმპულსი დათის მადლია: „მადლს გწირავ, მაცხოვარივით, რომ ამამაღლე შენს ცამდე – უფალო!“ (მადლს გწირავ) (3, 823).

ვაჟა ეგრისელის პოეზიის ერთ-ერთი წყაროა ორი დიდი ფილოსოფოსი – ბერძენი პლატონი და ქართველი იოანე პეტრიწი, რომელთაც სანთელს უნთებს: „შენც, ვითარცა თეოლოგი, ზეციურის ნახვას ნატრობ, ლოცვას მიაქვს მეტი წილი... თუმცა სანთელს უნთებ პლატონს იოანე პეტრიწივით“ (შენ, ვითარცა თეოლოგი) (5, 214).

ორპირ დროშიც არ ხუნდება პატიოსნებასთან წილნაყარი სიბრძნე პლატონისა და პლუტონის: „...სიცრუემ და ორპირობამ სული წალეპა და თქმა მართლისა მზისებრ გაძვირდა, კაცობა პლუტობს. კრძალვით შევცეკერი სიბრძნის ტაძრიდან პლატონს და პლუტონს“ (სიცრუემ და ორპირობამ) (5, 250).

ვარსკვლავეთშია ქართველი პოეტის შეხვედრის ადგილი დანტესთან და ვაჟასთან: „...აჟყვები ვარსკვლავების – ყვითელ ქვაფენილს, კარს მიადგები სად ვაჟა და სადაც დანტეა“ (სადაც დანტეა) (5, 480).

ცის მოხილვის შემდეგ, დანტესავით ქვესკნელს ეახლება:

„ცა გაქვს მოვლილი და ახლა, ვით ალიგიერი, ქვესკნელს უსინჯავ ფერსა და გემოს“ (5, 602), ამბობს იტალიელ გენიოსთან სულიერი ნათესაობის შემცნობი.

„ჯოჯოხეთგამოვლილი“ ქართველი პოეტი მომხრედ, მონათესავედ თვლის რუსთაველს და დანტეს: „მე, ჯოჯოხეთგამოვლილი, ვუხმობ რუსთაველს და დანტეს – მტერი არა! მომხრე მინდა!“

უპირველეს წყაროდ, სტიმულად ესახება შოთა რუსთაველის გენია: „დიდი რუსთაველის სახე წინ მინთია, ვით ლამპარი“ (დიდი რუსთაველის სახე) (3, 143).

ვაჟა ეგრისელი იგავურ-სიმბოლურ ჭრილში კითხულობს შოთა რუსთაველის პოემას, რადგან თვითონაც გათავისებული აქვს ამგვარი აზროვნება: „ხელს გიწვდიდა საალერსოდ ქართული ცის ათინათი... ვეფხვის ტყაგში გახვეული შოთას სიბრძნე“ (ხელს გიწვდიდა საალერსოდ) (3, 228).

დიდ წინაპართან სულიერ ნათესაობას ასეთნაირად გამოხატავს ჩვენი თანამედროვე: „ჩემს წიგნებში გაწოლილი, სტრიქონები კი არა და, შოთას ვეფხვის ზოლებია“ (ავთანდილის ისრით ნატყორცნ) (3, 297).

გენიალური „ვეფხისტეფაოსნის“ სტიმულით შეგულიანებული, მისი ავტორის კვალზე მავალი პოეტი აცხადებს: „ვეფხის ზოლებზე დავწერო, რაც შოთას დარჩა უთქმელი“.

განსაკუთრებით ორი პოეტი აგრძნობინებს ქართული სულის სიდიადეს: „შენ ხარ შოთას ხაგრამი და დიდი ვაჟას ნატამალი“ (დიდი ვაჟას ნატამალი) (3, 939).

ორი დიდი ქართველი გენიოსია მისი გზამკვლევი: „შევცერი მთას და მწვერვალებს, უქრობი ცეცხლი მედება შოთას ფარი და შიმშერი გზას მიკვლევს, მეიმედება, მაგრამ მე ვაჟა მიშველის“ (იმედი) (3, 548).

ვაჟა ეგრისელის დევიზია არა სხვათაგან გამჟღავნებული სიბრძნის გამჟორება, არამედ იმის ძიება, რისი მიგნებაც სხვებმა ვერ მოასწრეს: „ვით დიდი მთები და მწვერვალები – პონტოს მწუხარე ზღვაში აბზინდა – ის, რაც დიდ ვაჟას დარჩა უთქმელი. შენი ლექსების ფარზე აზიდე სიამაყე და სიბრძნე რუსთველის“ (ვით დიდი მთები და მწვერვალები) (3, 46).

გამორჩეულია „კოლხური ფსალმუნების“ ავტორის მიმართება ვაჟა-ფშაველასადმი, რაც, უპირველესად, ერთგვარი პოეტური ინტერესებით აიხსნება: „მე პოეზიის არწივი კვლავ ფრთაგაშლილი წინ მიზის, და ნურვინ მნახოს შემკრთალი. თუმცა ფშაველის – დიდი მზის, სხივი ვარ, ისიც შემკრთალი“ (პოეზიის არწივი) (3, 902).

ეს აზრი მეორდება ლექსში „მე ვაჟას სისხლის წვეთი ვარ“ (3, 1015). „მე ვაჟას სისხლის წვეთი ვარ და... ნურვინ განმაცალევოს“...

სხვაგან ვაჟასთან სულიერი სიახლოვე წარმოდგინდება ამგვარად: „...მძა მგონი ხარ,... წინაპარიც... და ასევე თანატოლი“ (მთაწმინდაზე წევხარ ახლა) (5, 650).

ამ პოეტთა მიმართება სერიოზული კვლევის საგანი უნდა გახდეს მომავალში.

ვაჟა ეგრისელს, როგორც ჭეშმარიტ პოეტს, უსათუოდ სჭირდებოდა სხვა დიდი წინამორბედების – ნიკოლოზ

ბარათაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის გზების განჯვრება: „იქ კვლავ მოისმის ჭიხვინის ხმა „ლურჯა ცხენების“, „ყორნის ჩხავილი“ და „მერანის“ ფლოქის წარუნი“ (სადღაც იდუმალ სიმუდროვეში) (5, 845).

არაერთგზის ახსენებს ორ დიდ წინაპარ რომანტიკოსს – ქართველ ნიკოლოზ ბარათაშვილს და გერმანელ ნოვალისს: „...და ვით ბინადარს მომავლის, ცისკენ გეწევა ცისფერი, ვით ტატოსა და ნოვალისს“ (ცისფერი ყვავილები) (3, 846).

მომავლის პოეტი ოქროს ნავით მიექანება ზეცისკენ, როგორც გალაკტიონი და ნოვალისი: „გარსკვლავთა ოქროს ჯაჭვებზე ჰკიდია მთვარის ოვალი და მიაქანებს ოქროს ნავს – მისკენ პოეტი მომავლის. ალბათ ცა ასე უხმობდა – გალაკტიონს და ნოვალისს“ (მომავლის პოეტი) (5, 552).

წინაპართა სახეები და ხმები გამუდმებით ახსენებენ თავს: „მთას რომ გავხედავ, დამიდგება ვაჟა-ფშაველა, ცას თვალცრუემლიანს – რუსთველი და გურამიშვილი. თოფის ქუხილზე – გაიღლვებს შუბლი ილიას და „სამძღვარს“ იქით ტატოს „მერნის“ ჭიხვინი მესმის“ (3, 112).

მთების სიმაღლესა და სიდიადეში ჭვრებს რუსთაველს, დანტეს, გოეთეს (მთები) (5, 281).

ვაჟა ეგრისელი არის რჯულის, რწმენის მსახური პოეტი, ტრადიციების შემოქმედებითად გამთავისებელი, წმინდა სისხლის პოეზიის ერთული: „ქართული სიტყვის რჯულმდებელი და სტრიქონებში მზის მთესავი, ცურტაველიდან, მერჩულიდან, მისხიდან-მისხით, ყველა შენია ქრისტესავით, რადგან შენი სიტყვა – პოეზიაა წმინდა სისხლის“ (ქართული სიტყვის რჯულმდებელს).

და ბოლოს, სრულიად ლოგიკურად, ქართული სიტყვის მწვერვალების გვერდზე მოინიშნავს ადგილს: „ტანო ვეფხის ტყავის გაცვიათ ქურქი და გადმოჰყურებთ სხვა სიმაღლიდან, სივრცეებს წვდება მზერა ქართული. ქართული სიტყვის უკვდავ ტოტზე მეც ვარ ნამყენი. მიწი-მოწიეთ, მთებო, მხრები გოლიათური და ოქვენთან ერთად მეც დამაყენეთ“ (მთები) (3, 479).

„ქართული სიტყვის ათასწლოვან ტოტებზე მჯდარი“ პოეტის სიტყვას (ვით მაფშალია) (3, 218). „თავზე ნამუსის ქუდი ახურავს, მამა-პაპათა აცვია ხამლი... და ჩემი სიტყვა...“

ამაყია და თავმომწონე, როგორც ცისკრისას ყივილი მამლის, ციხის გოდოლზე დანთებული როგორც კოცონი“ (ჩემი სიტყვა) (3, 702).

ამ სიბრძნით სავსე სიტყვის ორიგინალობაზე, გამორჩეულ ხელწერაზეა საუბარი ვაჟა ეგრისელის ლექსში „ქართული სიტყვის მარანში“ (3, 248): „ქართული სიტყვის მარანში მაჭარით დაუდუღარით ვავსებ – ჭურებს და ლაგვანებს. მსურს ჩემი დვინო სხვას ჰგავდეს, მაგრამ ვერაფრით ვამგვანებ“ (3, 248).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორს „მოწყალებით უნათებს... წინაპრის სული თუ დამე“ (5, 654).

ამ წინაპრებიდან, ტრადიციებიდან უპირველესია კოლხეთი: „აქ, ფაზისის ნაპირებზე თქმულებებს და ოქროს ვერძებს კვლავ ვაძოვებ“ (არა, მეოტიდის ზღვასთან) (3, 954).

საყურადღებოა განაცხადი: „მეც აიეტივით ფაზისის ემბაზში ვარ განბანილი“ (კირძები) (3, 913).

პოეტი ლვოის წყალობად მიიჩნევს, რომ ოქროს საწმისის დიდი სიბრძნის ტრადიციები მის შემოქმედებაში გაგრძელდა საუკუნეების შემდეგ: „აიეტივით მზის შვილი ნაპირებიდან ფაზისის – კვლავ ოქროს ვერძებს მოდენი. შენს ბედს ბეჭედი აზის მზის და... ქვეშ ხელს აწერს ლოდინი“ (აიეტივით მზის შვილი) (3, 889).

მისთვის ახალი ოქროს საწმისია „იქმენ ნათელი“ (სიტყვა ღმერთია) (1, 227), „კოლხური ფსალმუნები“ (იხ. ამაზე ლუარა სორდია, „ოქროს საწმისის პარადიგმები ვაჟა ეგრისელის პოეზიაში, უკრნალი „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, თბ. 2009, № 6-7).

ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაში გაიგოვებულია ოქროს საწმისი და გრაალი. გრაალი გააზრებულია წიგნის იდენტურად და გრაალის იდეალის მხატვრული ხორცშესხმის მაგალითად მიჩნეულია მისი „კოლხური ფსალმუნები“ (იხ. წვენი „ვაჟა ეგრისელის ტიტანური ხუთტომეულის“ „კოლხური ფსალმუნების“ სახელწოდების შესახებ“, უკრნალი „კულტურათაშორისი კომუნიკაციები, თბ., 2009, №6-7), ასევე იხ. წვენი „გრაალი – კაცობრიობის მარადიული იდეალი“, წიგნში „წერილები. აპოკალიფსური სახეები... გრაალის იდეალი... თბ., 2009, გვ. 141-150).

კოლხური თეთრიც თავისი პოეზიის სიმბოლოდ უქცევია პოეტს: „მამულო ჩემი! აჲა, ჩემი კოლხური თეთრი“...

ამ სიბრძნის, სიწმინდის, რჯულის მქვებავია წყლის დვთა-ება იგრისი: „დიდი ხნიდან კოლხეთს სახლობს და ენგურის აკვანს არწევს, სამყოფია აქ მისი. უკვდავების წყალს მაწვდის წყლის დვთა-ება – იგრისი“ (იგრისი) (2, 953).

პოეტი იხსენებს პელიოსის ქება აქციუსს, როგორც სიბრძნის და სინათლის მთესეველს, რომელმაც ეგვიპტეში ააგო პელიოცენტრი: „სიბრძნებს და სინათლეს თესავდნენ ეგვიპტეს და ანატოლიას და ნაშიერნი აქციის: ჩემს ენას არასდროს ჰყოლია არც მეზობელი, არც ნათესავი“ (11, 854).

პოეტს არ ავიწყდება ფაზისის აკადემიაში განსწავლულები: „...აწ უკვდავებს ქამდა სდიოს – სიბრძნემიღებულებს ფაზისს: ევგენიოსს, თემისტიოსს“ (ევგენიოსი და თემისტოსი) (11, 796).

სხვაგან აცხადებს: „კოლხთა სიბრძნეს დადადებენ ქუჯის ციხის ნაგრევები“ (11, 930).

„კოლხური ფსალმურების“ ავტორი თავის სიბრძნეს და სიდიადეს „სულის მზრდელო“ უმადლის: „მზიანი და მზიო მოსილი, სულის მზრდელი უნდა მიქონ, რომ თავს აღგეს ათი მნათი“ (მზიანი და მზიო მოსილი) (11, 350).

რჩეულ შვიდ პოეტთა და შვიდ ბრძენთა მისათვალი კოლხურ სულს აუკვდავებს გულის მალამოდ: „შორ წარსულიდან მოსული, კოლხის სული აქ ტრიალებს, მეასედ მძებნელი სიბრძნეთა და გულს ედება მალამოდ. კაცო! შენ მისათვალო შვიდ პოეტთა და შვიდ ბრძენთა“ (შორ წარსუ-ლიდან მოსული) (11, 905).

კოლხური სიტყვის ოკეანის პოტენციური შესაძლებლობები გაუძირის შემოქმედებაში პოულობს გამოხატულებას: „კოლხური სიტყვის მძინვარ ოკეანეში ჰქვრებ პირველყოფილ პოეზიის ცისფერ ფლორიდებს“ (ფლორიდები) (5, 562).

ისევ და ისევ ამ კოლხური სიბრძნის ძირისა და უესვების ახალ დროში ახლებურად აყვავების შედეგად იქმნება მარადიულის ბეჭდით გამორჩეული სიტყვა: „გვერდითა გყავთ ძიძა პონტო და კოლხეთი ზღვის და ცოდნის უპირველეს აკვანს არწევს. ტალღები კი ჰგვანან კირბებს – წიგნებს, ტყავის ყდაზე ნაწერს“ (გვერდითა გყავთ) (3, 952).

წარსულზე საუბრისას არც მედეა და მისი სამკურნალო ბალახი ასფოთოლა (მოლი) ავიწყდება: „აღარ გინდა ბედი განა?! საპერძნევი კი არადა, ცისქვეშეთიც აათროვლა კოლხურ-გურა-ბედიანამ და მედეას ასფოთოლამ“. („კურა – მედიანა (ბერძნ.) – მ-კურ-ნალობა. ასფოდოლ (ბერძნ.) ასფოთოლა (მოლი) – მედეას სამკურნალო ბალახი) (11, 195).

„მოლი“ გრძნულების საშუალებაა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანსა“ და გალაკტიონის „დომინოში“ (19, 140-156).

წარსულის გასიგრძეგანება, „წარსულიდან ქართუს, ხეობის... სიმდერის თეთრი არაგის“ ქუხილის მოსმენა (გადმონადენი ათასწლეულებს) (3, 258) საშუალებას აძლევს ხან ქვესტნელი მოიხილოს, ხან სივრცეებში ინავარდოს და ამის შედეგად, „მტკაველ-მტკაველ აქეს გაზომილი ქართული მიწის სიგანე და სიმაღლე ზეცის“ (ჩემს ფიქრებს სრბოლას ვერვინ დაუშლის) (3, 834).

იმერისა და ამერის ფესვებიდან ამოზრდილი პოეტი „გულნათელი“, „შეუნიღბავი“ და ღმერთის რჩეულია: „მარად გულნათელი და შეუნიღბავი, როგორც დავითისა და ჭყონდიდის, ჩემი გენიც იმერში და ამერშია. მე არასდროს მიძებნია ბედ-იღბალი, ბედმა მე თვითონ ამირჩია“ (მარად გულნათელი და შეუნიღბავი) (3, 944).

ამასთან, მრავალი უცხოელი წინამორბედიც ჰყავს, რომელთაც ასწავლებს აქილევსივით გამარჯვებით გამოსვლა ბრძოლის ველიდან: „მარადექამს იყო ჩემი მხლებელი, ვით რუსთაველი, პონტო-ეგესინის და პომეროსი-ღმერთი ელინთა. აი, ამიტომ აქილევსივით, ძლევამოსილი გამოვსულვარ ბრძოლის ველიდან“ (მარადექამს იყო ჩემი მხლებელი) (3, 45).

პოეტს იზიდავს „რომაელთა სიბრძნის ფრთიანი შორეული ქარები“ (3, 409), „ბერძენთა და რომაელთა სიბრძნე, ცოდნა და კულტურა“ (3, 705).

სიბრძნის წყაროა უფალი, პლატონი, „თალმუდი“, „ეფუთი“: „მჯერა უფლის და პლატონის, სიცოცხლეს სიბრძნით რომ მოსავენ, ასევე „თალმუდის“, „ეფუთის“, რომლებმაც ამქვეუნად მოსვლამდე ათასი ცოდნით რომ შეგვეუთნეს“ (მჯერა უფლის და პლატონის) (3, 407).

პლატონთან ერთად, ხიბლავს არისტოტელეს „ტოპიკა“, „ნიკომაქეს ეთიკა“ (IVს. ბ3. წ.) არაბი სუფისტი ჰალაჯი (922)

— არაბი ფილოსოფოსი ავერიოსი (XII ს.): „მზიანი დამე წინ უძღვის და დიდ პლატონს მიტომ ვაქებ, არ ყოფილა სიბრძნის სული — ერთმანეთში აერიოს, ვით „ტოპიკას“, „ნიკოლაქეს“, ალ-ჰალაჯს და ავერიოსს (11, 328).

საგულისხმოა „ორი ბრძენი გოლიათის“ — უიტმენის და თაგორის შემოქმედება (უიტმენი და თაგორი) (5, 603).

ამერიკელი ედგარ ალან პო არის ადრესატი ლექსისა „ქართული სიტყვის სალ კლდეზე“: „...შენ, ვითარც ედგარ ალან პომ, გსურს ლექსი სანთლად აანთო და პოეზია ალამპორ“ (5, 274).

გასათვალისწინებელია რონსარის, კაფეას გზები: „ო, ეს შენა ხარ, ათასწლეულთა უფრო შორიდან ფიქრად მოსული, ვითარც რონსარი, ვითარცა კაფეა და შენი კალმის ბასრ ორლესულით სხვა საუკუნის უდრანს მიკაფავ“ (ო, ეს შენა ხარ) (5, 862).

„საწუთოს სიბრძნე“, სიკვდილის სივერაგე დიდროსა და კანტის გარეშეც იცის (რა საჭიროა დიდრო და კანტი).

პოეტისთვის სამაგალითოა ლაო-ძის ეთიკური მოძღვრება: „წარსულიდან კი ყივის ლაო-ძი: „ოდეს მდაბლობენ, კაცნი დიადობენ“ (ჟამთა დარჯაში გამოვლილს) (11, 85).

დაუკიწყარია „სიბრძნე ბალავარისა“ და მისი მთარგმნელი: „სიბრძნე ბალავარისა! — ბევრ ჭირნახულ ქართვლის სულს, მარად უნდა აწვიმდეს, რომ ის სანთელს უნთებდეს — დიდ ექვთიმე მთაწმინდელს“ (ექვთიმე მთაწმინდელი) (11, 346).

უფლის ხელდასხმულები იყვნენ დანტე, გერდი, როსინი, ბოკაჩიო, რაფაელი (უფლის ანგელოზებმა) (11, 348).

ბიბლია ქრისტესავით წყლის ზედაპირზე სიარულს (ცოდვების დამარცხებას), სიბრძნის ზღვის გათავისებას ასწავლის: „ზღვის ზედაპირზე სიარულს ნუ დაიკვეხნის ნურავინ. ეს შენ ხარ... პერკულებისიგით მითოსის მხრებზე შემდგარი, ბიბლიის ზღვაში მცურავი“ (წყლის ზედაპირზე სიარულს) (11, 84).

ბიბლიურ მოხესავით „რიდე-მანდილით შებურვილი“ პოეტის იდეალია ორმოცი წელი უდაბნოში მოხეტიალე და აღთქმული ქვეყნისკენ — ქანაანისკენ მიმსწრაფი ებრაელი ხალხის წინამდლოლი მოსე, ქართველმა პოეტმა დვთის რჩეული ერივით, ღმერთისგან გამოგზავნილი „ზეციური მანანით“ (ქრისტე ღმერთის სახელია) დაიოკა სულის წყურვილი: „ნაგმა

ამა ცხოვრების, წუთისოფლის ხიზანი, ზღვაზე არ მანანავა და ორმოცი წელი კი უდაბნოში მატარა, მერე გამომიგზავნა მშიერს – ზეცის მანანა“ (წუთისოფლის ხიზანი) (11, 339).

როგორც მოსეს „სჯულის ფიცარი“, პოეტსაც ისევე უბოძა დმერომა „იქმენ ნათელი“ – სჯულის ფიცარი.

იგავების მოყვარული პოეტი „თავთუხიან ქანას“ თესავს, ანუ ზეციურ პურს ახარებს: „ბრძენს უგდე ყური, უბნობს რომელიც, – ხეს უნაყოფოს კეტს არ ესვრიან. თავთუხიანი აქ ყანა პურის, შენებრ არავის დაუთესია“ (ბრძენს უგდე ყური) (11, 375).

სახარების მთესვარივით თესავს ვაჟა ეგრისელი სადვოო სიბრძნეს, უფლის ყანას, რათა მოსავალი უფლის წისქვილზე დაფქას დიდი წინამორბედივით: „მოვა დრო და გაგაქვავებს, გაქცევს ლოდად და შავ ქვად. მანამდე, თუ გაქვს საფქვავი, ეცადე, უფლის წისქვილზე ვაჟასებურად დაფქა“ (დრო) (11, 683).

ბიბლიური იგავით გვესაუბრება პოეტი მოსეს შესახებ, რომელმაც კლდეს კვერთხი დაჲკრა და იქიდან გადმონადენი წყლით დაუცხო წყურვილი ებრაელებს.

კვერთხი მარიამის, კლდე და წყალი ქრისტეს სიმბოლოდ იქნა კომენტირებული. კლდიდან გადმონადენი წყლით მწყურვალთა დარწყულება ქრისტეს მოძღვრებასთან ზიარებაა.

იგივე მისია აქვს ქართველ პოეტს: „რაღგან ბედი აღარ მწყალობს, ჩემო ხარგავ და აწყურო, უნდა სალ კლდეს დავკრა კვერთხი, რომ ახქეცდეს სიბრძნის წყარო და მწყურვალი დავარწყულო“ (ჩემო ხარგავ და აწყურო) (11, 338).

ლექსში „სიკვდილმა რომ მოირთვილოს“ (11, 339) ბეთლემის სიცოცხლის მტევნი და ყურძნი ქრისტეა, სიკვდილის დამმარცხებელი: „დაღლილმა და დაქანცულმა სიკვდილმა რომ მოირთვილოს, სიცოცხლე კვლავ ისხამს მტევნანს. და ბეთლემის ქვაბში მიტომ ყურძნის აღარ არის ტევა“.

პოეტი „მოვარის ჩანგით“ (მთვარე მარიამის სიმბოლოა), „სიბრძნის დვინით“ (ქრისტეს სიმბოლოა) აპირებს სულის განკურნებას.

საღმრთო სიტყვის პარალელურად, საეროც ცის ნაყოფია, ჭეშმარიტი პოეზია კი „ყოფნისა და არყოფნის“, საღმრთოსა და საერო პრობლემების მართალი პასუხი: „ვითა გრძელი

დღე-დამე, უფალია პაერი. ციდან ცვივა ნაყოფი, ყოფნისა და არყოფნის, საღმრთოც და საეროც“ (11, 426).

სიბრძნის ნამცერევს ეძებს პენჯაბში რერიხის სახით, მადრიდში – სალვადორ დალის მხატვრობაში: „აცვივა წარსულის მტვერი და შთაგონების ალი, სამყაროს გარს უკლის ხშირად, პენჯაბში დაეძებს რერიხს, მადრიდში სალვადორ დალის „ცეცხლმოკიდებულ ჟირაფს“ (აცვივა წარსულის მტვერი) (5, 252).

ქვეყნის ოთხივე კიდეს მოგზაურს, არც აღმოსავლეთის სიბრძნის წყარო ავიწყდება: „სხივგაბრწყინებულ აღმოსავლეთით, ვინც პოეზიის მთები აზიდა – მშურს ხაიამის, ჯამის, ფეშლევის, რადგანაც მოქუხს სიბრძნის წყარო მათი აზრიდან, წყარო, რომელიც აღარა და აღარ ელევათ“ (სხივგაბრწყინებულ აღმოსავლეთით) (3, 278).

პოეტი ფიქრით დაეხეტება შუამდინარეთში ევფრატის ნაპირებზე და მარადიულ თემაზე სასაუბროდ ხვდება „გილგამეშიანის“ პერსონაჟებს – ენქიდუს და გილგამეშს: „ფიქრმა უცებ მომაშხეფა ტალღა ევფრატის და ძილგამერთალ და თვალბნელ დამებში, ორი აჩრდილი წამოვიდა ჩუმი ფარფატით და სანთლის შუქზე ჩვენი მზერა გადაიხიდა: მე ვარ ენქიდუ! ის გილგამეში! მომესმა უცებ, ათასეულ წელთა იქიდან“ (მე ვარ ენქიდუ) (3, 739 I).

ეგვიპტური „მკვდართა წიგნი“ აგონდება კოლხური „კვირბების“ კიოხებისას: „...აურეოლებს ბაბილონს, რომსა და ეგვიპტეს – ვგიოთხულობ „მკვდართა წიგნი“ დაწერილს ღვთისენით“ („ღვთისენით-იეროგლიფებით დაწერილი ეგვიპტური „მკვდართა წიგნი“) (კოლხური „კვირბები“) (5, 917).

აფიქრებს ფარაონების პირამიდები, სფინქსი, რომი, ბაბილონი: „ფარაონების მდვრიე ციდან წვეთავს მირონი... პირამიდების ჩრდილში სძინავთ ათასწლეულებს. სფინქსის სიზმრებში ბორგავს რომი და ბაბილონი“ (დრო გადმოდგება მწუხრის სერიდან) (1, 255).

ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაში ინტერესი ვლინდება იოგების ფილოსოფიისადმი: „კარმის სარკის დაფაზე – სული თუ დაგიამა, რადუამ ან იამამ, მაშინ დრო შეაფასებს – შენს საქმეთა სიამეს და იქროლებს ნიავად“ (რადუამ ან იამამ) (5, 513).

„გონის სარკე“ „ცისფერ საგანებს“ და „სულის იასამანს“ ეძებს შორეთში: „გონის სარკე შორეთში, ეძებს ცისფერ საგანებს, ასე დაუსრულებრივ სადაც ჩვენი სულების პყვავის იასამანი“ (პყვავის იასამანი) (5, 772).

ზესკნელისა და ქვესკნელის ერთდროული ჭვრეტის ნიჭია გამორჩეულობის საწინდარი: „ზესკნელსა და ქვესკნელს ატანს სული ჩემი – სარვა გატა. ოუმც ჯერ არ აქვს ცაში ბინა. ვჭვრეტ: სიკვდილზე ამაღლებულს, განშორების ფრთებით მფრინავს“ (სარვა გატა) (5, 471).

მეტაფოზიკის მიღმური სულის ჭვრეტაც „სულისმოყვარე უფალის“ (სიბრძნე სოლომონის (11, 21) (3, 27) მადლია: „მარადისობის ჯვარზე გაპრული მიღმური სული მეტაფოზიკის, გასახარად და შენდა იმედად – ისე ახლოა, როგორც ქიზიყი, როგორც მარიხი და ანდრომედა“ (მარადისობის ჯვარზე გაპრული) (5, 678).

მარადისობაა (ღმერთის სახელია) მისი გზები: „შენმა სიცოცხლემ აფრა აუშვა მარადისობის მგრგვინავ გზებზე სახეტიალოდ“...

„უკვდავ სხივთა ნათელი“ ესხურება ზეციდან (ქრიან საუკუნენი) (5, 45) „უკვდავი სხივი“ ქრისტეს სახელია.

ასტრალური მოგზაურობისას სულს მზისა და ცისარტყელის ფერები, სინათლის დიადემა ადგას: „როდესაც სულს ცისკენ მქროლავს, გულმა თვალი მიადევნა, მაშინ გაქრნენ გარსევლავები, ცის ბარტყები და სინათლის დიადემად – დამადგა მზე და ფერები ცისარტყელის“ (აუმ) (5, 470).

ჭვრეტა, ხილვა სულიწმინდის მადლით გაბრძნობილთა ხვედრია და პოეტი სიკვდილს არყოფნიდან, ანუ სულით უჭვრეტს: „ვით დღე დამიდან, სიკვდილიდან – სიცოცხლე მოდის სხვა სილურჯეთი და მე, როგორც პოეტი (სისხლის ყველა უჯრედით) მკვდრადექნილ ყოფნას ყოველთვის არყოფნიდან უუჭვრეტდი“ (ბაჟავატ გიტა) (5, 401).

გალაკტიონი სულის თვალით ქაოსიდან სამყაროს შექმნას, პირველი სახეების გამოძერწვას ხედავდა (მშვიდობის წიგნი).

ვაჟა ეგრისელი თითქოს მარადიული სულია, ქაოსის, ზღვადქცეული სამყაროს მჭვრეტელი და ქვეყნის დასასრულის შიშით შეპყრობილი, ნოეს მაძიებელი: „გრიგალი ქვეყნის დასასრულისქნ მიაქანებდა მთვარის კიდობანს და

ვარსკვლავები შიშისგან თრთოდნენ. არ ჩანდა ნოე... და ქაოსიდან მე როცა მოველ, „მთელი სამყარო ზღვა იყო ოდენ“ (გრიგალი) (3, 763).

„პოლხური ფსალმუნების“ ავტორი ევედრება ღმერთს: „მომეცი ნება, შემოვადო შენი კარები და შემოგბედო კრძალვით და რიდით არა ლოცვები, არც აღსარება, არამედ სიტყვა და გულისთქმა მცირე თუ დიდი. მომეცი ნება, დაგიდაფნო სიმღერით შუბლი და დავდგე ტინად, დავდგე ქარაფად, მარადისობა ხელთ ავიდო, ვითარცა შუბი, მომეცი ნება... სანამ მაქცევ მტვრად და არაფრად“ (ვედრება) (1, 41).

პოეტის სიტყვამ იხარა, დათავთავდა, მკითხველთა გულები დაიპყრო, რადგან იგი პირნათელი იდგა უზენაესის წინაშე და „მარადისობა“ (ღმერთი) იყო მისი ამოსავალი, ანუ „შუბი“, როგორც თვითონ ამბობს.

იგი დარწმუნებული იყო თავისი სიმღერის უპვდავებაში, რადგან უფალი „კარნახობდა“ „ცხოვრების წიგნს“.

ვაჟა ეგრისელმა გადალახა რუბიკონი, გააღწია სცილას და ქარიბდას, ცაში მოგზაურობისას მეხს არ შეუშინდა, ქვესკელიდან ცერბერების უფას, გოლიათ კიკლოპს გაეპარა, ეპოქის წარდვნაში გადაარჩინა თავისი სულის კიდობანი.

მეოცე საუკუნის საბჭოთა იმპერიის წარდვნისებური უბედურება იყო მარქსიზმი, ცალთვალა მატერიალიზმი, სატანისეული ბოლშევიზმი და მისი ბაცილებით ბევრი მოიშამა. დროის შემოტევებს მხოლოდ ერთეულები გადაურჩნენ, დვოისაგან ხელდასხმულები, სულიწმიდის მადლმოსილები, სულისათვის ხორცის გამდებნი.

ვაჟა ეგრისელის წიგნები დროის ქარიშხლებს გადარჩენილი კიდობანია, რომელმაც შემოგვინახა უზენაესი სიბრძე, „მსოფლიოს ციურ აზრთა ნადავლი“: „ბოლოს მეორე ათასწლეულის ლექსთა წარდვნაა და წყალდიდობა: არა ჩანს მოები არარატის და არც დარჩელის... და შენი წიგნი მოჰვავს კიდობანს, წარდვნას და მეორე მოსვლას – გადარჩენილს“ (წიგნი – „იქმენ ნათელი“) (5, 591).

ამასთან პოეტი, ვაჟა ეგრისელის დაკვირვებით, უთვალავ წარდვნათა დამეების მთეველია, მარადუამს ფხიზელი თვალით და წმინდა სულით განმსჯელი მოვლენების: „მხოლოდ

ღმერთმა იცის პოეტს თუ რამდენი უთევია წარლვნის ღამე, როგორც ნოეს” (მნათობების ყრია მტვერი) (5, 151).

ცხოვრების აზრის ძიებაა მთავარი სიბრძნე, ცნობადის ხიდან განკითხვის ხემდე არსებული გზის გაგება: „დღევები უნდა აკინძო წიგნად, ჩადო ზონარად – ცხოვრების აზრი, რომელსაც ადრე წერდი და ხევდი! საწუთოს მტვრიან და მოკლე გზაზე, ცნობადის ხიდან – განკითხვის ხემდე“ (დღევები უნდა აკინძო წიგნად) (5, 695).

როგორც ვიცით, ბიბლია წინა პლანზე აყენებს არა ცოდნას, არამედ რწმენას, იმედს, სიყვარულს და გვასწავლის, რომ „ამათგან სიყვარულია უმეტესი“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა) (13, 1-13).

ცოდნა ცოდვას უკავშირდება, რადგან ადამმა და ევამ „ცნობადის ხის“ ნაყოფი სატანის – გველის რჩევით იგემეს, რისთვისაც უკვდავება დაპარგება.

ახალ აღთქმაში გარჩეულია „ხორციელი გონება“, „ინტელექტუალური გონება“ და „სულიერი გონება“ (პავლე მოციქული).

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში ღმერთს (ცის ხეს), რწმენას აედევნება ეჭვი ცნობადის ხის ნაყოფზე, რომელსაც სიკვდილი მოაქვს: „ვარსკვლავნი არა, ცნობადის ხეს ცვივა ნაყოფი, რომლებიც რწმენის კედლებს ბზარავენ და მიღმეთიდან გვესმის ძახილი, თუმცა წყვდიადში არ ჩანს არავინ“ (ვარსკვლავნი არა) (5, 644).

ცნობადის ხის ნაყოფის მიმღებს განკითხვის ხე უნდა ახსოვდეს, რათა ცოდნა ბოროტების სამსახურში არ ჩადგეს და უკეთურებად არ გარდაისახოს.

სიცოცხლის, უკვდავების საწინდარია არა ცნობადის ხის ნაყოფი, რომელმაც უკვდავება დაკარგვინა სამოთხის პირველ ადამიანებს – ადამს და ევას, არამედ სიცოცხლის ხე – ღმერთი: „...შენთვის წარსული ადარ არის და არც მყობადი პოეზიაში, რადგან იგემე – მწარე ნაყოფი ხისა ცნობადის,, (ცის კასრში ზიხარ) (5, 633).

პოეტი „რწმენის საჭით“ მიდის უზენაესისაკენ (მიწის ბელტების დგას დრიანცელი (1, 95).

ხოლო ცნობადის ხე უსახელოს სახით იმზირება: „ისევ ისე ეძებს მიზეზს, შურით მთვრალი დღე მყობადის, უსახელოს

თვალით მიმზერს, წარსულიდან ხე ცნობადის“ (სამოთხიდან გაძევების) (5, 705).

იოანე დამასკელი გვაუწებს:

„ღმერთი აპირებდა, სამოთხე შეექმნა ადამიანისთვის. ედემი არის ჰეშმარიტად სადვოო მხარე და ღირსეული სავანე იმათვის, ვინც დვის ხატისებრ დაიბადა. მის შუაგულში ღმერთმა დარგო ხე სიცოცხლისა და ხე ცოდნისა. ამასთან, ხე ცოდნისა იყო ადამიანის მორჩილებისა და ურჩობის გამოსაცდელი, შესამოწმებელი და საწვრთნელი რამ. ამიტომ იწოდა იგი კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხედ ან კიდევ, იმიტომაც იწოდა ასე, რომ მისი გემოს გამსინჯველთ საკუთარი ბუნების შეცნობის ძალას აძლევდა, ძალას, რაც კარგია სრულყოფილთათვის, მაგრამ ცუდია არასრულყოფილთათვის, რომლებიც ჯერ კიდევ გრძნობას ეხარბებიან, ისევე როგორც ცუდია მაგარი საკვები მათთათვის, რომლებიც კვალად რექს საჭიროებენ.

მეორე მხრივ, სიცოცხლის ხე იყო ან სიცოცხლის მომნიჭებელი მოქმედების ქვენე ხე, ანდა საკვები მხოლოდ მათვის, რომლებიც დირსნი არიან სიცოცხლისა და არ ექვემდებარებიან სიკვდილს“ (8, 359).

ეს ხე ღირსებისამებრ იწოდება ცხოვრების ხედ. იმავე ხეს ღმერთმა უწოდა აგრეთვე ყოველი ხე, რადგან თქვა: „ყოველი ხისგან, რაც არის სამოთხეში, ჭამით ჭამოთ“ (შეს. 2, 16). თვითვე არის ყოველივე, რომელშიც და რომლისა მიერაც არის ყოველივე“ (8, 359).

კეთილისა და ბოროტის ცოდნის ხე – ესაა მრავალსახოვანი მჭვრეტელობითი შემმეცნებლობა. იგია საკუთარი ბუნების შემცნობლობა..., რაც... კარგია სრულყოფისათვის, მათთვის, რომლებიც სადვოო მჭვრეტელობაში ცხოვრობენ და არ უფრთხიან დაცვმას.., მეორე მხრივ კი კარგი არ არის მათთვის, რომლებიც ჯერ კიდევ ყრმები არიან, რადგან არ აქვთ მათ სიმტკიცე იმისა, რომ... მყარად იყვნენ დასაყდრებულნი... მშვენიერების სიახლოვეს, ამიტომ მათ, საკუთარი სხეულის საზრუნავი, როგორც წესი, თავისკენ მიიზიდავს და წარიტაცებს“ (8, 359).

კვირობ, ორმაგია სადვოო სამოთხე.

ყოველი ხე შეიძლება გავიაზროთ, როგორც ყოველი ქმნილების გზით აღსრულებული შემცნება სადვოო ძალისა.

მაგრამ ეს ცოდნა შემაცდენელი იყო ახლადშექმნილი ადამისთვის (8, 359).

ცოდვიანი სიბრძნე დიდი მარტოობის, ცისა და ქვეყნის დაკარგვის მომასწავებელია: „როცა იგემა ცნობადის ხის ტკბილი ნაყოფი, წამს სიმარტოვეს გადაეყარა. უეხდაფებ სდევდა შიში არყოფნის, მიტომ დატოვა ცა და ქვეყანა“ (11, 536).

პოეტის მიზანია უპასუხოს მარადიულ კითხვას, რაც აღბეჭდილია ნერგალის ეპიტაფიაზე: „განვლე და რისთვის?“ (წინაგრძნობა) (5, 686).

„სიბრძნე და სულიერი გონება“ (პავლე მოციქული, კოლა-სელთა, თ. 1, 11) აძლევს პოეტს უნარს, მოიძიოს უკვდა-ვებისაკენ სავალი გზა, რათა „ზეცის მოქალაქეობა“ მოიპოვოს.

ნეტარი ავგუსტინე ბრძანებს: „ვის შეუძლია გაგვარიდოს ათასგარ ცდომილებისეულ სიკვდილს, თუ არა მარადიულ სიცოცხლეს, რომელმაც არ იცის, რა არის სიკვდილი. თუ არა სიბრძნეს, თავისი შუქით რომ ანათებს სულებს, რომელთაც სინათლე სჭირდება, თვითონ კი არ სჭირდება არავითარი ნათელი“ (20, 117).

ამ მარადიული სიბრძნის ერთგულებაა ვაჟა ეგრისელის პოეზიის გამჭოლი თემა, დვთივსულიერი სიტყვა, რომელსაც ასე მოწიწებით ისმენს მისი მკითხველი.

„ჩემი ცხოვარნი ისმენენ ჩემს ხმას, თვით მეც რომ საღმრთო სიტყვაში მომისმენია და წმიდა მამათაგან მისწავლია. ამ საღმრთო სიტყვას უცვალებლად ვასწავლიდი ყოველთვის ისე, რომ თანახატ – არ ვექმნებოდი დროის გარე-მოებათ, და ყოველთვისაც ასე ვასწავლი, რამეთუ ამ სიტყვით ვიშევი ამქვეყნად და ამ სიტყვით განვალ ამა ქვეყნიდან“, წმიდა გრიგოლ დვთისმეტყველის ეს სიტყვები გვახსენდება ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე ფიქრისას (9, 7, 9).

მეოცე საუკუნეში ბეგრი „ცრუ სიბრძნეს“ ერთგულებდა, ერთეულნი – მარადიულს.

გალაკტიონ ტაბიძისთვის „სიბრძნის სახეა შრომის უფალი“ (მშვიდობის წიგნი).

„ახალი სხივის“, „ახალი დერთის“ სიყვარული მომავლის ღრმა სიბრძნით უხელდა თვალს პოეტს: „...იქ, იმ კიბეზე მომავლის ღრმა სიბრძნით თვალნახელი, საიდანაც ჩემფს

სიმართლე და წინსვლისათვის ძახილი“ („უმშვენიერეს კიბეზე“) (21, 471).

პოეტს „სიბრძნეს სიბრძნეზე პმატებდა“ და გამარჯვების სტიმულად ესახებოდა „პირველი ოცნების, სიცოცხლის (საღვთო სახელია), მშვენიერებისა და სისპეტაკის“ სიყვარული („1950“) (21, 741).

ანა კალანდაძის პოეზიაში მოიძება „მაღალი სიბრძნის სინათლე“, რომლის მცველები არიან ჭეშმარიტი მსახურები დვთისა და ჭეშმარიტებისა – გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელები, ლაზარე, იოანე-ზოსიმე (ოშკის მძღვა ტაძარო) (22, 175).

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში თავი მოიყარა „მსოფლიოს ციურ აზრთა ნადავლმა, რომლითაც უცდომლად განიჭერიტება ადამიანის მე, სიცოცხლე, სიკვდილი, ზესკნელი, ქვესკნელი, შუასკნელი, პლანეტები, კოსმოსი, ხილული თუ უხილავი სამყაროები...“

ვაჟა ეგრისელის პოეზია საღვთო სიბრძნის საღაროა, მისი „ციურ აზრთა ნადავლი“, „დაზელები“ საღვთო სიბრძნეა, რაც სპარსული პოეზიიდან არის ცნობილი, სუფისტური სიყვარულის ანარეპლია და არაბეთის ქრისტიანი ბერების გავლენით აღმოცენდა (23, 104).

სუფისტების მოძღვარი იყო იბნ ელ არაბი (24, 17).

სუფისტურ სიყვარულს უმღეროდა ჯალალ-ედ-დინ რუმი (24, 17).

საღმრთო სიყვარულის იდეას იზიარებდნენ და „საყვარელს“ – ქრისტეს ეთაყვანებოდნენ დავით გურამიშვილი, ვახტანგ VI, აკაკი წერეთელი.

ქრისტე აკაკი წერეთლისთვის იყო უმაღლესი სიყვარული, „საყვარელი“ და „სულიკო“ (სული-ღმერთი) ერთდროულად.

მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში გალაკტიონმა დაამკვიდრა საღვთო სიბრძნის გამომხატველი ლექსები, ცნობილი „გაზელების“ სახელწოდებით.

ამ ტრადიციის სათავეს იგი აღმოსავლურ ლირიკაში, ჯალალ-ედ-დინ რუმის, ნიზამის, ომარ ხაიდის, საადის შემოქმედებაში ხედავდა და წერდა, რომ ისინი „სავსე პეშვებით ისკრიან აელვარებულ მარგალიტებს გაზელებისას“ (25, 92-95).

გრაალის თასია (მარადიული სიბრძნეა), დაზელია, საღვთო ჭეშმარიტებებია ორთავ სოფლად მარადისობის გარანტი ვაჟა ეგრისელის პოეზიაში: „ბრწყინავს თასი გრაალის და როგორ არ მიკვირდეს, როცა ვხედავ სულს და ხორცს ერთმანეთში აზელილს. მე, ვით მგოსანს მარადისს-სასუფეველს მიძკვიდრებს ორთავ სოფლად დაზელი“ (11, 489).

ლექსში „ყაზალები“ (11, 32) კოლხეთში ვარსკვლავების თვლებად ყვავილობენ ნიზამის, ხაიამის, საადის, ჯალალ ედინ-რუმის ტრადიციებით შთაგონებული საღვთო ლექსები: „...აქ კოლხური სადამოა ჩუმი, რომ ვარსკვლავთა თვალს ახელენ ყაზალები: ნიზამის და ხაიამის, საად, ჯალალ-ედინ-რუმის“.

ქართველი პოეტი შემთხვევით არ აკეთებს აქცენტს იმაზე, რომ კოლხეთში ახლებურად, ვარსკვლავთა თვლებად აელვარდა ძველი სპარსული ტრადიცია.

ვაჟა ეგრისელის პოეზია საღვთო თავთუხის ყანაა, მხატვრულ სიტყვაში გაცხადებული ზეციური მანანა, ზეცის ვაზის (დმერთის) საგალობელი.

რეზიუმესავით უდერს საცუთარ წიგნზე – „ნათელ ხილვაზე“ გაკეთებული განაცხადი: „ცით ჩამოსული წყალობად, პოი, რა სილამაზეა – შიგ არსთა გულისმპყრობელი, ეს წიგნი არა, ვაზია რჩეულთა მოსართლობელი“ (წიგნი „ნათელ ხილვა“ (11, 94)).

მაშ, ვაჟა ეგრისელის მიხედვით, წიგნი შეიძლება იყოს ოქროს საწმისი, გრაალი, ვაზი, ზღვა (სიბრძნის).

გალაკტიონი ამბობდა: „...პოემას უკრცესს დაერქმევა ალვა და სურო, იქ შორეული მხარეები უნდა გამეფდეს“. ალვა და სურო საღმრთო სახელებია.

ვაჟა ეგრისელი თვითონვე გვაძლევს თავისი პოეზიის გასაღებს, როცა ამბობს: „მაინც მიუვალ მთაზე პარნასის, ის ღვთის ტაძარი ვერ დავასრულე, პოეზია რომ ჰქვია სახელად“...

მართლაც, ღვთის ტაძარია, საღვთო, მარადიული ჭეშმარიტებებით გამორჩეულია უფლისგან ხელდასხმულთა მხატვრული სიტყვა.

როგორც „კოლხური ფსალმუნების“ ავტორის შემოქმედების წყაროებზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა, მისი პოეზიის მასაზრდოებელ-მასტიმულირებელი წყარო ძალზე უხვია: ბიბლია, ქრისტიანული ღვთისმეტყველება, წინასწარმეტყველ-

თა სიბრძნე, ფილოსოფია, ქართული და უცხოური კლასიკური პოეზია, მითოლოგია, აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის განედების ქვეყნებიდან მომდინარე სიბრძნის ნაკადულები...

ამასთან, ინტერესის საგანია როგორც რელიგიური, ისე საერო იდეალები. რომელიმე მათგანის იგნორირება უთურდ შექმნიდა ეჭვს მისი სრულყოფილება-სრულფასოვნებისადმი.

ცნობილია, რომ წმინდა მამები - ნეტარი ავგუსტინე, ნეტარი იერონიმე, წმიდა ბასილი დიდი, წმიდა გრიგოლ ნოსელი, წმიდა იოანე ოქროპირი, წმიდა ეფრემ ასური, წმიდა კლიმენტი ალექსანდრიული, წმიდა იოანე დამასკელი საფუძვლიანად იცნობდნენ ანტიკურ ლიტერატურას, ფილოსოფიას, საბუნებისმეტყველო მეცნიერებას, გრამატიკას, სადვო წერილს, მათემატიკას, ასტრონომიას...

კლიმენტი ალექსანდრიელს მაქსიმე აღმსარებელმა „ფილოსოფოსთა ფილოსოფოს“ უწოდა. (26, 13).

ამერიკელი მართლმადიდებელი მღვდელ-მონოზანი სერაფიმე როუზი იყო ხელოვნების დოქტორი, ორიგინალში პქონდა ნასწავლი ზინური და ინდური ფილოსოფია, იუდაიზმი, იცნობდა მეცნიერების მრავალი დარგის მიღწევებს. საგანგებოდ სრულყოფილად აითვისა ძეველი სლავური და რუსული.

ნეტარი ერონიმე პრძანებს წმინდა მამების შესახებ: „არც კი იცი კაცმა, რა უფრო გაგიკვირდეს მათი, საუფლო სიტყვის წვდომა, თუ საერო განსწავლულობა“ (ზურაბ ცხოვრებაძე, დვორაქოვი და ამსოფლური სიბრძნის შესახებ) (26, 13).

მაგრამ ისიც ადსანიშნავია, რომ წმიდა მამები „გარეშე ცოდნას“ სიფრთხილით ეკიდებოდნენ.

„ძალა, რომელიც წმიდა მამებს პქონდათ, მიწიერ სიბრძნეს არ ეფუძნებოდა. გარეშე სიბრძნე იყო მხოლოდ იარაღი ჭეშმარიტების უკეთ გადმოსაცემად, ან მის დასაცავად. ისინი იყენებდნენ ფილოსოფიურ ტერმინებს იმისათვის, რომ ადამიანურ ენაზე გადმოეცათ ის ცოდნა, რაც მათ ზეციური ჭვრეტით მიიღეს.

წმიდა ბასილი დიდი ადნიშნავდა საერო ცოდნის საჭიროებას, მაგრამ ხაზს უსვამდა იმას, რომ ეს იყო მხოლოდ მოსამზადებელი ეტაპი, რომლის შემდეგ ქრისტიანის გონება ზეციური ცოდნისკენ უნდა ყოფილიყო მიმართული.

„ქრისტიანებს ჯერ ბუნებაში, მის პარმონიაში, მიწიერ საგნება და მოვლენებში უნდა დაენახათ ღვთაებრივი კანონზომიერება და შემდეგ ამქვეყნიურიდან აემაღლებინათ თავიანთი გონება ზეციურისკენ, გადასულიყვნენ უშუალოდ ღვთისმეტყველების შესწავლაზე“ (26, 13).

„საღვთო მადლის მიღებით გონების განბრძობა“ მამკბისთვის შემეცნების გზა იყო.

მაგრამ იყვნენ განსწავლულობის გარეშე, საღვთო მადლით გაბრძობილიც. სულთმოფენობის ტროპარი გვამცნობს: „კურთხეულ ხარ შენ, ქრისტე, დმეტო ჩვენო, რომელმა ყოვლად ბრძნად მეთევზურნი გამოაჩინენ, მიაფინე რა მათზედა ყოვლადწმინდა სული შენი და მათ მიერ ყოველი სოფელი მოინადირე...“ (26, 14).

როგორც კლიმენტი ალექსანდრიელი ბრძანებს, „მაცხოვარი მისიანებს საღვთო, მისტიკური სიბრძნით ასწავლის ყველაფერს და არა კაცობრივად“ (26, 13).

ნეტარი ავგუსტინე თვლიდა, რომ ღვთისმეტყველების ამოცანა იყო „გონების თვალით შეცნობა იმისა, რაც უკვე მივიღეთ რწმენით“ (26, 14).

მაგრამ ვერც რჯულის ცოდნა, ვერც წიგნიერება ვერ მიგვიყვანს ჭეშმარიტებამდე, თუ გვაკლია სიყვარული, როგორც ებრაელ მწიგნობრებს.

წმიდა ოოანე ოქროპირი გვამცნობს: „ამა სოფლის სიბრძნის მეშვეობით ჩვენ ვერ ჩავწვდებით იმას, რაც ჩვენზე აღმატებულია. განა ცხადი არაა, როგორი სასარგებლოა სწავლების მიღება სულიწმიდისაგან? – ასეთი სწავლება ყველაზე მარტივი და ნათელია... „ხოლო ჩუქ გონებაი ქრისტესი გვაქუს“ (I კორ. 2.16) – ანუ სულიერი, ღვთაებრივი, რომელშიც არაფერია კაცობრივი... არა პლატონისა, არა პითაგორასი, არამედ თავისი ამცნო ქრისტემ ჩვენს გონებას“ (26, 15).

წმ. ოეოფანე დაუყდებული გვამცნობს: „ნურავინ იფიქრებს, რომ რწმენის სფეროში არაა ფილოსოფია... სარწმუნოებრივ ჭეშმარიტებათა ერთობლიობა არის ყველაზე უფრო მოხდებილი, ამაღლებული, ნუგეშისმცემელი და განმასულიერებული ფილოსოფია – ნამდვილი სისტემა, როგორსაც ვერ წარმოიღენს ვერც ერთი სხვა ფილოსოფიური სისტემა... ესაა სიბრძნე საუკუნითგან დაფარული“ (26, 15).

ხოლო შთაგონების მომისჯებელი „მამისგან გამომავალი“ სულიწმინდა არის „ფალავანი მწიგნობარი“ (ბასილი დიდი) (15, 146).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორის სიბრძნის წყაროებზე დაკვირვება მის უკიდევანობაში გვარწმუნებს.

მისი წიგნები „ფიქრთა ოკეანეა“... „ლექსების ზვირთებით“ (ნათელხილვა) (1, 379).

მისი სიბრძნის მასშტაბების მახასიათებლად მხოლოდ ოკეანე და ზღვა შეიძლება გამოდგეს: „ორი ათასი წლის მერე ამოდი, ამოთავთავდი – სილურჯედ იასამანის. მზისა და სიბრძნის სავანევ, ზღვაო, გულწრფელო ცათამდი“ (ორი ათასი წლის მერე) (5, 236).

და უკელაფერი, რაც მას სულის თვალით გაუცნობიერებია, მიმართულია ერთი უმთავრესი მიზნისკენ – ქრისტიანული რწმენის, სულიერების, სიყვარულის, სამშობლოს ერთგულება-მსახურების გზაზე გაიყოლიოს თაობები და თავისი „სიყვარულით შემოღობილი“, „სიყვარულის წმინდა ძაფით“ დაგვირისტებული წიგნების საშუალებით ამცნოს მარადიული, გაუხუნარი ჭეშმარიტებები, რაზედაც მას რწმენის, ცოდნის ძალით უხენაესისგან ემცნო და რისი სიმართლეც უკვე გამოიცადა მიწაზე თუ ცაში...

„თავი შენი შეიცან“, „განვგლე და რისთვის?“ – მოგვძახის მისი პოეზიის ლირიკული გმირი...

გვახსენდება „კოლხური ფსალმუნის“ ავტორის თვითდაჯერებული, მაგრამ საგსებით საფუძვლიანი განაცხადი: „ძილგამტყდარი დამეები, მზით, დღეების ხმლებს ფერავენ, ალბათ, ესეც დმერთს ენება. წინ აღუდგეს აწ ვერავინ – შენს სიბრძნეს და ძლიერებას“ (11, 387).

და კიდევ: არც ეს რწმენაა ფუჭი: „ვერ წააქცევენ ქარები სასახლეს შენი გონების“ (5, 491).

ლიტერატურა

1. ვაჟა ეგრისელი, იქმენ ნათელი, თბ., 1993.
2. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები ხუთ ტომად, ტ. 3, თბ., 2007.
3. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ტ. 1, თბ., 2001.
4. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II.

5. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ტ. 2, თბ., 2006.
6. ციხეფერი სიშორე, თბ., ტერენტი გრანელის თარგმანები, მოგონებები.
7. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკოლმი, 1992.
8. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი IV, თბ., 1992.
9. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი III, თბ., 1991.
10. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი II, თბ., 1991.
11. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ტ. 4, თბ., 2008.
12. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996.
13. სიტყვა მართლისა, სარწმუნოებისა, წიგნი I, თბ., 1990.
14. წმ. ოთახე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ორი ძველი ქართული თარგმანი (წმ. ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის) გამოსაცემად მომზადეს რომან მიმინოშვილმა და მაია რაფაგამ. წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო მაია რაფაგამ, თბ., 2000.
15. წმ. ბასილი დიდი, თხზულებანი. ფსალმუნთა განმარტებანი. პომილები ექვსი დღისათვის. ძველი ბერძნულიდან თარგმანი და წინასიტყვაობა გვანცა კოპლატაძის. თბ., 2002.
16. პავლე ინგოროვა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, წიგნი I, ტექსტები VIII-IX ს.
17. აკაკი გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983.
18. დაბრე, ლვთაებრივი კომედია, თარგმანი პ. გამსახურდიასი, თბ., 1941.
19. ლურა სორდია, გალაკტიონ ტაბიძის სახისმეტყველებისა და შსოფლმხედველობის საკითხები, თბ., 2009.
20. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარებანი“, ლათინურიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ., 1995.
21. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977.
22. ანა კალანდაძე, რჩეული, თბ., 1987.
23. ზვიად გამსახურდია, „გეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, თბ., 1991.
24. აღმოსავლური პოეზია, თ. ჩეხენკელის თარგმანი, თბ., 1981.
25. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. 5, თბ., 1995.
26. ქურნ. „ქრიალოსანი“, თბ., 2008, №5 (39).

თავი III. საღვთო სიუგარულის იდეა ქართულ პოეზიაში

აკაკი წერეთლის „სულიკო“

აკაკი წერეთლის ცხოვრება და პოეზია დვთის, სიკეთის, სათნოების მიწყივი ძიება იყო. ადამიანის ღმერთთან დაახლოება, ზეციურის გაადამიანება ესახებოდა პოეტს არსებობის იდეალად. ამიტომაც უმთავრესია მის შემოქმედებაში „დვთის ხატება-მსგავსების“, „პაცლმერთობის“ იდეა. ბიბლიის მიხედვით ხომ კაცი შექმნილია „სახედ და ხატად დვთისა“.

აკაკი წერეთელი ერთდროულად იყო როგორც „დვთის, ისე კაცის“, „ცისა და მიწის“, „ცის და ქვეყნის შუამავალი“, ქრისტესავით ორბუნებოვანი. პოეტის უპირველესი საზრუნავი იყო „დვთისა და კაცის სამსახური“, „ქვეყნის ვალი და ზეცის მცნება“.

პოეტი ნატვრის თვალს მშობლიურ კერაში ეძებდა, „ცისა და ქვეყნის დედის“ – მარიამ დვთისმშობლის წილებედრ საქართველოს „ხატად“ სახავდა, დვთის დედის გვირგვინს უბრალო პატიოსანი ქალის ცრემლით ამკობდა.

სწორედ ასეთი „დვთაებრივი უბრალოებითაა“ (ე. კვიტა-იშვილის ტერმინია) გამორჩეული აკაკის მრავალი შედევრი, მათ შორისაა „სულიკო“. თითქმის საუკუნეა ხიბლავებ ეს ლექსი როგორც ქართველის, ისე არაქართველის სმენას შეუდარებელი მშვენიერებით, მუსიკალურობითა თუ ამოუწურავი ჩანაფიქრით.

ერთი შეხედვით, საოცრად ნაცნობ, გასაგებ ემპირიულ საგნებთან ერთად (ეკალი, ვარდი, ბულბული) ლექსში იდემალი ქვეტექსტის შემცველი გამოთქმებიცაა (საუგარელი, ცვარ-მარგალიტი ციური, სხივი, ნიავი გამოუთქმელი).

ალბათ, ამ ნაცნობის, გასაგებისა და გამოუცნობ-საიდუმლოს „შეზავებაშიცაა“ გაცხადებული პოეტის დვთაებრიობა, რადგან მხოლოდ ღმერთია შეზავების უნარის მქონე: „მის მიერ არ ეოველი შეზავებაი“ (პეტრე იბერი).

საანალიზო ლექსი სათაურიდანვე მკითხველის სულის შემძვრელია.

რას ნიშნავს „სულიკო“?

ბიბლიაში სული ღმერთია: „ხოლო უფალი სულ არს“ (პავლე მოციქული, კორინთელთა მიმართ, 3, 4, 521, 17).

დიონისე არეოპაგელის მიხედვითაც, „სულიცა უფალ არს“, „ღმერთი სულია სახიერი“, „ღმერთი სულია ჭეშმარიტებისაი, რომელი მამისაგან გამოვალს“ („შრომები“, 1961 წ., 15,14).

„სული“, „სულო“ სატრფოს სინონიმია დავით გურამიშვილის „დავითიანში“, ამასთან, „სატრფოს დასახვა სულად ქართული ხალხური პოეზიისათვისაც უცხო არ ყოფილა“.¹

ქართულ პოეზიაშიც „სული ღმერთია თვითონ, თვით ხელმწიფე და შემოქმედი“.²

აკაკი წერეთელი ეძებდა ღმერთს, უკვდავებას, უმაღლეს სულიერებას, გმობდა „ქვენა გრძნობებს“ და მიჰყვებოდა ბიბლიურ შეგონებას, რომლის მიხედვითაც ხორცი ცოდვის, უწმინდურების, შერის სათავეა; სული – პირიქით: „ხოლო ნაყოფი სულისა არს: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულ-გრძელობა, სიტკბოება, სახიერება, სარწმუნოება, მყუდროება, მარხუა, მოთმინება“ (გალატელთა მიმართ, 5, 560, 22).

აკაკის პავლე მოციქულივით შეეძლო ეთქვა: „ჩუენ ღუთის და არა ამ სოფლის სული მიგვიდებიერ“ (კორ. 2, 12).

აკაკი წერეთელი „სულს“ (ღმერთს) უფრო მოგვიახლოვებს და შეგვაგრძნობინებს სიტყვისათვის „იკო“ სუფიქსის დართვით და დაყვავების ნიუანსის მინიჭებით. ამასთან, მისი გათავისებისათვის ზედგამოტრილია კუთვნილებითი ნაცვალსახელი „ჩემის“ დართვა – „ჩემო სულიკო“ (სხვათა შორის, სულიკო ადამიანის სახელიცაა ქართულში).

ლექსის პირველსავე სტროფში ამ „სულის“, „სულიკოს“ თავგადაკლული ძიებაა და აქვე ირკვევა, რომ „სულიკო“ და „საყვარელი“ იდენტური ცნებებია: „საყვარლის საფლავს ვეძებდი, ვერ ვნახე... დაკარგულიყო!.. გულამოსკვნილი ვწიოდი: „სადა ხარ, ჩემო სულიკო?!”

კრიტიკოს აკაკი ბაქრაძის დაკვირვებით, „სულიკოს“ ანალიზისას უნდა ამოვიდეთ „გეფხისტეაოსნის“ ვახტანგ VI

¹ ტიტე მოსია, დავით გურამიშვილი და ქართული სიტყვიერი კულტურა, თბ., 1986, გვ. 251.

² „ქართული პოეზია“, ტ. 1, 1978, გვ. 89.

კომენტარებიდან, სადაც მითითებულია, რომ „საყვარელი ქრისტეს ჰქვაიან“.³

ეს გაგება სარწმუნოა და ემთხვევა ბიბლიისას – „ღმერთი სიყვარული არს“ (კათოლიკე ეპისტოლე იოანესი, 4, 439, 8).

აკაცი ასე ათავისებს ამ აზრს: „და სადაც სიყვარულია, იქ უძღველად ღმერთია... და ოოგორც ღმერთი, სამშობლოც ერთია... ერთად-ერთია“ („რამ გამოიწვია „ვეფხისტყაოსანი“, სხვაგანაც „სიყვარული უკვდევი ღვთის სახეა“ („თვალებო“).

„სულიკოში“ ღვთის ძიება იწყება ვარდიდან: „ეკალში ვარდი შევნიშნე, ობლად რომ ამოსულიყო, გულისფანცქალით ვკითხავდი: „შენ ხომ არა ხარ სულიკო?“.

ციური ცვარით დანამული ვარდის თავის დახრა თანხმობის ნიშანია თითქოს.

შემდეგ ბულბულის სახეში გაცხადდება „სულიკო“. ჯერ თვით კითხვაა სულის სიმების ამატოკებელი, საოცრად მიგნებული „მივეხმატებილეთი“ და „ჩიტუნათი“: „მივეხმატებილე ჩიტუნას: „შენ ხომ არა ხარ სულიკო?“

შთაბეჭდილებას აძლიერებს მომდევნო სტრიქონების „ჩაიკვნეს-ჩაიჭიკვიკა“. ვარდისაგან განუშორებელმა ბულბულმა „ჩაიკვნეს-ჩაიჭიკვიკა“, რითაც პოეტის ინტუიცია გაამართდა.

მერე ზეცაში გადადის ძიება. აქაც არაჩვეულებრივი მიგნებით არის შერჩეული ღვთაებრივი სიტყვები: „დაგვქათქათებდა ვარსკვლავი სხივები გადმოსულიყო, მას შევეკითხე შეფრქვევით: „შენ ხომ არა ხარ სულიკო?“

ვარსკვლავის სხივებიც და „ნიავიც“ ერთდროულად მახარობლობენ პოეტს: „დასტური მომცა ციმციმით, სხივები გადმომაყარა და იმ დროს ყურში ჩურჩულით ნიავმაც ასე მახარა: „ეგ არის, რასაც ეძებდი, მორჩი და მოისვენეო, დღე დაიდამე აწ ტბილად და დამე გაითენეო! სამად გაშლილა ის ერთი: ვარსკვლავად, ბულბულ-ვარდადო, თქვენ ერთმანეთი რადგანაც ამქვეყნად შეგიყვარდათო“. „მენიშნა!.. აღარ დავეძებ საყვარლის კუბო-სამარქს, აღარ შევჩივი ქვეყანას, აღარ ვღვრი ცრემლებს მდუღარეს!“ – ამბობს პოეტი და ეს

³ აკაცი ბაქრაძე, სასულიერო პოეზიის სახე-სიმბოლოები, კრებული „პოეზია“, 1981, გვ. 80.

„მენიშნა“ მრავლისმთქმელია, რადგან, ლექსში ჩადებული ჩანაფიქრის მიხედვით, ვარდი, ბულბული (მტრედი, გვრიტი) და ვარსკვლავი საღმრთო სახელებია (ქებათა-ქება სოლომონისა, II, 12, 14).

ამ „აღმოჩენაშ“ პოეტს სიხარული და გამოუთქმელი სისავსე მოჰვარა: „ბულბულს ყურს გუაღებ, ვარდს ვენოსავ, ვარკვლავს შევურებ ლხენითა და რასაცა ვგგრძნობ მე იმ დროს, ვერ გამომითქვამს ენითა!“

ეს წუთი ცის გახსნის, იდუმალის გამოცხადებისა და უკვდავების განცდის ტოლფასია: „ისევ გამეხსნა სიცოცხლე, დღემდე რომ მწარედ კრულიყო, ეხლა კი ვიცი, სადა ხარ: სამგან გაქვს ბინა, სულიკო!“...

ღვთის სამყოფელი სამარეში კი არა, სამყაროს საგნებშია.

აქაცი ბაქრაძის განცხადებით, „აკაცი წერეთელს „ხულიკოში“ კლასიკური სიცხადით აქვს გადმოცემული ღმერთის ყველაფერში განვითილობის მონოთეისტური იდეა“.⁴

პოეტი რომ ნამდვილად ღმერთს უძებდა და არა მოკვდავ სატრფოს, ამის დასტური ლექსის ფინალიცაა, სადაც „გამოუთქმელით“ ივსება ავტორი.

არეოპაგიტული მისტიციზმის მიხედვით, ღმერთი არის „ერთი... გამოუთქმელი“, „სიტყვაი გამოუთქმელი“, „მიუწვდომელი და გამოუთქმელი საღმრთო სიტყვა“.⁵

ქართულ სასულიერო მწერლობაშიც ქრისტე „უხილავი“ და „გამოუთქმელია“. ასეა „ვეფხისტყაოსანშიც“.⁶

აკაცის წერეთლისეულ ტრიადაში (ვარდი, ბულბული, ვარსკვლავი) ვარდი ღვთაების სიმბოლოა, ბულბული მუსიკალურობისა, ტბილხმოვნების, ვარკვლავის პირდაპირი ადრესატი ქრისტეა და იგი სიწმინდედ, ამაღლებულად, უკვდავებად აღიქმება.

იოანეს გამოცხდებაში ქრისტე ამბობს: „მე ვარ ძირი და ნათესავი დავითისა და ვარსკვლავი ბრწყინვალე განთიადისა“ (22,16).

⁴ აკაცი ბაქრაძე, დასახელებული სტატია კრებულ „პოეზიიდან“, გვ. 80.

⁵ პეტრე იბერი, შრომები, 1961, გვ. 69, 21.

⁶ ვ. ნოზაძე. „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება“, პარიზი, 1963, გვ. 120.

სახარებაში აღმოსავლეთით ამობრწყინებული ვარსკვლავი იყო მოგვებისათვის მაცხოვრის შობის მაცნე, ეს ვარსკვლავი უწევდა მათ მეგზურობას ბეთლემში, სადაც ჩამოვიდნენ ყრძა იქსოს თაყვანისცემად: „რამეთუ ვიხილეთ ვარსკვლავი მისი აღმოსავალით და მოვედით თაყვანისცემად მისსა“ (მათე, 2,29).

აი, ეს „სჯულის ცნობის“, „უცნაურ სხივოსნობის ვარსკვლავია“ აქცენტირებული აკაკის ლექსში „შობა“.

„ცისკრის ვარსკვლავი“ „უფლის თვალია“ „მუშებში“.

„ნუთუ ვედარ შეგინიშნავს, ის ვარსკვლავი როგორ ბრწყინავს? შენი არის, ბედს გექადის, გაიღვიძე, ნუდარ გძინავს“ („ძველ სამეფოს“), ასე აფხიზლებს აკაკი თანამემამულეთ იდუმალ ვარსკვლავზე მინიშნებით.

არც ის არის შემთხვევითი, რომ „მთაწმინდა... შეჟყურებს ცისკრის ვარსკვლავსა“ („განთიადი“).

„სულიკოს“ სხივსაც დიდი აზრობრივი დატვირთვა აქვს. „დასტური მომცა ციმციმით, სხივები გადმომაყარა“...

სხივი, შუქი მამაღმერთის, ზოგჯერ კი ქრისტეს სახელია: „მამა არის შუქი, თუმცა შუქი უმთავრესად ძის პრედიკატი იყო, რადგან ძეში დვთაება პირველად ხდება ნათელი, ცხადი, გასაგები“⁷.

აკაკის „მწუხერშიც“ ცის და ქვეყნის შუამავალი – ეს დვთაების სხივია: „ცის და ქვეყნის შუამავლად სხივი იყო მთიებისა და იმათში პირველობა შუქურ ვარსკვლავს მიეთვისა“.

ციურ სამყაროსთან იდუმალი „პავშირი“ საურთოდ ორგანულია პოეტისათვის: „ვარსკვლავიც სხივებ-პარპალით მაღლიდან მედასტურება და ეს ციური სიმართლე მხოლოდ კაცს არ უკურება“ („მგოსანი“).

„სულიკოში“ არც „ცვარ-მარგალიტი ციური“ ფიგურირებს შემთხვევით.

ვარდში „სიყვარულის“ ძიება დვთის ყველაფერში არსებობის გამოხატულებაა. დვთისმეტყველების მიხედვით, ღმერთი ყველაფერშია განფენილი: „ღმერთი ყოველსა თანა არს, ხოლო ყოველი არა მის თანა არს“.⁸

⁷ ლ. ფოიერბახი, „ქრისტიანობის არსება“, 1956, გვ. 109

⁸ პეტრე იბერი, „შრომები“, თბ., 1961წ., 25, 61.

ციური „ცვარი“, ვარდში დვთის არსებობაზე რომ მიგვანიშნა, ქრისტეს სიმბოლური სახელია.

„ცვარი ქრისტეს სიმბოლოა, ცვარი ლოგოსია ანუ ლმრთის სიტყვა“.⁹

ქართულ პიმნოგრაფიაშიც „ცუარი ცხოვრებისა“, „ცუარი მშვიდობისა“ (მიქაელ მოდრეკილი) არის ქრისტეს.

„ტრადიციის გავლენით, დ. გურამიშვილის პოეზიაში ცვარი ქრისტეს სახელად მოიაზრება: „ცვარო ზეგარდმო წვეთიდო“.¹⁰

ვარსკვლავის სიმბოლო აკაკი წერეთელს ბიბლიიდან, პიმნოგრაფიიდან, დვთისმეტყველებიდან შეეძლო გაეთავისებინა.

აკაკის ლექსებში ვარდი და ბულბული აბსოლუტურად დაშორებულია ტრაფარეტული ვარდბულბულიანობისაგან და სიმბოლოა პოეზიის, მუსიკალობის, მშვინიერების („პანორამა“, „მოხუცი და ახალგაზრდა“, „ფუტკარი“). პოეტი ემიჯნება „უაზრო სტვენას“, ვარდბულბულიანობას და აშკარად დგება ღრმააზროვანი პოეზის მხარეზე“ („რამოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ“).

აკაკის იდეალია „მოყვრისთვის თავდადებული ბულბული, ტკბილად მსტვენარი“ („პოეტის პროგრამა“), ანუ ტკბილხმოვანი და, ამავე დროს, უტილიტარული პოეზია.

ბუნებრივია, აკაკი, რომელიც თვით იყო „საქართველოს ბულბული“, ბულბულის სიმბოლოს მიმართავდა ამ ცნების საუკეთესო გაგებით.

„სულიერში“ არის კიდევ ერთი ღრმააზროვანი სიმბოლო „ნიავის“ სახით: დასტური მომცა ციმციმით, სხივები გადმომაყარა და იმ დროს ყურში ჩურჩულით ნიავმაც ასე მახარა: „ეგ არის, რასაც ეძებდი, მორჩი და მოისვენეო! დღე დაიდამე აწ ტკბილად და დამე გაითენეო!“

ეს მახარობელი „ნიავი“, ჩვენის აზრით, სულიწმიდაა.

⁹ ა. ბაქრაძე, სასულიერო პოეზიის სახეები, კრებული „პოეზია“, 1981, გვ. 61.

¹⁰ ტ. მოხია, „დავით გურამიშვილის სიმბოლიკისა და პოეტიკის საკითხები“, თხუ. 1989, გვ. 192.

„ნიავის მობერვა „საუფლო სულის, სულიშმიდის ასციაციას ქმნის „თამარიანში“: „უცნი ავითა, უც ნიავითა საუფლო სული ქამის ქამისად“.

დიონისე არეოპაგელის „შრომებში“ ლაპარაკია „საიდუმლოდ მობერვაზე“ (1961წ., 109,10).¹¹

იოანეს სახარებაში კი გვხდება სულიშმიდის ქროლვა: „სულს ვიდრეცა უნებნ, ქრინ, და ხმაი მისი გესმის, არამედ არა იცი, ვინაი მოვალს და ვიდრე ვალს. ესრეთ არს ყოველი შობილი სულისაგან“.¹²

ჰიმნოგრაფიაში კი ყურადღებას იქცევს „სადმრთო ნიავის“ მობერვა.¹³

„სულიშმიდის მოქმედებას, მისი მისის ადსრულებას დვთისმეტყველებაში „მობერვით“ გამოხატავენ“.¹⁴

ქარი, გრიგალი კი სულის სიმბოლოც არის.

აკაკი წერეთლის „ნათლისლებაში“ სულიშმიდა მტრედის სახით გვხვდება.

„მგრისანში“ კი „ნიავი“ – სულიშმიდა შთააგონებს პოეტს ხალხის სამსახურს: „ნიავი მეზურჩულება: რაცა ხარ, ნუ დამალავო, ეკალი იყავ წყლულისთვის ზოგჯერ... და ზოგჯერ მალამო“.

ხოლო ლექსში „მუშები“ დმერთზე მლოცველ მორწმუნეთა ყანას „ნიავი უმდერს ნანასა“.

ასე „ბაასობს“ სულიშმიდასთან დვთის რჩეული პოეტი შთააგონების წუთებში.

ასე აკავშირებს აკაკი ვარდს, ბულბულს, ვარსკვლავს, რითაც მიწიერ-ზეციურის გამოლიანებასაც აღწევს თვითონაც ქრისტესავით ორბუნებოვანი პოეტი.

ამით დასტურდება ის უცილო ჭეშმარიტება, რომლის ხაზგასმაც გრ. რობაქიძეს ეკუთვნის, კალისტრატე სალიას თქმით: „ლოგოსი, ცოცხალი თაური ციურისა და მიწიერისა,

¹¹ პეტრე იბერი, „შრომები“, თბ., 1961წ., 25, 61.

¹² მცხეთური ხელნაწერი, 551,8.

¹³ „ჩვენი საუნჯე“, გ. 1, 1960წ., გვ. 508.

¹⁴ ზ. გამსახურდიას დასახელებული ნაშრომი, გვ. 35-36.

არც ერთ ენაში ისე ღრმად არ ცნაურდება, როგორც
ქართულ ში“.¹⁵

ციურისა და მიწიერის ეს ერთობა აკაკი წერეთლის პოეზიაში ღვთაებრივი ძალის ქართულით ხორციელდება.

„სულიკოს“ ჩანაფიქრს, მისი ძიების ფორმას, შესაძლებელია, რომელიმე კონკრეტული წყარო პქონოდა, რადგან ღვთის საკითხი სამყაროსავით ძველია, მარადიული და აკაკის მრავალ წინამორბედს აწუხებდა იგი.

შემოქმედის, ჭეშმარიტების პრობლემას დასაბამიდანვე უღრმავებოდნენ ზნეობრივი სრულყოფისკენ მიმსწრაფი ადამიანები.

ნებარი ავგუსტინე, ცდილობს რა ჩასწვდეს ღვთის საიდუმლოებას, შემოქმედის ყოველ ქმნილებაში ეძებს მას: „მაგრამ რა არის ღმერთი ესე? რას წარმოადგენს იგი? ქვეყანას ვკითხე და მან მომიგო: „მე არა ვარ იგი“. და ყოველმა სულიერმაც, მცხოვრებმა მასზედ, ადიარა იგივე. კვალად ვკითხე ზღვებს, ქვესკნელთ და მათში მცხოვრებ ქვემძრომთ და ერთხმად მომიგეს მათ: „ჩვენ არა ვართ ღმერთი შენი; ჩვენს ზევით ეძიე“.

„აღსარების“ ავტორი ანაქსიმენეს აზრსაც იმოწმებს: „ვკითხე მე ქართა მქროლავსა და მთელმა სივრცეზ პაერისამ, ყოველი ბინადარითურთ თვისით, შემომდალადა: „შეცოომილია ანაქსიმენე: მე არა ვარ ღმერთი“.

მერე ძიება, ბუნებრივია, ზეცაში გრძელდება: „ვეკითხებოდი მე ცასა თუ მზეს, მთვარეს თუ ვარსკვლავებს და ყველანი ერთს მეუბნებოდნენ: „ჩვენ არა ვართ ღმერთი, რომელსაც შენ ეძებ“.

საიდუმლოში ჩაწვდომის დაუცხრომელი სურვილით ანთებული ღვთისმეტყველი ყველაფერს უტრიალებს: „დაბოლოს ვარქვი მე ყოველივეს, რაც კი გარს ერტყმის შემოსაგად კართა ჩემი სხეულისა: „მარქვით მე შესახებ ღმრთისა ჩემისა, – აკი თქვენ არა ხართ იგი, – მითხარით თუნდ რაღაც მის შესახებ“. და მათ ხმითა მაღალით

¹⁵ ს. ჭილაიას წერილიდან „მშობელ მიწაში ფეხვგადგმული“, „კომუნისტი“, 1989, 21 ოქტომბერი.

შემომდალადეს მე „შემოქმედი ჩვენი და დამბადებელი ჩვენი, – აი, ვინ არის იგი“.¹⁶

„აღსარებაში“ ისევ და ისევ მეორდება შეკითხვა, ნაფიქრნაგრძნობის შემოწმება: „მე ვკითხე მთელს სამყაროს შესახებ დმრთისა ჩემისა და მანაც ასე მომიგო მე: „მე არა ვარ ღმერთი, შემოქმედი ჩვენი – აი, ვინ არის ღმერთი“.¹⁷

საბოლოოდ კი ღმერთი გაიგივებულია ჰეშმარიტებასთან: „სადაც ჰეშმარიტება ვნახე მე, მუნკე ვნახე ღმერთიცა ჩემი, რომელიც თავად არს ჰეშმარიტება“.¹⁸

ეს ვრცელი ამონაწერი შემთხვევით არ მოგვიტანია. ასე ერთნაირად ცდილობენ ღმერთისა და არსებობის არსში წვდომას ქრონოლოგიურად დაშორებული პიროვნებები, მათი ძიების მიზანი, გზა და ძიების ფორმა მსგავსია, ავგუსტინესი – მასშტაბური, ყოვლისმომცველი, აბსტრაქტული, აკაკისთვის კი შემოქმედი უფრო კონკრეტულ, მიწიერ-ზეციერის გამორჩეულ ქმნილებებშია დაგანხებული.

ავგუსტინეს ღმერთს „ჰეშმარიტება“ ეწოდება, აკაკისას – „საყვარელი“ და „სულიკო“ და იგი სამყაროს რჩეულ საგნებში, ხელშესახებ რეალობაშიცაა გაცხადებული და მაინც ორივესთან ღმერთი „სულია სახიერი“.

პასუხები ოდნავ განსხვავებულია, მაგრამ არის ტიპოლოგიური მსგავსება, თუმცა გაჭირდება „სულიკო“ გენეტიკური ფესვები ავგუსტინესთან ვიგულვოთ, რადგან არ ვიციო, იცნობდა თუ არა აკაკი წერწოელი ამ დვთისმეტყველს, მაგრამ ქართველი პოეტის უსაზღვრობით გატაცებული, ამაღლებული სული მაინც ასე უახლოვდება უცხოელი შორეული დვთისმეტყველის სწრაფვას.

¹⁶ ნეტარი ავგუსტინე, აღსარება, 1, საქართველოს ეპლეხის კალენდარი, 1985, საქართველოს საპატრიარქო, თარგმანი რუსულიდან ვ. ბურკაძისა, გვ. 306.

¹⁷ იქვე, გვ. 307.

¹⁸ იქვე, გვ. 326.

გაუა-ფშაველას „სამეფო სიყვარულისა“

ათეული წლების მანძილზე ხდებოდა ჩვენს მეცნიერებაში ვაუა-ფშაველას მეტაფორული სახეებისა და მსოფლმხედველობის არასწორი გააზრება, რაც საშუალებას არ იძლეოდა სწორად აღქმულიყო პოეტის რელიგიური ოვალსაზრისი. დღეს კი აშკარად, რომ ფშაველი გენიოსის შემოქმედებაში მართლ-მადიდებლური ქრისტიანობის პრინციპებია მთავარი. პოეტის წინამდგარია სამება.

აშკარად ქრისტიანულია ვაჟას ზნეობრივი პოსტულატები, სიბრალულის, სიყვარულის, სიკეთის, მიტევების, სინაცულის გაგება და ბოროტის საღვთო მადლით გაკეთილშობილების იღეა.

ვაჟას იდეალი იყო „ტრფობის მთაზე“ შედგომა, „გრძნობის მთამდე“ ამაღლება, „ტრფობის ქვეყნის“ მიგნება.

როგორც უფლის რჩეულს, ვაჟას ესმოდა ანგელოზების ხმა: „ციდამ ხმა მესმის ანგელოზების, ცამ თავისი აზრი გამიზიარა: „ბოლო კარგია! – და ურუანტელმა თავით ბოლომდე ჩამომიარა“ (პასუხეად N-ს) (1, 219).

ცხოვრების სიძნელეებმა, განსაცდელთა გმირულად გაძლებაშ პოეტი ისე გამობრმედა, რომ „ცა-ქვეყნის შუა ქედ-მოუდრეკელ სვეტად“ გაბრწყინდა („ცხოვრებამ არ შემიძრალა“) (2, 2).

სიკეთის შიმშილი, სათნოების წყურვილი და გაუმაძღვრობა აქცია თავის დევიზად: „მშიოდ-მწყურდეს კეთილი, ვერ გავძღვ, მოვკვდე მშიერი“ (ვეღრება).

ვაჟას პუმანიზმი სახარებით არის ნასაზრდოები.

სახარებაში ქრისტე გვინერგავს: „გიყვარდეთ თქვენი მტრები, დალოცეთ თქვენი მაწყევრები, სიკეთე უყავით თქვენს მოძულებს და ილოცეთ მათოვის, ვინც თქმან გავიწროებთ და გდევნით“ (მათე, 6, 46) (3, 10).

„ვინც რომ მიყვარს, ის ხომ მიყვარს, ისიც მიყვარს, ვინაც რომ მძულს“ – ქრისტიანული მრწამსით იყო შთაგონებული აკაკი წერეთლის ეს სტრიქონები.

ვაჟა-ფშაველა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ მოყვასის სიყვარულით: „მკლავს ნდობა დაუსაბამო, მოყვასისათვის გწვალობდე. ვიცი, ტანჯული ამგარად უნდა ბოლო დროს ვხარობდე. ვინც მიყვარს, გარდა იმისა, მინდა სხვასაცა ვყვარობდე“ (ადარ მწარიან ვიმღერო) (2, 181).

სახარება განარჩევდა სულისა და ხორცის საქმეებს.

„...ხორცის საქმეები აშკარად: ეს არის სიძვა, უწმიდურება და თავაშვებულობა.

კერპორმსახურება, მისნობა, მტრობა, ჩხუბი, შური, რისხვა, შუღლი, უთანხმოებანი, მწვალებლობა,

სიძულვილი, მკვლელობა, ლოთობა, გაუმაძღრობა და სხვა ასეთი, გეუბნებით წინასწარ, ...რომ ამის ჩამდენი დვოს სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებენ (პავლე მოციქული, გალა-ტელთა, 6, 19,20,21) (3, 411).

„ხოლო სულის ნაყოფია: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სახიერება, სიკეთე, ერთგულება.

სიმშვიდე, თავშეკავება – ამათ წინააღმდეგ არ არის რჯული.

ხოლო მათ, ვინც ქრისტესნი არიან, ჯვარს აცვეს თავიანთი ხორცი ვნებებთან და გულისთქმასთან ერთად.

თუ სულით ვცოცხლობთ, სულითვე უნდა ვიაროთ.

ნუ ვიქნებით პატივმოყვარენი, ერთმანეთის გამაღიზიანებული და ერთმანეთის მოშურენენი“ (პავლე მოციქული, გალა-ტელთა, 6, 22,23,24,25,26) (3, 411).

ვაჟა ფშაველა სულის, სულიერების აპოლოგეტი იყო და სახარების კვალობაზე მოიაზრებდა სულისა და ხორცის ოვისებებს: „ხორცო, დაპნელდი, დამჭელევდი, სულო, იხარე, ჰლალობდე, ღმერთმა დამკარგოს, თუ ამას სიტყვის შნოსათვის ვამბობდე. ხორცი რას მიშველს მარტოპა, თუ სულით არა ვგალობდე. სულო, აპყვავდი, ამაღლდი, დაე ლეშითა გწვალობდე! სულო, აპყვავდი, ამაღლდი, ვარდებით დაიფარია. ცრემლი, ჩემთ თვალთა ნაწური, ზედ ნამად დაიყარია. საჭირვარამო ქვექნისა გულს ლახვრად გამიყარია“ (ხორცო დაპნელდი) (2, 40).

ბუნების, ქვეყნისა და ადამიანთა გულების მესაიდუმლე უკუაგდებდა „წვრილმან, ჩანჩალა აზრებს“, მისი „დიდი წადილი“ სამყაროს იქით, მოკვდავთათვის უცნობ პორიზონტებს იკვლევდა, ღმერთთან ხიდის გადებას ცდილობდა: „...უცვლელი ვრჩები მაინცა ჩემის წადილით დიდითა, სამყაროს იქით რომ მიდის, მომაკვდავთ განა იცითა? წვრილმანს, ჩანჩალა აზრებსა ვილალავ აქეთ-იქითა: არ დამიშალონ მიმოსვლა ღმერთთან ამ გრძნობის ხიდითა“ (მე შენის ტრიუბით ვერ გავძელ) (4, 318).

ქრისტიანული მრწამსით ცხოვრობენ ვაჟას პერსონაჟები („საშობაო ამბავი“, „კაცი მართალი“).

მაგრამ პოეტის თანამედროვე გაოქა ქრისტიანული ეთიკის იგნორირებით გამოირჩა.

ამიტომ წუხდა ილია ჭავჭავაძე „აჩრდილში“ მკურნალი წყაროს დაშრობას, სიცოცხლის ხის გახმობას.

დაკარგული „საყვარლის“ - „სულიკოს“ საფლავს თავდაკლული დაექცებდა აკაკი წერეთელი.

პოეტს „სიცოცხლის ხესთან“ (ღმერთის სიმბოლო) სიკვდილის ზარი ჩაესმოდა (4, 257-258).

ღმერთის ძიების, პოვნის, საამქვეყნო მდაბალი ფიქრების, შერის და მტრობის ღმერთის სასწაულმოქმედი ძალით დამარცხების სიხარულია ვაჟა-ფშაველას ლექსში „სამეფო სიყვარულისა“.

ბედის ვარსკვლავი, სატრფო, უკვდავების ხე, სიყვარული (ღმერთი) სამოთხის, სამყაროსული პარმონიის დამკვიდრების საწინდარია.

ლექსის დასაწყისი სატრფოს დაკარგვით განცდილ ჭირსა და სევდას აფიქსირებს: „სატრფო დაგპარგა, იმას ვეძებდი, შემოვიარე მთელი ქვეყანა. ჭირი და სევდა ზღვა და ხმელეთზე სატრფოს მაქებარს შემხვდა ბევრგანა“ (5, 259).

სატრფო, საყვარული, სიყვარული ღმერთია.

სოლომონის „ქებათა ქებაში“ ღმერთი არის „სულის შეყვარებული“ (ქებათა ქება, 3,1) (6,16).

„...ეს არის მეტრუე ჩემი, ეს არის საყვარელი ჩემი“... (ქებათა ქება, 5,16) (6,17).

დავით გურამიშვილის „დავითიანის“ მიხედვით, ღმერთი არის „საყვარელი, მკვიდრი საყვარელი, ტრფიალი, მიჯნური“ (7, 428).

„ზუბოვკა“ საღვთო მიჯნურობის თემაზეა შეთხხული (7, 436).

„გახტანგ VI „სატრფიალონი“, არჩილის „ტურფა ასული“ ალეგორიულად ქრისტეს მოიაზრებს, რაც სუფისტური პოეზიის გავლენაზე მიუთითებს (7, 436).

აკაკი წერეთლის „სულიკოში“ ღმერთს ეწოდება „საყვარელი“ და სულიკო (სული).

გალაკტიონის შემოქმედებაში ღმერთი არის „შორეული სატრფო“, სიყვარული, „ზექვეყნიური სიყვარული“.

ანა კალანდაძის ღმერთი არის „ყოველთა დიდი სიყვარული“, „რჩეული“.

ვაჟა ფშაველას „სატრფოც“ ღმერთია, იგი დაკარგულა, გაუჩინარებულა ურწმუნოთათვის.

ლექსში „სამეფო სიყვარულისა“ ასევე მიების ორიენტირია „ბედის ვარსკვლავი“: „რამდენჯერ ფიქრი ცეცხლმოდებული გავგზავნე ცაში მაღლა ღმერთანა, მაგრამ მე და იმ ჩემს ბედის ვარსკვლავს არ მოგვიხერხდა შეერა ერთგანა“ (5, 259).

ვარსკვლავი საღმრთო სახელია. იოანეს აპოკალიფსში ქრისტე არის „ცისკრის კაშპაშა ვარსკვლავი“ (იოანეს გამოცხადება, 22,16) (3, 521).

ლექსის მიხედვით, ხეტიალისას ვაჟა ფშაველა წააწყდება უმშვენიერეს, „ტურფა მდელოს“, იმდენად ზეაღმტაცს, რომ შეუწევარებელია ადამიანის მიერ ამ წმინდა ადგილის ფეხით გათელვა.

ეს გამორჩეული ადგილი სამოთხის იდენტური იყო, სადაც ყოველგვარი „საამქვეყნო ფიქრი“ ქარწყლდებოდა...

წმინდა სავანეში „ტრფობის ღმერთების“ მსგავსი ციფი წყაროები რწყავდნენ ყვავილებს: „ციფნი წყარონი ურიცხვო ყვავილთა ანკარა ნამით პირებსა პბანდენ. წყარო ხომ თავადაც ლამაზი არის, მაშინ კი ტრფობის ღმერთებსა პგვანდენ. უკვდავებისა წყარონი იყვნენ და უკვდავებით მიდამოს რწყავდენ“ (5, 259).

წყარო უფლის მეტაფორული სახელია.

ქრისტე არის „ცოცხალი წყალი“ (იოანე, 4, 10) (3, 183).

ღმერთია „წყლის წყარო, რომელიც საუკუნო სიცოცხლედ
იდინებს“ (იოანე 4,14) (3, 183).

იოანეს გამოცხადების მიხედვით, ქრისტე არის „სიცოცხ-
ლის წყლის წყარო“ (2, 16) (3,518), „უსასრულო სიცოცხლის
წყალი“ (გამოცხადება, 22,17) (3,521), „სიცოცხლის წყლის
მდინარე“, რომელიც „დავთისა და კრაგის ტახტიდან მოვდი-
ნება“ (გამოცხადება, 1) (3, 519).

ვაჟას მიერ ხილულ სამოთხეში ყვაოდა „უკვდავების ხე“.

„უკვდავების ხე“ იდენტურია იოანეს გამოცხადების „სი-
ცოცხლის ხისა, რომელიც ისხამს ოორმეტ ნაყოფს, ყოველ
თვეში იძლევა თავის ნაყოფს, ხოლო ხის ფოთლები ხალხთა
განსაკურნებელია“ (იოანეს გამოცხადება, 22,2) (3, 520).

მხოლოდ წმიდებს, რომლებიც „რეცხავენ თავიანთ
სამოსელს, აქვთ უფლება სიცოცხლის ხეზე“ (22,14) (3, 520).

ვაჟას „სიყვარულის სამეფოში“ არ გვხვდება ევას მაც-
დუნებელი გველი, ბოროტება დათრგუნული იყო, „სამეფო
ტახტე ყვავილიანზე თვით სიყვარული ზედ ბრძანდებოდა,
კაცთა და პირუტყვო გრძნობა-ვნებაზე იგი მეფობდა და
ბრძანებლობდა“ (5, 259).

უფლის სასწაულით, მოთვინიერებულიყვნებ ვეფხვნი და
ლომნი, ირემთა და შვლებთან უწყინრად იყვნენ, ქორ-შევარ-
დენნი კაკაბთ, გნოლო ვედარ ერჩიოდნენ.

არწივის ბუნება დამტკბარიიყო სიყვარულის ძალით, მას
ხმალი ქარქაშში ჩაეგო და კლანჭებზე სისხლი აღარ ეცხო.

სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულმა მეფებმა დაი-
ვიწყეს შური, მტრობა, ომი, სიყვარულის სამეფოში მათი
სულიერი ფერიცვალება მოხდა, იარაღი გადააგდეს და
ერთმანეთს დაიძლი ძმებივით გადაეხვივნებ. ამ მადლიანი
ცისგან და მდელოსგან მათ სულ სხვა რამ ეუწყათ და
სიყვარულშემოსილებად იქცნენ: „ერთურთს შესტრფიან თვალ-
დამშეულნი, ვით ცა გადმოსულს მაზედ მოვარესა. მე კი
ვიძახდი: სატრფო სადა ხარ? რად არ მაჩვენებ შენსა სახესა?“

ბიბლიაში ღმერთი არის „დიდი და სასწაულმოქმედი“ (ფს.
86, 10) (3, 615).

სასწაულები უფლის ძალით ხდება: „მე უფალი, ვამდაბლებ
აღზევებულ ხეს და აღვაზევებ დამდაბლებულ ხეს, ვახმობ

ნედლ ხეს და ვაყვავებ გამხმარ ხეს, მე, უფალმა, კოქვი და აღვასრულებ“ (ეზეკიელი, 17,24) (6, 208).

სასწაულებია ებრაელებისა და მოსეს ხალხის გასვლა მეწამულ ზღვაში (გამ. 14, 6-39) (8,22).

სასწაულებია ისრაელიანთა დაპურება ზეციური პურით, კლდიდან კვერთხის დაკვრით წყლის გამოდენა, მოწამლული წყლის განწმენდა ძელით (გამ. 15, 22-26, 16, 1-31) (8, 53).

სასწაულია აარონის კვერთხის განედლება 12 კვერთხს შორის (გამ. 15, 22-26, 16, 131, 19, 1-13) (რიცხვი, 17,23) (8, 53).

სასწაულია მეფე დარიოსის მიერ ლომის ხახაში ჩაგდებული დანიელის უვნებლად გადარჩენა, ხოლო მისი დამბეზღებლის დაგდეჯა მტაცებლებისგან (დანიელი, 6, 17-12) (8, 254).

ქრისტეს მრავალი სასწაულია აღწერილი სახარებებში.

ლექსის ავტორი დაეძებს სატრფოს, ამ სასწაულების მიზეზთა მიზეზს და მისი შეკითხვის – „სატრფო სადა ხარ?“ – პასუხში გაცხადდება სატრფო და ტრფობის ქვეყანა შეიცნობა: „მე თვით გახლავარ ის შენი სატრფო! ტრფობის ქვეყანა ერთხმად ჰქიოდა“.

მაგრამ ეს ზექვეყნიური ბედნიერება ეფემერული გამოდგება, რადგან პოეტმა სიზმარში იხილა ყოველივე და ისევ იმედგაცრუების ტკივილი აემგზავრა.

წვენი სხვა კლასიკოსებიც სიზმრით უახლოვდებიან იდეალს.

აკაკი წერეთელი გაურბოდა სულის დამაკინებელ გარემოს და სიზმარში ხედავდა ქვეყნის ხსნისთვის მოვლენილ ნინოს, ქეთევანის, თამარის სამებას, გამოღვიძებულს კი ისევ მწარე რეალობაში, გადაგარებულ თანამემამულებებს შორის ყოფნა გაუძლისი გულისტკივილით ავსებდა (სიზმარი) (4, 247-248).

ამქვეყნიური უკეთურობებით გულგატებილი პოეტი სულიერი სიმშვიდის წყაროს ძილში, სიზმრებში პოულობდა: „ძილო! ...ზეციურო სტუმარო,... ქვეყნის ტანჯვა, ფხიზლობა ვეღარ აიტანო! სიზმრით მაინც დაატბე! ნანა-ნანი-ნანაო!“ (ზეციური სტუმარი) (4, 254-255).

გალაკტიონს ესიზმრებოდა „რადაც წმინდა, შორი ქვეყანა“ და „ანგელოზთა ნანა“ (მე მესიზმრება) (9, 39).

პოეტების მეფის სულში მკვიდრდებოდა „ოცნება, ნახაზი საგანთა უარით“ (ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი) (9, 74) ანუ მწარე სინამდვილეს ოცნებით ალამაზებდა.

იუნგის მიხედვით, არსებობს „კომპენსირებული, პროსპექტული, წინასწარმეტყველური სიზმრები“, რომელიც გვაუწყებს „მომავალი ცნობიერი წარმატების არაცნობიერ ანტიციპაციას“... სიზმარი შეიძლება მოიცავდეს გარდაუვალ ჭეშმარიტებას, ფილოსოფიურ დებულებას, ილუზიებს, ველურ ფანტაზიებს, მოგონებას, გეგმებს, ანტიციპაციას, ტელეპატიურ ხილვებს“ (10, 26,255,293,305).

აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას და გალაკტიონის სიზმრები „კომპენსირებული სიზმრებია“, გამოხატავს სინამდვილით უკავიოფილებას და ამჯერად, სიზმარი, ხილვა მიუღწეველის, არყოფილის ასრულების ილუზია, რეალურში განუხორციელებელის ირეალურ ყოფაში აცხადება.

მითითებულია, რომ „სამეფო სიყვარულისა“ შთაგონებულია იოანე დვითისმეტყველის გამოცხადებით, რომელშიც ფიგურირებს საყდარი და მასზე მჯდომი“ (11, 97).

ვაჟას სიყვარულის სამეფო არამიწიერი ადგილია, სულიერი ბაღი, სადაც დგას სამეფო ტახტი და მასზე ბრძანდება სიყვარული – დმერთი (იქვე).

„ღმერთი სიყვარულია“ (იოანე, I, 4,8).

ბაღი კაცური ბუნებაა იპოლიტე რომაელის მიხედვით.

ბაღის აყვავება წყლით ხდება, წყალი კი საღვთო სახელია.

ანუ ადამიანის სულს ალამაზებს, აკეთილშობილებს დვთის რწმენა.

„საყოველთაო ინიციაციას ასახავს გამოცხადება მეორედ მოსვლის ქამს და ეს ინიციაცია ქორწინებითაა სიმბოლიზებული“ (11, 93).

ვაჟასთან „მშვენიერი მდელო“ განასახიერებს სასუფეველს, გამოცხადებაში კი გვხვდება „მაღალი სერი“.

ქრისტეს ცხონებულთა, სერის მკვიდრთა შესვლა სასძლოსთან იდენტურია მდელოს მკვიდრთა დამკვიდრებისა სიყვარულის სამეფოში.

ორივესთან საყოველთაო ინიციაციაა.

ინიციაციას, ღმერთობა მიახლოების არსეს ვაჟა წმინდა ქრისტიანული თვალთახედვით აფასებს“ (11, 100).

„გონით და გრძნობით დვთიანი“ ვაჟა ბოლომდე რჩებოდა „დიადობის რჩულის“ ერთგული, ოუმცა კარგად ხედავდა „უკეთურების ზეიმს: „სად ია-ვარდის ოცნება, სად „ჩოტჭარშინის წკრიალი? სად ანგელოზი, სად ქაჯის ოინბაზური ტრიალი?! ათასი მიეთ-მოეთი, ფერობა, ენის ტრიალი, ათასგან ჩაძრომ-გაძრომა, ცხოვრება ცუნცრუკიანი – დრუჯის, ფეხების ლოკვისა – უმსგავსი, მუწუკიანი?! ნეტავი ბავშვად მამყოფა (შეცვალა წესი ტიალი) – სრულ თავის უბირობითა, გონით და გრძნობით დვთიანი, და ისევ ბავშვად ყოფილსა დღვე დამიბნელა მზიანი!“ („ჩემს სიყმაწვილეს მივტირი“) (4, 315).

ლიტერატურა:

1. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული, 5 ტომად, ტ. I., თბ., 1961.
2. ვაჟა ფშაველა, ტ. 2, თბ., 1961.
3. ახალი აღთქმა და ფსალმურები, სტოკოლმი, 1992.
4. ქართული კლასიკური პოეზიის ანთოლოგია, თბ., 1980.
5. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა კრებული 10 ტომად, ტ. I, ლექსები, თბ., 2006.
6. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ., 1990.
7. ტიტე მოსია, „დავითიანის“ სახისმეტყველება, თბ., 2005.
8. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I.
9. გალაპტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977.
10. კარლ გუსტავ იუნგი, ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები, სიზმრები, თბ., 1995.
11. თამარ შარაბიძე, ქრისტიანული მოტივები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, თბ., 2005.

გალაკტიონ ტაბიძის „ზექვეყნიური სიყვარული“

გ. ტაბიძის შემოქმედებაში „სიყვარულის ცხოველი ნათელი“ დაპნათის ყველაფერს. „ზექვეყნიური სიყვარული“ ასხივოსნებს პოეტის სულს, „ჯერ ყველასაგან მიუკვლეველი აღმოვაჩინე მე სიყვარული“ – აცხადებს პოეტების მეფე და ეს არ არის შემთხვევითი ფრაზა, მეოცე საუკუნის 20-30-იანი წლების კომუნისტურ ხელისუფალთა უმეტესობას სიყვარული კი არა, სიძულვილი და ნგრევა ამოქმედებდა. „ლუციფერის სამშობლოში“, „ცალთვალა მეფისტოფელის“ საუკუნეში ანტიქრისტეს ნაშიერები თარეშობდნენ და ხალხს სამუდამოდ დაავიწყეს ღმერთი, სიყვარული. იმ ეპოქაში სიყვარული მართლაც ხელახლა აღმოსაჩენი გახდა. გადმოისროლეს ო „მიწასთან დაბრუნების“ ლოზუნგი, პროლეტარულ მწერალთა უსახო ლეგიონებს აღბათ არასდროს მოზმანებიათ ზეცისთან მიახლოების აუცილებლობა, რადგან იმთავითვე დაპყვათ ამაღლებულისადმი დაგმანული მზერა.

გალაკტიონმა სიყვარულის მრავალსახეობას უმდერა. ამასთან, საღმრთო სიყვარული დასახა ყველაზე უძლეველ და ჭეშმარიტ გრძნობად. ამოდიოდა რა ზეციდან, მის იერარქიაში ღმერთიდან იწყებოდა ყველაფერი.

საღვთო სიყვარულია გალაკტიონის იდუმალ სამყაროში შესასვლელი კარი. მხოლოდ განსაკუთრებული, რჩეულთათვის დამახასიათებელი „ზექვეყნიერი სიყვარულით“ იწვოდა პოეტი (რაც სრულიადაც არ ნიშნავს გულგრილობას ქვეყნიერი სპეტაკი გრძნობებისადმი) და ამიტომაც წვდგბოდა სხვათათვის უხილავს და მოუხელობელს.

სიყვარულია ყოველი ამაღლებულის, მშვენიერის სათავე, რადგან „ღმერთი სიყვარული არს“ (კათოლიკე ეპისტოლე იოანესი, 4, 439,8).

პლატონის მიხედვით, „მხოლოდ სიყვარულს მიჰყავს კაცი ჭეშმარიტი გზით ამ ცხოვრებაში“ („ნადიმი“, თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძის, თბ., 1964, გვ. 17).

შთაგონება, გენიალობა ეროსთან წილნაყარია.

არსებობს მიწიერი და ციური ეროსი.

პლატონი გამოყოფს ეროტიკულ მისტერიათა საწყის სტადიას, უმაღლეს, ეპოპტიკურ სტადიამდე, რომლისთვისაც ეს საწყისი სტადია მხოლოდ პირველი საფეხურია“ (იქვე, გვ. 61). მის შემდეგ კი იწყება „სულის მშვენების“ უპირატესობის აღიარება „სხეულის მშვენებაზე“, „ეგ სული, მიქცეული მშვენიერების უკიდეგანო ოკეანის ჭვრეტად, ვიდრე აგრე გაბრძობილი და არ მიადგება... ერთადერთ ჭეშმარიტ მოძღვრებას... მოძღვრებას აბსოლუტური მშვენიერების შესახებ... ვინც ეროტიკულ მისტერიათა ამ სტადიამდე ამაღლდება, ზიარების ზღვარს მიღწეული, იხილავს გასაოცარ მშვენიერებას, მშვენიერებას მარადიულს, ხელოუქმნელს და წარმოგვიდგენს მშვენიერებას, სახიერს თავის ყველა გამოვლენაში, ყველა დროში, ყველა ასპექტში...“

„ჭეშმარიტი გზა სიყვარულისა – ესაა გზა მშვენიერ საგანთან უმაღლეს მშვენიერებაზე თანდათანობით გადასვლისა... ესაა მშვენება წმინდა, შეურყვნელი და შეურევნელი კაცის ხორცით, ფერებითა და სხვა ხრწნადი გარსით შებდალული კი არა, ერთსახოვანი დვთაებრივი მშვენიერება“ (იქვე, გვ. 63).

„სულის ნაყოფი სიბრძეა და ყველა სახის სათნოება და მათ პრეტა, იმ დემიურგოსთა ნაშიერად თვლიან, რომელთაც ფარულსა და იდუმალში ჩაწვდომის ნიჭი მოჰმადლებიათ“ (იქვე, გვ. 60).

სული დმერთია: „ხოლო უფალი სულ არს“ (კორინთელთა მიმართ, 3, 4, 521,17).

დიონისე არეოპაგელის მიხედვითაც, „სულიცა უფალ არს“, „დმერთი სულია სახიერი, დმერთი სულია ჭეშმარიტებისა, რომელი მამისაგან გამოვალს“ („შრომები“, 1969წ., 15,14).

ახალი ადთქმის მიხედვით, „სიყვარული დმერთისგან არს“ („პათოლიკე, ეპისტოლე, იოანესი, თავი III, 19).

„ვისაც არ უყვარს, მან ვერ შეიცნო ღმერთი იმიტომ, რომ ღმერთი სიყვარულია“ (კათოლიკე ეპისტოლები იოანესი, თავი IV, 8).

იაკობ მოციქული იგივეს ქადაგებს: „საყვარელნო, გვიყვარდეს ერთმანეთი, ვინაიდან სიყვარული ღმერთისგან არს და ყვალა, ვისაც უყვარს, ღმერთისგან შობილია და იცნობს ღმერთს“ (კათოლიკე ეპისტოლები იაკობისა, თავი IV, 7).

პავლე მოციქული კი, როგორც „სულიწმიდის ქნარი“, ასეთ სადიდებელს აღუვდენს სიყვარულს: „კაცთა და ანგელოზთა ენებზეც რომ გმეტყველებდე, სიყვარული თუ არა მაქვს, მხოლოდ რვალი ვარ მოუღრიალე, მხოლოდ წკრიალა წინწილი.

წინასწარმეტყველების მადლი რომ მქონდეს, ვიცოდე ყველა საიდუმლო და მქონდეს მთელი რწმენა ისე, რომ მთების დაძვრაც შემეძლოს, სიყვარული თუ არა მაქვს, არას მარგია.

სიყვარული სულგრძელია და ტკბილი, სიყვარულს არ შეურს, სიყვარული არ ქედმადლობს, არა ზვაობს.

არ უკეთურობს, არ ეძებს თავისას, არ მრისხანებს, არ იზრახავს ბოროტს.

არ შეჰსარის უსამართლობას, არამედ ჭეშმარიტებით ხარობს.

ყველაფერს იფარავს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს, ყველაფერს ითმენს.

სიყვარული არასოდეს არ გადავა, თუმცადა წინასწარმეტყველებიანი განქარდებიან, ენები დადუმდებიან და უქმი გახდება ცოდნა... მთავარია „რწმენა, სასოება და სიყვარული, ხოლო ამათში უმეტესი სიყვარულია“ (პავლე მოციქულის ეპისტოლები, I კორინთელთა მიმართ, თავი მე-13, 1,2,3,4, 5,6,7,8,13).

პავლე მოციქული აცხადებდა: „ჩუქნ დუთის და არა ამ სოფლის სული მიგვიდებიუს“ (I კორ., 2, 12).

თითქოს მის დირსეულ შეპასუხებად ისმის გალაპტიონის სიტყვები: „მე სული არ მაქვს ამქვეყნიური“... „და ზექვეყნიურ სიყვარულით მწვავს გამოუთქმელი და მწარე ალი“ („არ მინდა სიტყვა“).

დანტეს იზიდავდა „სიყვარული პირველი, პირველადი სიყვარული, სიყვარული დვთაებრივი, სიყვარული დაუშრებელი“.

სულიერ ზეცაში შეიგრძნო დანტემ არამიწიერი სიქველე და იქვე შეიცნო „სიყვარული სხვადასხვაგარი“.

იტალიელი გენიოსი მოგვიწოდებდა: „თვალი მივაპყროთ ახლა უკვე სიყვარულს პირველს“.

ღვთაებრივი სიყვარულის ძალის შედეგია ყოველი სრულყოფილის გამოვლენა ამქაფნად: „სადაც კი სიყვარული მართლაც მისნური პირველი ძალით გამოიჩენს ქმედობის ძალას, იქ იბადება სრულყოფილი ანაზღეულად“ („ღვთაებრივი კომედია“, 1941წ., გვ. 328).

დანტე ასკვის: „სადაც ნათელი ცისიერი არ ბოძებულა, მანდ სუფევს ბნელი დანაჩრდილი სხეულთაგანის, იქ სიმრუჟმება და ყოველგან შიშინებს შხამი“ (გვ. 352).

„ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველებაში“ ზ. გამსახურდია აღნიშნავს, რომ „შეუ საუკუნეების ევროპაში, პროვანსისა და იტალიაში არსებობდა მიმდინარეობა „მიჯნურობის მორწმუნები“, რომელიც წარმოადგენდა საიდუმლო ორგანიზაციას. ამ ორგანიზაციას პქონდა საიდუმლო მეტაფორული ენა, რომელიც სიმბოლოებისა და ალეგორიების მეშვეობით გადმოსცემდა სიყვარულის ინიციაციის მისტერიებს... აქ იყო გამეფებული „ერთადერთი ქალის კულტი („ქალი“ ამ შემთხვევაში ტრანსცენდენტული ინტელექტის, სიბრძნის, სოფიას სიმბოლო იყო... დანტე იყო წევრი მიჯნურობის მორწმუნეთა ძმობისა“ (გვ. 93).

სუფისტური ასკეტიზმი, ზ. გამსახურდიას აზრით, აღმოცენდა არაბეთის ქრისტიანი ბერების გავლენით (იქვე, გვ. 104).

სუფისტურ სიყვარულს პოლობდნენ „ვეფხისტყაოსანში“ ვახტანგ VI, დავით გურამიშვილი, კ. კეკელიძე (თუმცა კ. კაპალიძე არ იყო ამ საკითხში თანმიმდევრული, 1933წ.). იგი სუფისტურ თეორიას ავითარებდა, 1941წ. უარყო ეს აზრი, 1945 წელს კი ისევ სუფიზმს დაუკავშირა.

მიჯნურის სამსახური ღვთის სამსახურის ანარეკლია. მიჯნური განასახიერებს მარადქალურ საწყისს, სოფიას, ღვთისმშობელს. აქედანვე იშვა მიჯნურის მისტიური კულტიც“ (ზ. გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება“, გვ. 167).

„სუფიები არიან პოეტები და მიჯნურები ერთდროულად, მათ გზას ეწოდება გზა მიჯნურობისა“ (ზ. გამსახურდია, იქვე, გვ. 106).

სუფისტურ ასპექტში კითხულობს რუსთველურ მიჯნურობას ზ. გამსახურდია „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველებაში“.

სუფისტური სიყვარულია ჯალალ-ელ-დინ რუმის პოეზიის მთავარი თემა: „მე...ერთს ჭჭვრეტ ორსავ სოფელში... იგია პირველყოფილი და უკანასკნელი, იგია ცხადი და დაფარული. და ამ სოფელში ჩვენ ორს გარდა, სხვას არავის ვცნობ. მე სიყვარულმა დამათრო და ცნობისაგან მიხდილი მაქვს ორივ ქვეყანა“ („აღმოსავლური პოეზია“, თ. ჩხერიძელის თარგმანი, თბ., 1981, გვ. 17).

სუფისტების მოძღვარი იბნ ელ არაბი წერდა: „მე მივსდევ რელიგიას სიყვარულისას. მე მიწოდებენ ხან ლაზელების (საღვთო სიბრძნის) მწევებს, ხან ქრისტიან ბერს, ხანაც სპარსელ ბრძენს. ჩემი მიჯნური სამებაა, რომელიც არის მხოლოდ ერთი“.

„წმინდა ვნებას“ უმდეროდა ბოდლერი („მიწვევა სამოგზაუროდ“, „ჩემო გიშერო“, გვ. 13).

საღმრთო სიყვარულის იდეას იზიარებდნენ და „საყვარელს“ – ქრისტეს ეთაყვანებოდნენ დ. გურამიშვილი, ვახტანგ VI, ა. წერეთლი.

ქრისტე აკაკი წერეთლისთვის იყო უმაღლესი სიყვარული, „საყვარელი“ და „სულიკო“ ერთდროულად.

„ციურ დედოფალს“ თაყვანს სცემდა ვლადიმერ სოლოვიოვი: „ჩემი სული... მიეახლება ციურ დედოფალს“ („მარადი დღე“, თბ., 1984, გვ. 102).

„ციურ მეუდლეს, დგოთაებრივ ქალს“ უმდეროდა ბლოკი („მე ბნელ ტაძარში“, იქვე, გვ. 145).

„ზეციური ცოლი“ ეზმანებოდა ბლოკს ლაჟვარდებში: „ლაჟვარდებით გარემოცულს, დრო – დარბაზებს ანათებს, თეთრი, თეთრი ანგელოზი გზებს ვარდებით ადაგსებს. ზეციური ჩემი ცოლი ტოვებს ცისფერ კამარას, გადისსნება ოქროს რგოლი, ქათქათა ფრთხებს დამალავს“ (იქვე, გვ. 168).

ვფიქრობთ, მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში საღმრთო სიყვარულის იდეის თანმიმდევრული ერთგული იყო გ. ტაბიძე.

ნიპილიზმის, ცინიზმის ბატონობის დროს „მოკვდა“ ღმერთი და გამეფდნენ ანტიქრისტეს მიმდევრები, „ნათელის მგმობი“ ობივატელები, სისხლისლვრის, სულის ჩაკვლის ოსტატები. ამიტომაც არის გალაკტიონის პოეზიაში „წვალება და ვალალება გრძნობათ დამხობის“.

ასეთ დროს ძნელი იყო უზენაესი საწყისების ერთგულება, მაგრამ ზეციდან მოვლენილი ერთეული პოეტები მაინც ინარჩუნებდნენ ღმერთისაგან ნაბომებ „ზეცის სხივს“, „საიდუმლო შექს“ და საიდუმლოების ბურუსში ხვევდნენ მას გასაგები მიზეზების გამო.

კაცთათვის მიუწვდომელი და შეუცნობელი ღმერთის სახე მხოლოდ სიმბოლურ-ალეგორიულ სიტყვათშეხამებაში, ენიგ-მურ ხატებში უნდა გაცნობიერებულიყო და გალაკტიონი არა მარტო იყენებდა ტრადიციას, უსაზღვროდ აფართოებდა მის შესაძლებლობას. პოეტი ამ ასპექტშიც ერთადერთი და განუ-მეორებელია.

სიყვარულის წინააღმდეგ ცეცხლითა და მახვილით ბრძოლის ეპოქაში გალაკტიონს ერთი წუთითაც არ გაუწყვეტია კავშირი უზენაეს ნათელთან და მან გაამჟღავნა ისეთი პრობლემების პოეტურ-თეორიული წვდომა, რასაც ერთდრო-ულად სჭირდება „გულისა და გონების ძალა“, დიდი ინტუიცია და მხატვრული ძალისხმევა.

გალაკტიონმა დაამკიდრა XX საუკუნის ქართულ პოეზიაში საღვთო სიბრძნის გამომხატველი ლექსები, რომელიც ცნობილია „გაზელების“ სახელწოდებით.

ამ ტრადიციების სათავე მან აღმოსავლურ ლირიკაში, ჯალალ-ედ-დინ რუმის, ნიზამის, ომარ ხაიამის, საადის შემოქმედებაში იპოვა და განაცხადა, რომ ისინი „საგვე პეშვებით ისვრიან აელვარებულ მარგალიტებს გაზელებისას“.

გალაკტიონი სპეციალურ წერილში – „გაზელა“ საუბრობს როგორც გაზელის წარმოშობაზე, ისე მის თავისებურებებზე.

აი, რას წერს იგი: „გაზელა, როგორც ფორმა, ეპუთვნის სპარსეთის პოეზიას და ითვლება მის ერთ დამახასიათებელ ფორმად, მთელი პოეზია სპარსეთისა, განსაკუთრებით მეორე პერიოდი (1106-1203), ერთი განუწყვეტელი დითირამბია უნაზესი გრძნობების. მშვენება შირაზის, პოეტი პაფეზი (133-181), მსოფლიოში განთქმული ლირიკისი, რომელიც გავლენას

ახდენდა უვროპის ლიტერატურაზე და რომლის გავლენის ქვეშ დასწერა გოეთებ თავისი „დასავლეთის დივანი“, იყო უძიდესი პატრიოტი გაზელის. გოეთეს შემდეგ მთელს გერმანიას მოეფინა სასიყვარულო ლირიული ლექსები „გაზელების“ სახელწოდებით, რომლებიც ხშირად იწოდებოდნენ „გაზელებად“. მათში დაცული არ იყო ის თავისებურება, რომელიც სპარსულმა პოეზიამ დააკანონა გაზელისათვის.

საქართველოშიც გაზელის მსგავსად დაიწერა ძალიან ბევრი ლექსი (ბესიკის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, საიათოვას – მაგრამ მხოლოდ მსგავსად). „არც ერთი ლექსი არ მოიპოვება ქართული გაზელა“.

გაზელის თავისებურება ისაა, რომ ერთი და იგივე სიტყვა ან გამოთქმა მეორდება ყოველი მეორე სტრიქონის ბოლოში, რის გამოც იგი დაყრუებულია უნაზესი სენტენციებით. ეს განმეორება სიტყვებისა არის უმთავრესი თვისება გაზელის... მას უნდა პქონდეს არანაკლები ხუთის და არაუმეტეს შვიდი ორსტრიქონიანი ტაქპისა“.

ამავე წერილში აღნიშნულია, რომ გაზელას წარმოშობა დაკავშირებული იყო სასანიდების დინასტიის სახელგანოქ-მული წარმომადგენლის – ბერძოლაშვილის სახელთან, რომელიც იყო იდეალი რაინდის, მონადირისა და გულთამხილავის. მან მოიგონა პირველად მეტრიული სიტყვა საყვარელი მონაქალის – დილარამის სტიმულით, რომელიც აღფრთოვანებული სიყვარულით, თავისი ბატონის პოეტურ სიტყვებზე უპასუხებდა ბოლო სიტყვების თანაბარი აღფრთოვანებით: „განა წარმოსადგენია ამაზე უფრო უმშევნიერესი წარმოშობა პირველი ლექსისა და გაზელისა?“ – ასკვნის გალაკტიონი (ტ. 12, გვ. 160-161).

„გაზელის მცოდნის“ ადრესატი თვით გალაკტიონი იყო: „შორეულ დღეებს მახლობლად უზის მცოდნე პაფიზის, მცოდნე გაზელის, ცივი ოცნება შეფავს აუზის, ჩვენი დროც ისევ რუსთაველს ელის“ („ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის“).

პოეტს ენატრებოდა „ციური ალერსი, ციური სული“, იწვოდა „ზექვენიური სიყვარულით“, რომელიც წვეულებრივი ლექსიკით გამოუთქმელია, ამიტომ უცხადებდა სიტყვას უნდობლობას: „არ მინდა სიტყვა, არ მინდა სიტყვა, როდესაც

სიტყვა დაიბადება, სიმართლის აღი, როგორც ბურუსი, ისე ირღვევა და იფანტება“.

„სიმართლის აღი“ დღერთია, მასთან „კომუნიკაცია“ მხოლოდ უხმოდ, უსიტყვოდ ხდება.

ზეციური სულის პოეტს უარი უთქვამს ყოველივე ამქვეყნიურზე და „ტრფობის ტარიგად“ ქცეულა: „მე სული არ მაქეს ამქვეყნიური, შენზე ოცნებით დაიწვა იგი, განშორდა სოფელს და თუ კვლავ სცოცხლობს, სცოცხლობს ისე, ვით ტრფობის ტარიგი, და ზექვეყნიურ სიყვარულით მწვავს გამოუთქმელი და მწარე აღი, სადაა სიტყვა, რომ ამოაშროს გულში ნაგრძნობი და ნაფიქრალი?“ („არ მინდა სიტყვა“).

ამარა ამქვეყნად „ტრფობის წმინდა ყვავილის“ ძიება, რაც ამძაფრებს ტრაგიზმს („ყვავილები“).

„ხელოვნებაში“ გამოვლენილია იმის რწმენა, რომ „ქვეყნად არ არსებობს ის ალერსი, ის ამბორი“.

„იდუმალი, შორეული სატრფო“, „სხივნარო ელვა“, „შორეული ლანდი“ ბრძოში არ ცხადება, მასთან შეხვედრა მხოლოდ „არასამსოფლო გზით“ შეიძლება („სასიკვდილო მწუხარება“).

„ახლომდგომელი, მარადის დაფარული, მიუწვდომელი“ ზეციური სატრფო შორეული და ახლობელია ერთდროულად („სადღაც მინახავს“), როგორც ნეტარი ავგუსტინე უწოდებდა ლმერთს. პოეტი იტანჯება „სიშორის სიახლოვით“ და „სიახლოვის სიშორით“.

არა ხორციელი, ჩვეულებრივი მიწიერი გრძნობები, არამედ „ციური ალერსი“, „ციური ნანაა“ იდეალი: „ფიქალო მერდზე არ ოცნებობს, არც გულზე... ის მხოლოდ ციურ ალერსზე გვედრის“ („სხვისი სისპეტაკე უფრო აგიუგბს“). პოეტს რაინდობისთვის აქეზებს „სერაფიმთა ბაგეზე უნაზესი, ფაქიზი“ და ენატრება „შორეულთა ალერსი“ („ვოილებს“).

სულთა საუფლოდან ქვეყნად გადმოყოლილი ციური სიყვარული ერთადერთ ნუგეშად ქცეულა ამ პროზაულ სამყაროში: „მე დამავიწყდა ძველი წვალება და ვალალება გრძნობათ დამხობის და მახსოვს მხოლოდ ცისფეროვალება, იდუმალება შორეულ ტრფობის“ („ის“).

შორეული სატრფო ვარსკვლავია (ვარსკვლავი საღმრთო სახელია), ცის თაღის შუქია, დვთაებრივი ხმებით სიმღერებს

რომ კარნახობს პოეტს და ის ცის სამსხვერპლოზე აღავლენს სიყვარულის დიდებას. ყველაფერი ქვეყნიური ამ ციური, ღვთაებრივი მშვენიერების ანარეკლად ისახება („ჩემი ვარსკვლავი, სატრფოო“).

მხოლოდ უზენაესის სიყვარულია „სრული ტრფობა“ და ამიტომაც სანატრელია იმ სიყვარულის სიმღერა: „როგორ მიყვარდა! მაგრამ ხსოვნა იმ ტრფობის სრულის დარჩა ჩემს გულში წარუშლელი და მოკამკამე, იმას იგონებს მოგონება დაღალულ გულის... იმ სიყვარულის მიმღერე რამე!...“

ლექსში „სიცოცხლის დილა“ მარიამია, ყვავილები – ქრისტე, მისი სახის დროებითი გაუჩინარება აწვალებდა პოეტს და ამ „მომავლის ჩრდილის მჭმუნვარებას მაინც გრძნობდა აწმეოში: „ყმაწვილკაცობა, ყვავილები სიცოცხლის დილის ბურუსებს იქით გადიკარგა... როგორ ვეწამე! ახლა თავს მადგას მჭმუნვარება მომავლის ჩრდილის. იმ სიყმაწვილის მიმღერე რამე!“ („მიმღერე რამე!“).

ის სიყვარული სიზმარეულია, აუხდენელი და მომხიბლავი, მაგრამ რწმენა მისი კვლავ მოვლენისა მაინც ალამაზებს არსებობას („ის ჩამომშორდა, როგორც სიზმარი“).

ზეციური იდუმალი სატრფო, უხილავი ღმერთი გულშია დავანებული: „ჩემს გულში ვეძებ ვარსკვლავებს, მთვარეს, მეგობრებს, სატრფოს ეშნით მღელვარეს“ („ხშირად ვოცნებობ“).

პოეტი მთვრალი იყო სადმრთო სიყვარულით, იგი „სავსე ფიალით“ (ეს მარიამის სიმბოლო) ეწაფებოდა ოცნებებს, მშვენიერებას („იმედთა ნაცვლად“).

გალაკტიონის სამყაროში ყველაფერი ამაღლებული, ღვთაებრივი და უმწიკელო იყო, მის გულს ათრთოლებდა სპეტაკი, ჰაეროვანი მშვენება, წმინდა, შორი ქვეყნის ციური ხმები (მე მესიზმრება“).

პოეტების მეფემ თვითვე გაუსვა ხაზი თავისი სიყვარულის განსაკუთრებულობას: „ჯერ ყველასაგან მიუკვლეველი აღმოგაჩინე მე სიყვარული“ („დადგა აგვისტო“).

მართლაც, პოეტის თანამედროვე ეპოქაში ხელახლა აღმოსაჩენი გახდა სადმრთო სიყვარული, „სიყვარულის ხმა არსით ისმოდა“, მხოლოდ „დაცინვა, წყრომა და ირონია“ ეხერხებოდათ ღმერთობან მებრძოლ თაობებს.

ღმერთი სიყვარულია და იგი წარმოიდგინა პოეტმა მთელი სამყაროს მამოძრავებელ ძალად, სიხარულის, სილამაზის, უკვდავების წყაროდ: „უსიყვარულოდ... მზე არ სუფეს ცის კამარაზე, სიო არ დაჭრის, ტყე არ კრთება სასიხარულოდ... უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ“.

ამ სიყვარულს ღმერთი ეწოდება და დანტეს მიხედვით, იგი სამყაროს, პლანეტებს აბრუნებს: „წადილი, ნებისყოფა ჩემი შეირხა, როგორც ბორბალი, სიყვარულით მძლავრად დაძრული, იმ სიყვარულით, რაც აბრუნებს მზეს და ვარსკვლავებს“ („ღვთაებრივი კომედია“, 1941წ., გვ. 43).

ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, ღმერთი არის „დიადი სიყვარული“: „ეს სამყარო დიადი სიყვარულით, რომლითაც მოწყალების გამო შენისა, ბრწყინავს და იწვის იგი, ვთარცა მარადიული შუგა დღე“ („აღსარება“, გვ. 390).

გალაკტიონის პოეზიაში საღვთო სიყვარულს გულისხმობს „პირველი სიყვარული“, აგრეთვე „უკანასკნელი სიყვარული“, რომელიც ადამიანური სიყვარულის უმაღლესი საფეხურია.

უზენაესი გრძნობა თავისუფალია მიწიერი, ხორციელი ვნებისაგან და „უხმო ალერსით“ ატკბობს სულს, მას ამქვეყნიური „პირველი სიყვარული“ ვერ შეედრება: „მაგრამ სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელი, როგორც ყვავილი შემოღომის – ხშირად პირველს სჯობს, იგი არ უხმობს ქარიშხლიან, უმიზნო ვნებებს, არც ემაწვილურ ჟინს, არც ველურ ხმებს იგი არ უხმობს“.

იგი მიმწუხალისას მოდის, შემოღომის სიცივეში და ვნება კი არა, „სულთა შეხება“, სულთა „უხმო ალერსი“ მოაქსეს: „და შემოღომის სიცივეში ველად გაზრდილი, ის გაზაფხულის ნაზ ყვავილებს სულაც არა ჰგავს... სიოს მაგივრად ქარიშხლი ეალერსება და ვნების ნაცვლად უხმო ალერსს გარემოუცავს“...

გ. ტაბიძე წუხდა, რომ თანამედროვეთა შორის „მოკვდა „ღმერთი, ჰემმარიტი სიყვარული, რომელიც უკვდავების მომნიჭებელია: „და ჰკნება, ჰკნება სიყვარული უკანასკნელი, ჰკნება მწუხარედ, ნაზად, მაგრამ უსიხარულოდ და არ არსებობს ქვეყანაზე თვით უკვდავება, თვით უკვდავებაც არ არსებობს უსიყვარულოდ!“

პოეტების მეფეს, როგორც უზენაეს სიყვარულთან წილნა-
ყარს, ჰეშმარიტად შეეძლო ეთქვა: „მე სიყვარულით ვიყავი
მთვრალი“.

ამ თრობას უნდა ვუმადლოდეთ მის მარადიულ შედევრებს,
რომელთაც სულიწმიდის წარუხოცელი კვალი ატყვია...

ანა კალანდაძის „ყოველთა დიდი ... სიყვარული“

ანა კალანაძაძე რელიგიური მსოფლგანცდის პოეტია და,
ბუნებრივია, მის შემოქმედებაში უპირველესი აღგილი რწმე-
ნას, სიყვარულს, ქრისტიანულ ეთიკას ეთმობა.

ამ სფეროში მისი გზამკვლევები არიან ქრისტიანი დვთის-
მეტყველები, სასულიერო პოეზიის წარმომადგენლები.

იოანე მოციქული მოძღვრავდა თაობებს: „საყვარელნო!
გვიყვარდეს ერთმანეთი, რადგან დვთისგანაა სიყვარული. ხო-
ლო ყოველი, ვისაც უყვარს, დვთისგან არს შობილი და
იცნობს დმეროს.

„ვისაც არ უყვარს, მას არ შეუცვნია დმერო, ვინაიდან
დმერო სიყვარულია“ (იოანე, 4,7,8).

იუდა მოციქულის მოწოდება ასეთია: „თქვენ, საყვარელნო,
აღაშენეთ თქვენი თავი უწმინდეს რწმენაზე, ილოცეთ სული-
წმიდით.

„დაიცავით თქვენი თავი დვთის სიყვარულში და დაელო-
დეთ ჩვენი უფლისაგან, იქსო ქრისტეს წყალობას საუკუნო
სიცოცხლისთვის“ (იუდა, 1, 20,21).

ადარებდა რა ცოდნას და სიყვარულს, პავლე მოციქული
უპირატესობას სიყვარულს ანიჭებდა: „...ცოდნა აამპარტავნებს,
სიყვარული კი აშენებს“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 8,
1).

სულიწმიდის ქნარად წოდებული მოციქულის მიხედვით,
სიყვარული მაღლა დგას ცოდნაზე, წინასწარმეტყველებაზე,
ხელგაშლილობაზე, რწმენაზე, იმედზე: „თუ მე ადამიანთა და

ანგელოზთა ეწებით ვლაპარაკობ, ხოლო სიყვარული არ გამაჩნია, მაშინ უდარუნა რვალი ვარ ან ჩხარუნა წინწილა.

წინასწარმეტყველებაც რომ მქონდეს, ყოველი საიდუმლო და მთელი ცოდნაც რომ ვუწყოდე, სრული რწმენაც რომ მქონდეს, ისეთი, მთების გადაადგილება რომ შემეძლოს, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არარაობა ვიქნებოდი.

მთელი ჩემი ქონება რომ დავარიგო და ჩემი სხეული დასაწვავად გავწირო, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არაფრად გარგივარ.

სიყვარული სულგრძელია, სიყვარული ქველმოქმედია, არ შურს, არ ყოფილობს, არ ამპარტავნობს.

არ სხადის უწესობას, თავისას არ ეძიებს, არ რისხდება და არ განიზრახავს ბოროტს.

არ ხარობს სიცრუით, არამედ ჭეშმარიტება ახარებს.

ყოველივეს იტანს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს და ყოველივეს ითმენს.

სიყვარული არასოდეს მთავრდება, წინასწარმეტყველებანი იყოს, გაუქმდება, ენები იყოს, შეწყდება, ცოდნა იყოს, გაუქმდება.

ვინაიდან ნაწილობრივი ვიცით და ნაწილობრივს ვწინასწარმეტყველებთ...

...ახლა კი რჩება რწმენა, იმედი, სიყვარული – ეს სამი. ხოლო მათგან სიყვარულია „უმეტესი“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 13, 1,2,3,4,5,6,7,8,9,13).

„ესწრაფეთ სიყვარულს და ეშურეთ სულიერ ნიჭებს, შეიცანით ქრისტეს სიყვარული, ცოდნას რომ აღემატება, იყავით ფესვგადგმულები და დაფუძნებულები სიყვარულში“, ასეთია პავლე მოციქულის რჩევა (ეფესელთა, 4, 17,19).

წმ. სვიმეონ დვთისმეტყველი თავის ცნობილ ქადაგებაში სიყვარულის შესახებ წერს: „რაწამს მოვისხენე მშვენებაი შეურყვნელი სიყვარულისა, ჩემს გულში მყისვე აღმოცენდა მისი სინათლე, წარმიტაცა მისმა სიტკბომ და მომესპო ხორციელი რამ ყველა გრძნობა“ („გზა სამეუფო“, 1994, №1, გვ. 23).

დანტეს „დბთაებრივ კომედიაში“ საუბარია „დვთაებრივი სიყვარულის აღში ნაწრობი გონების“ ყოვლისშემძლეობაზე,

„პირველადი სიყვარულის“ სიყვარულზე, „მარადებამული ტრფიალის ცეცხლზე“, „სხვადასხვაგვარი სიყვარულის“ შეცნობაზე, „უზეშთაეს სიყვარულზე“, „სულიერ ტრფობაზე“, გადვიძებაზე („დვთაებრივი კომედია“, თბ., 1941, გვ. 303, 292, 246, 380, 361, 205).

წმინდა სულის კითხვაზე: „წადილი შენი? – „სიყვარული და სიბრძნის ნიჭი“, პასუხობს დანტე.

იტალიელი გენიოსის პოემაში დიდი ადგილი ეთმობა „ციური ჭვრეტისათვის“ განკუთხნილ სიყვარულს (იქვე, გვ. 331). უფლის კეთილ ნებას, რომლის ძალით ყოველთვის „კაცში სახიერდება სიყვარული ალალმართალი“ (იქვე, გვ. 334).

„მისნური სიყვარულის ქმედების ძალის“ ნაყოფია სრულ-ყოფილის გამოვლენა (გვ. 328). „დაუშრეტელი სიყვარულის კოცონის“ დამნობია „ნათელი მადლისა“ (გვ. 316).

„დვთაებრივ კომედიაში“ ღმერთი მოხსენებულია, როგორც სიყვარული: „სიყვარული დვთაებრივი ანიჭებს ძალას და ამოძრავებს ამ მშვენიერ ციურ ცოორილებს“ (გვ. 5).

სიყვარული, ანუ ღმერთია, დანტეს მიხედვით, სამყაროს მამოძრავებელი ძალა: „...წადილი, ნებისყოფა ჩემი შეირხა, როგორც ბორბალი, სიყვარულით მძლავრად დაძრული, იმ სიყვარულით, რაც აბრუნებს მზეს და ვარსკვლავებს“ (იქვე, გვ. 413).

იოანე პეტრიშის აზრით, სიყვარული ღმერთია, იგივე სამება და მხოლოდ მისდამი მიმსგავსებით არის შესაძლებელი მადლის მიღება, განდღმრთობა: „სიყვარულსა სხუას ნურას ჰგონებ, ღმერთი არს, სამებით ერთი, ცნობილი სამებადვე; ხოლო რომელი ძალისაებრ მსგავსებას მისსა მიიღებს, მადლით განდღმრთების იგი“ (იოანე პეტრიში, „სათნოებათა კიბე“, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1968წ., გვ. 184).

ჯერ კიდევ პლატონთან ვხვდებით მიწიერი და ციური ეროსის ცნებებს. დიდი ბერძენი ფილოსოფოსის მიხედვით, არსებობის მიზანი ერთტიკულ მისტერიათა საწყის სტადიაზე შეჩერება კი არ არის, არამედ სულის ამაღლება მის

„უმაღლეს, „ეპოპტიკურ სტადიამდე“, „სულის მშვენების“ უპირატესობის აღიარება „სხეულის მშვენებაზე“, გაბრძნობა და გამოირმედა, „აბსოლუტური მშვენიერების“ წვდომა, „მარადიულ „ხელთუქმნელ“ მშვენიერებამდე ამაღლება, რომელიც „სახიერია თავის ყველა გამოვლენაში, ყველა დროში, ყველა ასპექტში, იგი მაღლა დგას ყოველგვარ განძზე, წმინდა მშვენიერება „შეურყვნელი და შეურევნელია კაცის ხორცით, ხრწნადი გარსით შებდალული კი არა, ერთსახოვანი ლეთაებრივი მშვენიერება“ (პლატონი, „ნადიმი“, თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძისა, თბ., 1964, გვ. 17).

„ბჟაგავად-გიტას“ ავტორი ცდილობს მოარიგოს და შეათანხმოს ადამიანური პროგრესის სამი გზა: გონების ანუ ცოდნის გზა, მოქმედების გზა და გზა რწმენისა. უპირატესი ყურადღება რწმენას ეთმობა (ჯაგაჲარლალ ნერუ, „ბჟაგავად-გიტა“, გვ. 118).

შტანიერი „კაცობრიობის მორალურ მზეს“ უწოდებდა სიყვარულს.

გოეთე წერდა: „ყველა წიგნი, რაც კი ხელში მოგყოლია, მოგონილი, ნამდვილი თუ ზღაპრული, მარტოოდენ ბაბილონის გოდოლია, თუ არ არის სიყვარულით შეკრული“ (გოეთე, „უწყინარი ქსენიები“, „რჩეული ლირიკა“, გერმანულიდან თარგმანი, შესავალი, წერილი და კომენტარები აკაკი გელოვანისა, თბ., 1972, გვ. 256).

მარკუს ავრელიუსის მრწამსი ასეთი იყო: „გიყვარდეს კაცთა მოდგმა. მისდიე ღმერთს“ („ფიქრები“, თბ., 1978, გვ. 160).

მერაბ კოსტავა საუბრობდა „სიყვარულის გრადაციაზე“, მოყვასის სიყვარულზე, რაც ღმერთისადმი სიყვარულის საწინდარია, სულიერი სიყვარული კი – „კოსმიურ პარმონიასთან, „სფეროთა“ მუსიკასთან“ ზიარების გზა.

„როგორც სიყვარულის სულები – სერაფიმები არიან სულიერ იერარქიათა შორის უპირველესნი, ერთნაირად რომ განმსჭვალავენ დანარჩენ იერარქიებსაც და მთელ კოსმოსსაც, ასევე სიყვარულია ადამიანის უკვდავი სულის ყველა დირსებათა შორის უპირველესი და დანარჩენ დირსებათა ამოსავალი წყარო“, წერდა მერაბ კოსტავა („ფიქრები საქართველოს მისიაზე“, გვ. 56-57).

საყოველთაოდ ცნობილია ტოლსტოის „ქრისტიანის დღიური“, მწერლის მიერ მოყვასის სიყვარულის უპირატესობის აღიარება ინტელექტუალურ განვითარებასთან შედარებით.

XX ს. ქართულ პოეზიაში საღვთო სიყვარულის ტრადიცია არსებობდა, რისი დასტურიცაა გალაკტიონის „ზექვეენიური სიყვარული, უკანასკნელი სიყვარული, ტრფობა სრული, მზიანი სიყვარული “, „მიმღერე რამე“, „უსიყვარულოდ“, „არ დირს ერთ ცრემლად“, „ის“, „გობელენი“ და სხვა.

ანა კალანდაძის შემოქმედება იმ „პირველი სიყვარული-საღმი“ ერთგულება-მსახურებით არის გამორჩეული.

მისი პოეზიის მასაზრდოებელი წყაროა ბიბლია, დვთისმეტყველთა ნააზრევი, სასულიერო პოეზია, ქართველ წინაპართა ნაანდერძევი, რელიგიური მოტივები.

ქართული პოეზიის დედოფალი ამქვეენად სიყვარულის, სათნოების მოციქულად არის სულიტმიდის მიერ მოვლინებული: „იალადებით მობერილ ვარ სიყვარულისად“.

იგი ეძებს სულს, „სულის ვანს“, „ნათლის სახლს“, „სულთ დასამკვიდრებ სადგურს“ და ამით არის წინაპართა უმთავრეს ტრადიციებთან შემოქმედებითად დაკავშირებული, ამასთან, თავის თანამედროვეთაგან უმაღლესი სულიერებით, რწმენით, სიყვარულით გამორჩეული.

პოეტი „მიწის წიაღით და ცათა სიღრმით“ უხმობს „ნათელს იებით ყელამდე სავსეს“ („მირკანის თვეში“).

„წმინდა სავანეს“ მოიხილავს „არ მიწიური კავშირისთვის, არამედ... ცისა!“ („ნაძვების თავზე“).

ღმერთის მადლს იმედად გარდმოვლენილს ხედავს მიწაზე ცის და მიწის შემაერთებელ სიყვარულად: „ცათა მაღალთა მადლი შუქმოწკრიადე სიმით გარდამოხდება მიწად, გარდამოაფენს იმედს. ითინათინებს იგი შურთა ფარულთა მიღმა, რომ ზეცისა და მიწის კვლავ სიყვარული იხმოს“ („ცათა მაღალთა მადლი“).

ღმერთი - სიყვარული სხივისა და ცისკრის სახით ცხადდება, უიმისოდ კი სიბნელეს და ჭაობს მიმსგავსებულია ცხოვრება: „ხშირად სხივი და ცისკრის გადება, ხშირად ჭაობი, მრუმე წყვდიადი!“ („და დაიბანა ხელი პილატემ“).

მხოლოდ წმინდა სულის, წმინდა საქმის მიმღევართ ევლინებათ ანგელოზები, უზენაესის ნათელი, წინაპართა სული, „უსწორო დვთიყშარავანდი“.

დვთაებრივ ჯრუჭულას მთაზე ჯრუჭის ოთხთავზე მიჩერებულ წმინდა მამების სენაკში საოცარი ბრწყინვალება დავანებულა და გაურკვეველია ჩვეულებრივი თვალისათვის, ვარსკვლავის ნათელი იღვრება, თუ ზეთი ანთია ტაძარში, სადაც ანგელოზებს დაუსადგურებიათ: „პვალად თანა სდევს შენს კამპამა წყალს მოაქამდდე, შენ ლურჯთა ჩქრითა, სხივშარავანდი მათი უსწორო, ნათელი სული წინაპართ ჩვენთა...“

ახალი აღთქმის სიბრძნის საფუძველზე პოეტი ასკვნის: „ყოველთა დიდი არს სიყვარული და... არაფერი არ არის მეტი!“ ვარსკვლავი ბრწყინავს ასე საამოდ, თუ წმინდა მამებს უნთიათ ზეთი?“ („ვარსკვლავი ბრწყინავს ასე საამოდ?“).

ასე მძაფრად გრძნობს პოეტი უზენაესი სულის ცხოველ-მყოფელ ნათელს, წინაპარ წმინდანთა ამაღლებულობას, სადგომ სიყვარულს, რომელსაც მიუმადლებია განსაკუთრებული ნიჭი და თავისი „რჩეულის“ გამოცხადების ბედნიერებით აუვსია სული: „გამომეცხადა რჩეული ჩემი, ცათავე ძალით, ცათავე ნებით, გულს დამდო თვისი შავი ბეჭედი ჩემზე უფლებით და ხელმწიფებით“.

„რჩეულისაგან“ ებოძა მარადიული „ცის გვირგვინი“.

ანა კალანდაძეს მრავალგზის დაუფიქსირებია თავის ლექსებში უზენაესთან მიახლების განუზომელი სიხარული და ამ „საუფლო შეყრის“ შედეგია მისი საღვთო სიბრძნით გაბრწყინებული პოეტური სიტყვა, რომელთანაც სამუდამო ერთგულების ფიცი აქვს მიღებული: „შეყრა მაღალი, მხოლოდ საუფლო და... არასოდეს გამოთხოვება!“ („უცხოდ მოჩითულ ბაღჩა-ბაღებზე“).

გაუა ეგრისელის „სიყვარულის იმპერია“

გაუა ეგრისელის პოეზიაში ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა რწმენის, სიყვარულის, ქრისტიანული ეთიკის მსახურება.

საღვთო სიყვარულის იდეით მისი შემოქმედება ენათესავება ქრისტიან დვოისმეტყველებს, სასულიერო პოეზიას, ბიბლიას, დანტეს, აღმოსავლურ სუფისტურ პოეზიას, მრავალსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურას.

იოანე მოციქული შეგვაგონებს: „საყვარელნო! გვიყვარდეს ერთმანეთი, რადგან დვოისგანაა სიყვარული. ხოლო ყოველი, ვისაც უყვარს, დვოისგან არს შობილი და იცნობს ღმერთს.

„ვისაც არ უყვარს, მას არ შეუცვია ღმერთი, ვინაიდან ღმერთი სიყვარულია“ (იოანე, 4, 7, 8) (1, 320).

იუდა მოციქულის მოწოდება: „თქვენ, საყვარელნო, ადაშენეთ თქვენი თავი უწმინდეს რწმენაზე, ილოცეთ სულიწმიდით.

„დაიცავით თქვენი თავი დვოის სიყვარულში და დაელოდეთ ჩვენი უფლისაგან, იესო ქრისტეს წყალობას საუგუნო სიცოცხლისათვის“ (იუდა, 1, 20, 21) (1, 326).

პავლე მოციქული ცოდნასთან შედარებით უპირატესობას სიყვარულს ანიჭებდა: „...ცოდნა აამპარტავნებს, სიყვარული კი აშენებს“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 8, 1) (1, 367).

სულიწმიდის ქნარად წოდებული პავლე მოციქულის მიხედვით, სიყვარული მაღლა დგას ცოდნაზე, წინასწარმეტყველებაზე, ხელგაშლილობაზე, რწმენაზე, იმედზე. „თუ მე ადამიანთა და ანგელოზთა ენებით ვლაპარაკობ, ხოლო სიყვარული არ გამაჩნია, მაშინ ჟღარუნა რვალი ვარ ან ჟღარუნა წინწილა.

წინასწარმეტყველებაც რომ მქონდეს, ყოველი საიდუმლო და მთელი ცოდნაც რომ ვუწყოდე, სრული რწმენაც რომ მქონდეს, ისეთი, მთების გადაადგილება რომ შემზღვოს, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არარაობა ვიქნებოდი.

მთელი ჩემი ქონება რომ დავარიგო და ჩემი სხეული დასაწვავად გავწირო, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არაფრად ვარგივარ.

სიყვარული სულგრძელია, სიყვარული ქველმოქმედია, არ შეურს, არ ყოყოჩობს, არ ამპარტაცნობს.

არ სჩადის უწესობას, თავისას არ ეძიებს, არ რისხდება და არ განიზრახავს ბოროტს.

არ ხარობს სიცრუით, არამედ ჭეშმარიტება ახარებს.

ყოველივეს იტანს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს და ყოველივეს ითმენს.

სიყვარული არასოდეს მთავრდება, წინასწარმეტყველებანი იყოს, გაუქმდება, ენები იყოს, შეწყდება, ცოდნა იყოს, გაუქმდება.

ვინაიდან ნაწილობრივი ვიცით და ნაწილობრივს გწინასწარმეტყველებთ...

...ახლა კი რჩება რწმენა, იმედი, სიყვარული – ეს სამი, ხოლო მათგან სიყვარულია „უმეტესი“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 13, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 13) (1, 375-376).

„ესწრაფეთ სიყვარულს და ეშურეთ სულიერ ნიჟებს, შეიცანით ქრისტეს სიყვარული, ცოდნას რომ აღემატება, იყავით ფესვგადგმულები და დაფუძნებულები სიყვარულში“ – გვირჩევს პავლე მოციქული (ეფესელთა, 4, 17, 19) (1, 417).

ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, ღმერთი არის „დიადი სიყვარული“: „ეს სამყარო დიადი სიყვარულით, რომლითაც მოწყალების გამო შენისა, ბრწყინავს და იწვის იგი, ვითარცა მარადიული შევა დღე“ („აღსარება“) (2, 240).

გიორგი გურჯიევი ამბობს: „რეალური სიყვარული – ეს არის ქრისტიანული, რელიგიური სიყვარული; ამ სიყვარულით, არავინ იბადება ამ ქვეყნად. თქვენ უნდა იშრომოთ ამ სიყვარულის მისაღწევად. ზოგიერთი ამას ბავშვობიდანვე შეიცნობს, ზოგი მხოლოდ სიცოცხლის ბოლოს, უმრავლესობა კი არასოდეს. თუ არსებობს ვინმე ამ რეალური სიყვარულით, მან იგი შეიძინა თავისი სიცოცხლის მანძილზე, მაგრამ ძა-

ლიან ძნელია ასეთი სიყვარული შეიცნო და შეუძლებელია ასეთი სიყვარული ადამიანებიდან დაიწყო“ (3, 64).

წმიდა სვიმეონ ახალი დვოისმეტყველი საუბრობს საღვთო სიყვარულზე, ნათელზე, იმ ნეტარებაზე, კეთილცვალებაზე, განწმენდაზე, სიბრძნეზე, რასაც მიმდინარებს ადამიანს ეს ზეციური გრძნობა: „...რაწამს მოგიხსენე მშვენებანი შეურყვნელი სიყვარულისა, ჩემს გულში მყისვე აღმოცენდა მისი ნათელი, წარმიტაცა მისმა სიტკბოებამ და მოქალაქობა ხორციელი რამ ყველა გრძნობა, მთელი არსებით გავუცნაურდი ამ ცხოვრებიდან... პოი, სიყვარულო ყოვლადსაწადელო, ნეტარი არის, ვინც ამბორს გიყო შენ, რადგანაც აღარ ინდომებს იგი ვნებიან ამბორს მიწათმობილი მშვენებისადმი: ნეტარი არის, ვინც ამბორს გიყო შენ, რადგანაც აღარ ინდომებსიგი ვნებიან ამბორს მიწათმობილი მშვენებისადმი; ნეტარი არის, ვინც შენ შეგეწია საღვთო ტრფობით, ნეტარი არის, ვინც ეამბორა შენს სიტურფებს, ...კეთილცვალებით შეიცვლება ის სულიერად და განიხილებს სამშვინველით, რადგანაც შენ ხარ სიხარული მიუთხობელი... უფრორე ნეტარია, ვინც თვით იყვარე, თვით ითვისე, ვინც შენ განსწავლე, ვინც დაიმგვიდრა შენს წიაღში, ვინც შენს მიერ მიიღო საზრდო – ქრისტე უკვდავი, ქრისტე ღმერთი ჩვენი“ (4, 266).

პოი, საღვთო სიყვარულო... შენ ხარ მოძღვარი წინასწარმეტყველთა, თანამსრბოლი მოციქულთა, ძალი მოწამეთა: შთაბერვა მამათა და მოძღვართა, სრულქმნილება ყველა წმინდანისა, აწ კი – ხელამპყრობელი ამჟამინდელი მსახურებისა“ (4, 268).

ბასილ დიდის მიხედვით, „სიყვარული და სახიერი თავისი არსით ერთია“ (5, 144). ყველას როდი შეუძლია სიყვარულში სრულყოფილებას მიაღწიოს და შეიმეცნოს იგი, ვინც ჰეშმარიტად სიყვარულია... ვისაც ფული უყვარს, ხრწნადი სხეულების სილამაზე აღაგზნებს და აქაურ დიდებას ამჯობინებს, ჰეშმარიტი სიყვარულის ჰკრებისას დაბრმავდება. კაცთაგან მხოლოდ ცოტას თუ ეწოდა მეგობარი ღმერთთა, როგორც მაგალითად, მოხეს, რომლის შესახებ სწერია, რომ იგი იყო მეგობარი ღმრთისა და იოანესი, რომელზედაც ნათქვამია: „ხოლო მეგობარი სიძისაი რომელ დგას, სიხარულით უხარის“ (იოანე, 3, 29) ანუ ის არის ღირსი

ქრისტეს მეგობრობისა, ვისაც მისი მტკიცე და ურყევი სიყვარული აქვს. ამიტომაც მოწაფეებს, რომელნიც შპვე სრულყოფილებას იყვნენ მიღწეულნი, უფალი ეუბნება: არღარა გეტქ თქვენ მონად, რამეთუ მონამან არა იციან, რასა იქმს უფალი მისი, არამედ მეგობრად“ (იოანე, 15, 15). ჰეშმარიტი სიყვარულის შეცნობა სრულყოფილს შეუძლია“ (4, 144).

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ სიყვარული-ღმერთი სამყაროს, მზეს და ვარსკვლავებს ამოძრავებს: „წადილი, ნების-ყოფა ჩემი შეირხა, როგორც ბორბალი, სიყვარულით მძლავ-რად დაძრული, იმ სიყვარულით, რაც აბრუნებს მზეს და ვარსკვლავებს“ (3, 43).

სხვაგან დანტე ამბობს: „სიყვარული ღვთაებრივი ანიჭებს ძალას და ამოძრავებს ამ მშვენიერ ციურ ცდომილებს“ (5, 45).

„ღვთაებრივ კომედიაში“ საუბარია „ღვთაებრივი სიყვარულის ალში ნაწროთობი გონების“ ყოვლისშემძლეობაზე, „მარადებული ტრფიალის ცეცხლზე“, „პირველადი სიყვარულის სიყვარულზე“, „სხვადასხვაგვარი სიყვარულის“ შეცნობაზე, „უზეშთაეს სიყვარულზე“, „სულიერ ტრფობაზე“ (5, 303, 292, 246, 380, 361, 205).

იტალიელი გენიოსის პოემაში დიდი ადგილი ეთმობა „ციური ჭვრებისათვის“ განკუთვნილ სიყვარულს (5, 331), უფლის კეთილ ნებას, რომლის ძალით ყოველთვის „კაცში სახიერდება სიყვარული ალალმართალი“ (3, 334).

დანტეს აზრით, „მისნური სიყვარულის ქმედების ძალის ნაყოფია სრულყოფილის გამოვლენა“ (5, 328), „დაუშრებელი სიყვარულის კოცონის დამნობია ნათელი მადლისა“ (5, 316). წმინდა სულის კითხვაზე: „წადილი შენი?“ – „სიყვარული და სიბრძნის ნიჭი“, პასუხობს დანტე.

იოანე პეტრიწი სიყვარულს ღმერთს, სამებას უწოდებს და დარწმუნებულია, რომ მხოლოდ მისდამი მიმსგავსებით არის შესაძლებელი მადლის მიღება, განდმრთობა: „სიყუარულსა სხვას ნურას პგონებ, ღმერთი არს, სამებით ერთი, ცნობილი სამებადვე, ხოლო რომელი ძალისაებრ მსგავსებას მისსა მიიღებს, მადლით განდმრთების იგი“ (6, 184).

ჯერ კიდევ პლატონთან ვხვდებით მიწიერი და ციური ეროსის ცნებებს. დიდი ბერძენი ფილოსოფოსის მიხედვით, არსებობის მიზანი ეროტიკულ მისტერიათა საწყის სტადიაზე

შეჩერება კი არ არის, არამედ სულის ამაღლება მის უმაღლეს, „ეპოტიკურ სტადიამდე“, „სულის მშვენების“ უპირატესობის აღიარება „სხეულის მშვენებაზე“, გაბრძობა და გამობრძედა, „აბსოლუტური მშვენიერების წვდომა“, „მარადიულ, ...ხელოუქმნელ“ მშვენიერებამდე ამაღლება, რომელიც „სახიერია“ თავის ყველა გამოვლენაში, ყველა დროში, ყველა ასპექტში, იგი მაღლა დგას ყოველგვარ განძზე, წმინდა მშვენიერება შეურყონელი და შეურყონელია კაცის ხორცით, ხრწნადი გარსით შებღალული კი არა, ერთსახოვანი დვოთაებრივი მშვენიერებაა“ (8, 17).

გოეთე წერდა: „ყველა წიგნი, რაც კი ხელში მოგყოლია, მოგონილი, ნამდვილი, თუ ზღაპრული, მარტოოდენ ბაბილონის გოდოლია, თუ არ არის სიყვარულით შეკრული“ („უწყინარი ქსენიები“) (9, 256).

„ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველებაში“ ზფიად გამსახურდია აღნიშვნავს, რომ „შეა საუკუნეების ევროპაში, პროვანსება და იტალიაში არსებობდა მიმდინარეობა „მიჯნურობის მორწმუნები“, რომელიც წარმოადგენდა საიდუმლო ორგანიზაციას. ამ ორგანიზაციას ჰქონდა საიდუმლო მეტაფორული ენა, რომელიც სიმბოლოებისა და ალეგორიების მეშვეობით გადმოსცემდა სიყვარულის ინიციაციის მისტერიებს... აქ იყო გამეფებული ერთადერთი ქალის კულტი („ქალი“ ამ შემთხვევაში ტრანსცენდენტალური ინტელექტის, სიბრძნის, სოფიას სიმბოლო იყო,... დანტე იყო წევრი მიჯნურობის მორწმუნეთა მმობის“ (8, 10, 93).

სუფისტური ასპექტიზმი აღმოცენდა არაბეთის ქრისტიანი ბერების გავლენით (10, 104).

სუფისტურ სიყვარულს პოლიობდნენ „ვეფხისტყაოსანში“ ვახტანგ VI, დავით გურამიშვილი, კორნელი კეკელიძე. თუმცა კორნელი კეკელიძე არ იყო ამ საკითხში თანმიმდევრული, 1933 წელს იგი სუფისტურ თეორიას ავითარებდა, 1941წ. უარყო ეს აზრი, 1945 წელს კი ისევ სუფიზმს დაუკავშირა რესთაველის პოემა.

„მიჯნურის სიყვარული დვთის სიყვარულის ანარეკლია. მიჯნური განასახიერებს მარდქალურ საწყისს, სოფიას, დვთისმმობელს. აქედან იშვა მიჯნურობის მისტიკური კულტიც“ (10, 167)..

„სუფიები არიან პოეტები და მიჯნურები ერთდროულად. მათ გზას ეწოდება გზა მიჯნურობისა“ (10, 106).

სუფისტურ ასპექტში აქვს გააზრებული რუსთველური მიჯნურობა ზვიად გამსახურდიას (10, 106).

სუფისტური სიყვარულია ჯალალ-ედ-დინ რუმის პოეზიის მთავარი თემა: „მე ...ერთს გუჭვრებ ორსავ სოფელში... იგია პირველყოფილი და უკანასკნელი, იგია ცხადი და დაფარული. და ამ სოფელში ჩვენ ორს გარდა, სხვას არავის ცნობა. მე სიყვარულმა დამათრო და ცნობისაგან მიხდილი მაქვს ორივ ქვეყანა“ (11, 17).

სუფისტების მოძღვარი იბნ ელ არაბი წერდა: „მე მივსდევ რელიგიას სიყვარულისას. მე მიწოდებენ ხან ლაზელების მწემსს, ხან ქრისტიან ბერს, ხანაც სპარსელ ბრძენს. ჩემი მიჯნური სამებაა, რომელიც არის მხოლოდ ერთი“ (11, 21).

„უსიყვარულოდ ყოველი საქმე უწმინდურია“.

„სიყვარულის აღმსრულებელი ყოველი სჯულის აღმსრულებელია, რამეთუ აღმასრულებელი რჯულისა სიყვარული არს“ (რომ. 13, 10).

„ღვთაებრივი სიყვარული არს თავი ყოველთა სათნოებათა და სიყვარულია მიზეზი ყოველთა კეთილთა, მარილია სათნოებათა და სასრული სჯულისა“ (წმ. ეფრემ ასური) (4, 136-136).

მერაბ კოსტავა საუბრობდა „სიყვარულის გრადაციაზე“, მოყვასის სიყვარულზე, რაც ლმერთისადმი სიყვარულის საწინდარია, სულიერი სიყვარული კი – „კოსმიურ ჰარმონიასთან“, „სფეროთა მუსიკასთან“ ზიარების გზა.

„როგორც სიყვარულის სულები – სერაფიმები არიან სულიერ იერარქიათა შორის უპირველესნი, ერთიანად რომ განმსჭვალავენ დანარჩენ იერარქიებსაც და მთელ კოსმოსსაც, ასევე სიყვარულია ადამიანის უკვდავი სულის ყველა ღირსებათა შორის უპირველესი და დანარჩენ ღირსებათა ამოსავალი წყარო“, წერდა მერაბ კოსტავა (16, 56-57).

„წმინდა ვნებას“ უმდეროდა ბოდლერი („მიწვევა სამოგზაუროდ“) (12, 13).

საღმრთო სიყვარულის იდეას იზიარებდნენ და „საყვარელს“ ქრისტეს ეთაყვანებოდნენ დ. გურამიშვილი, ვახტანგ VI, აკაპი წერეთელი.

ქრისტე აკაკი წერეთლისთვის იყო უმაღლესი სიყვარული, „საყვარელი“ და „სულიკო“ ერთდროულად (13, 244).

ვაჟა-ფშაველას „სიყვარულის სამეცნიშვი“ სატრფო სიყვარულია, ღმერთია, რომელიც გამუდმებული ძიებით იპოვა პოეტმა: „მე თვით გახლავარო ის შენი სატრფო! ტრფობის ძველანა ერთხმად კიოდა“ (14, 188).

მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში საღმრთო სიყვარულის იდეას ავითარებდა გალაკტიონ ტაბიძე.

მეფისტოფელის, ურწმუნოების ეპოქაში გადაკტიონმა ხელახლა აღმოაჩინა მივიწყებული უზენაესი გრძნობა: „ჯერ ყველასაგან მიუპალეველი აღმოვაჩინე მე სიყვარული („დადგა აგვისტო“) (17, 265).

საღმრთო სიყვარულის გამომხატველი ტერმინებია გალაკტიონის პოეზიაში: ზექვეუნიური სიყვარული, ტრფობა სრული, მზიანი სიყვარული, პირველი სიყვარული, სიყვარულის სიმღერა, შორეული სატრფო, იდუმალება შორეულ ტრფობის, გარსევლავი-სატრფო (18, 100-109).

საღვთო სიყვარულის პრობლემა გვხვდება ანა კალანდაძის პოეზიაში (19, 158-165).

იგი უხმობს „ცის და მიწის სიყვარულს“ – ღმერთს („ცათა მაღალთა მაღლი“) (19, 236). ასევე მისი „რჩეულია“ ღმერთი (გამომეცხადა რჩეული ჩემი) (19, 192).

ახალი აღთქმის საფუძველზე ანა კალანდაძე ასკვნის: „ყოველთა დიდი არს სიყვარული“ („გარსევლავი ბრწყინავს ასე სამოდ?“) (19, 152).

ვაჟა ეგრისელი შემოქმედებითად უდგება ამ პრობლემას. დანანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ იგი, როგორც „ზესკნელ-ქაქესქნელის მეუფე“, კიდევ უფრო აღრმავებს საკითხს და მისი წყაროები უფრო შორეულია, ვიდრე საკუთრივ ქართული.

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორი იმპულსს იღებდა დავით ჭინასწარმეტყველის და სოლომონ ბრძენის ნააზრევიდან, მისი სურვილი იყო, შეექმნა დვთის გამორჩეული საგალობელი. ბიბლიიდან პოეტს ესმის „ხმები დავითის და სოლომონის“ (ხმები ისმის ბიბლიიდან) (20, 425).

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში ცენტრალური ადგილი უჭირავს საღმრთო სიყვარულს – „პირველ სიყვარულს“ (ღმერთს), რომელიც ამ სოფელსაც და იმ სოფელსაც განაგებს: „ცხადია

თუ ფარული – ჩემთვის ორივ ერთია და შეა არ იყოფა პირველი სიყვარული ამ სოფლად და იმ სოფლად“.

ლექსს ეპიგრაფად უძღვის ჯალალ-ედ-დინ რუმის სტრიქონი: „მე ერთს ვჰვრებ ორსავ სოფელში“ (პირველი სიყვარული) (20, 368).

ეს ეპიგრაფი ლექსის წყაროზეც მიუთითებს.

ასევე, ქართველი პოეტის შთამაგონებელია ახალი ადოქმა: „შენ მიატოვე შენი პირველი სიყვარული“ (იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადება, 2, 4 (1, 492) – ამ სიტყვებით ქრისტემ უსაყველურა დმერთის დამვიწყებელ ეფექტოდა ეკლესიას.

დანტეს, რომელმაც სულიერ ზეცაში შეიცნო „სიყვარული სხვადასხვაგარი“, განსაკუთრებით იზიდავდა „სიყვარული პირველი, პირველადი სიყვარული, სიყვარული ღვთაებრივი, სიყვარული დაუშრებელი“. დანტეს, რომელმაც სულიერ ზეცაში შეიცნო „სიყვარული სხვადასხვაგარი“, განსაკუთრებით იზიდავდა „სიყვარული პირველი, პირველადი სიყვარული, სიყვარული ღვთაებრივი, სიყვარული დაუშრებელი“.

იტალიელი გენიოსი მოგვიწოდებდა: „თვალი მივაპყროთ ახლა უკვე სიყვარულს პირველს“ (5, 328).

დანტესებური ძალისხმევით ექებს და ლოცვით უახლოვდება ეგრისელი სიყვარულს – დმერთს: „ლოცვის ბილიკს მივყვები, მარად მისი ერთგული, ირგვლივ არის ქაოსი, გზა არის უტევანი და სადღაც იქ მეგულვის სიყვარულის მტევანი“ („სიყვარულის მტევანი“). (19, 411).

სიყვარულის მტევანი საღვთო სახელია.

კოლხურ-ქართული მზის კვალზე შესდგომია პოეტი ღმერთის შორეულ გზას და „სიყვარულის კვირიონების“ ფრთების ფათქუნით აღწევს ცას: „წყვდიადიდან ამოსული – მზე კოლხური და ქართული, გზას შორეულს გიოლებს. ცად აყავხარ ფრთის ფათქუნით სიყვარულის კვირიონებს“ („სიყვარულის კვირიონებს“) (20, 367).

კვირიონი – კვრიონი სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, ფრინველია (20, 402).

ეს სიყვარული პოეტს მშობლიური მხარის ადგილის დედამ უსაგზლა, „მიხმობს, მეძახის ჩემი კოლხეთი, ფაზისს და პონტოს სიყვარულის ადევს არილი“ („მიხმობს, მეძახის“) (19, 302).

სიყვარულის კლდეზე დაბმული პოეტი ეთაყვანება ცას მარადიულს, ცეცხლს ღვთაებრივს: „...და სიყვარულის კლდეზე დავები, მერე ვილოცე და ვეთაყვანე – ცას მარადიულს... და

ცეცხლს დგთაებრივს“ („აყვავებული დამის სიზმრები“) (19, 596).

სულიერ კლდეში კი ქრისტე იგულისხმება: „...პუმიდებ“ იგინი სულიერისა მისგან კლდისა ... ხოლო კლდე იგი იყო ქრისტე“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 10, 4) (1, 370).

„სიყვარული“ ქრისტე ღმერთია, „ცა მარადიული“ არის „ცათა ცა, სულიერი, გონიერი ცა, ცა – ღმერთების სავანე.

მიწა და ზეცა შექმნილია, „ცანი ცათანი“ კი, რომელიც თავდაპირველად შეიქმნა ღმერთის მიერ, „სულიერ სამყაროს წარმოადგენს“, ის არის ჩვენი ხილული ზეცის მაღლად, „ცანი ცათანი გონიერი ზეცაა, სადაც გონებას ყველაფრის ერთბაშად შეცნობა ეძლევა და არა ნაწილობრივ, მთელი თავისი სისრულით, გამოცხადებით (2, 382, 383, 386, 388).

ცეცხლიც საღმრთო სახელია (22, 99).

„სიყვარულის კლდეზე“ მიჯაჭვული პოეტი არის დედა-ძის თავდადებული მოთაყვანე, საღვთო ცეცხლით და თოვლის სისპეტაკით შემოსილი სიყვარულის მეხოტებეა პოეტი: „ჩემი სპეტაკი სიყვარულია ის თოვლი, რომ შეჰვენია კავკასიონს, ოპაიოს და ინდიანას“ („ჩემი სპეტაკი სიყვარული“) (20, 184).

მიწიერი პოეტი ცაში ეძებს იდეალს – ცეცხლის მზეს და ცეცხლის დისკოს – სიყვარულს: „მიწის ხელებით მძერწა უფალმა, მაგრამ ცაზე კი ფიქრი მაინც ვერ მოვიშორე – სადაც სიყვარულს ცეცხლის დისკოდ პკიდებს ცეცხლის მზე“ („მიწის ხელებით მძერწა უფალმა“) (23, 303).

მარადისობა, სიყვარული, მზე, სინათლე, ცის ყვავილები, საღმრთო სიმბოლოებია – პოეტის ლტოლვის უმაღლესი მიზანი: „მარადისობა მარად მე მინდა და სიყვარულის ჩუმი მეფობა, რადგან მოვლემარე დამეგბიდან – მესმის ძახილი მზის და სინათლის, რადგან სიშორის კენწეროებზე მარად ჰყავიან ცის ყვავილები“ („ცის ყვავილები“) (23, 543).

სიყვარულის მაღალი ცის მოწყალე დიმილად აღიქმება თოვლის სისპეტაკე: „სიყვარულის მაღალი ციდან შენი ღიმილი ჩემთან ჩამოდის სისპეტაკედ პირველი თოვლის“ („იასამნების ლურჯი გაღობა“) (23, 527).

სიყვარულის მაღალი ცის წეალობაა „იასამნების ლურჯი გაღობა“, მთვარეულ გზებით მოვლენილი, მნათობების ყიჯინა: „იასამნების ლურჯი გაღობა მთვარეულ გზებით მიედინება...

და სიყვარულის მაღალი ციდან შენი დუმილი ჩემთან ჩამოდის მნათობების ფერმკრთალ ყიუინად“ („შენი დუმილი“) (24, 205).

დედამიწასთან გატოლებული გულის ლტოლვა უზენაესი სიყვარულის მზისკენ ასეა გამოხატული: „დღისა და დამის ყავარჯინიანი – დედამიწა ვარ მე და მივსდევ მნათობს. ჩემი სიყვარულია – მზე, ასე რომ გათბობთ“ („დედამიწა ვარ მე“) (23, 525).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორს არ ავიწყდება კოლხეთში ქრისტეს სიყვარულის მოდევარნი – ანდრია მოციქული და სვიმონ კანანელი: „ჩემს კოლხთა სულიერ მოძღვართ და ნათესავთ – ანდრია მოციქულს და სვიმონ კანანელს რომ ქრისტეს სიყვარულს კოლხეთში თესავდენენ, ურჯულოებმა ვერ მოანანიეს“ (ანდრია მოციქულს და სვიმონ კანანელს“ (19, 465).

ღმერთის შეწევნით რუბიკონის გადამლახველი, შურისა და მტრობის ქარიშხალთან მორკინალი, სიყვარულის ზარებით აღვიძებს ახლობელ თუ შორეულ გარემოს: „შიგ კაპალ გულში მხვდება ისარი, მაგრამ რუბიკონს გადასული, ვით კეისარი, შურის და მტრობის ვეხვდები ქარიშხლებს, ორიათასის ბჭესთან მისული. კვლავ სიყვარულის ზარებს ვარისხებ: მტკვრით და რიონით, მისისიპით, განგით, მისურით“ („შიგ კაპალ გულში მხვდება ისარი“) (10, 188).

ღმერთს ევედრება შთაგონების მოვლინებას, რათა სიყვარულით აღჭურვილი ცის და მიწის სათავეს მისწვდეს: „ძეო დვთისაგ! მზევ – ცისა! ოქროს ტახტზე მჯდომარევ, შთაგონების მთიები ისევ ამითავთავე. რომ მე, ვითარც მარდუქმა, სიყვარულით ხელო ვაპყრო ცის და მიწის სადავე“ („ვით მარდუქმა“) (19, 219).

სიყვარულის საწყაულია სიყვარულით ხელდასხმულის წარმატებების სტიმული: „ნათლითმოსილმა პოლიაკიმნიამ სამარადისოდ რადგან მიშვილა და საწყაული სიყვარულით რადგან მევსება, ლექსებით ვეხვდები ავად ხშირ-ხშირად და ვიკურნები ისევ ლექსებით“ („პოლიაკიმნია“) (23, 183).

სიმაღლის სიყვარულიც უზენაესის მაღლია, რომელსაც ასე ევედრება: „ლაუგარდ სიმაღლის სიყვარულში მოდი, დამინდე და შუბლშეჭმუხვნილ წყნარი ზეციდან ჩემი ჩამქრალი

ვარსკვლავები ისევ ამინთქ“ („აპა, ოცნება ცისკარიშით ისევ ამაღლდა“) (23, 232).

სიყვარულის ფრთას დაეტებს ნიადაგ: „უდალატოს და მარად უტყუარს, მივაყურადოთ უნდა გულის ხმას... ფრთა, ფრთა აკლია ჩვენს სიყვარულს, სხვა არაფერი“ („უდალატოს და მარად უტყუარს“) (23, 251).

სიყვარულის ჩამქრალ კოცონს შური ენაცვლება: „ტრფობის კოცონი რომ ჩაგვიქრია, დიახ, ამიტომ შური გვიღრდნის ჩანგსა და ებანს“ („ჰე, პოვეტებო“ (23, 529).

პოეტის გული მთელი დედამიწის სიყვარულის დამტევია, მნათესავით სიყვარულს თესავს და სანთელივით იწვის: „ვით აპოლონი და ვით ჰერმესი, მსურს რომ სიყვარულს ვთესდე და ვმკიდე და სანთელივით ასე დავიწვა. მოხსენით მზე და მზის მაგიერ ჩემს გულს დავკიდებ და მწამს გაათბობს მთელ დედამიწას“ („ვით აპოლონი და ვით ჰერმესი“) (23, 573).

პოეტის სიყვარულია ზღვა, ქარიშხალი: „ზღვათა ბინადარ ქარს და ქარიშხალს შორით ვეტრფოდი როგორც საყვარელს და მათთან ყოფნა ბევრჯერ ვინატრე. ბოლოს მძინარე ზღვები ავყარე და ჩემს წიგნებში დაგაბინადრე“ (23, 248).

პოეტის სიყვარულია ზღვა, თავისუფლების, დემოკრატიის, მრავალფეროვნების, ცხოვრების სახე და სიმბოლო: „...ზღვაო... მე შენი მმობა მეამაყება და შენს სიყვარულს თან გადავყვები“ („ქარების სურვილს როცა აპყვები“).

მამულის სიყვარული კი „მუდმივი სასჯელია“ (23, 839).

„სიყვარულით შემოღობილი „წიგნის კარ-მიდამოა პოეტის საცხოვრისი: „ესაა წიგნი! სიყვარულით შემოღობილი... მინთია აზრი, ფიქრის კვამლი ადის ფათქუნით და მე აქ ვცხოვრობ... კარ-მიდამო ჩემი აქ არის“ („ჩემი კარ-მიდამო“) (23, 17).

„სიყვარულის წმინდა ძაფით“ არის დაგვირისტებული ფიქრები აზრის პერგამენტებზე: „...და ფიქრი აზრის პერგამენტებზე სიყვარულის წმინდა ძაფით დაგაგვირისტე“ („სამ-შობლო იყო ჩემი ოცნება“) (23, 252).

დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებთან შეხმიანებულ კოლხურ ფსალმუნებში ფეთქავს ციური გული, სიყვარული, იდუმალი ფიქრი და წმინდა ლოცვები: „აპა, ეს წიგნი – ჩემი ფსალმუნი: ფურცლებს კი არა, ცით აკინძულ ჩემს გულს გადაშლი. სიყვარულით და იდუმალი ფიქრით მოცული. და

მეც მუხლმოყრით შენზე ვლოცულობ მზით განათებულ პოეზიის წმინდა ტაძარში“ („ფსალმუნი“) (20, 17).

ჯადოსნურ კვერთხადქცეული კალმით იქმნებოდა სიყვარულით მოოქროვილი აზრი და დღეები: „სადაც დავკრავდი, ამოჩქეფდა აზრი ანგარა. კალამი არა, კვერთხი მეპყრა მე ჯადოსნური. და ლამაზ დღეებს სიყვარულის ოქროს გავლებდი“ („სადაც დავკრავდი“) (24, 102).

ლექსი „სინათლის მიღმა“ გვაუწყებს, რომ ქართული სიტყვის მისიად ისახება სიყვარულის მსახურება: „...სურს სიყვარულად წიგნში ჩაკრიფოს ქართული სიტყვის საოცრებანი“ („სინათლის მიღმა“) (24, 175).

უსიყვარულო არსებობა სიკვდილის ტოლფასია: „ოუ არავინ აღარ გიყვარს და სიყვარულს არ დებ ხიდად, ადე! შებლში ტყვია იკარ! – წუხელ ფიქრი ამიხირდა“ („ოუ არავინ აღარ გიყვარს“) (23, 890).

ცხოვრება სიძულვილისა და სიყვარულის ჭიდილია და ამ ორი გაკვეთილიდან რომელს გავითავისებთ, ეს ჩვენს სულზე, ძალისხმევაზეა დამოკიდებული: „ცხოვრება ჩემი მასწავლებელია, ყოველდღე მიტარებს ორ გაკვეთილს – სიძულვილის და სიყვარულის. ძნელია, მაგრამ ვჯახირობ, ვწვალობ. პირველს ვერა და... მუდამ ფარულად – მეორეს ვსწავლობ“ („ორი გაკვეთილი“) (23, 649).

მხოლოდ სიყვარულით შეიძლება მდინარის ორი ნაპირის გაერთიანება: „ჩვენ ვართ მდინარის ორი ნაპირი – და სიყვარული გავდოთ ხიდებად, არ მივაკაროთ სიძულვილის და მტრობის ნაღმი, რადგან ამ ქვეყნის ავლა-დიდება პოეტის ერთ კარგ სიმღერად არ ღირს“ („ჩვენ ვართ მდინარის ორი ნაპირი“) (23, 818).

სიყვარულის ფასი მით უფრო იზრდება, რაც უფრო დიდია უბედურება: „ქვეუნად, ყოველთვის მიტომ მოდის უბედურება, რომ სიცოცხლის და სიყვარულის აუქციონზე, რაც შეიძლება, ბედნიერების გაზარდოს ფასი“ (23, 400).

ცხოვრებაში დარდის პარალელურად, მაინც ზეიმობს სიყვარული: „... და მაინც სადდაც, სიყვარულის ისმის გალობა დარდით გაფოთლილ დამის ჭალაში“ („დღისით და დამით“) (23, 50).

ეროსია (იგივე ამური) პოეზიის ტაძრისკენ მთავარი წინამდღარი: „ის პოეზიის ტაძარში მივიდა დამენათევი, ამურის ისარნაკრავი, და დაკლა თავის საკლავი, დაანთო თავის სანთელი“ (23, 75).

პლატონი ამბობს, რომ არსებობს მიწიერი და ციური ეროსი („ნადიმი“).

ზემოსესენებული ლექსის ამური უსათუოდ ციურია.

აი, რა მიგნებულად არის გამოხატული საღვთო სიყვარულის ტყვეობა: „სიყვარულს ჰყავხარ ატაცებული ცისფერ ხელებში, როგორც ბიგელებს, სათნო, კეთილი და ცათა სწორი. და მიკვირს ზოგნი რომ ვერ იგებენ, სიძულვილისთვის აღარა დირს დაკარგვა დროის“ („სიყვარულს ჰყავხარ ატაცებული“) (23, 855).

ლექსში „სიბერე“ სიყვარულის თაყვანისცემა ასეა გამოხატული: „ფიქრის და დაფნის გვირგვინს გუწნავდი, ოცნების კიბით ცამდე ამყავდა ...სიყვარული („სიბერე“) (23, 491).

სამოძღვანოს სიყვარული ასე ორიგინალურად ვლინდება ლექსში „ნოსტალგია“: „...ჩემს სიყვარულში და ალერსში გახვეული ფიქრის აკანში მიწევს, მაგრამ ვეღარ ვაძინებ და ყოველ დამე „იავნანას“ ვუმდერი საქართველოს“ (23, 67).

ქვეყნად სიყვარულის მისით მოსვლის მაგალითებად დიდი წინაპარი კლასიკოსების ცხოვრება ესახება: „...და ვით აკაკი, ვაჟა, ილია, სიყვარულისთვის ქვეყნად მოხვედი“ („იმედი“) (24, 387).

რეზიუმესავით აღიქმება განაცხადი: „შემოიჭირე სიყვარულის აპეურები, შენც საქართველოს უდელი გადგას, როგორც ტიციანს, როგორც პაოლოს“ („შენ საქართველოს გადგას უდელი“) (24, 580).

მამულის ტრფობის უდელის ტკბილი ტკივილი სხვაგან ასეა გადმოცემული: „ეჭ, საქართველოგ! შენი ტრფობის უდელში შებმულს, დე, მარად მტკიოდეს ქედი ნაუდლარი“ (დე, მარად მტკიოდეს (...709)

ეს სტრიქონები არის შეპასუხება ტიციან ტაბიძის ფრაზისა: „დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას უდელი“ („მაშ, გამარჯვება“...) (24, 155).

ვაჟა ეგრისელის საყვარელი ფრაზებია: ციური ქვა, სიბრძნის ქვა, სიყვარულის ქვა, რაც ქრისტეს სიმბოლოა და

მისი პოეზიის ქრისტიანულ ხასიათს უსვამს ხაზს, როცა ამბობს, რომ სიტყვა სიყვარულის ქვაზე აღესა: „„უამთა ქარქაში ჩაგებული სიტყვა ქართული, რუსთაველივით სიყვარულის ქვაზე ავლესე და ახლა დილის მზისებრ ელვარებს... ჩემი სიმდერა მიუალერსებს ზღვათა სიდრმეებს... და ცად აწვდილ მთათა მწვერვალებს“ (ჟამთა ქარქაში ჩაგებული სიტყვა ქართული) (23, 302).

ვაჟა ეგრისელი ეძებს მარადისობას, სიყვარულს, მზეს, ცის ყვავილებს (საღვთო სახელებია): „მარადისობა მარად მე მინდა და სიყვარულის ჩუმი მეფობა, რადგან მოვლემარე დამეებიდან – მესმის ძახილი მზის და სინათლის, რადგან სიშორის კენწეროებზე, მარად პყვავიან ცის ყვავილები“ (ცის ყვავილები) (25, 543).

პოეტისათვის მარადისობა (ღმერთი) არის „შუბი“, სიყვარული – „მახვილი“... ზეციური ხმა მოუწოდებს, საწუთოს ქარებზე კი ნუ დაამყარებს იმედებს, სიყვარულის მახვილი შეიძას და მხოლოდ ეს გადაარჩენს დავიწყებას: „ფიქრები დამით უფრო ღრმავდება, კიფის სიშორე: – სიყვარულის „შეიძ მახვილი! და დავიწყების შმაგ ქარებთან ქროლგას მოეშვი. გათენების უამს, ვით სინათლის შორი ძახილი, შენ გამოკრთები ჩემს მოწყენილ სიმარტოვეში“ (ფიქრები დამე უფრო ღრმავდება) (26, 202).

სიყვარული „ოქროს ქამარი“ და „სატევარია“ საღვთო იდეალებისთვის, რწმენის, გამარჯვებისთვის მთავარი იარაღია: „ჩვენ, ვითარცა ყარაჩოხელს, სიყვარული ოქროს ქამრად და სატევრად უნდა გვერტყას, სანამ უამი ყოფნის ხიდან კაპლივით ჩამოგვეურტყავს“ (ჩვენ, ვითარცა ყარაჩოხელს) (20, 901).

სხვაგან არის „სიყვარულის ოქროს პალო“: „ისევ შენა ხარ ჩემი მსაჯული, რადგანაც შენი სიყვარულის ოქროს პალოზე ვარ მიჯაჭვული“ (ისევ შენა ხარ) (25, 596).

„სიყვარულის და სიობოს მთესავი სული“... ვარსკვლავებთან და მთვარესთან, პატარა კუნძულზე სახლობს (სიყვარულის და სიობოს მთესავი) (20, 219).

პოეტი ევედრება ღმერთს: „ძეო დგომისავ! მზევ – ცისა! შთაგონების მთიები ისევ ამითავთავე. რომ მე, ვითარც მარდუქმა, სიყვარულით ხელოთ ვაპყრო ცის და მიწის სადაგე“ („ვით მარდუქმა“) (20, 219).

მარდუქი იყო ბაბილონელთა უზენაესი ბრძენი ღმერთი, რომელმაც სძლია ქაოსს, დაამარცხა ბოროტი ღმერთი ტიამატი, მისგან შობილი ურჩეული და შექმნა სამყარო. აღიარეს უზენაეს ღვთაებად (ძვ.წ. 2600წ.). ის იყო ჭექა-ჭეხილის მეუფე, ელვით გარემოსილი, გვირგვინოსანი, მან მოაწყო მიწიერი ცხოვრება, დაამყარა წესრიგი, ადამიანთ ღმერთის მსახურება ასწავლა. ის იყო შუქის მომცემი, მკურნალი, ბრძენი, მოსამართლე. იგი, ერთი ვერსიით, სიკვდილით დასაჯეს, მაგრამ აღსდგა. ამ თქმულების შემადგენელია სულიერი სიყვარული (27, 291-292).

პოეტი ყოველთვის სიყვარულისთვის ევედრება ღმერთს: „სიყვარულით ამაღლებას, ვევედრები ქვების გამჩენს“ (20, 588).

სიყვარული, პოეზია სულის ნიჭია, ღმერთის მაღლი, რაც გამორჩეულობის გარანტია: „ყველა ურთად ავისრულე, თუ მქონია რამ სურვილი, რადგან შემწედ კვლავ მყავს ქრისტე, სიყვარულით დაისრული სტრიქონს ელვით ვაგვირისტე“ (24, 84).

სიცოცხლის და ცნობადის ხე ღმერთის სახელებია და ქრისტეს, მის ორბუნებოვნებას გამოხატავს (აკაკი ბაქრაძე, „ქართული სასულიერო პოეზიის სახეები“) (28, 38).

ვაჟა ეგრისელის ლექსში „სიყვარულის ხე არის მარადმწვანე, სიძულვილის ფოთლები სცვივა“ (24, 137).

სიყვარული და სიძულვილი ანტიპოდებია. ეს აზრი ბიბლიური ნოეს ხმას დაუკავშირა პოეტმა: „სად გაგონილა, ხეს სიძულვილის, რომ სიყვარულის ნაყოფი მოესხას“ („ნოეს ხმა“) (24, 218).

სიყვარული პოეტის ყავარჯენია, გამარჯვების საწინდარი: „მიყვარდეს ყველა! – დამბადებელმა გამომიტანა, ვით განაჩენი და მტერზე მუდამ მან გამიმარჯვა. მადლობელი ვარ ჩემი გამჩენის, სიყვარული რომ შემაჩერა ხელში ყავარჯნად“ („მიყვარდეს ყველა“) (24, 771).

ეს არის პერიფრაზირება ქრისტეს სიტყვებისა სახარებიდან: „ხოლო თქვენ გიყვარდეთ თქვენი მტრები, სიკეთე უქავით და ასესხეთ და ნუდარაფერს მოელით და დიდი იქნება თქვენი საზღაური: იქნებით უზენაესის ძენი, ვინაიდან იგი კეთილია უმადურთა და ბოროტთა მიმართაც“ (ლუკა, 6, 38) (1, 124).

სიყვარულის კლდეს, სიყვარულის მტევნებს, სიყვარულის კვირიონებს, სიყვარულის ზარებს, სიყვარულის კიბეს, სიყვარულის ხიდს, სიყვარულის ძაფს, სიყვარულის სასოფლაოს, სიყვარულის ოქროს, სიყვარულის ქვას, სიყვარულის სადავეს, სიყვარულის ყავარჯენს, სიყვარულის აპეურებს ემატება სიყვარულის გალობა.

სიყვარულის ცით ავსებული ოცნებებით იქმნება გრიგალივით დაუმარცხებელი სიმღერები, რომელთა ადგილი ლოცვის საკურთხეველთან არის: „სიყვარულის ცით ავსებული ჩემი ოცნება, რომელიც დაჲქრის სიმღერებად და დაგრიგალობს, მოვა შენ წმინდა, ლოცვით დადლილ საკურთხეველთან და სიკვდილამდე შენთვის იგალობს“ („ჩემი ოცნება“) (23, 613).

გალაკტიონის ლექსში „მარმარილო“ „ცა სიყვარულის და სიცოცხლის ძვირფასი თასია“ (17, 75).

სიყვარულის გორგალი, სიყვარულის ტაძარი, სიყვარულის მეფობა, მოკლული სიყვარული, სიყვარულის ოქროს პალო, სიყვარულის სხივი, სიყვარულის ხე, სიყვარულის ვარდები, ტრფობის უდელი, ტრფობის მუგუზალი, გადავიწყების აკვანში მწოლი ძველი სიყვარული, პირველი სიყვარული, სიყვარულის ცისფერი ხელები, სიყვარულით მკვდარი დღეები, მამულის ტრფობის კავკასიონი, სიყვარული მშობელი მიწის, ამურის სიყვარული, დედამიწის სიყვარული, გარდასული სიყვარულის ქორონიკონები, ლაუვარდ სიმადლის სიყვარული, სიყვარულის თავსასოფლალი, სიყვარულით გარდაცვლილი წუთები, სიყვარულის ცრემლი, სიყვარულის დროშა, სიყვარულის ნაღმი, სიყვარულით სიკვდილმისჯილი, სიყვარულის ლურჯი სანთურიი, სიყვარულის ვარდები, სიყვარულის ზღაპარი, სიყვარულის ნიავი, სიყვარულის ოქროს ქამარი, სიყვარულის სატევარი, სიყვარულის იმპერია, სიყვარულის გორგალი, სიყვარულის ფრთა, სიყვარულის ძეგლი, სიყვარულის უდელი, სიყვარულის მახვილი, სიყვარულის ცა, სიყვარულით თრობა, პირველი სიყვარულის მაღალი კოცონი, სიყვარულით ამაღლება, სიყვარულით ანთება, სიყვარულის ხარაჯა, აი, რამდენად სხვადასხვაგვარ სიტყვათშეთანხმებას ამშვენებს სიყვარული ვაჟა ეგრისელის პოეზიაში.

სიყვარულის ცასთან სიახლოებე ასე გამოხატა: „და სიყვარულის მაღალი ციდან შენი დუმილი ჩემთან ჩამოდის მნათობების ფერმერთალ ყიუჩად“ („შენი დუმილი“) (23, 205).

მამაღმერთს ასე მიმართავს: „მე შენს მიუვალ ციხე ციტადელს მაინც მივადგი სიყვარულის მაღალი კიბე“ (23, 754).

სიყვარული ღმერთია, კიბე კი მარიამის სიმბოლური სახელია ბიბლიაში, სასულიერო პოეზიაში, დავით გურამიშვილის „დავითიანში“ (21, 124).

ასე რომ, ვაჟა ეგრისელის ლექსში ერთდროულად ფიგურიებს მამაღმერთი, ძე, მარიამი.

პოეტის შემოქმედებაში უზენაესის პრიმატი ასეა გამოხატული: „და სიყვარული – მგალობელი პატარა ჩიტი ჩემი სიმღერის მაღალ ტოტზე იშენებს ბუდეს“ (23, 117).

ერთგან „სიყვარულის ქუჩა“ იქცევს ყურადღებას: „მე სიცოცხლეს მივღიღინებ სიყვარულის ფართო ქუჩას“ („მერდგასნილ ცას“) (...750,).

სიცოცხლე საღვთო სახელია: „უთხრა იქსომ: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (იოანე, 14, 6) (1, 211).

საღვთო სიყვარულს სიმბოლურად გამოხატავს ფრაზა: „წვიმა... სიყვარული ცისა და მიწის“ („ჩამოდის წვიმა“) (23, 866).

წვიმა ღმერთის პარადიგმაა (22, 122).

ერთგან სიყვარული „წუხილის რაშზე ამხედრებული“ ეცხადება: „...ვიცი, მოდიხარ, სიყვარულო, მოარღვევ სივრცეს, წუხილის რაშზე ამხედრებული“ („სიყვარულო“) (23, 507).

ლექსში „ო, ღმერთო ჩემო“ – „სიყვარულის ლავა“ წვავს სულს: „ო, ღმერთო ჩემო! სიყვარულის ისევ მწვავს ლავა, სულს ისევ მიხნავ, ფიქრის გუთანო“ (23, 526).

სიყვარულია ვაჟა ეგრისელის პოეზიის ანი და პოე: „დასაბამიდან დასასრულამდე მსურს სიყვარულის ნერგებს რომ ვრგავდე და სიხარულმა მიმმოს და მიყმოს“ („სიყვარულმა მიმმოს და მიყმოს“) (23, 397).

სიხარული საღმრთო სახელია. ქრისტე არის „სიხარული ყოვლისა ერისა“ (ლუკა, 2, 10) (1, 113).

ლექსში გაიგივებულია სიყვარული და სიხარული, რადგან ორივე ღმერთზე მიანიშნებს.

სიყვარულის გარეშე არ არსებობს ამაღლება, ამიტომაც აღავლენს უზენაესისადმი ლოცვას: „სიყვარულით ამაღლებას, ვევედრები ქვეწის გამჩენს“ („სიყვარულით ამაღლებას“) (24, 588).

სიყვარულით მარცხდება ყოველგვარი გასაჭირი, მაგრამ იგი იშვიათი და უცხო სტუმარია, მხოლოდ რჩეულთ, წმინდათ ეცხადება: „იშვიათი და უცხო სტუმარი შენ სიყვარული შემოგევადლა, უსიხარულო დღეებს მიტომ ადებ ყადადას“ („იშვიათი და უცხო სტუმარი“) (24, 592).

თავისი სიყვარულის განსაკუთრებულობის შემცნობი პოეტი ამბობს: „...მე და ჩემს სიყვარულს – ქვეყნად ერთად შობილს, კვლავ არა გვყავს ცალი“ („შენ და შენი გრძნობა“) (23, 801).

ვაჟა ეგრისელს აინტერესებს წარუვალი სიყვარული, მისი შეცნობა კი მხოლოდ ცაში ბინადართა, „ცისკენ ჩანგისმტყორცნელთა“ ხვედრია: „ანგელოზების მესმის გალობა, მე ვარსკვლავებში დავიდე ბინა, იქიდან ვუჰვრეტ სიყვარულის წარუვალობას“ („ანგელოზების მესმის გალობა“) (23, 652).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორის ლვთიური ძალმოსილებით შექმნილ პოეზიას მართლაც შეიძლება ეწოდოს „სიყვარულის იმპერია“ (19, 527), სადაც ლვთაებრივი პარმონია, წესრიგი და სამართლიანობაა გამევებული.

სამობდლო ღმერთივით უპირველესია და მასთან შედარებით უფასურდება ყოველგვარი სიმდიდრე, ჭეშმარიტი პატრიოტი ქვეწის ინტერესებში იფერფლება და პირადულს ივიწყებს: „მხოლოდ სამშობლო, სხვა არაფერი, არც ოქრო-ვერცხლი და არც ლალები. ო, სულ უბრალო საფლავებში წვანან ნადები, მე ერთი ვიცი დანამდვილებით, ჩემი მამულის სიყვარულში რომ ჩავძალდები“ („მე ერთი ვიცი დანამდვილებით“) (23, 112).

მამულის და ლვთის სიყვარული ერთგვარი ძალით ვლინდება ვაჟა ეგრისელის პოეზიაში, რადგან მისთვის „მამული ღმერთია“: „...მე კი, მამული! სიყვარულის ცათამწვდენ კოშკში გყავარ და წამით არ მიშვებ გარეთ“ („წარსულის ლანდი“) (23, 41).

მისი მშობლიური კოლხეთიც სიყვარულის, აღტაცების, მოკრძალების საუფლოა: „პონტოს ნაპირას – ლეგენდების

მზიან ბუდეში ჩემი კოლხეთი ზის ისე, ვით უცხო ფრინველი და ჩეკს სიყვარული... ადტაცებას და მოკრძალებას“ (23, 49).

იობის მოთმინება და გაძლება ჭირდება სამშობლოს ჭირვარამის ტვირთის ზიდვას: „ისევ შენი ხარ ჩემი მსაჯული, რადგანაც შენი სიყვარულის ოქროს პალოზე – ვარ მიჯაჭვული. და იობივით კიდევ დიდხანს ავიტან ტანჯვას. ო, არა უშავს, თუმცა... მოთმინების ჯაჭვს ლოკავს ჟამი, ვითარცა უერშა“ (23, 596).

სამშობლოს ჭეშმარიტი სიყვარულის სამსხვერპლო ზვარავს მოითხოვს: „მე ვარ ბატკანი შენდა ზვარაკად შენი სიყვარულის ხეზე მიბმული. როდესაც გიჭირს, მადევს მგლისფერი. სხვა არაფერი... შენით ვდიდგულობ, სამშობლო ჩემო! შენი მიწის და ფეხის მტვერი“ (24, 362).

მაგრამ მამულის ტრფობის დამვიწყებელთ ბაზრის ყაյანის-თვის მიუპყრიათ ყური. გახუნებულა ქვეყნის სიყვარული, თვით მამულის ცნებასაც დაუკარგავს აზრი და წუხილით გვამცნობს პოეტი: „ადრე სხვა იყო... დღეს არვინ ისმენს მამულის ციხვეშ წუხარ თუ მდერი. შთანთქა ყოველი ყაյანმა ბაზრის და გაუხუნდა სიყვარულს ფერი. სიტყვა – სამშობლომ დაკარგა აზრი“ (24, 974).

სამშობლოს მარადიული ერთგულებით აღვხილი „კოლხური ფსალმენების“ ავტორი ზეციურ ძალებს ევედრება, დაიფაროს მისი მამული: „მამულო ჩემო! მუდამ გფარავდეს ჯვარი ლაშარის, ხატი – ხახულის და გორგასალის ფარ-მუზარადი. მე სიყვარული შენახული მაქვს... და მექნება შენთვის მარადის“ („მამულო ჩემო“) (24, 94).

ასეთი გულმხურვალე ლოცვა ისმის მამულის მისამართით ლექსში „სიყვარულით გართულს“: „ენგურ-არაგვივით, სიყვარულით გართულს, ზღვიდან ზღვამდე ევლოს კოლხეთსა და ქართუს, ლოგოსსა და მელოსს“.

რეზიუმედ შეიძლება აღვიქვათ განაცხადი: „მე ვუფრთხილდები სინდისს და ნამუსს, ვით ქამარ-ხანჯალს – დანატოვარს მამა-პაპათა. ჩემი სამშობლოს სიყვარულის მიდვია ნაღმი ბალიშის ნაცვლად თავსასთუმალთან“ („ასეა ხვედრი“) (23, 402).

შურით, მტრობით, სიძულვილით გაბზარულ ჩვენს გულებზე, საამაყო ძეგლებზე, ციხე-კოშკების ბზარზე პგოდებს პოეტი და სიყვარულის, გამოფხიზლების ზარებს რეკავს:

„შერმა და მტრობამ და სიძულვილმა ჭირი შეცყარა ხახულს და ზარზმას, გულებს და მაღალ ციხე-კოშკებს გაუჩნდათ ბზარი. კმარა, სამშობლოს იქვეოს აზრმა და სიყვარულის შემოვკრათ ზარი“ (23, 879).

ეს ურწმუნოებით დადაღული ეპოქის მსჯავრია.

სამშობლოს სიყვარულის გარეშე არ არსებობს მომავალი, პოეტური უკვდავება: „ვერ წააქცევენ ჩემს ხვალის დღეს და პოეზიას, რადგან სამშობლოს სიყვარული უდევს საძირკვლად“ („უგესვები“) (21, 21).

მართლისმთქმელი მორწმუნე მამულიშვილი ვერ ურიგდება ქართველების უძველეს სენს – მმათა სიძულვილს და გულის-ტკივილით ამხელს ამ საყოველთაო უბედურებას: „...სიძულვილის ღვინო, მმათა ზიარ ქმევრებიდან – ვერ იქნა, ვერ ამოხაპა, ვერც ვახტანგმა, ვერც დავითმა, თამარმა და მისმა პაპამ“ („ქართველების სიყვარული“) (19, 296).

იდუმალი, წმინდა, სიყვარულის ებბაზში განხანილი პოეტის სახელი კი ცაში იწერება, მარადიულად ანთებული ვარსკვლავია, რომლის სინათლე გვიან, მაგრამ მაინც მოაღწევს მიწამდე, ასე სჯერა „კოლხური ფსალმუნების“ ავტორს: „იდუმალების სხივით მოსილი და სიყვარულით გადანასკვავი, შენი სახელი შვიდ მნათობთა გვერდით სწერია, რადგან ის გვიან ანთებული არის ვარსკვლავი, რომლის სინათლეს მიწად ჯერ ვერ მოუდწევია“ („იდუმალების სხივით მოსილი“) (19, 762).

გალაკტიონი აცხადებდა: „ზეცაზე სწერია ჩემი გზა“ („ეფემერა“) (26, 116).

ვაჟა ეგრისელის ლექსის ექვსი მნათობი თვით გალაკტიონის მიერ შეგულებული ქართული პოეზიის მარადიული გარსკვლავებია: შოთა, დ. გურამიშვილი, ნ. ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი. ამ სახელების გვერდით დანამდვილებით დაიმკვიდრა ადგილი კოლხეთიდან მოვლენილმა „ქრისტეს მხედარმა“.

მის მიერ დათესილი სიყვარული სივრცეებში განიფინება ჰაერივით. უამი კოლხი ორფეოსის გიგანტურ ტომებს მარადიულად იახლებს პოეტის სიცოცხლეში თუ სიკვდილის შემდეგ: „გადაშლის უამი სიკვდილ-სიცოცხლის სქელ ყდაში ჩასმულ ვეება წიგნს ჩვენი სიცოცხლის და ასო „ე-ზე ჩაკეცს ალფა-ვიტს. თავს წაუქცევენ დვინის ჭიქები, მერე ჩიტები დასხ-

დებიან ლოდზე საფლავის და ყოველ დილით ჩემს სიყვარულს იჭიკვიკებენ“ („ჩემს სიყვარულს იჭიკვიკებენ“) (19, 26).

დიდი მასშტაბებისთვის არის გამოზნული მის მიერ შემოკრული სიყვარულის ზარი: „...კვლავ სიყვარულის ზარებს ვარისხებ: მტკვრით და რიონით, მისისიპით, განგით, მისურით“ („შიგ კაკალ გულში მხვდება ისარი“) (19, 188).

ქართველ პოეტთაგან ძალიან ცოტა ვინმეს შეუქმნია იმდენი და ისეთი ამაღლებული პატრიოტული საგალობლები, როგორც ვაჟა ეგრისელს.

ერთ შემთხვევაში იგი წარსულიდან ცოტნე დადიანს გამოიხმობს, როგორც სამშობლოსთვის ზნეობრივი თავგანწირვის იდეალს: „...მეც კოლხი ვარ და ...მეც ცოტნესავით ჩემი სამშობლოს სიყვარულში ვარ ჩაკირული“ (სამშობლოსთვის თავდაღებულთა) (...737, I).

ცოტნეს სახე სხვაგან ახალი ფერებით არის აელვარებული: „მეც ცოტნესავით, სანამ ცოცხალ ვარ, მამულო ჩემო, შენს სიყვარულს მივეფიცები“ (შენით ვიწვები) (...34, იქ)

სან წარსულის რელიქვიას იხსენებს სამი ათას ხუთასწლოვანი ოქროს თასის სახით და ჯერ არსებნილი პანგით უმდერის სამშობლოს სიყვარულს: „მზის და ოჯალეშისფერი ჩემი ცის და ჩემი მიწის სიყვარული ისევ მასვით – სამიათას ხუთასი წლის თრიალეთის ოქროს თასით“ (ოქროს თასი) (23, 195).

მამულის სიყვარულის უმაღლესობა და უზენაესობა დახასიათებულია „ტრფობის კავკასიონის“ განუმეორებელი სახით: „ჰე, მამულო, შენი ტრფობის კავკასიონის – ვიყო ასე მიჯაჭვული“ (ჰე, მამულო) (23, 347).

სხვაგან ნადირობის ქალღმერთის დალის ნაშიერია მისი პოეზიის ლირიკული პერსონაჟი, სულკალმახის გაზრდილი და ცამცუმის ციხე-კოშკია მისი სამშობლო: „ლეგენდებში მშობა დალიმ, ზღაპრად მზრდიდა სულკალმახი და სამშობლო მქონდა მუდამ ციხე-კოშკად ცამცუმისი და რაც დმერთმა მიკარნახა, ოქროა თუ უზალთუნი, არა რაა ჩემო სხვისი, სულ ჩემია, სულ ქართული“.

არც სიკვდილის შემდეგ დატოვებს პოეტის სული თბილისს: „ადრე თუ გვიან... მკვდრეთით აღვდგები და სიყვარულით ჩემი

თბილისის ხმაურიან ქუჩებს დავივლი, სიმყუდროვიდან გამოპარული“ (ადრე თუ გვიან) (...70).

პოეტის მამულიშვილური სიყვარულის ისტორია მართლაც უნიკალურია და ცად და მიწად ვრცელდება: „რომ გაიგოს ცამ და მიწამ, საქართველოვ! – ჩემო დედავ! ჩვენი სიყვარულის ამბავის: არწივებ ფრთაზე გამოვაძამ, ცხენს – ნალისქეშ ჩაგუჭედავ“ (რომ გაიგოს ცამ და მიწამ) (...981, I).

„ჩემი სამშობლოს სიყვარულის დამადგით ძეგლი!“ (დიდი პაემანი) (...85, იქ) – ივედრება „კოლხური ფსალმუნების“ ავტორი.

ამ დიდი, მასულდგმულებელი სიყვარულის დედად, თვით ამურად წარმოიდგინება მამული ლექსში „მამულო“: „ნათლით მოსილი, ბროლის ფრთოსანი, მშვილდმოზიდული შენ ხარ ამური, გვტყორცნი სიყვარულს და ვარსკვლავებს ოქროს გირჩებად და... შენი ტრფობა – შიგ გულში მჭრის, ჩემო მამულო, არ ვიცი, როგორ გადაგირჩები“ (მამულო) 925, 224).

სხვაგან ასე გამოიხატება სამშობლოს სიყვარულის მარადიული გრძნობა:

„მე კი, მამულო! სიყვარულის ცათამწვდენ კოშკში გყავარ და... წამით არ მიშვებ გარეთ“ (წარსულის ლანდი) (25, 41).

საქართველოს სიყვარულის უდელში შებმული ესახება შვილები (ჩემს ყევარ ბიჭებს) (31, 124).

„სიყვარულით მსურს ავანთო, რაც ჩამქრალი კერებია“ (25, 395), ასევე გამოხატული ქვეყნის აღორძინების იდეა.

ჰეშმარიტებაა დასკვნა: „...ვერ წააქცევენ ჩემს ხვალის დდეს და პოეზიას, რადგან სამშობლოს სიყვარული უდევს საძირკვლად“ (ფესვები) (23, 21).

სამშობლოსთან მიჯაჭებულობა უფრო სხვაგარად უდერს ლექსში „იდუმალების შორეული რეკენ ზარები“: „მე ვარსკვლავთა ოქროს ჯაჭებით საქართველოს ცას ვარ მიჯაჭებული“ (207, იქ)

ხან მამულის „სიყვარულის ქვაზე“ ლესავს სულს, რომ ბოლოს სამშობლოს ზეცის ბინადარი გახდეს: „ჩემი მამულის“ სიყვარულის ქვაზე რომ ვლესე სული, ო, იმ სულს გავაყოლებ როდესაც მერცხალს და თუ ვიხილავ ლაჟვარდოვან სამშობლოს ზეცას, მშვიდი ძილისთვის მეყოფა ესეც“ (მეყოფა ესეც) (25, 448, იქ)

ლექსში „სამშობლოვ ჩემო“ „რწმენის და სიყვარულის მაღალი დროშით“ დგას მამულის გვერდით (23, 304).

სამშობლოს „სიყვარულის ნაღმია“ ლექსში „ასეა ხვედრი: „ჩემი სამშობლოს სიყვარულის მიღვია ნაღმი ბალიშის ნაცვლად თავსასთუმალთან“ (25, 402).

ვაჟა ეგრისელის პოეტური იმპერიის მბრძანებელია სიყვარული. აქ „სიყვარული მშობელ მიწის ახატიათ გულზე ფოთლებს: „მზეც და მთვარეც ერთმანეთის ტრფობით იწვის“ (სიყვარული) (8, 473).

მისი პოეზიის ლირიკული გმირი გაიგივებულია დედამიწასთან და იწვის მზის სიყვარულით: „დღისა და ღამის ყავარჯნიანი დედამიწა ვარ მე და მივსდევ მნათობს. ჩემი სიყვარულის – მზე, ასე რომ გათბობთ“ (დედამიწა ვარ მე) (23, 458).

ეს სიყვარული უსასრულო და დაუტევარია: „ხუთი მილიარდი – გული გიცემს მკერდში – სამყაროვ! – მე და შენ გვიყვარს ერთმანეთი“... (სამყარო) (591).

სიყვარული რეგბია წილად პატარა ბეღურას: „ჩემი სიყვარულია პატარა ბეღურა“ (გთხოვ) (25, 802).

„სიყვარულის იმპერიას“ სძინავს ვაჟა ეგრისელის სამყაროში, „სიყვარულის ნიავი“ უბერავს“ (წარსულ დღეთა) (25, 634).

ამ სიყვარულის ძიებაა ჭეშმარიტი პოეზია: „...მიწით ნაშობი, ცათა მიერი, სად არის იგი სიყვარული პირველყოფილი?“ (სად არის იგი) (23, 240).

„სიყვარულის წმინდა ტაძარში“ ამურს და სხვა ლმერთებს ესაუბრება (სიყვარულის წმინდა ტაძარში).

სიყვარულს, სიკეთესა და მაღლს შორის გამუდმებული დავა: „ისევ ციმციმებს ლურჯი სანთური – სიკეთის, მაღლის და სიყვარულის და სიძულვილის, ისევ გრძელდება საწუთოის და ბედის ტრიალი“ (23, 61).

მაგრამ ისევ და ისევ ხდება სიყვარულის ხის აყვავება: „იყუჩე გულო... სიყვარულის ხეს ისევ ნახავ თეთრად შემოსილს. ისრებს კაპარჭში აწყობს ეროსი... და სიცილი ისმის ამურის“ (დარდს და სიხარულს ცა აქვთ საერთო) (20, 261.).

გამუდმებით სიყვარულის ორბიტაზე უნდა ტრიალებდეს სული სიკვდილამდე: „გაწყვეტაზე მიღეულ ძაფის – ჩემი

სიცოცხლის, კვლავ სიყვარულის გორგალზე ვართავ“ (კვლავ სიყვარულის გორგალზე ვართავ) (23, 392).

მამულის სიყვარული ერთი დიდი და, ჯერჯერობით, ბოლომდე შეუსწავლელი თქმაა ვაჟა ეგრისელის პოეზიაში. იგი ამ ასპექტშიც სავსებით ორიგინალური რჩება.

მიღმართოთ რამდენიმე მაგალითს: „ნათლით მოსილი, ბროლის ფრთოსანი, მშვილდმოზიდული შენ ხარ ამური, გვტყორცნი სიყვარულს და ვარსკვლავებს ოქროს გირჩებად... და შენი ტრფობა – შიგ გულში მჭირს, ჩემო მამულო! არ ვიცი, როგორ გადაგირჩები“ (მამულო) (26, 224).

პოეტს ძალიან უყვარს ციური ქვა, სიბრძნის ქვა, სიყვარულის ქვა (დმერთის სიმბოლო): „ჩემი მამულის სიყვარულის ქვაზე რომ ვლესქ, სული, ო, იმ სულს გავაყოლებ როდესაც მერცხალს და თუ ვინილავ ლაუვარდოვან სამშობლოს ზეცას, მშვიდი ძილისთვის მეყოფა ესეც“ (ჩემი მამულის სიყვარულის ქვაზე რომ ვლესქ) (26, 448).

ხალხისაგან აკრეფილი „სიყვარულის ხარაჯა“ გვიზიდავს დექსში „ფიქრი“ (20, 57).

„მუდმივ სასჯელში“ მამულის სიყვარული ასეა გამოხატული: „მამულო ჩემო! მსაჯულებმა – ჩემმა დღეებმა, ძველმა დღეებმა, თანაც ახლებმა, დახვრეტა და არც გადასახლება, შენი მუდმივი სიყვარული – მე მომისაჯეს“ (26, 839).

სამშობლოს სიყვარულის უდელი და ტკივილი განცდილია ბედნიერებად: „ეჭ, საქართველოვ, შენი ტრფობის უდელში შებმულს, დე, მარად მტკიოდეს ქედი ნაუღლარი“ (25, 709).

უსასრულოდ შეიძლება ასეთი მაგალითების დამოწმება: „ჩემი თბილისი მთებს სიყვარულის დიდ ალყაში პყავთ მომწყვდეული“ (მთები) (25, 627).

სიცოცხლის სიყვარულის ყოვლისშემძლეობა ასეა გამოხატული: „სიყვარულით მსურს ავანთო, რაც ჩამქრალი კერქბია“ (25, 395).

სამყაროს ყოვლისმომცველი სიყვარულია დექსში „სამყარო“ (25, 591): „ხუთი მილიარდი – გული გიცემს მკერდში – სამყაროვ – მე და შენ გვიყვარს ერთმანეთი“.

პოეტი „მიჯაჭვულია“ მსაჯულის (დმერთის) სიყვარულის ოქროს პალოზე: „ისევ შენა ხარ ჩემი მსაჯული, რადგანაც

შენი სიყვარულის ოქროს პალოზე ვარ მიჯაჭვული“ (ისევ შენა ხარ ჩემი მსაჯული) (25, 596).

„სიყვარულის და სითბოს მთესავი“ პერსონაჟი ლექსისა „გარსკვლავებთან და მთვარესთან ახლო... სულ მარტოდმარტო პატარა კუნძულზე“ სახლობს“ (სიყვარულის და სითბოს მთესავი) (25, 840).

„სიყვარულით ამაღლება“ ცხოვრების მიზანი (23, 588).

ასეთი პოეზია სივრცეებში მარადიულად ივლის ფიქრად და სიყვარულად: „გაზრდილს კოლხური მზით და ლეგენდით, ვერას დამაკლებს დღეთა მარულა, რადგან პოეზია – მეტი არი. შენ ივლი ფიქრად და სიყვარულად, არ მოგწეინდება სივრცეებს შორის ხეტიალი“ (გაზრდილს კოლხური მზით და ლეგენდით) (23, 304).

პოეტი თავის საღვთო სიყვარულს ბედნიერებად სახავს, რადგან ამ წრფელი გრძნობის პასუხს მისგან ბოძებულ მაღლ-ში ხედავს ყოველ საქმეში: „ვუყვარდი და... მიტომ დმერთი თავის სიყვარულში მცდიდა, რადგან, ვითარც ვახტანგ მეფე, სულ ვისმენდი ვარსკვლავების რეკვას – საქართველოს ციდან“ (ვუყვარდი და) (20, 358).

ზოგჯერ სიყვარულით სავსე პინი სიძულვილით ივსება (20, 613), „ზვირთოა ყორნები სიყვარულით სავსე გულს ძიგნიან“ (20, 723), მაგრამ პოეტი არ დალატობს დვოიურ მცნებას და მისი ლექსების სიყვარულის ხმები საუკუნეებს მისწვდება: „ვით კრიმანჭულად გურული, სიცოცხლესა და სიყვარულს, ათასწლეულებს – გასძახებს, მთვარით გადახურული, შენი სიტყვის სასახლე“ (20, 502).

სიყვარული მისთვის მახვილია: „გივის სიშორე: – სიყვარულის „შეიბ მახვილი!“ (ფიქრები) (26, 202).

პოეტისთვის მარადისობა „შუბია“, მზე და სიყვარული – „იარადი“, სიყვარული – „მახვილი“.

პავლე მოციქული საუბრობს „დვთის საჭურველზე, სიმართლის ჯავშანზე, რწმენის ფარზე, ხსნის ჩაჩქანზე და სულის მახვილზე (წერილი ეფესელთა მიმართ, თ. 6, 11, 14, 16, 17) და განმარტავს: „ჩვენი საბრძოლო იარადი ხორციელი კი არ არის, არამედ არის დვთიური ძლიერება სიმაგრეთა დასანგრევად“ (II კორინთელთა, თ. 10, 4).

ვაჟა ეგრისელის შუბი, ფარი და მახვილი ქრისტიანული ღმერთის სიყვარულია, რამაც განაპირობა მისი ასეთი გასაოცარი გამარჯვება.

უნდა ითქვას, რომ სიყვარული ასეთ მრავალგვარ და სულიერ ჭრილში არცერთ ქართველ პოეტს არ მოუაზრებია და არც ასეთი შეუძარებელი მეტაფორები შეუქმნია ამ საღვთო მნიშვნელობის სახელის გამოყენებით...

სამართლიან განაცხადია: „მე და ჩემს სიყვარულს... კვლავ არა გვყავს ცალი“ („შენ და შენი გრძნობა“) (23, 801).

პოეტმა სიყვარულის მრავალსახეობას უმდერა და თან უპირველესი ადგილი მიაკუთვნა საღვთო სიყვარულს.

მისი სამყარო მართლაც „სიყვარულის იმპერიაა“, უზენაესისგან ხელდასხმული, დვთის მიერ შექმნილი სიყვარულით მაღლცხებული მრავალფეროვანი იმპერია მიწით, ზეცით, მნაობებით, პლანეტებით, ხილულით ოუ უხილავით, სულიერით ოუ მიღმურით.

ლიტერატურა

1. ახალი ადოქტა და ფსალმუნები, სტოჭილმი, 1992.
2. ნეტარი აგაუსტინე, „აღსარება“, თარგმანი ვ. ბურკაძის, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1985.
3. გიორგი გურჯიევი, ჭეშმარიტების სამყაროში, თარგმანი ლაშა დადიანის, თბ., 1991.
4. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი II, თბ., 1991.
5. დანტე, „დვთაებრივი კომედია“, თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ., 1941.
6. იოანე პეტრიშვილი, სათნოებათა კიბე, იგ. ლოლაშვილის რედაქციით, თბ., 1968.
7. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი I, თბ., 1991.
8. პლატონი, „ნადიმი“, თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძის, თბ., 1964.
9. გოეთე, რჩეული ლირიკა, გერმანულიდან თარგმანი, შესავალი წერილი და კომენტარები აპარი გელოვანისა, თბ., 1972.
10. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, თბ., 1991.

11. აღმოსავლური პოეზია, თამაზ ჩხერიძელის თარგმანი, თბ., 1981.
12. ბოდლერი, „ჩემო გიშერო“, თარგმანი დ. აკრიანის, თბ., 1991.
13. ლუარა სორდია, აკაკი წერეთლის „სულიკო“, სკოლა და ცხოვრება, 1991, №4.
14. ვაჟა ფშაველა, თხ. 10 ტომად, ტ. I, თბ., 1961.
15. მარადი დღე, თბ., 1984.
16. მერაბ კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ., 1991.
17. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977.
18. ლუარა სორდია, საღმრთო სიყვარულის იდეა გ. ტაბიძის პოეზიაში – წიგნში – გალაკტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკა, თბ., 1996.
19. ლუარა სორდია, ანა კალანდაძის პოეზია (ბიბლიურ-ქრისტიანული ასპექტები), თბ., 2005.
20. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები ხუთ ტომად, ტ. III, თბ., 2006.
21. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ილია აბულაძის რედაქციით, I, თბ., 1991.
22. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995.
23. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ტ. I, 2001.
24. ტიციან ტაბიძე, ლექსიები, პოემები, პროზა, წერილები, თბ., 1985.
25. ვაჟა ეგრისელი, იქმენ ნათელი, თბ., 1993.
26. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ტ. 3, 2007.
27. აკაკი გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983.
28. კრებული „პოეზია“, თბ., 1981.

თავი IV. „ზექვეუნიური, უკვდავი ხმები“ გალაკტიონის პოეზიაში

„ათასის აქეს მხედველობა, იერი, ათასის მზე, ხმენა ასი ათასის“ – ეს ჰიპერბოლა, უპირველესად, ამ სტრიქონების ავტორს გვახსენებს, რომელზედაც უხვად გადმოსულა სულიწმიდის მადლი.

მკითხველის ყურადღებას იპყრობს გალაკტიონის „სიმღერათ სიმღერა“, სამოთხის ჰანგები, სიყვარულის სიმღერა, სიმღერა მოულოდნელი, ლოდინის სიმღერა, გადარჩენის ჰიმნი, შორი მუსიკა, ბროლის რიტმი, მუსიკა, ლოცვის მხურვალება, ლოცვა-ვედრება, გალობა ახალი, ღმერთზე ლოცვებით აღმონაცენი სული, ხმათა განახლება, უტეხელი ხმები, ხმათ აიაზმის ნელი პეურება, საგანოთიადო ხმები, ყრუ ძახილი უკვ-დავებისა, სიცოცხლის ხმა, საუკუნის ხმა.

პოეტის გამორჩეულ მუსიკალობას შეწყვილებია განსაკუთრებული ღრმა აზროვნება, მარადიული სიბრძნე: ციური ნანა, ციური გალობა, ციური დაირა, ბაიის ბგერა, თვალების ნოქტიურნი, ფიქრების ვალსი, გაზაფხულის გამმა, ტალღების გამმა, სონეტების ნაზი ფერები, სახე მელოდიების,...

„მყუდრო დამეში მოხეტიალე ბედუინია“ გალაკტიონი. იგი გვარწმუნებს „მუდმივი, დაუჭკნობელი სინარნარისა და სილამაზის მხარის“ არსებობაში, ქვეყნიდან შორს, „უცხო საზღვრის“ იქით „იდუმალ-მარადიულზე“ მოსაუბრე ვარსკვლავთა ხმების მოსმენაში („ცად აზიდულა, ვით მარმარილო“).

ჩვეულებრივ მოკვდავთათვის განუჭვრებულ „წმინდა ქვეყანას“ ხედავს, მხოლოდ ნათელმსმენთათვის მოსახელოფუბელ უხორცოთა ხმებს აყერადებს პოვტი: „მე მესიზმრება რაღაც წმინდა, შორი ქვეყანა, სადღაც, ოდესაც ზმანებული, ერთხელ ნახული, მე მესიზმრება ანგელოზთა ციური ნანა, დამის დუმილში ჩაქსოვილი და ჩასახული“... („მე მესიზმრება“).

პოეტს სწყურია „პირველი სხივის“ მოულოდნელი სიმღერა და უზენაესს ეველრება: „ასე წუბეშო, ჩემს მშფოთვარ ყოფნას შენ მოუვლინე სხივი პირველი, როგორც სიმღერა მოულოდნელი, როგორც პეპელა გასაკვირველი“ („ხანდახან მშფოთვარ ქალაქის ხმაში“).

გალაპტოონი გვაჯერებს, რომ მისი განსაკუთრებულობის საწინდარია შორი მუსიკის, ზექვებიური ხმების გათავისება: „არის წმინდა პოეზია და მუსიკა არი შორი“, მაგრამ იმასაც ხასს უსვამს, რომ იმ სფეროში გაღწევა საღვთო ბილიკებით მავალთათვის არის მხოლოდ შესაძლებელი: „არის საღვთო ბილიკები იმ სივრცისკენ მიმავალი“ („ხელოვნება“).

ზეციურ მუსიკაზე, სულის ხმებზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ იოგები, ნათელმხილველები და ნათელმსმენები.

ელენე რერიხი ირწმუნება, რომ ასტრალურ სამყაროში სულს ესმის თოთხმეტი ხმა, ხოლო მიწაზე – ცხრა.

რჩეულებს ესმით შორეული ხმა არნახულ ეპოქაზე. სულის ხმა მოიტანს ცნობებს სამყაროს ევოლუციაზე.

ადამიანამდე ხშირად აღწევს უცნობი ხმები, რომელიც აფართოებს შემეცნებას.

სფეროების, შორეული სამყაროს მუსიკის გაგონება მიწაზეც შეიძლება, მაგრამ ამისთვის საჭიროა მუსიკალური ყური.

სფეროების მუსიკა შედგება არა მელოდიისგან, არამედ რიტმისგან.

კოსმოსში ცხოვრობს ის გონიერი ძალა, რომელსაც ეწოდება კოსმიური რიტმი და ყველა ადამიანის სიცოცხლე დამოკიდებულია რიტმის წრისგან.

მარადისობის ხმას მივყავართ სიკეთისა და სინათლისკენ.

ადამიანს შეუძლია მოისმინოს სხვებისათვის მოუხმენელი ხმა რადიოს გარეშე.

გულსაც აქვს ხმა, სიმღერა.

მდერის სინათლე და ხმიანობს განუზომელი სივრცე.

უნდა შევიგრძნოთ უსასრულობის სიმღერა. თუ ადამიანი ერთეულაც ვერ გამოვდის უხილავი სამყაროს მოახლოების სიხარულს, ეს ნიშნავს, რომ მისი ნერვების ცენტრი მკვდარია.

ზოგიერთებს ესმით სფეროების მუსიკა, უსაზღვროების ზარი, მუსიკა გარემოსი, მაგრამ უმაღლესი სულის ხმის გაგონება შესაძლებელია მხოლოდ სულიერი ცნობიერების განვითარებით.

დე, ეჭვებისა და უარყოფის ნაცვლად ახმიანდეს შორეული სამყაროს სიმები. ყოველი ხმის გაგონება არის გამარჯვება სივრცეზე.

იყავით ყოველთვის მზად, რომ უსმინოთ დუმილის ხმას და უპასუხოთ უნახავი ხელების შეხებას, მოგვიწოდებს კ. რერიხი.

როცა ადამიანში მდერის ვიდაცა, ესაა წარმატების ემბრიონი (□ 1990, □ 56, 63, 90, 143, 164, 191, 245, 411).

ცნობილია დანტეს ასტრალური მოგზაურობა ჯოჯოხეთსა, სალინებელსა და სამოთხეში. მან სულის თვალებით იხილა უხორცოთ სავანე და უზენაესი არსებები, არაჩვეულებრივი ნათელსმენის წყალობით მოისმინა ზეციური ხმები: „ასე უბნობდა ეს ნათელი სიყვარულისა“, „ბოლოს გამოხდა სინათლისგან ხმაი მეტყველი“, „ნათელი წმინდა განაგრძობდა კვალად მოთხოვას“ (დანტე, „ლოთაებრივი კომედია“, ობ., თარგმანი კ. გამსახურდიასი, გვ. 385, 335, 323).

დანტეს სმენას მისწვდა მარიამის მახარობელი ანგელოზის ხმა: „ყველაზე მეტად ღვთივმშვენიერ სულის ნათელმა მე გამაგონა ხმა ისეთი მოკრძალებული, როგორიც ჰქონდა მახარობელს მარიამისას“...

მაგრამ ზეციური სიტყვა იყო „მიუწვდომელი, გადაცდენილი შემეცნების ჩვენის სამანებას“.

საღვთო მუსიკით, სფეროების ჰარმონიით მოჯადოებული დანტე გვიზიარებს თავის შთაბეჭდილებას: „ვით საათები ადრიანი, ტქბილის წვარუნით გაგვაღვიძებენ ისეთ წუთში, როს ქრისტეს სასძლო საქმაროს თვისას ეგებება სათხო ძლისპირით; გვესალბუნება ჟღერა მათი მელოდიური, სადაც ებნის ხმა ყურთასმენის დამატებობელი გულში აღვიძებს ნეტარებას სიყვარულისას, ამგვარად ჟღერდნენ თვალშეუდგამ სფეროთა შორის ცოორილთა რკალნი აღგზნებულნი ეთერში

მსრბოლი და ეგზომ ნეტარ პარმონიას ვერვინ მოისმენს, ვინც მარადებამულს არ ეწვევა უფლის საბრძანის“ (იქვე, გვ. 318).

ზეციურ პანგებს ამქვეყნიურს ადარებს დანტე და გამოაქვს დასკვნა: „ამქვეყნიური უტკბილესი მელოდიები, რომელიც სმენას პარმონით აჯადოებენ, გეჩვენებოდათ, როგორც მეხის მძიმე გრუხუნი, თუ ამ ზეციურ ლირათ ჟღერას შეადარებდით... ამ გალობათა, ამ პიმნების ერთხელ გამგონეთ ჩვენი მუზების, სირენების სიმღერა მკრთალად გეჩვენებოდათ, ვით არილი შუქის წინაშე“ (იქვე, გვ. 322).

საღვთო მუსიკა გოვთეს მიურ სახელდებულია, როგორც „სფეროთა ცეკვა, პარმონია, ციური პანგი: „პოლუსებს შორის განახლდება სიმღერა მარად, სფეროთა ცეკვა, პარმონია, ციური პანგი“ („მსოფლიო ლიტერატურა“, გოვთე, „რჩეული ლირიკა“, თარგმანი ვახტანგ ბეჭუგლის, თბ., 1972წ., გვ. 232).

ზეიად გამსახურდია წერს: „ტარიელთან შესახვედრად მეორედ წასვლისას ავთანდილი ავლენს მიდრებილებას ასტროსოფიისკენ (მნათობთა პიმნი), საღვთო მუსიკისა და პოეზიისკენ (სიმღერა), მასში იდვიძებს ნათელ ხილვა, რომლითაც იგი ჭვრებს სულიერ მზეს, სულიერი „დაბრუნების“ ანუ „შემობრუნების“ შედეგად. ეს შემობრუნება პლატონური ფილოსოფიიდან იდებს სათავეს“ (ზ. გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება“, გვ. 284).

ნიკოლოზ ბარათაშვილისთვის მახლობელი იყო „ციურთა დასთა გალობის ზარი“ („გპოვე ტაძარი“).

დავით გურამიშვილს „ხმა ქმა ძილსა შინაო“ („დავითიანი“).

ილია ჭავჭავაძემ გაიგონა „საქართველოს თანამდევი უპვდავი სულის“ ხმა უსიტყვოდ („აჩრდილი“).

ილიასთვის პოეტი იყო „ზესკნელისა და ქვესკნელის უცნაურ ხმათა მსმენელი“ („პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ“).

„ციდან ხმა მესმის ანგელოზების“, ამბობდა ვაჟა-ფშაველა, „მგონია ციდან მემახის ვიდაც“, გვიმხელდა ტერენტი გრანელი.

ხალხური ლექსის მიხედვით, ვახტანგ მეფეს „ციდან ჩამოესმა რეგა“.

ზეციური ხმების მიუწვდომლობაზე ჩიოდა გიორგი ლეონიძე: „მე ოქროს ქნარის სიმების ჟღერა პაერში მესმის გაურ-

კვეველი, მაგრამ ვერ მივწვდი, ვერა და ვერა, ვერ გავხდი მისი მიმაკვლეველი“ („ოქროს ფრინველი“).

ნათელმხილველ ვნებას ესმოდა „ციური ზარის ხმა“, ესაუბრებოდა „წარმოგზავნილება“...

ათანას ფეტს ესმოდა უხილავის ძახილი, ხმები დაფარული, უწმინდესი ბგერები, ხმა ზეციური („სიმღერა მარადიულ ფრინველთა“, „მარადი დღე“, გვ. 27, 49).

ვლადიმერ სოლოვიოვმა გაიგონა „წმინდა ხმა, გამოძახილი მისნური, უხილავის უხმო ძახილი“ (იქვე, გვ. 102).

ალექსანდრე ბლოკი აყურადებდა „უფლის გასაოცარ მუსიკას, ზეციურ ხმებს“ (იქვე, გვ. 169).

გალაკტიონმა უარყო ძველი პანგი: „ხმათა სისწრაფეს და სიძლიერეს ნუ მომაგონებ ძველი რიცხვებით“...

პოეტების მეფემ მიზნად დაისახა „ხმათა განახლება“, „ხმათა აღორძინება“, „აღდგომის კალი“ ძიება....

„აშ ხმების“ მოსმენა მოასწავებდა ოცნების გაღვიძებას, აშკარა განახლებას: „გრძნობა ლებება უხილავად უტეხებლი იმა ხმებით, გადვიძებულ ოცნებითა და აშკარა განახლებით“.

როგორც დათის რჩეულს, ესმოდა ზეციური ხმები, უმაღლესის ძახილი: „ციდან ძახილი მესმოდა წყნარი“.

პოეტის სმენამდე აღწევდა „ციური გალობა“: „და ისმის ციური გალობა ნარნარი: სადამო სიცოცხლის, სადამო დამტბრარი“ („სადამო“).

ზეციურ სიბრძნესთან წილნაყარს, სადგოთ პანგები ესმოდა, ცის კარი და მიწის გული, ქვეყნის კარი და სიბრძნის კარი ეხსნებოდა: „გაოცებით მწყემსი წყნარი ისმენს ციურ დაირასა, ვინა სოქვა, რომ ზეცის კარი სამუდამოდ დაირაზა?“ ვინა სოქვა, რომ სიბრძნის კარი სამუდამოდ დაირაზა“.

„ლექსში „ო, ქვეყნიურო სამოთხე!“ – „ყველა ხე ლექსებს შრიალებს“.

„ყველა ხე“ გრიგოლ ნოსელის მიხედვით არის დმერთი.

გალაკტიონის განსაკუთრებულობას განაპირობებს მისი დვთისნიერება: „ვით გშვენის პატიოსნება, ეს დიდი, ეს საამო დღე! ო, მშვენიერო ოცნება! ო, ქვეყნიურო სამოთხე!“

„დიდი დღე“ და მისი ვარიაცია „საამო დღე“ არის მამაღმერთის სიმბოლო, რომელიც მომდინარეობს დანიელის წინასწარმეტყველებიდან, ხოლო სამოთხე არის მარიამის სიმბო-

ლო (იხ. ტ. მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996წ., გვ. 57).

სამოთხემდე ამაღლებული დანტე ეძებდა ამ უწვეულო საზღაურის მიზეზს და ასკვნიდა: „ნააზრევმა ფილოსოფოსთა და ხმამან ციდან ჩვენს მიწაზე ჩამოღწეულმან, მათ ამოტვიფრეს სიყვარული იგი ჩემს გულში“ („ღვთაებრივი კომედია“, ობ., 1941, გვ. 381).

გალაკტიონი ხსნის გზად სახავდა „რწმენას“, „სიყვარულის სიმღერას“: „გულში ჟღერს რა ხანია სიყვარულის სიმღერა, როგორც ერთადერთი ხსნა, ერთადერთი იმედი“ („იღიას მოტივი“).

ბიბლიაში გვხვდება „სალადობო სიმღერა“ (ეზეკიელი, 33, 32) და „სიყვარულის სიმღერა“ (ესაია, 5, 7).

სიყვარული დმერთია: „ვისაც არ უყვარს, მას არ შეუცვნია დმერთი, ვინაიდან დმერთი სიყვარულია“ (იოანე მოციქულის I წერილი, 4, 8).

უფლის სიმღერა იქცევს ყურადღებას დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნში: „ჩემი ძალა და სიმღერაა უფალი და ის იქნება ჩემი მშველელი“ (ფს. 117/118, 14).

უფალს მიემართებოდა ესაია წინასწარმეტყველის სულის მოელი ძალისხმევა: „უფალია ჩემი სიმღერა“ (ესაია, 12, 2).

„ვუმდერებ ჩემს შეყვარებულს სიყვარულის სიმღერას მის ვენახეზე“ (ესაია, 5, 7).

„აპა, დმერთია ჩემი ხსნა, ჩემი ძალა და სიმღერა“ (ესაია, 12, 2).

ესაიას „შეყვარებული“ დმერთია, ვენახი – ებრაელი ხალხი.

გალაკტიონის ლექსებში საღმრთო სიყვარულის გამომხატველი ცნებებია: „სხვა სიყვარული, ზექვეყნიური სიყვარული, ტრფობა სრული, ძეკლი სიყვარული, პირველი სიყვარული, უკანასკნელი სიყვარული“.

იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში ქრისტე ეფესელთა ეპლესიას მიმართა: „შენს საწინააღმდეგოდ ისა მაქს, რომ მიატოვე შენი პირველი სიყვარული“ (იოანეს გამოცხადებს, ო. 2, 4).

„პირველი სიყვარულის“, „ძველი სიყვარულის“, უზენაესი სიყვარულის დავიწყების ფაქტი დაფიქსირებულია გალაკტიონის შემოქმედებაში: „აქ ოდესმე მხიარული გზით უყვარდათ სიარული, აწ გზა მიტოვებულია, როგორც ძველი სიყვარული.

(აქ ოდესმე). „არსად ჩანს ტკბილი ნათელი შუქმფრქვეველ სიყვარულისა („ღამე“), „სიყვარულის გამქრალა სხივი“ („ალგის ხეები მშვილდისარს ხრიან“), „სიყვარულის არ მესმის ნანა“ („უდაბნო“), წუხდა პოეტი.

მის ლექსებს განსაკუთრებული ტკივილით ავსებდა ის, რომ „სიყვარულის ხმა არსად ისმოდა“. კომუნისტურ საზოგადოებას დაავიწყდა „სიყვარულის ნანა“, რაც პოეტის სასოწარკვეთიდ შეკითხვას იწვევს: „რად ჩაქრა სიმღერათ სიმღერა მჩქეფარე?“ („ტრიოლეტები“).

მაგრამ გალაკტიონის სულ ში გამუდმებით ქღერდა ციური სიმფონია, „სიხარულის უვერტიურა“, რაც ლოცვასავით ამაღლებული და დიადია.

პოეტის შემოქმედების ორიენტირები გარკვეულია მისსავე „სერენადაში“: „რად მინდა იგი, ჩემო პირიმზე, ჩემის ჩანგით ოუ ვერ დაგაღონებ? რად მინდა ქნარი, თუ იმის ხმაში სამოთხის პანგებს ვერ გაგაგონებ? გული სავსეა წყნარი სიმღერით, სულ ში ვარსკვლავი ბედის გაბრწყინდა. ვმდერი, ვით არვის არ უმღერია, წყურვილსაც მოვკლავ, მაგრამ რად მინდა?“

ლექსის „სამოთხე“ მარიამია, „ბედის ვარსკვლავი“ – ქრისტე. სევდიან ინტონაციებს განაპირობებდა ის, რომ ათეისტურ ეპოქას არ სჭირდებოდა ეს სახეები.

გალაკტიონი წუხდა, რომ ის უმთავრესი ხმა დაკარგა ქართველმა: „ჩვენ დაგვიკარგავს ჩვენი გულის ხმა შორეული, ათასი ხმიდან მხოლოდ ერთხელ ჩამორეული“ („ო, გადავშვათ უფიქრებლად“).

სიტყვის ჯადოქარმა სწორედ ის იდუმალი ხმები მოასმენინა ხალხს, დაკარგული ინტონაციები გააქცერა: „ის მღერის, როგორც დარის დარება, იმისი გული ხალხის გულია, მასში მოისმის იდუმალთა ხმათ მწუხარება, გრძნობა, რომელიც დაკარგულია“ („გრძნობა, რომელიც დაკარგულია“).

გალაკტიონის პოეზიის საიდუმლოა არა პრიმიტივთა „საიდუმლო მყვირალა ფრაზებისა“, არამედ „ხმათა სიმაღლემდე ატანა“ („საიდუმლო მყვირალა ფრაზებისა“).

„ო, უბრალო ხმებისთვის არასდროს არ მეცალა“, ამბობს პოეტი და ცდილობს ტაძრის გზით წაყვანოს გზაგამრუდებულები, რწმენას აზიაროს ღმერთისგან გაუცხოებულები. იგი ქმნის „ლოდინის სიმღერას“, „გადარჩენის ჰიმნს“.

გალაკტიონის ლექსებიდან შეიძლება მოვისმინოთ „სიხარულის ხმა, ხმა სიმართლის და სინათლის მთებთ, ხმა იდუმალი, სიცოცხლის ხმა, სულის ხმა, სიყვარულის ხმა, მხურვალე ლოცვით აალებული სულის ხმა, სულის ხმოვანება ლოცვის სიმხურვალეში“...

სიხარული, სინათლე, იდუმალი, სიცოცხლე, სული, სიყვარული – საღმრთო სახელებიძ.

პოეტის სული ღმერთებზე ლოცვებით აღმონაცენია და ამდენად მარადიული, უძლეველი: „არ მჯერა სული რომ გაიფანტოს შებზე ლოცვებით აღმონაცენი“ („შემდეგაც მაინც“).

„ზექვეყნიური, უკვდავების ხმები“ ენატრებოდა პოეტს და არა პრიმიტივთა „დაცინვა, წერომა და ირონია“.

გალაკტიონის ლექსების უმთავრესი მახასიათებელია ლოცვა, გალობა, კედრება. მისი ქნარი მარადიული ცეცხლის (ღმერთის) მარადიული საგალოობელია: „დიდება იგი ძლიერი არი, ამაოება დროის მგმობელი, მარადის იგი ხმოვანებს ქნარი, მარადის ცეცხლის საგალოობელი“.

საღვთო ჰანგების ძლევამოსილებას მიანიშნებს სტრიქონი: „და იდუმალ სიმღერაზე სულის ცეცხლად გადაქცევა“ („პოეტს“).

სამყაროს ამშვენიერებს „სიცოცხლის ხმა“ (ღმერთი), რწმენა: „რა ფერადებით ჩანდა ქვეყანა, რარიგ გვეძახდნენ სიცოცხლის ხმები“ („გაუმარჯოს მებრძოლ თაობას“).

მზის ალუბლების, სიცოცხლის, სიყვარულის სახეებში ნაგულისხმევი ღმერთი მტევნებთან (მარიამი) ერთად თავისუფლებას და სიხარულს ანიჭებს რწმენის სასიამოვნო უდელში შებმულს: „მტევნები, სავსე მზის ალუბლებით, გულში რეპავენ სიცოცხლის ქარად. მახარებს ჩემი თავისუფლება და სიყვარული მახარებს მარად“ („გადავიარეთ მრისხანე ზღვები“).

გალაკტიონმა დაამგვიდრა არა მუხამბაზები, აღმოსავლური ბაიათები ან რომანსეროები, არამედ დარდის, სიკვდილის დამმარცხებელი საღვთო ჰანგები, სამოთხის ხმები, ცხოვრების ზღვაზე გადამყვანი ფრთებიანი სიმღერები: „გევედრები, გამაგონე, ის სიმღერა, მე რომ მიყვარს, ლაუვარდოვან ფრთების მქონე, შეა ზღვად რომ გადამიყვანს“ („ოდეს მძიმე რამე დარდი“).

ზღვა ცოდვილი ცხოვრების სიმბოლოდ განიმარტება დვთისმეტყველებაში, ბიბლიაში (წეტარი ავგუსტინე, ესაია წინასწარმეტყველი)

ზღვაზე გადამყვანი სიმღერა რწმენასთან, რელიგიასთან წილნაყარი პოეზიაა.

გალაკტიონის პოეზიის მარადიულობის საიდუმლოს კიდვე და კიდევ გვიმჟღავნებს მისი განუმეორებელი მეტაფორული სახეები: „სიცოცხლის ჩანგებს მივაშუროთ ისევ თასებით, მრავალ წყურვილთა გახელებით, გათასებით, ვთქვათ ამომსკდარი მიწებიდან ზღვა დარხეული, თასი დდის ხმათა და კვლავ თასი ზამბახეული“... („მივაშუროთ“).

ამ ურთულეს ფრაზაში მრავლისმეტყველი აზრია. სიცოცხლე, სიცოცხლის ჩანგი არის ქრისტეს სიმბოლო, ისევე, როგორც დღე, დღის ხმა; თასი – მარიამისა, ამჯერად ახლებური ნიუანსით – ზამბახეულით – გამრავალფეროვნებული, მიწა ცხოვრებაა, მისგან ამონთხეული ზღვა – ცოდვები. პოეტს თავის მისიად დაუსახავს მიწიერებას, ცოდვის ტყვეობას დაუპირისპიროს ქრისტიანული რწმენა, მაღალი სულიერება.

„ჯერ ყველასაგან მიუკვლეველი სიყვარულის“ – საღვთო სიყვარულის აღმომჩენია გალაკტიონი (ურწმუნო მე-20 საუკუნეში დვთის სიყვარული ისევ გასახსენებელი და აღმოსახენი გახდა), რომელიც დიდებისკენ შემოღომის ყვავილებით მიემართება და მარად ახსოვს ძველი მოტივები, „ერთი შორი ოცნება“, ანუ რწმენის, ღმერთის ერთგულების ჰანგები: „შემოღომის ყვავილებს დიდებასთან მივიტან, ერთი შორი ოცნება მახსოვეს ძველ მოტივიდან“ („გულო, რა გემართება?“)

გალაკტიონის შემოქმედებაში ისმის „საგანთიადო ხმები“, „მომავლის ხმები“, „მშვიდობის ხმა“, „არაქაური სუნთქვა“ („ჩვენი დღის ამბებს“).

ეზეკიელ წინასწარმეტყველივით, გალაკტიონს „ბროლის ლაჟვარდი“ ეხსნებოდა, „ბროლის ზმანებაς“ ევლინებოდა, ესმოდა „ბროლის რიტმი, მუსიკა“ („დაბმული ჭინკა“).

გალაკტიონი შეიგრძნობდა ქრისტეს ჯვარცმისას შემწყდარ სუნთქვას, თვალებით უსმენდა „სერაფიმთა ხმას“ (სინეხთვია), ესმოდა ქრისტესთან მარიამის გამომშვიდობების ხმები (მარიამი წარმოესახებოდა, როგორც „მგლოვიარეთა ქნარი“),

ცერერას (რომაული მოსავლიანობის დმერთი) „უჩინარი ტირილი („მას გახელილი დარჩა თვალები“).

მერე თვითვე აოცებდა ასეთი უნიკალური სმენა და კითხულობდა: „საიდან, როგორ ხმები ასეთი?“

მისი სიტყვა იყო „სიმღერათ სიმღერა“, „მუსიკა ზღვა მუსიკათა...“

და რაკი ქვესქნელ-ზესქნელის უველა ხმა მოისმინა, უფლება პქონდა სამყაროს ხმებზე დირიჟორობის. პოეტი თაობებს აოცებს უბრალოებით, სიდიადით, ეროვნულობით, გამბედაობით, მშვენიერებით, ახლობელის ილუზიით, სინამდვილეში კი ძალზე შორეული და მოუხელოებელია, მაგრამ გენიალური დირიჟორისთვის ძალზე ორგანულია იმ სასწაულ-მოქმედი ხმების მოსმენა: „იყო უბრალო, მაგრამ მართალი მისი სიმღერა და სიარული და სამუდამოდ იყო ქართული მისი პიმჩები გენიალური. ის ახლობელი იყო სულ შორი, გამბედაობით სავეს, ძლიერი, უნდა გენახათ ის დირიჟორი, უდარებელი და მშვენიერი“ („ის დირიჟორი“).

დანწეს ესმოდა „სიყვარულის ხმა“; „წმინდა ნათელის“ საუბარი; „სინათლისგან ხმაი მეტყველი“ („დგთაებრივი კომედია“, გვ. 374).

გალაკტიონის ხმა იყო „სიმართლის და სინათლის მთესი“.

გვაოცებს პოეტის „ბაიის ბგერა“, „ხმათ აიაზმის ნელი პკურება“, „თვალების ნოქტიურნი“, „ფიქრების ვალსი“...

„მესმის ბილიკთა სიხარულით გადანაზაფრი უვერტიურა“, აცხადებს გალაკტიონი, რაც ისევ და ისევ ქრისტიანულ ღმერთან შეხმიანებაზე მიგვანიშნებს, რადგან ქრისტე არის „სიხარული ყოვლისა ერისა“ (ლუკა, 2, 10).

ცნობილია, რომ გრიგოლ ხანძთელს ესმოდა „სიხარულის ხმა“, ემოსა არა „შემწველი“, არამედ „განმანათლებელი“ ცეცხლი.

გალაკტიონი იყო სიხარულშემოსილი, ზეგარდმონათლით მოსილი, მზითშემოსილი. სიხარული, ნათელი, მზე საღმრთო სახელებია.

მის ლექსებში „მთვარის შუქთაგან შეკრებილი სიმღერებიც“ გვხიბლავს, მთვარე კი მარიამის სიმბოლურ სახელად გაიაზრება (ტ. მოსია „საღვთისმშობლო სახისმეტყველება“, ზუგდიდი, 1996წ., გვ. 124).

პოეტმა მიაღწია ზეციურ პარმონიას, ახლობელ-შორეულის შეთავსებას, რაც ერთეულთა ხვედრია: „ხდება ერთად შეთავსება უცხოდ გრძნობამორეულის, რაღაც საერთო და დიდი ხმის ახლობელ-შორეულის“...

კოსმიურ გენიალურ პარმონიას ნაზიარები გალაკტიონი აცხადებდა: „არცა მაქს და არც მქონია გრძნობა უფრო მეტი, რასაც ეწოდება პარმონია“.

მის შემოქმედებაში „მსოფლიოს ყველა ხმათა ხვეული იძროდა მარად, ერთ მთლიან ჰიმნად გადაქცეული, ერთ მთლიან ქნარად“ პოეტს ესმოდა „მსოფლიო ბაგეთ“ გოდება.

ამქვეყნად მზიდან მოვლენილი პოეტი ჩასწვდა საღვთო მუსიკის, ციური გალობის საიდუმლოებას, მოისმინა „ქარივით ლალი შორეული მუსიკის ქროლვა“ („ლიაა ქალაქის ქალა“), „საღვთო ბილიკებით“ მავალმა შეიგრძნო სიხარულის ღმერთის ხმა („სიშორით შენით“), უფლის სიშორე სიახლოვედ განიცადა, რადგან თვითონაც მისი სულიერი ორეული იყო, პოეტის სახით მოსული ღედამიწის გადასხვაფერებლად.

„შენ გაზაფხულის გფარავდა გამა“ – ასეთი განუმეორებელი მეტაფორით გამოხატვას პოეტი თავის ერთადერთობას. გაზაფხული (ძველი ქართულით ზაფხული) საღმრთო სახელია. ფრაზაში ხაზი ესმება რელიგიური რწმენის მუსიკალურობასთან სინთეზირებას, რაც ქმნის ეკლესიური საგალობლების ტოლფარდ ეფექტს.

პოეტების მეფე, ერთი მხრივ, ზეციურ ხმებს ისმენს და მას აუკვდავებს, ამასთან, მისი ხმა „შუადღის ბრწყინვალებას“ ირეკლავს, დვთაებრივ ცეცხლს ითავსებს, უსაზღვრო ქვეყნაში იკაფავს გზას, უსაზღვრობის სიღრმე-წყლულს წვდება და „ცის ჯურდმულებში“ რეკავს.

„მიძინებულ ქვეყნის გულში“ მოვლენილი ზეცის „პანგო კამარა“ გაუთავისებია პოეტს, მის მიერ მოსმენილი ახალი ხმა მთვარის შუქთან, ქარბუქთან, სურნელთან არის ასოცირებული: „ახალი ხმა შემოიჭრა, ვით ღრუბლიდან მთვარის შუქი და ჰანგებად დაიღვარა, ვით სურნელი, ვით ქარბუქი“.

ეს ცის ხმები „ლურჯი ორთქლივით“ აცოცხლებდა არემარეს: „თითქო ორთქლად ეფრქვეოდა არემარეს ეს ცის ხმები და სცურავდნენ ამ ლურჯ თრთქლში ვარსკვლავები, ყვავილები“.

შეცვლილი ჰანგი კი სტიქური გრგვინვის ხმას ჰგავდა, რომელთაც წამოშალეს „ჯურდემულები და ხევები, იმედის და რწმენის ზღვაზე მოცურავე ნამსხვრევები“.

საშინელი, იღუმალი ხმის ფონზე ელვა გამოჩნდა და ლაუვარდოვან ტბაში ვერცხლის ნავის სრიალი გაისმა. ტბაზე კი შავი ნისლის გიშერი თმა-ნაწავი გაიშალა.

შემდეგ ჰანგთა ტალღა ისევ მომხიბლავი, ოცნებიანი, ფიქრით სავსე გახდა და მოხიბლა ზღვის ქალწულები.

უეცარი მუსიკა „შუაღლის ბრწყინვალებას“, საღვთო ცეცხლს ითავსებდა და ცისკენ მიისწრაფოდა („მუსიკა უეცარი“).

გალაპტორნის სიტყვა აცოცხლებს ჩამკვდარ რწმენას, შეგვაგრძნობინებს იმედის, რწმენის მსხვრევის ტრაგედიას და „შუაღლის ბრწყინვალებასავით“ გამაოგნებელია.

„არა ვაგნერი, არც მოცარტი და ადარც გრიგი, ო, კოსმიურო, ერთადერთო მძლავრო მუსიკა! ო, უსხეულო, ახლა სხეულამონაგები ამ ქაოსიდან მოვვლინა ახალი მუზა ყველაფერს, რაც კი ახსნილია და გასაგები!“ – ასე მოსავს პოეტი ზეციურ სიბრძნეს და სილამაზეს „ფიქრთა სამოსით“ (თანაც ესმის „ფიქრთა სამოსის“ შრიალი), რათა ახსნილი, გასაგები, მისაწვდომი გახადოს უზენაესი სამყაროს მისტერია.

„მესაუბრება წინაგრძნობა დაჟინებული“ („კოშკი“), აცხადებს პოეტი და მის შემოქმედებაში გამოვლენილი ანტიციპაციის უნარის კალება კიდევ ერთი და ცალკე საკითხია ისევე, როგორც დემონთა ჭიანურები, ალოცება სატანის ოუბორობებამოძალებული მიწიერი სამყაროს ათასნაირი გნიასი“...

ერთი ზეცის, ერთი ღმერთის ერთგულება იყო გალაპტორნის წარმატების საწინდარი, სხვაგვარად საშინელება და ჯოჯონეთი იქნებოდა გამზადებული: „არ გაპატივა, შენს გულში ერთი გახმაურდება ზეცა და ღმერთი, როს დაგშორდები – ვარ მე ზედმეტი, საშინელება და ჯოჯონეთი“ („არ გაპატივა“).

მაგრამ დაუსჯელად არც ღმერთის სიყვარული შეიძლებოდა ურწმუნოთა ტირანიის ეპოქაში.

მოდიოდა „ახალი ერესი“, ელავდა „შემოღამების ცელი“, მაგრამ პოეტის ლოცვის ხმები ახშობდა სატანურს, უზენაესის „ლოდინის სიმღერას აღავლენდა და „ლოცვად მუხლმოყრილი“ გრაალს ედრებოდა, ქარში ვარდების გადარჩენას ცდილობდა.

გალაკტიონის პოეზიაში ისმის „ლოცვა, ვედრება, გალობა ახალი“.

გამოცხადების მიხედვით, მექნარეთა ხმის, ახალი საგალობლის შესწავლა მხოლოდ წაუბილწავთ, ღმერთისგან გამოსყიდულო ხელეწიფებათ.

გალაკტიონი იყო „პრავის“ გამოსყიდული.

„არ მჯერა, სული რომ გაიფანტოს, შენზე ლოცვებით აღმონაცენი“ – მიმართავს პოეტი უზენაესს.

ლოცვის დანიშნულებაა სულის გასპეტაკება-განმწენდა.

„განწმენდის ხმა“ გვესმის ქართველი ორფეოსის ლექსებიდან. „ხმათ აიაზმის ხელი პკურების“ უწმინდესი მისია უტვირთავს მის პოეზიას.

ანა კალანდაძის „ზენარსის მაცნე“

ანა კალანდაძის პოეზიის მკვლევარები ხაზგასმით მიუთითებენ მისი ლექსების მუსიკალურობასა და ქართულ კლასიკურ საგალობლებთან ნათესაობაზე.

„პოეტის ლექსებს ლოცვისა და საეკლესიო საგალობლების ექსტაზი ახლავს თან“, წერს ავთანდილ ნიკოლეიშვილი (1, 516).

შუქია აფრიდონიძის აზრით, „ანას მიზიდულობის მთავარი საიდუმლო ბუნებრიობასა და არაჩვეულებრივად მსუბუქ, მოცარტისებურად გამჭვირვალე მუსიკასთან ერთად, მშობლიურის განცდაა, რომელიც თავიდანვე შინაგანი წონასწარობის, ჰარმონიულობისა და სულიერი კომფორტის განწყობილებას ქმნის“ (2, 143).

მართლაც, საოცარია ანას ფრაზა, მეტრი და რიტმი.

პოეტი წერს: „ალბათ, პლანეტის იდუმალი მოძრაობაც კი... მართლაც და ფარული მუსიკის პანგებზეა გაანგარიშებული“. „ახლა საგალობლები? რამდენჯერ გმდგარვარ საათობით ჩვენს ტაძრებში მათ მოსასმენად, იმათ მსმენელს ხომ ნამდვილად „მავიწყდების საწუთოება?“

„მაგონდება ერთი ახალგაზრდა ამერიკელი ქართველოლოგის გულდაწყვეტით ნათქვამი: როგორი დასანანია, რომ ისეთი პიმებისა და საგალობლების შემქმნელი ერი ასე ცოტანი ხართ, თითქმის ჩიკაგოს მოსახლეობის ნახევარით“.

„მართლაც და, რა ეშველქბა დედამიწას, ქართულმა მუსიკამაც რომ მიატოვოს იგი?“ – კითხულობს პოეტი, რომელსაც ეამაყება ქართული მუსიკის საერთაშორისო რეზონანსი და, ამავე დროს, ეტკივილება ამ გენიალური ნიჭის მქონე ერის მცირერიცხოვნება.

პოეტს ერთდროულად ესმის ცის და მიწის ძლიერი მუსიკა: „რამდენი ხმებია, რამდენი მუსიკა, რა უცნაური, გავჩუმდეთ, გავჩუმდეთ და ფეხევეშ შეწყდება ფოთლების ხმაური და ყური დაგუგდოთ ამ ძლიერ მუსიკას ცისა და მიწის, ქმაყანას რომ თავზე ევლება“ („ზედაზნის ტყებზე“).

პოლ ვალერი წერდა: „ჩემი შთაგონება არ არის სიტყვები. ის სიტყვებით კი არ ყალიბდება, არამედ მუსიკალური ფორმებით“.

„საგნები თავისთავად გველაპარაკებიან, ხანდახან მღერიან კიდეც“ (3, 382).

ანა კალანდაძე მთელი სამყაროს მორევთა ბრუნვას ხედავს, მთელი პლანეტის ხმებს უსმებს: „წაიღებს ქარი ჭმუნვას და ურვას, მიწას ჩქერები გადახდის გულზე... ვუმზერ ქაფიან მორევთა ბრუნვას, აგუგუნებულ სამყაროს ვუსმენ“ („წაიღებს ქარი ჭმუნვას და ურვას“).

პოეტი მაღლს მიაგებს უზენაესს, რომ ზეციური ხმის მოსმენის უნარი უბოძა: „ვიდრე დავშრტები საგსე ყელამდე (დავიშრიტები უალოდ მყისვე!) ხმასა ზეციურს მაღლობით ვისმენ, შენთვის ჩამოქნილს ვანთებ კელაპტარს“ („ვიდრე დავშრტები“).

პოეტის „საოცარ მუსიკალურობაზე“ მიუთითებს გ. ბერნაშვილი („ო, არის რაღაც უსაზომოდ დამაფიქრებელი“) (4, 137).

„ანას ლექსები მცირე ფორმის მუსიკალურ ნაწარმოებებს გვაგონებს. მის პოეზიაში ხან ნოქტიურნის ელეგიური ხმები გვესმის, ხან მაზურკისა და სკერცოს მფეთქავი რიტმები, ხან შუასაუკუნოვან საგალობელთა მომნუსხველი ხმა“, წერს შუქია აფრიდონიძე (2, 145).

ანას ამაღლებულ პოეზიაში ვერ მოვისმენო „სოფლის მიეთმოეთისა და ჟივილ-ხივილის ხმებს“ (4, 146).

პოეტი თამამად გრძნობს თავს ერთიანი, მრავალსაუკუნოვანი ქართულის წიაღში და მუსიკად აქცევს მშობლიურ

ფენომენს: „ანასთან, იქნება ეს არქაული, თანამედროვე თუ ნეოლიტისტური სიტყვები, გვაქს სიტყვის მუსიკალური აზრის წინ წამოწევა“ (5, 68).

ჭეშმარიტი პოეტები შთაგონებას განიცდიან, როგორც ცასთან „კომუნიკაციას“.

ვაჟა-ფშაველა გვიმხელდა: „ციდან ხმა მესმის ანგელოზების, ცამ თვისი აზრი გამიზიარა: „ბოლო კარგია“ და ურუან-ტელმა თავით ბოლომდე ჩამომიარა“ (7, 150).

აკაკი წერეთელი აცხადებდა: „გული სარკედ მაქას ქცეული, ენა საყვირად ზეცისა, შეუპოვარი სიმართლე ნაბრძანები მაქვს მე ცისა („მესტვირული“) (8, 137).

პოეტის ზეციური დანიშნულების, მისი საღვთო მისიის იდეას ავითარებდა ილია ჭავჭავაძე: „...არა მარტო ტქბილ ხმებისთვის გამომგზავნა ქვეყნად ცამა. მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი ზეციერსა; ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარგუძლვე წინა ერსა“ („პოეტი“) (9, 200).

„ზეცაზე სწერია ჩემი გზა“ – ამტკიცებდა გალაკტიონი „ეფემერაში“ (10, 139), მას „ციდან ძახილი ესმოდა წყნარი“ (11, 489).

დანტეს ესმოდა „ნათლის ხმა“, „სინათლისგან ხმაი მეტყველი“.

ვლ. სოლოვიოვს ესმოდა „წმინდა ხმა“, უხილავის უხმო ძახილი (12, 102).

ათანას ფეტმა გაიგონა „ხმები ღვთიური, ხმა ზეციური“ (12, 27, 49).

ბლოკი აყურადებდა უფლის გასაოცარ მუსიკას, ზეციურ ხმებს (12, 169).

ე. რერიხმა თვით გაიგონა უზენაესის ხმა შამბალაზე და ჩაიწერა მისი სიტყვები.

ანა კალანდაძის მიხედვით, ჭეშმარიტი პოეტის უზენაესი მისიაა, ზეცისგან ნამცნობის, მინიშნებულის, ნაუწყების გაცხადება განუმეორებელი მხატვრული სიტყვით.

ამ უძნელესი მიზნის აღსრულებას განსაკუთრებული ნიჭით მომადლებული რჩეული სჭირდება, რომელსაც სულის და გულის გამუდმებული სიფხიზლე, დაფარული სიგნალების მოსმენა-შეცნობის, უჩვეულო ხილვების გახსნის უნარი

მისცემს საშუალებას, გაარჩიოს მღვრიე და წმინდა, საზოგადო და სათავისო: „— ჯვარს აცვით ეგე! და... მღვრიე წყალში... ყველა თავისას ეძებს საკბილოს... იფხიზლე, სულო, გულო, იფხიზლე — იერიქონის გამცნებს საყვირი...“ („— ჯვარს აცვით ეგე!“).

პოეტი უსმენს და მისდევს უფლის იღუმალის მიმთხრობ, „ცათაფრენად“ მხმობ ხმას, მზადაა ამ უმაღლესი ბედნიერებისთვის საჭირო მსხვერპლიც გაიდოს“ („მე მივხდევ შენს ხმას“).

მიწიერი გნიასის, პრიმიტივთა მიეთ-მოეთის უარმყოფელი, „ნათლის სახლში“ მკვიდრდება დანტესივით და ღვთის სიტყვის მაცნეს ელოდება: „მე უდიდესი სიხარულისთვის შენის სიტყვისას მოველი მაცნეს“ („მოგეახლები კვლავ სახლსა წმინდას“).

უბიწო წყაროს, (ძე ღმერთის) „კარლია მტილისა“ და „მაყვალთა ჩეროს“ გულწრფელ მოთაყვანეს „ზენაარსის მაცნე“ ევლინება: „აჲა, კვლავ ჩემს წინ წყარო უბიწო, მტილი კარლია, მაყვალთა ჩერო... ჲა, იგი მაცნე ზენაარსისა, განცხადებული საუნჯე ჩემი!“ („აჲა, კვლავ ჩემს წინ წყარო უბიწო“).

წყარო ძე ღმერთის სიმბოლოა (7, 122).

მტილი, მაყვალთა ჩერო — მარიამისა (8, 124).

ნათელმსმენის და ნათელმხილველის მუდმივი „აეთილმხლებელია“ „ზემადლთა ძალის“ მომნიჭებელი მარადიულის მაცნე, „ცისკარი“, რომელიც „გულიოთ ბრმათვის“ „უჩინოა“; „ჲა, სასო ჩემი მარადიული, კეთილმხლებელი ძილთა, ღვიძილთა, ჲა, ცისკარი ჩემი (უჩინო გულიოთ ბრმათათვის) აღმომიბრწყინდა და მამცნო კვალად მე მეუფება, ძალი ზემადლთა მიმოფენისა.... მეც განცურნება დარდთა ჩემთაგან და სიხარული გზისა ჩემისა!“ („ჲა, სასო ჩემი მარადიული“).

„ზენაარის სახლში“ დაბრუნებულს უზენაესის ბრწყინვალება ახვევია და მისი „გულის ძახილი“ ესმის: „დავბრუნდი სახლსა ზენაარსისა და გაკვირვებით წარვთქვი დიდითა — სად არის იგი, სად არის იგი, ვინაც გვირგვინი ჩემი იტვირთა, მომცა ყვავილი ჩემი თმებისთვის და დამამკვიდრა კრონხის ახლოს? ვინ ბრწყინვალება თავისი მამცნო და მაზიარა თვის გულის ძახილს?“ („დავბრუნდი სახლსა ზენაარისა“).

წმინდა ჭერქვეშ, მაღალ ღრუბლებთან, მაღალ ქარებთან დამკვიდრებული, აღსავლის კარებთან მდგარი ელის „იღუძიალის მოსვლას, ლოცულობს მასთან „თანშერწყმისათვის“ და ესმის მისი ხმა: „...მექანის იგი: მასთან თანშერწყმა წმიდათაწმიდა არს ჩემი ლოცვა!“ („მე მიხმობს იგი თვის წმინდა ჭერქვეშ“).

უფერული დღეების ტანჯვას ენაცვლება ცის იმედი და სასოების იღუძალი ხმა: „მტანჯველ ფიქრთაგან დამძიმებული და უფერული დღე ესე ყოველ, ვიდრე არ მოსცა ცამან იმედი და მრეჭა სასომან: – აპა, მე მოველ!“ („მტანჯველ ფიქრთაგან დამძიმებული“).

ცა მარიამზე მიგვანიშნებს (10, 124), იმედი – ქრისტეზე (ფს., 68, 18) (8, 619).

უზენაეს მშვენიერებას ეზიარება იღუძალის ხილვით, მისგან ზეციური საიდუმლოებების გაცხადებით, სულიერი გასხივოსნებით: „თავს დამეღვარა მე სიხარული და დამანახა მთიების ბრწყინვა... ცისა და მიწის მშვენიერებას აღმოუცნობი უძღვდა წინა... ერქვა გვირგვინი მას სხივოსანი – ხელშეუხები, წმიდათაწმიდა... იღუძალი ხმით მაუწყა ისევ: – კვლავ გავხსნი ციერს, თუ შენ ეს გინდა!“ („თავს დამეღვარა მე სიხარული“).

ქრისტე არის „სიხარული ყოვლისა ერისა“ (ლუკა, 2, 10) (9, 119).

პოეტი კავშირს ამყარებს „მაღალ დამესთან“, „სიხარულთან, სასოების შუქთან, უმაღლეს საიდუმლოსთან, მისთვის მთავარია ზენართა ნების უწყება: „ამ მაღალ დამით... სიხარული ზეიმობს ჩემი. გამოჩანს შუქი სასოების, გამოჩანს მკრთალად და მე უმაღლეს საიდუმლოს მივერთვი პვალად – წყნარად და მშვიდად მეუწყება ზენართა ნება და მაღალი მზის ამოხდომა კვლავ მეუწყება“ („ამ მაღალ დამით“).

მზე საღვთო სახელია, „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 84, 112) (9, 614).

პოეტი სამადლობელს აღავლენს, სანთელს ანთებს, რომ გახდა ზეციური ხმის მოსმენის დირსი: „ვიდრე დავშრტები ყელამდე სავსე (დავიშრიტები უალოდ მყისვე!) ხმასა ზეციურს მადლობით ვისმენ, შენთვის ჩამოქნილს ვანთებ კელაპტარს!“ („ვიდრე დავშრტები“).

„ამაოების ფარად“ ქცეულა „გრძნეული სხივები, რომელსაც პოეტი იებს უფასს“ („გიპოვე ჩემი წმინდა სავსება“).

„დიდებული და ციაგი ვარსკვლავის სხივი“ ამშვიდებს, რადგან „აუწყებს“, რომ „არსებობს სულთა კავშირი მარადი-ული და დიდებული“... („ამ დიდებული და ციაგი ვარსკვლავის სხივი“).

ჟავთურების დამარცხება, სინათლის გაძლიერება „ცხოველი მზის“ (ლერთის) პრეროგატივად და ანას პოეზიის ლირიკული გმირი გამუდმებით მისი მოთაყვანეა: „გულს დამფენია მზეი ცხოველი, უკეთურებით კაალად სსინისათვის, სინათლის ჩემის გაძლიერებად, მიწყივ, უკუნით უკუნისამდე!“ („გულს დამფენია მზეი ცხოველი“).

„უხილავი“ არის ყველაზე დიდი მშვენიერება, რომელიც წყვდიადს ამარცხებს, ღირსეულს „საუნჯეს“ მიაგებს, თავისი მარადიული ბრწყინვალებით ასპეტიაკებს ადამიანს, ხოლო პოეტი საპასუხოდ თავისი სულის საუნჯით (შედევრებს) პასუხობს მას: „აპა, მომაგო ესე საუნჯე მე უხილავმან საუნჯეთ მატა... ბრწყინვადა იგი უზადო ბრწყინვით, მშვენიერების დიდებულ ხატად... წამოდგა ჩემს წინ წყვდიადთა გვემად, უკუდგა ბნელი, მიხილა მზემან... ო, მან მომაგო ესე საუნჯე – იგივ მიაგო მას... სულმან ჩემმან“ („აპა, მომაგო ესე საუნჯე“).

უფლის ღვთაებრივ ცეცხლს ნაზიარები, რწმენის მაღალ ტახტე დამკვიდრებული ამარცხებს შიშს და ძლიერდება: „მოიღო ცეცხლი მან ღვთაებრივი, გადამატარა ციური მადლი... მომართვა თვისი მაღალი ტახტი, დამარქვა თუდი თვისი მეფური... განმაძლიერა მე შიშსა ზედა“ („ო, მარსს არ გვადრე მე საყვედური“).

დაუციწყარი სიხარულისა და აღმაფრენის მომნიჭებელ ხმას გამუდმებით იხსენებს პოეტი: „...მრქვა, პა, საყდარი ჩემი მაღალი, დამკვიდრებული ზე ნათლის სვეტი... აღვედ, იყავი ზეთ თანაზიარ! მივუგვ, ვინც შენ გიხილოს, ნეტარ!“ („დამკიწყდა ენა სიხარულისა“).

„ზენაარსის სახლში“ დაბრუნებული, კრონოსის ახლოს დამკვიდრებული ეზიარება გამოუთქმელ ბრყინვალებას, უზენაესის გულის ძახილს: „დაგბრუნდი სახლსა ზენაარსისა და გაკვირვებით წარვთქვი დიდითა – სად არის იგი, სად არის

იგი, ვინაც გვირგვინი ჩემი იტვირთა, მომცა ყვავილი ჩემი თმებისთვის და დამამკვიდრა კრონოსის ახლოს? ვინ ბრწყინვალება თავისი მამცხო და მაზიარა თვის გულის ძახილი?²“ („დავბრუნდი სახლსა ზენაარისა“).

გამოუთქმელი ბრწყინვალება მოსავს „ახალ საუნჯეს“, შროშანს (მარიამის სახელია), ცისკარს, სიხარულს (საღვო სახელებია) ეზიარება: „ბრწყინავს საუნჯე ჩემი ახალი, როგორც შროშანი შენი უბრალო, ბრწყინავს ცისკარი აღზევებული და სიხარულთა ჩემთა უფალი“ („ბრწყინავს საუნჯე ჩემი ახალი“).

ეს „კომუნიკაცია“, უზენაესის უწყება, ცის იმედი აბსოლუტურად ცვლის უფერულ დღეებს („მტანჯველ ფიქრთაგან დამძიმებული“).

უფლის სასწაულმოქმედი სხივი აქარწყლებს მწუხარებას და სიხარულს აბატონებს: „და ჩამჩურჩულებს სვე დაფარული: მოდის, ისწრავვის სხივი მისი შენს სახილველად, მწუხარე წამი მოგაქცევა სასიხარულოდ“ („ვეძებ სასანთლეს“).

სხივი ძე დმერთის სახელია: „ხალხები მოვლენ შენს ნათელზე და შენი სხივის ელვარებაზე“ (ესაია 603) (10, 171).

უზენაესთან თანაზიარობა ავსებს მის სიცოცხლეს, შემოქმედებას: „გამისნა გული უგრძეულესმა, – პა, სიხარულო, ციმციმი შენი!“

„სიხარულის ვარსკვლავი“ მარადიულად ციმციმებს ბნელის დასათდგუნავად („ვარსკვლავი იგი სიხარულისა“).

„სასოების შუქი“ უმაღლეს საიდუმლოს ამცნობს, „ზენართა ნება“, „მაღალი მზის ამოხდომა“ ეუწყება („ამ მაღალ დამით სიხარული ზეიმობს ჩემი“).

უწყებას, მინიშნებას თვით სიხარულის გამოცხადება მოსდევს: „უცხო ტაბლაზე, აპა, პურნი შესაწირავნი და, აპა, ზეთი... დგანან ირგვლივ ჩემი ლანდები... და... უცებ... ვარდის კრეტსაბმელის ჩემი შრიალი და... ჩემს წინაშე... სიხარულის გამოცხადება“ („უცხო ტაბლაზე“).

უცხო ტაბლა მარიამის სიმბოლოა (7, 124), პური, მაცხოვარი, სიხარული ქრისტეზე მიგვანიშნებს (15, 122).

ეს განუმეორებული წუთები მრავალგზის მეორდება და თავის ცხოველ კვალს ტოვებს სულში: „გამომეცხადა რჩეული

ჩემი ციურის ძალით, ცათავე ჩებით, გულს დამდო თვისი შავი ბეჭედი ჩემზე უფლებით და ხელმწიფებით“ („გამომეცხადა რჩეული ჩემი“).

ანგელოზის ფრთების შრიალი ესმოდა ტ. გრანელს: „მე შენ გელოდი, ვგრძნობდი კაეშანს, როს ანგელოსის ფრთები დაეშვა“.

უფლის ნებით მარცხდება ბნელი, ზეიმობს მარადიული მზე და სულში საუნჯე ბრწყინავს („აპა, მიმაგო ესე საუნჯე“).

ცის კარის გახსნის ქამს თვით დიდებული სახე ცხადდება, „სიხარულის ფრთების შრიალი ისმის“: „უხილავისა გაიღო კარი – მუნით დიდებულს ვხედავდი სახეს, ვგრძნობდი სულ ახლოს მე ფრთათა შრიალს, თვით... სიხარული იდგა ჩემს ახლოს!“ (თვალმარგალიტის ელვარე სხივთა“).

„ცის უხილავი სხივები“ (ლმერთი) ავსებს არსებობას („ბრწყინავს კარიბჭე შუადამისა“).

„ცათუმაღლეს ტაძარში“ ხედავს უსხეულოს განსხეულებას: „აპა, ტაძარი ცათუმაღლესი სულთა თანხმობის და გრძნეულებათ... აქა ვიხილე ხატი უბიწო, მის უსხეულოს – განსხეულება... აპა, ტაძარი ცათუმაღლესი“ („აპა, ტაძარი ცათუმაღლესი“).

ამ გამოცხადებით იზრდება პოეტის სული, მწიფდება მარადიული სათქმელი და მდიდრდება ცნობიერება: „და რეკავს, რეკავს შეუცნობელი, ეს ხმა იცანი!“ – ამბობს პოეტი და ეშმაკის ხმას, მაცდურის გრძნეულებას ყოველთვის არჩევს უზენაესის სასწაულმოქმედი ძალისგან.

შემოქმედების ბუნებასთან გვაახლოებს განაცხადი: „დროზე წერტილის დასმას, სათქმელის დროზე დამთავრებასაც თითქოს „ვიდაცა“ გაპარნახობთ (ისევვე, როგორც თემატიკას, როგორც... ყველაფერს!) (ანა კალანდაძე, ტ. 2, გვ. 24).

მდაბიურისა და ამაღლებულის თანაფარდობასაც „ჩინებულად აწესრიგებს“ „ის, რაც შთაგონებით გვწყალობს... სათქმელი ხშირად... თვითონ „გიკარნახებო“ რა ფორმით „სურს“ განსხეულება“, წერს პოეტი (11, 63).

„ვიცანი, დმერთო, სამყარო“ – აღმოხდა ვაჟას.

„ვიცან ძოწისა მე გრძნეულება, „ბოროტების ყოველი ვცანი“ – ასე ეხმიანება თავის დიდ წინაპარს პოეზიის დედოფალი.

ანას ლირიკაში აქცენტირებულია უზენაესთან ორმხრივი მიმართების გამომხატველი ლექსიკა: დამიფარე, მომმადლე, მამცნო, მრქა, მაუწყა, მიხმობს, მეძახის, აღვედ, იყავი, მოგული, მომიცავს, შემიპყრობს, განახვებ, მიახლოვება, მოდიხარ, გავხსნი, გამოჩანს, მივერთვი, უხილავთა მოახლოება, ძალი ზემადლთა მიმოფენისა, მოიღო, განმაძლიერა, მომართვა, ზეიმობს, მოველ, მხმობს, მეუფებს, შემმოსონ, მაშვიდებს, მაუწყებს, რეკავს, იქრებენ სხივებს, მოდის, ისწრაფვის, მიახლოვდება, გმადლდები, ვიგსები, მეღვრება, გაღას, ციმციმებს, მომიცავს, შემიპყრობს, ვარ, ვივსები, ციმციმებს, მრქვა, დამანახა, მივერთვი (საიდუმლოს), შემმოქვევა, ვცანი, გამოჩანს (შუქი), მოიღო, განმაძლიერა, მომართვა, შეგიცნო, მოვიხილე, ფრთა დამაფარე, გარდამოვიდა, ზეიმობს, მომეგო, ვივსები (ცეცხლით), მოვიხილე, მეღვრება (ნათელი), მივეცმი (ლხის), მომეგო (ძალი), მომაგო (საუნჯე).

ლიტერატურა

1. ავთანდილ ნიკოლეშვილი, მეოცე საუგუნის ქართული მწერლობა, ქუთაისი, 2002.
2. შუქია აფრიდონიძე, „ცათა მაღალთა მადლი“, „მნათობი“, 1985, №5.
3. პოლ ვალერი, რჩეული პროზა, თბ., 1983.
4. „მნათობი“, 1985, №5.
5. ნოდარ ჩხეიძე, „კრიტიკული წერილები“, თბ., 1977.
6. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II.
7. ვაჟა-ფშაველა, ოხზულებათა ხუთტომეული, ტ. I, თბ., 1961.
8. აკაკი წერეთელი, ოხზულებათა სრული კრებული, 15 ტომად, ტ. 1, თბ., 1950.
9. ქართული კლასიკური პოეზიის ანთოლოგია, თბ., 1980.
10. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1982.
11. დანტე, „ღვთაებრივი კომედია“, თბ., 1941.
12. მარადი დღე, თბ., 1984.
13. ტიტე მოსია, „საღვთო სახისმეტყველება“, ზუგდიდი, 1995.
14. ტიტე მოსია, „საღვთოსმშობლო სახისმეტყველება“, ზუგდიდი, 1996.
15. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკტოლმი, 1992.

16. ანა კალანდაძე, ორტომეული, გ. 2, თბ., 1995.

გაუა ეგრისელის „ხმის ძლევამოსილი იმპერია“

„პოლხური ფსალმუნების“ აგტორი ნათელმხილველი და ნათელმსმენია. პოეტის სმენას არ გამოჰქარვია საუკუნების წინ დაცვენილი ფოთოლთა ჩქამი, რამზესის ეტლის გრიალი, არეოპაგელის, გრიგოლ ნოსელის თუ ფსალმუნთმეტყველის ხმები და ასევე მრავალგზის მოლანდებია შემაკრთობელი მზერა ნერონის თუ მოციქულების...

ზესანელ-ქვესკნელ-შუასკნელის მომხილველს, კოსმიურ ში, ტრანსცენდენტურ სამყაროში გაჭრილს, „მეტაფიზიკური“ ლექსების ავტორს, მიღმური, პლანეტებს იქით გაღწეული ხმა მოუსმენია, „ცანი ცათანი“ უფლის მზერა უხილავს უფლის წოდებულს და კოსმიური რიტმი, სულის ხმა, ნათლის ხმა, საღვთო მუსიკა გაუგონია.

ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს ამ მაშრიყიდან მაღრიბით განვითაროთ „ხმის ძლევამოსილ იმპერიაში“ (პოეტის ტერმინია), განსაკუთრებულად გამორჩეული სასწაულებრივი ხმა ზეციურისა, რომელთა მოხმენა მხოლოდ ერთეულთა, დვოისგან ხელდასხმულთა ხვედრია.

ვაუა ეგრისელის ლექსებში ისმის წარსულიდან გამოდწეული, აწმოები მოხელობული ყველა ხმა, თუ მომავლის ქარების მოტანილი, აწ მოსახდენელი მოვლენების მაუწყებელი წინასწარმეტყველური სიტყვა.

შემთხვევითი როდია ეს განაცხადი: „გარდასულ საუკუნეთა მთვარეზე გშლიდი იალქნებს და მზეზე მედგა კარავი. ის ხმები, რაც მე მსმენია, ჯერ არ სმენია არავის“ (1, 479).

ჰეშმარიტი პოეზია იქ თავდება, სადაც ფეტვის მარცვალივით ყრია ძველ საბძელში სხვათა გალეწილი ხმები: „ისტორიის ძველ საბძელში გალეწილი სხვათა ხმები, ვით მარცვალი ყრია ფეტვის“ (კოლხო) (3, 18).

დვოისგან ხელდასხმულნი კი სხვათაგან უსმენელს ისმენენ, სხვათაგან უხილავს ეძებენ და ათასწლეულთა მიღმიდან ესმით საოცარი ხმები: „საოცარია თვისება მგოსნის: მუდამ სხვათაგან უსმენელს ისმენს, მუდამ სხვებისთვის უხილავს ელტვის... და აი, ახლაც თითქოს დიღმიდან ათასწლეულთა ესმის მიღმიდან, ბორბლების ჩქამი რამზესის ეტლის“ (საოცარია თვისება მგოსნის) (1, 725).

სწორედ სხვანაირი გალობით, დროის სხვა ენაზე, სხვა მეტყველებით იწყება მარადისობასთან შეხმიანება: „სულ სხვანაირი ისმის გალობა, ფიქრი თუ კვირტი მზისებრ პყვავის სულ სხვა ენაზე... სულ სხვანაირი ხმა მოისმის დროის გელაზის“ (ჩემი მხარე) (1, 290).

რამზესის საომარი ეტლიდან ნატყორცნი ლოდების ხმის მოსმენასთან ერთად, მზერას აიეტის თუ გუბაზ მეფის აჩრდილები ელანდება: „ვითარც რამზესის საომარი შავი ეტლიდან, მესმა ტყორცნის ხმა დიდი ლოდების, ციხესთან შეხვის. აჩრდილიც გაკრთა მოულოდნელად აიეტის თუ ...გუბაზ მეფის?“ (ვითარც რამზესის საომარი შავი ეტლიდან) (1, 528).

პოეტს ესმის სინათლის რეკვა, ვარსკვლავთა ლოცვა (პორიზონტს იქით) (2, 533), ათასი წლის წინ ჩამოცვენილ ფოთოლთა ჩქამი (ნიავს რომ მოაქვს) (2, 478).

ფიქრმიუწვდენელ ზესკნელიდან წინაპრების თუ მნათობების ძახილი (ფიქრმიუწვდენელ ზესკნელიდან) (2, 422). მთვარის აკვის რწევა (1, 347), არყოფნისას ანგელოზების გალობა (ჩემი არყოფნის მწუხარე ხმაში) (3, 190), სხივთა ჟივ-ჟივი (ცოომილება) (2, 221), მნათობთა სალამურების შორეული პანგი (გადავიწყებულ, ცივ და შორეულ პანგზე) (2, 268), დაისის პნელი ძახილი (და მზეს ჩამავალს) (2, 86), ვარსკვლავების უმძიმესი ჯაჭვის ზრიალი (ზაფხული ბაღში) (9, 105). ლოცვის ქარი, ვარსკვლავების ქნარის დაკვრა (შეღამებისას) (2, 284). მზეშებმული აღსავლის ქარის ჭრიალი (ზღვა ხელში როგორ შემომეპარა) (1, 292), ქარიშხლის ენა (მეხი ძახილზე) (2, 310), განთიადის ხმა (მეც გავიგონე) (2, 311).

სინესთეზიის ნიმუში მუსიკის ხედვა (ბეთჰოვენი) (2, 305).

მნათობების რეკვას ენაცვლება „გამების ნაკადულები“ (ვარსკვლავები) (2, 202), მნათობთა სალამურები (2, 268),

ასწლეულთა მძიმე კარების ჭრიალი (ყოველ საღამოს) (3, 229), შრიალებენ დღეთა ფოთლები (ჩემი მომქნენა) (2, 477), „მამაპაპათა აჩრდილები... გვიყიფიან საიქოდან“ (აჩრდილები) (3, 473), „ცის ლურჯ ბუდეში“... დღეების ჟივეივი ისმის (მზის დასასრული) (2, 602).

ისმის მნათთა ლაპარაკი (იმედებით შებუმბლული) (2, 389), მთვარის ხმა (2, 591, I), ვარსკვლების აკვნის რწევა (4, 454).

ციდან ხახილი ესმოდათ დ. გურამიშვილს, აკაკის, ილიას, ვაჟას, გალაკტიონს, ტ. გრანელს, საერთოდ ყველა ჭეშმარიტ პოეტს. იდუმალი ხმის მოსმენა დაპტედებია ვაჟა ეგრისელს: „როდესაც ვუმზერ შორეულ ლაუგარდს, ციდან მომესმის ხმა იდუმალი: ვაჟა! ვაჟა! ვაჟა!“ (2, 724).

პოეტს წეალობს „ნათლით მოსილი პოლიპიმნია“ (2, 183).

დანტეს ესმოდა „სინათლისგან ხმაი მეტყველი“, ნათლის ხმა (3, 382).

გალაკტიონს უყვარდა „ხმა სინათლის მთესი“.

ვაჟა ეგრისელს ესმის სინათლის, „მზიანი დამის“ ხმა: „მთვარის კოშკიდან მღერის სინათლე და ბანს აძლევს დამე მზიანი. ხმები ჩვენამდე ადრე მოდის, ხან იგვიანებს. რადგან ვარსკვლავთა სიმებიანი ცა – ჩანგია მრავალხმიანი“ (2, 825).

„მზიანი დამე“ ღმერთია (5, 122).

მთვარე მარიამ ღვთისმშობლის სახელია (6, 124).

გალაკტიონს ესმოდა „რაღაც მღვრიე, რაღაც არაქაური“ (7, 142).

ვაჟა ეგრისელს „მზის ტოტებიდან“ ოქროს ჩიტების არამქვეყნიური გალობა ესმის: „ოქროს ჩიტები სხედან მზის ტოტებზე და არამქვეყნიურს გალობენ“ (ზღაპარ იყო) (8, 519).

პოეტს უყვარს „ციური ქვა“, „სიყვარულის ქვა“ (ქვა, ლოდი ქრისტე ღმერთის სიმბოლო), მის პოეზიაში შეკრებილია „ციურ აზრთა ნადავლი“, „კლდე“ (ქრისტე) და „ღვთის კიბე“ (მარიამი) ჩააგონებს ციურ არიას: „მთიები სიშორეს გალობენ და ისმის ციური არია, – როს უმზერ კლდესა და ღვთის კიბეს“, ბარძიმობაზე შუქმფინარ მარიამს“ (3, 274).

ლექსში „აგე, ოცი საუპუნე“ (8, 21) ჩაესმის „ციო ძახილი: „მამის სიტყვა არის ქრისტე“.“

თვით ზეცა „იწვევს“ თავის საუფლოში, ნეტართა სამკვიდრებელში, „ცანი ცათანის“ სახილველად: „ნეტართა სამკვიდ-

რებელი, მიწა კი არა, ცა უფრო მექანიზა შიშით ატანილს: ვწვეოდი უფლის საუფლოს, მეხილა ცანი ცათანი“ (ნეტართა სამკიდრებელი) (8, 420).

განგების, ღმერთის ჩრდილშია მაღალი სულის თავშესაფარი, ზეციური პანგების შექმნის სტიმული: „ციდან ამაყად გამომზირალი, ყოვლის მეუფე არის განგება, მის ჩრდილში ვეძებ მე თავ-მისაფარს და ზეციური ესე პანგები – მე შემიქმნია არაფრისაგან“ (8, 626).

სიწმინდემ, პოეტურმა ყოვლისშემძლეობამ მიაახლოვა ვაჟა-ფშაველა ღმერთთან და ზეციური ვარდებისა და ზეციური მანანის (ქრისტეს სიმბოლოა) სიტყვაში გაცხადების მადლით გაბრძნობილმა მაღლი აღუვლინა მშობელს:

„ზღვად გცურავ ნეტარებისა, წვერი ხელთა მაქს კალთისა უფლის და მისთა მსახურთა ლოცვა-კურთხევა მამდისა, კალთაში ვარდი მეშლება, თავზე მანანა დამდისა, მადლობელი ვარ მშობლისა, ჩემის გაჩენის, გაზრდისა“ (როს ვუკვირდები თავის თავს) (9, 61-62).

„ციური მანანა“, ზეციური პური, რწმენით სავსე ზეციური პანგები გამოარჩევს მთვარის კითაროსანს, ფშაველი გენიოსის სეხნიას: „გიპყრია მთვარის კითარა და დამის იქით იურვი: ნებით უფლის და განგების, კითა მანანა ცოური, გცვივა – მზიური პანგები“ (8, 648).

პოეტს ესმის პაერის მცველთა შიშის, „სიავის დვარცოფის“ შემკავებელი, უზენაესის ხმა, ვარკვლავის, მზის სახით რომ გვეცხადება: „ეს მისი ხმა არის, „პაერის მცველთა“ შიშში რომ ისმის და რომ აკავებს სიავის დვარცოფს. ის ვარსკვლავია ისნის, მზის ამოსვლა რომ გვამცნო“ (8, 377).

რწმენისათვის ხატებთან დამენათვები, ლოცვის ძალით ხედავს განთიადის ნათელს, ესმის „გვრიტის“ ხმა: „ხატებთან მრევლის ჩურჩული უძილო, დამენათვები, ზეცისკენ ლოცვად ილტვის და განთიადის ნათელი ხმად მონარნარობს გვრიტის“ (გვრიტი) (8, 455).

გვრიტი საღვთო სახელია: „ყვავილები დაჩნდნენ მიწის პირზე, ეამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში“ (ქებათა ქება სოლომონისა, 2, 12) (10, 15).

ცაში არწივივით მონაგარდე სული უცნობი ხმისგან მოწოდებულია ცამდე აწვდილი ტაძარი ააშენოს სალ კლდე-

ზე, ანუ სიტყვის ტაძარი აუგოს ღმერთს და ღვთისმშობელს: „ნიადაგ მაღლა გეწევა, ვითარცა განიმედს არწივი და ხმა უცნობი გავალებს, რომ აღუშენო ტაძარი სალ კლდეზე ცამდე აწვდილი“ (8, 457).

სულიერი კლდე არის ქრისტე: „და ყველანი სვამდნენ ერთსა და იმავე სულიერ სასტელს, ვინაიდან სვამდნენ სულიერი კლდიდან, რომელიც თან დაჲყვებოდა მათ, ხოლო ის კლდე იყო ქრისტე“ (1 კორინთელთა, 10, 4) (11,370).

ტაძარი მარიამის სიმბოლოა (6, 121).

„მხეცის“ საუფლოს განარიდებს „უდამო დამე“ (ღმერთი), სამოთხეთა სამოთხე (მარიამი) მეცხრე – ღმერთების სამეუფო ცა: „სანამდე სულ ამომხდის, მაკრთობს ხილვა მე მხეცის“: „მიხმობს ღდამე უდამო, სამოთხეთა სამოთხე, მერვე არა, მეცხრე ცის“ (სამოთხე) (8, 383).

უდამო ღამე იგივე მზიანი დამეა, ღმერთი (5, 121).

სამოთხე მარიამის ალეგორიული სახელია (6, 124).

ღვთის ხატებაა მთვარე, მზე და მისი ძახილი მხოლოდ რჩეულთ ესმით: „ღვთის ხატება ჩამოდის დაბლა – მთვარის დუმილად, მზის ძახილად“ (ქარმა მწყემსივით ელვის შოლ-ტებით) (8, 962).

ღმერთთან სიახლოვეს აფიქსირებს როგორც ხედვა, ისე სმენა: „ქნცგაცლილი ბედოან ბრძოლით, ძილ-ბურანში ხშირად გხედავ: „მოხუცებულს, სპეტაპ ზეწრით“. ის ცად გიხმობს ქრისტეს მხედარს, გვირგვინით და ვაზის ლერწით“ (8, 50).

„მოხუცებული სპეტაპი ზეწრით“ მამაღმერთია, ვაზის ლერწი – ქრისტე, გვირგვინი – მარიამი.

უკვდავების წყაროს ხმის და სიცოცხლის ხის შრიალის მოსმენა ასევე ღვთისგან ხელდასხმულთა ხვედრია: „სადღაც ახლოს მოისმის (ალბათ აქვე, შინ არი) უკვდავების წყაროს ხმა, სიცოცხლის ხის შრიალი“ (ელვის წკეპლამ იელვა) (8, 225).

წყარო, უკვდავების წყარო ქრისტე ღმერთის სიმბოლური სახელია (5, 124).

სამოთხეში დანერგილი სიცოცხლის ხე მამაღმერთზე მიმანიშნებელი სახეა (5, 121).

ახარებს „სიბრძნით და ათორმეტთა ნაყოფით დახუნდლული“, „სიყვარულით მოსილი ყოფნის ხის“ შრიალის მოსმენა: „მარადიულ შიშით და სიყვარულით მოსილი შრიალებს ხე – აქ ყოფნის, დახუნდლული სიბრძნით და – ათორმეტთა ნაყოფით“ (მარადიულ შიშით და) (8, 340).

სიბრძნით და ათორმეტთა ნაყოფით დახუნდლული, „ყოფნის ხე“ ქრისტე ღმერთია თორმეტი მოციქულის თანხლებით...

ცის ხმა გამუდმებით შთააგონებს მამისა და ძის განუყრელობას: „მაინც ისმის ცით ძახილი: მამის სიტყვა არის ქრისტე“ (აგვ, ოცი საუკუნე) (214).

მამა, ძე, სულიწმინდა და დვთისმშობელი ერთად ფიგურირებს ერთგან: „სულიწმინდა და უფლის ნათელი ამოღიოდა ღრუბლის ხაროდან: მზის ხმა ისმოდა მთვარის კონცხიდან. ვიღაცა იდგა და უხაროდა, არყოფნა ყოფნის გულს რომ კოცნიდა“ (სულიწმინდა და უფლის ნათელი) (8, 154).

უფალი მამაღმერთია, მზე – ქრისტე, ღრუბელი და მთვარე მარიამის სიმბოლოებია (5, 124) (6, 121).

სიტყვისთვის, ქრისტესთვის ჯვარცმულს, უშორესი გოლგოთიდან ქრისტეს კვნესა და სამჭერალთა წკარუნი ესმოდა: „ჯვარცმის შიში უშიშარს, მუდამ მდევდა ფარული, შენსპენ მაინც მოვქროდი... ქრისტეს კვნესა მესმოდა და სამჭერალთა წკარუნი სიშორიდან გოლგოთის“ (ჯვარცმის შიში) (8, 174).

ლოცვით იხსნება ცის კარი, სადაც „უხილავი“ და ზესთა კრებული დაგანხებულა, რაც ნათლის ფრთხის შეხებით და ზეარსებულის განცხადებით სრულდება: „მწუხრში ზრიალით განიხვნება ცათა კარები, ლოცვების ბურუსს მიმოფანგავს ზესთა კრებული. დარგავგს წამი – უხილავის მოსახილველი. განმიცხადება მგოსანს არსი ზეარსებულის და ფრთე ნათლისა გადამივლის სახით – ფრინველის“ (ილორი) (2, 595).

უშორესის და უზენაესის ძახილის მოსმენის უნარით გაბრძნობილი, მაღლობას აღუვლენს უფალს: „...მაღლობა უფალს! მესმის ძახილი უშორესი და უზენაესი“ (მაღლობა უფალს) (1, 340).

ცა საგვეა უფლისადმი აღვლენილი ვარკვლავთა და მიწის ლერწმების საგალობლებით და დავით წინასწარმეტყველივით ეველება პოეტი სამყაროს შემოქმედს მისდამი მიმსგავსებით

აცხოვროს: „ცას, ვითარცა ვარკვლავები, დაბლა მიწის ეს ლერწმები, უფლის გალობებით ავსებს: ...მეც, ვით დავით გეხვეწები: „ხატსა თვისსა მიმამსგავსე“ (ლერწამები) (8, 885).

ვაჟა ეგრისელის პოეზიის ლირიკული გმირი ხედავს მწუხრის გამფანგავ ზეციურ ნათელს, მთვარის სასწავლქმულებას, ესმის სერაფიმების ფრთების შრიალი და ვარსკვლავების უხმო რეკვა: „ცის საუფლოდან გადმოვლენილი ნათელი – მწუხრის სერს ეფინება. მოშეგებულია მთვარის ონანი. ფრთების შრიალში – სერაფიმების ცად ვარსკვლავები უხმოდ რეკავენ“ (ცის საუფლოდან გადმოვლენილი) (8, 969).

ნათელი, ვარსკვლავები ღმერთის სახელია, მთვარე – ღვთისმშობლის (6, 424), სერაფიმები – სიყვარულის სულები არიან.

უფლის საყანედან გამოდწეული ხმა ჩააგონებს, რომ „საყვარლის“ ხილვა მხოლოდ სულისთვის ხორცის გამდებთა ხვედრია: „ვარსკვლავებით ნათესი – ცაა უფლის საყანე. ხმა კრთის მთვარის-მნათესი. ვინც ხორცს დასწავს სულისთვის, ის იხილავს „საყვარელს“ (8, 439).

„საყვარელი“ ქრისტეს სახელია („ეს არის მეტრუ ჩემი, ეს არის საყვარელი ჩემი“ (ქებათა ქება) (9, 17).

დავით გურამიშვილისთვის ქრისტე იყო „მკვიდრი მიჯნური“, საყვარელი (12, 182), ვახტანგ VII-სთვის – სატრფო (12, 183), აკაკი წერეთლისთვის – საყვარელი და სულიკო („სულიკო“), გალაბტიონისთვის – „შორეული სატრფო“ (სახიკვდილო მწუხარება), ანა კალანდაძისთვის ღმერთი – გულის „რჩეულია“ (გამომეცხადა რჩეული ჩემი).

სულის პრიმატით, სულიერების სამსახურით, ლოცვით ცდილობს ვაჟა ეგრისელი „საყვარელთან“, ქრისტესთან მიახლებას.

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში გვხვდება საღვთო, „პიერატიული“ ქორწინების იდეა.

ლექსში „გადუფრენს ათასწლეულებს“ (8, 394) ყურადღებას იქცევს მზის და მთვარის ქორწილი, ცის ელვა-სულიწმინდა, რომლის პერსონიფიკაციაა ნიაგი: „გადუფრენს ათასწლეულებს ვით ცელებეს და იაგას ხმა, მზის და მთვარის ქორწილის. სამყაროს უგლის ნიაგად, ელვა, ცით გადმოტყორცნილი“ (8, 434).

მზე ქრისტეს, მთვარე დვთისმშობლის სიმბოლოებია.

ლექსში „ვინ მოთვლის“ (2, 129) „ცის ეკლესია მზისა და მთვარის მგალობელ ზარით“ პოეტის თვალშია: „...ჩემს თვალებში დგას ქართული ცის ეკლესია, მზისა და მთვარის მგალობელ ზარით“.

„ცის ეკლესია ქართულია“.

სხვაგან „განთიადზე აღმოსავლეთით რეგავს სინათლეს მეწამული მზის ეკლესია“ (მზის ეკლესია) (2, 315).

პოეტს ესმის ცის კარების გახსნის ხმა, ხედავს ებრაელი ხალხის წინამდოღლ მოსეს ცხვრებით, ქორიბის მთაზე ღმერთი რომ გამოეცხადა და ამ მოლანდებას მერე მშობლიური მახათას მთა ენაცვლება, რათა იხილოს მომავლის მაუწყებელი ცეცხლწაკიდებული მაყვალი (ცეცხლი ქრისტეს, მაყვალი მარიამის სიმბოლოდ დაისახა) და ეს ახოციაცია შემთხვევითი როდია, ლექსის ავტორს ქართველი ერი ბიძლიური ქალდეველების შთამომავლებად მიაჩნია, როგორც მრავალ მეცნიერს: „მე ვიხილე: მახათასთან – ადიოდა მაყვლის კვამლი და წიოდნენ ცის კარები. და ჩემს თვალწინ გაქრთა წამით მოსე... ცხვრები... მთა ქორიბის“ (მე ვიხილე) (8, 403).

დანტეს ესმოდა სინათლისაგან „ხმაი მეტყველი“.

ვაჟა ეგრისელთან ძალზე ხშირად ხვდება სინათლის ხმა, სინათლის ძახილი: „...და მოკამაბე მთვარის ჭის იქით, განთიადამდე სინათლის ხმით ვიღაც იძახის“ (ცის მაღალ ტოტზე) (2, 538).

„დამის გადმიდან კვლავ სინათლის ისმის ძახილი“ (იავარ-ქმნილა) (2, 634).

ზესკნელიდან, ვარსკვლავებისა და მთვარის მიღმიდან გამოღწეული ხმის მოსმენა დაპბედებია: „და ყოველ დამე ვიღაც კივის, საღლაც, ზესკნელში, ვარსკვლავებს მიღმა და მთვარის იქით“ (სიცივეს ცივა) (2, 544).

ღმერთის განწესებულ დამისა და დღის მონაცვლეობას ხედავს სამყაროში: „...დამის მიღმიდან ისევ ისმის დღეთა ყივილი“ (ამოწვდილი ცეცხლის მახვილით) (2, 467).

„შრიალებენ დღეთა ფოთლები“ (ჩემი მოთმენა) (2, 477).

მზის გზა, მთვარის ბილიკები, ლოცვით ცისკენ, დვთისკენ საგალის გაპვლევაა უმაღლესი მიზანი: „გზას დღისით მზისა

და დამით – მივსდევ მთვარის ბილიკებს და „ზე-ცისაპენ ვიურვი... უფალთან გზას მიგვიკვლევს ლოცვა მარადიული“ (გზას დღისით) (8, 815).

მზის გზა დმერთის გზაა, მთვარის ბილიკები – ლვთის-მშობლის.

სინანულის ცრემლით, სტიქსეს წყლით განბანილი, მირონით განწმენდილი სული ცის აკვანში დავანებულა და სასწაულმოქმედი ძალა მინიჭებია: „ცოდვის მონანიებად, ნაწერს ცრემლთა ანბანით, ცის აკვანში ვარწევდი – სულს, სტიქსეში განბანილს და მირონით განწმენდილს“ (8, 432).

გალობა, ლოცვა, ტროპარი და კონდაკია პოეტის მართალი სიტყვისთვის ორგანული და არა სონეტ-ტერცინა-ტრიოლეტები: „სიყვარულის ცით აგსებული ჩემი ოცნება, რომელიც დაჯერის სიმღერებად და დაგრიგალობს, მოვა შენ წმინდა, ლოცვით დაღლილ საკურთხეველთან და სიკვდილამდე შენოვის იგალობს“ (ჩემი ოცნება) (2, 613).

გალობა უფლის მადლია: „ჩამაცვა გალობის ანაფარა და პოეზის უდაბნოში უფალმა აღმკვეცა ბერად“ (ჩამაცვა გალობის ანაფორა) (2, 769).

ღმერთის სახედ და ხატად ქცეული სული „ნათლის სვეტის“, მზის (საღვთო სახელებია) ძალას იქრებს და სამყაროში სინათლედ ცხადდება: „ვით ჩაუმქრალი სვეტი ნათლისა, გარდმოვლენილი მზის საუფლოდან – ჩემი ხმა არის სამყაროს რომ სინათლედ უვლის ტერფიდან – თხემით“ (რუსთაველი) (1, 463).

ბიბლიურ სამუელს, როგორც წმინდას, ესმოდა უფლის კაკუნი.

„პოლეური ფსალმუნების“ აგტორს ქმის „ცისკრის“ კაკუნი, ცისკარი კი საღმრთო სახელია (5, 121): „...გავადე გული, როცა ცისკრის მესმა კაკუნი“ (გამოვეთხოვე დამის წამებას) (2, 622).

ერთგან „მთვარე უპაკუნებს ნისკარტს „მიუაჩრდილებელ ცისკარს“ (8, 427).

მთვარე მარიამის, ცისკარი ქრისტეს სახელია.

სითბოს, სინათლეს ასხივებს, ორფეოსივით მდერის მზე (ღმერთი), მთვარე კი – ლვთისმშობლის ხატი – სალამურის ხმით აბრუებს პოეტს: „სითბოს, სინათლეს ორფეოსივით მდე-

რის შენი მზე, შენი მოვარე კვლავ სალამურობს“ (გავთენდი) (2, 906).

ციდან ესმის მზის და სინათლის (ღმერთი) ძახილი, ცათა ცაში ეძებს „ცის ყვავილებს“ (ღმერთს): „მთვლემარე ღამე ებიდან მესმის ძახილი მზის და სინათლის, რადგან სიშორის გეწეროებზე მარად ყვავიან ცის ყვავილები“ (ცის ყვავილები) (2, 543).

ცის ყვავილი ქრისტე ღმერთია.

„ცაში ყვავილ ეძებდნენ“ პიმნოგრაფები – იოანე მინჩხი და იოანე მტბევარი...

„და მე მომესმა სიმარტოვის დია ფანჯრებთან ფრთების ფათქუნი შენი სიშორის“ (და მე მომესმა) (2, 570), პოეტი-სათვის ასე ახლობელია ზესკნელის სიშორეში დავანებული...

პოეზიისთვის ჯვარცმული, „უფალივით ნალუსკუმარი“ „ნათლის სვეტის“ ძახილზე მოელის მკვდრეთით აღდგომას: „...თავს დამადგება სვეტი ნათლისა, ვით შორეული ჭირის-უფალი და მის ძახილზე... ნალუსკუმარი, როგორც უფალი, მკვდრეთით აღვდგები და ავმაღლდები“ (ტერენტი გრანელს) (2, 532).

„იღუმალების შორეული ზარები“ ახსენებენ უზენაესს და უღვიძებენ მიგიწყებულ ჭრილობებს: „იღუმალების რეპენ ზარები და მიღვიძებენ მძინარ ჭრილობებს“ (1, 2076).

ზესკნელის, სიშორის ზარების მოსმენა დაპედებია იმთავითებე: „დაბადებიდან მიხმობს ზესკნელი,... რეპენ სიშორის ცივი ზარები“ (გარსკვლავეთი) (2, 114).

„ჭრიალებს მზეშებმული აღსავლის კარი“ (ზღვა ხელში როგორ შემომეცრიცა) (2, 292).

„ჩემში უფალი ზის და მკარნახობს ცხოვრების წიგნს“ (ჩემში უფალი ზის) (1, 87) – ასეა გამოხატული შთაგონების მომნიჭებელი ღმერთის წეალობა.

პოეტს ესმის „მძინარ ენის სუნთქვა“ „ქარიშხლის სუნთქვა“, „ქარიშხლის ენა“, „განთიადის ხმა“: „განთიადის ხმა მეც გავიგონე აქ, ჩემს არაგვთან, იქ, შორს ნილოსზე. და დავდექ დამის უდაბნოში, ვით მედავითნე, ბრძოლით დადლილმა მე ჩუმად ვილოცე და შენი რწმენა სანთლად ავინთ“ (მეც გავიგონე) (2, 311).

ვინც დგთის სახლად აქცია თავისი არსება, მხოლოდ მას ხელეწიფება მიღიარდების სიყვარული დაიტიოს: „ჩემი თვალები დგთის სახლია, ხელის გული – სამყაროს რუპა. მერიდიანები – სულის სიმებია და მიღიარდების სიყვარულს განვდების სიმებით ვუპრავ“ (ჩემი თვალები დგთის სახლია) (8, 480).

ძე ღმერთი ელვის, მამაღმერთი, მზის, სულიშმინდა ქარიშხლის სახით ეცხადება უდაბნოს გასაადამიანებლად, უდრანში სულიერების შესატანად: „ელვის მხურვალ ხელს მიწვდის, შორიდან ვცნობ ღიმილს ძის, მზე რომ ახლავს სხვა ნიშნის. უდაბნოსკენ მიმიძღვის – ცხელი სუნთქვით ქარიშხლის“ (ელვის მხურვალ ხელს მიწვდის) (8, 493).

ზეცის ლურჯი ტაძარი ზარს არისხებს, დამის წყვდიადს მნათობებით ამზიანებს: „ზეცის ლურჯი ტაძარი – სიშორის ზარს არისხებს. სურს წყვდიადი მოისრას. ძირს მოჭრილი დამის ხე მნათობებს კვლავ მოისხამს“ (ზეცის ლურჯი ტაძარი) (8, 463).

პოეტი ელის სიყვარულის ქუხილს, უსხეულოს, უსახოს და უხილავს: „...და მოელი სიყვარულის ქუხილით მას, ვინაც ჩვენ არს, კველგან ყოფნით ამშვიდებს: უსხეულოს, უსახოს და უხილავს“ (და მოელი სიყვარულს ქუხილით) (8, 464).

სიყვარული, ქუხილი ქრისტეს სახელებია.

უსხეულო, უსახო და უხილავი მამაღმერთია (წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწვნითი გადმოცემა, თბ., 2000, გვ. 322).

დანგებს და გალაკტიონს ესმოდათ ცეცხლის ხმა, სინათლის ხმა.

გაფა გგრისელის ლექსში ცეცხლის და სინათლის ხმას მზე (ღმერთი) გამოსცემს: „სადაც ცეცხლის და სინათლის ხმა ისმის, ალბათ, მზე არი, რომ მიჰყავს აღმოსავლეთით ღამე – ზათქით და ზრიალით“ (მნათობთა შუა) (2, 279).

მიწიერი ლოცვებში ციერთა ფრთის რხევას ისმენს და გულში უზენაესს უგალობს: „როცა ჩამესმება ფრთისრხევა ციერთა, სულგალადებული მიწიერ ლოცვებით... მიყვარს სასწაულად მე შენზე ოცნება, მგალობელ ჩიტივით გულში დამწყვდეული“ (მგალობელ ჩიტივით) (2, 433).

ქარიშხლის, ზღვის ენის ამომცნობს, ვარსკვლავთა ენით ესაუბრება ცა: „...არ მესმის, მაგრამ ვიცი შორიდან, ვარსკვლავთა ენით ცა რაღაცას მესაუბრება“ (დიდხანს იდვებ) (2, 876).

ზეცასთან „პომუნიკაციის“ უნარი უფლის კარებს უხსნის და უზენაესი ნათლის ხმას, ლაზარქს - ქართული ენისა და ქართველი ერის მკვდრეობით აღდგომის უწყებას ასმენინებს: „წარსულიდან რომ ყივის ქართველი, ის ხმები მოაქვთ მომავლის ქარებს: ზეცა განიხვნა - იქმენ ნათელი“, დროა, „ლაზარევ გამოვედ გარეთ“ (ლაზარევ, გამოვედ გარეთ) (2, 409).

„ხუთხე მეტი ათასეულ“ წელთ იქიდან გიდგას ფესვი, საიდანაც შენი ენის, მძინარ ენის სუნთქვა მესმის“, მიმართავს კოლხ წინაპარს (კოლხ წინაპარს) (2, 143).

„მომავლის ჯეჯილის შრიალს“ აქედანვე შეიმუცნებს ნათელმსმენი პოეტი: „სადღაც მომავლის ხარობს ჯეჯილი და გესმის მისი ჩუმი შრიალი“ (1, 967).

„და დღედაღამ დმერთი ტირის უღმერთობას“ (ღმერთი) (56, 1), ასე გვაგრძნობინებს უღმერთო ეპოქის ტრაგედიას.

ალიონის სინათლეზე შეუვედრებია ზესთა მეუფისთვის, მოსესთვის „სჯულის ფიცარის“ მბოძებლისთვის, თავისი ტიტანური „იქმენ ნათელი!“: „...და როს სინათლე წაცდა იალონს, მაშინ შევძახე ზესთა მეუფეს: „იქმენ ნათელი, რომ ჩემი მწუხარი ვაგანოთიადო!“ (იქმენ ნათელი) (2, 446).

ვაჟა-ფშაველას ესმოდა „უცხო ფრინველის“ ხმა: „მოფრინდა უცხო ფრინველი და დამტრიალებს თავზედა. არც არწივია, არც ქორი, თუმც ორივეს პგავს ხმაზედა. აბია შიბი ოქროსი, ოქროთ დაფვრილს ბჯდალზედა, მასზედ მიბმული ბარათი ალს მომიკიდებს ალზედა“.

ოქროს ფრინველი ჩვენი დიდი წინაპრებისგან „უფლის საბჭოში“ დადგენილს ამცნობს პოეტს (მოფრინდა უცხო ფრინველი) (9, 54).

გიორგი ლეონიძე წუხდა, რომ სმენა ბოლომდე ვერ წვდებოდა იდუმალს: „ოქროს ჩანგების სიმების ქდერა პაერში მესმის გაურკვეველი, მაგრამ ვერ მივწვდი, ვერა და ვერა, ვერ გავხდი მისი მიმაკვლეველი“ (11, 183).

ვაჟა ეგრისელს ესმის ოქროს არფების წერიალი: „გადმოდგებიან ცის აიგნიდან ვარსკვლავები და ხმობენ მესეედ. წერიალი ისმის ოქროს არფების. და სიყვარულის ლურჯურთიანი ჩემი პეგასი იქით, ო, იქით მისწრაფება“ (გადმოდგებიან ცის აიგნიდან) (8, 953).

პოეტი ხარობს, რომ „ოქროს ჩიტები მზის ტოტებიდან გალობენ არამქვეყნიურს“ (ზღაპარ იყო) (3, 519).

უცხო ფრინველის დვთიური ფრთები უცხო ხმას გამოსცემენ ვაჟა ეგრისელის პოეზიაში: „მოისმის უცხო ფრინველის უცხო ხმა, უცხო ყივილი. დვთიური ფრთების ფათქუნი. გრძნობს პოეზია ქართული „მშობიარობის“ ტკივილებს“ (მოისმის უცხო ფრინველის) (1, 341).

პოეტის გული სალამურივით სავსეა „ოქრონარევ მზით და გალობით“ (მოხუცი მწევმისის სალამურივით) (3, 602).

„პოლხური ფსალმუნების“ ავტორს ესმის ანგელოზთა უხმო ხმა, ხედავს ლუკას და მარკოს მოციქულებს: „ვუსმენ ჩურჩულს ანგელოზთა, დვთისმშობელზე ლოცვით დადლილს, ღმერთზე ფიქრით დამენათევს ვხედავ: სანთლით უფლის წიგნში: ლუკას, მარკოზსა და მნათეს“ (ვუსმენ ჩურჩულს ანგელოზთა) (8, 89).

ლექსში „ისევ შემოუსხდნენ მთვარეს ვარსკვლავები“ (8, 161) „ცა წეს სილაუგარდეს – ელვით დაისრული... ჩუმი ფრთათარხევა ისმის სერაფიმთა, იღუმალებაა აპოკალიფსური“.

ანგელოზებს გალობით აპავთ მაცხოვრისთვის შეწირული სული ცაში: „გალობენ ანგელოზები და შენი სული ქართული, ვითარცა მსხვერპლი – მაცხოვრის, ცად აყავთ ფრთების ფათქუნით“ (არ ჩანან პართა მცველთან) (8,440).

ნათელსმენს განუწყვეტლივ ესმის ანგელოზების ციური გალობა ცათა საუფლოდან: „ვუსმენ დღე და ღამ შენს საუფლოდან – ანგელოზების ციურ გალობას“ (შენს საუფლოდან) (1, 335).

„დვთაებრივ კომედიაში“ დანტემ აღწერა უფლისადმი აღვლენილი წმინდა სულების გალობა, რომელიც ისეთი ზეაღმტაცი იყო, რომ მიწიერი „უნაზესი მელოდიები“ მათთან შედარებით მეხის გრუხუნს ემსავსებოდა.

ვაჟა ეგრისელის ლექსში „უფალს უგალობს დასი სერა-ფიმთა, გალობით სავსეა ცის ლურჯი დარბაზი“ (ზევსი და სემელე) (8, 82).

ანგელოზთა ხმის მოსმენის უნარის მწყალობელ ღმერთს მადლს მიაგებს პოეტი: „ვეღარ ეტყვი ღმერთს სამდურავს, რადგან ციდან ხშირად ისმენ ანგელოზთა ხმას და ტარ-ცალს“ (ციური ცვარი) (2, 552).

სამწუხაროდ, მიტოვებულ საყდარზე დამურებს დაუბუდ-ნიათ და ადარ ისმის ანგელოზების ფრთათა შრიალი: „აქ, ადრე, წირვის და სანთლების რიურაუზე, ისმოდა ფრთათა მწუხარე შრიალი ანგელოზების... და დამურების... ახლა მიტო-ვებულ საყდარზე ჰკიდია შავ-შავი ზარები დამურების“ (აქ ადრე) (2, 762).

ისო ზირაქივით, „მზისთვალება ღმერთის მზერის“ მხილ-ველ პოეტს მლოცველების წერილების კითხვისას ღმერთის ჩახველება ესმის და მის დაჭვებულ სახეს ხედავს: „ანგე-ლოზებს კვლავ უკითხავს ღმერთი ლოცვებით ნაწერ მლოცველთა წერილს და ჩახველებს ხან დაეჭვებით“ (ღმერთი) (1, 740).

ცის დიდ ტაძარში ლოცვად ისმის წვიმა, ისმის ანგელო-ზების გალობა: „ცის დიდ ტაძარში ლოცულობს წვიმა,.. ანგელოზების შესმის გალობა“ (ვარსკვლავებში დავიდე ბინა) (2, 652).

პოეტის ოცნებაა „თავისი გალობა ზესთა დასს შეუ-ხმიანოს“ (ჩემი გალობა) (1, 281).

სიჩუმეში ციდან ანგელოზების ფრთების რხევა და ღმერ-თის ფეხის ხმა ესმის: „...და სიჩუმეში მოისმის ციდან: ანგე-ლოზების ფრთების რხევა და ფეხის ხმა... ღმერთის“ (სიჩუმე) 2, 217).

საკუთარი „სულის და ძვალის ხმა“ ესმის ცისგან წოდე-ბულს: „მეძახის შენი ცა და სინათლე, რა სანატრელი, რა საამო უამი მოვიდა, მტკრევის ხმა მესმის საკუთარი სულის და ძვალის“ (მეძახის) (2, 19).

ფრთოსნების უხმო სერობაში ქერუბიმთა წუხილი ისმის: „უხმო სერობა მეფობს ფრთოსნების, წებს მწუხარების საუფლოში ხმა ქერუბიმთა“ (უხმო სერობა) (2, 82).

„პანგთა ლოთი“ კოლხი ქრისტეს მხედრის ჯადოსნური ხმებით დატყვევებული არიან ცის ანგელოზები: „ციდან ანგელოზები ისევ ისე ხედავენ, რომ გდევს ხმა – ჯადოსნური. შენ ხარ ქრისტეს მხედარი, ძველი არა, უძველეს – კოლხეთიდან მოსული“ (ქრისტეს მხედარი) (8, 256).

ზეცა და სამშობლოს გზები ეძახიან (გვირილა) (2, 277).

სირინოზები მენავეთ და მოგზაურო უსაფრდებიან, რათა მოაჯადოვონ, გზას ააცილონ ისინი (1, 183).

მაგრამ პოვრის ქართული სიტყვის ხმებმა იქით დაატყვევეს სირინოზები: „ჩემს ქართულ სიტყვას ვაელვარებ ხელში ხმალივით, თვით სირინოზებს დაატყვევებს ხმა ჯადოსნური“ (ჩემს ქართულ სიტყვას) (2, 236).

სირინოზების დამარცხების, სქილასა და ქარიბდასგან თავის დაღწევის ძალა იყო დიდი, შეუცვლელი რწმენა უზენაესისა: „ჩემი დიდი საესავი-რწმენა არ გაღარიბდა, დავაღწიე კიდევ თავი ზღვაში მდერად სირინოზებს, სქილასა და ქარიბდას“ (ჩემი დიდი საურავი) (8, 549).

„პოლხური ფსალმუნების“ ავტორის ლექსები იერიქონის საყვირად ქცეულა ჩვენი მამულის მოშურნეთათვის: „სულთამობრძავი ეს საუკუნე ხელში მიჰირავს, ვით სალამური და ჩემი ლექსის ყველა სტრიქონი, მოშურნეთათვის ჩემი მამულის არის საყვირი იერიქონის“ (სულთამობრძავი ეს საუკუნე) (1, 26).

ლექსში „მამლები ყივილის ჯოხებით“ (8, 156) „ცისკრის გარსკვლავი – საყვირია, სულიტმინდის ნათელში შეხვეული“. აკაკი წერეთელი იყო „გარემოების საყვირი“ (პოეტი) (13, 236) გალაკტიონის სული – სამრეკლო (სამრეკლო უდაბნოში).

„პოლხური ფსალმუნების“ აგზორს სულთა მარადისობაში არწმუნებს ზესთა სამყარო, სულიტმინდის „ცისფერი ქარები“ მახვილად უპრია და სიტყვას ლესავს, რათა ესმოდეს ორფეოსის, არეოპაგელის, გრიგოლ ნოსელის ბრძნული ნააზრევი: „სულთა მარადისობას დრტვინავს ზესთა სამყარო და ცისფერი ქარები ჰგვანან მახვილს ალესილს მთვარის შესამოსელით. ორფეოსის ხმა მესმის, ზარი არეოპაგელის და „პასუხი ექსუთა“ წმინდა გრიგოლ ნოსელის“ (სულთა მარადისობას დრტვინავს ზესთა სამყარო) (2, 894).

ასევე ესმის ფსალმუნების ავტორის ხმა: „როცა დამექმალესა, მთვარე ხეს ჩაფრინდა, ვითა წალდი-მეტყველის: ტყის შრიალში ხმა მესმა, – დავით ფსალმუნთმეტყველის“ (მთვარე ხეს ჩაფრინდა) (2, 340).

პოეტის გალობებს სივრცეებში განფენს მშობლიური ზეცა, სულიერების, რწმენის ტაძრები: „და ჩემს გალობებს სივრცეებში ისედაც აანთებს: სვეტიცხოველი, ჯვარი, ვარძია და საქართველოს ზეცის თავანი“ (იოვლის მძვინვარე ათასწლეულებო) (8, 94).

ვაჟას, გალაკტიონის, ვაჟა ეგრისელის ზეცით ნაკურთხი ქართული მიწიდან შობილი გალობა ზესკნელში იელვარებს მნათობად, ასეთია „კოლხური ფსალმუნების“ ავტორის რწმენა: „ენა ვაჟას და გალაკტიონის (გარდაუვალის გარდუვალობა) ვეღარ წალეპეს ბაიათებმა. ქართულ მიწიდან აღმომსკდარი შენი გალობა, გამოესხმება ზესკნელს მნათებად“ (ენა ვაჟას და გალაკტიონის) (8, 950).

უფლის ნებით პოეტის სიტყვა ციურ მანანად, ზეციურ პურად, რწმენის განსამტკიცებელ მარადიულ სიტყვად ქცეულა (გიპერია მთვარის კითარა) (8, 648).

პლანეტის იქით დაელოდებიან და მოუხმობენ ჭეშმარიტ სიტყვას, ასეთია მტკიცე რწმენა პოეტისა: „მე ვხედავ ცხადად, მე ვისმენ ნათლად, ვიდაც მიხმობს და მელოდება პლანეტის იქით“ (ლვთის საუფლოში) (3, 293).

ზეციური ხმების მსმენელი, ვარსკვლავთა საუფლოდან უჭვრებს მარადიულ, წარუგალ სიყვარულს: „ანგელოზების მესმის გალობა, მე. ვარსკვლავებში დავიდე ბინა, იქიდან ვუჭვრებ სიყვარულის წარუგალობას!“ (ანგელოზების მესმის გალობა) (3, 652).

ასე დაპტედებიათ სიტყვის რჩეულებს ლვთის უხმო ხმის, ანგელოზების გალობის მოსმენა.

მოსეს, დავით წინასწარმეტყველს ესმოდათ უფლის ხმა.

„უფლის ხმა რადა?“ – კითხულობს ბასილ დიდი და ასე პასუხობს: „...ძილში ხომ შერხევის გარეშე ვიმახსოვრებთ ზოგიერთ სიტყვას და ხმას, რომელნიც სმენით კი არ მივიღეთ, არამედ გულში აღგებეჭდა. მსგავსად ამისა, უნდა მოვიაზროთ ის ხმაც, რომელიც წინასწარმეტყველებს ღმრთისაგან ესმით“ (15, 83).

„ხმა უფლისა უძლურს და დარღვეულ სულში როდია, არამედ მასში, ვინც თავდადებით და მტკიცედ იღწვის სიკეთის ქმნისთვის“ (15, 85).

„მაშინ იქნება მასში ხმა უფლისა, რაჟამს სული არ დაემონება ხორციელ განსჯას... ვისაც ღმერთზე კეთილშობილური წარმოლენები აქვს და ამაღლებული აზრით იკვლევს ქმნილებათა კანონებს, ვისაც შეუძლია... რამდენადმე მაინც ჩასწვდეს ღმერთის განგების (გონებითს) სიკეთეს. სწორედ მათში მკვიდრდება ხმაი უფლისა, ვინც ...არად აგდებს ყოველივეს, რაც ხორციელია და აღიარებს, რომ მათ არავითარი ღირებულება არა აქვთ უხილავთან შედარებით“ (15, 85).

„დვთის ტაძარში“ იმკვიდრებს ადგილს ვაჟა ეგრისელის გალობა (ო, ჭეშმარიტად) (2, 769).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორის სიტყვაში ქუხილის ხმა ისმის: „ქუხილი ჩემი ძახილია (მინდა გარგო) (2, 241).

ქუხილი ძე ღმერთის სახელია (5, 121).

„...და მაინც მოიწევს მაშრიყიდან მაღრიბით ჩემი ხმის ძლევამოსილი იმპერია...“ აცხადებს პოეტი.

ჩვენი დაკვირვება ამ ხმის ძლევამოსილი იმპერიის მხოლოდ ერთ ასპექტს შეეხო.

მომავალი შკვლევარები გაცილებით მეტს ნახავენ ამ ჭრილში...

ლიტერატურა:

1. ვაჟა ეგრისელი, იქმენ ნათელი, თბ., 1993.
2. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 2002.
3. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ტ. 2, თბ., 2005.
4. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ტ. 3, 2007.
5. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995.
6. ტიტე მოსია, საღვთოსმშობლო სახისმეტყველება. ზუგდიდი, 1996.
7. გალაქტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977.
8. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ტ. 4, თბ., 2008.
9. ვაჟა ფშაველა, თხზულებაზი, თბ., 1986.

10. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II.
11. ახალი ადთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992.
12. ტიტე მოსია, „დავითიანის“ სახისმეტყველება, თბ., 2008.
13. გორგი ლეონიძე, რჩეული, 1961.
14. ქართული კლასიკური პოეზიის ანთოლოგია, თბ., 1980.
15. ბასილი დიდი, თხეულებანი, ფსალმუნთა განმარტებანი.
პომილიები ექვსი დღისათვის. ძველი ბერძნულიდან
თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო გვანცა კოპლატაძემ,
თბ., 2002.